

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ისტორიულ-ეთნოგრაფიული
ა ტ ლ ა ს ი
მ ა ს ა ლ ე ბ ი



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1980

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განზოგადებასთან ერთად გააზრდოს ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის შემადგენელი ელემენტები, დაადგინოს მათი გავრცელების არეები და სიხშირე, გამოავლინოს ეთნოგრაფიული მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი და სამეცნიერო კარტოგრამების, ტაბულებისა და ილუსტრაციების საშუალებით ასახოს ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე დროის გარკვეულ მონაკვეთში. ნაშრომში შეტანილია მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მელვინეობის რიგი თემებისა, რომელსაც წინ უძღვის შესავალი ნაწილი და საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება.

სარედაქციო კოლეგია:

მ. აბღუშელიშვილი, ნ. აბესაძე, ნ. ბრეგაძე, ნ. მინდაძე, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, გ. ჩიტაია (რედაქტორი), თ. ცაგარეიშვილი (მდივანი), ნ. ხაზარაძე, გ. ჯავახიშვილი.

გიორგი ჩიბაია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ეთნოგრაფიული ატლასის მიზანია, განზოგადებასთან ერთად, გაარკვიოს ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის შემადგენელი ელემენტები; დაადგინოს მათი გავრცელების არეები და სიხშირე დროის გარკვეულ მონაკვეთზე; გამოავლინოს მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო კარტოგრაფების, ტაბულებისა და სათანადო ტექსტების შემწეობით აისახოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, წარსული და აწმყო.

ამასთან ერთად, ქართულ ეთნოგრაფიულ ატლასს პრაქტიკული ამოცანაც აკისრია, რამდენადაც რუკების, ტექსტებისა და ტაბულების მეშვეობით შეიძლება სწრაფად გამოჩნდეს ამა თუ იმ მოვლენის ხასიათი, მისი ხნოვანება და სპეციფიკურობის ნიშნები.

დასახული მიზნის მიღწევა და სასურველი შედეგების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყოფისა და კულტურის შესწავლა სათანადო სიმაღლეზეა, დაწინაურებული ეთნოგრაფიული მოვლენების კომპლექსური კვლევა, დადგენილია მათი კანონზომიერება და მეტ-ნაკლებად გამორკვეულია ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ზემოთქმული ვარაუდობს სანდო, ზუსტ, ყოველმხრივსა და დეტალურ აღწერილობას, ეთნოგრაფიული მოვლენების დესკრიპციას.

იმისათვის, რომ ატლასმა დასახულ მიზანს წარმატებით მიაღწიოს, ეთნოგრაფიული მოვლენები მასში აისახება არა როგორც იზოლირებული ფაქტები, არამედ გარემოცვაში, სხვა მოვლენებთან კავშირში, როგორც ერთი-მეორეზე გადაჯაჭვული რგოლური მოვლენები (მაგ., თონე და პურის ჭიშები; თონე მთასა, ბარსა და სხვა ზონალობაში; სახლი და ვერტიკალური ზონალობა).

ცნობილია, რომ თავისთავად, იზოლირებულად აღებული ფაქტი გამოუყენებელია, თუ ის არ არის ახსნილი გენეტიკურად; მეორე მხრივ, ნებისმიერი ფაქტი თუ მოვლენა შეიძლება უაზრობამდე იყოს დაყვანილი, თუ იგი განხილულია იზოლირებულად, კომპლექსისაგან მოწყვეტით.

ყოველივე ზემოთქმულს დავძენთ, რომ სტატიკურ მდგომარეობაში მოცემული ფაქტი და მოვლენა მოკლებულია მეცნიერულ შინაარსს და გამოუყენებელია. ფაქტისა და მოვლენის არსში ჩაწვდომა და შინაარსის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწავლილია მისი (მოვლენის) ჩასახვა და განვითარება, ე. ი. როდესაც მოვლენა განხილულია ისტორიულ კრილში და სხვა მოვლენებთან თანაარსებობის პირობებში.

ყოფასა და კულტურაში ეთნოგრაფიული მოვლენები (ძველი და ახალი) არსებობენ არა დაქუცმაცებულად, არამედ მეტ-ნაკლები სიდიდის მქონე კომპლექსების სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნოგრაფიული კომპლექსები, ჩვეულებრივად, მეტად რთული, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-

ეთნიკური მოვლენებია, რომელთა შიგნით ძველი და ახალი ელემენტების ბრძოლა მიმდინარეობს.

ყოველგვარი ეთნიკური (ეთნოსი) ერთობლიობის კულტურის სტრუქტურა შეიცავს: ბუნებრივ გარემოს, სადაც ეს ეთნოსი ცხოვრობს ან უცხოვრია, მატერიალურ კულტურასა და მეურნეობას, სოციალურ ურთიერთობასა და სულიერ კულტურას. თითოეული მათგანი თავის მხრივ მოიცავს ცალკეულ ელემენტებს. მაგ., ბუნებრივ გარემოში შედის: ოროგრაფია, ჰიდროგრაფია, ჰავა, ფლორა, ფაუნა, წიაღისეული ნაშარხები, ნიადაგები, ტრასები და სხვ. მატერიალურ კულტურაში წარმოდგენილია: საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლება, შრომისა და ბრძოლის იარაღი, ტრანსპორტი და ა. შ. მეურნეობის დარგში: შემგროვებლობა, ნადირობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, ხელოსნობა და სხვ.

კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით საქართველოსათვის ვერტიკალური ზონალობაა დამახასიათებელი. საქართველოში მთას უჭირავს საერთო ფართობის 58,6%, გარდამავალ ზოლს — 33,4%, ხოლო 13% დაბლობია. ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად საქართველო იყოფა: მთად (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ზემო რაჭა, სვანეთი), ზეგანი იგივე გარდამავალ ზოლად (მესხეთი, ჯავახეთი, წალკა, ტაო-კლარჯეთი, ბასიანი, შავშეთ-იმერხევი, აჭარა) და ბარად (სამეგრელო, ლაზეთი, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ჰერეთი-მინგეჩაურამდე).

საქართველოსათვის რომ ვერტიკალური ზონალობაა დამახასიათებელი; ეს ჯერ კიდევ შემჩნეული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ის წერს: ლიგანის ხეობა „ფრიალ ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოით, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლელვით, ვენახით. ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს გარნა სიგიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანახს. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიალ თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შვენიერებით აღმკულნი, ყამისა და ნახევარ-ყამის სავალთა; პირუტყვნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოველითა ნაყოფიერებითა აღვსილი“ [1].

ამგვარი ვერტიკალური ზონალობა ასახულია სამეურნეო ვითარებაში (ბარის, გარდამავალი ზოლისა და მთის მიწათმოქმედება; ბარის ფერდის და მთის მესაქონლობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ზოლს შიგნით თავისი ბარი, თავისი ფერდა და თავისი „მთა“ გააჩნია ისე, რომ მთავარი დაყოფის მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მქალავდება. ასე, მაგ., ხევსურეთის ისეთ უკიდურეს მთას, როგორცაა არხოტის თემი, აქვს თავისი ბარი (საქერები), ზეგანი (სასავეილები) და მთა (სახაროვნე).

სამეურნეო თვალსაზრისით თუ მაჩვენებლად ვაჩნა და ღვინოს ავიღებთ, დავინახავთ, რომ ბარში ვაზიც ხარობს და ღვინოსაც აყენებენ, ხოლო ზეგანში თუმცა ვაზი არ ხარობს, მაგრამ ბარის ვენახებიდან ტკბილი ააქვთ და ღვინოდ აყენებენ. მთაში კი არც ვაზი ხარობს და არც ტკბილი ააქვთ ღვინოსათვის (შდრ. მენა წალკაში და აფიონი ხევსურეთში). ასეთივე თვალსაზრისით მაჩვენებელია სახენელი იარაღები: ბარში გაბატონებულია დიდი გუთანი (8-9 ულელ-

¹ ყამის უძველესი მნიშვნელობის შესახებ იხ. პ. ი. ნ. გ. რ. ი. ვ. ა. ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საქ. მუზეუმის წიგნები, ტ. VII, თბ., 1932, გვ. 262—269.

ხარ-კამეჩით, 20 კილოგრამი რკინის ნაწილებით, დიდი მოდგამით, შეხამებული დასახლების გარკვეულ ტიპთან, სახლის გარკვეულ სახეობასთან და სხვ.): ორ-ხელა (ორი — ოთხი უღელი ხარით) — ზეგანში; ხოლო აჩაჩა (სახვწელი ერთი უღელი ხარით) — მთაში: ასევე დიდი ურემი — ბარში, ჩოჩილა ურემი და ბოლოთრია — ზეგანში და მარხილი — მთაში; კევრი — ბარსა და ზეგანში, ხოლო მაღალ მთაში — ლეწვა საქონლის ფეხით. ასევე ითქმის ნაგებობების შესახებაც; ბარში ნაგებობები ჰორიზონტალურ კრილიშია მოცემული, მთაში ვერტიკალურ განლაგებაში, ხოლო ზეგანში — შერეული სახის ნაგებობებია წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზეგანი, გარდამავალი ზოლი, ისტორიულად შუამავლის როლს ასრულებდა მთასა და ბარს შორის. დამახასიათებელია, რომ ამ ზოლში იყო წარმოდგენილი მსხვილი დაბური დასახლების პუნქტები, სადაც ბაზრობაზე თავს იყრიდა მთისა და ბარის საქონელი. ამ სახის დაბები ჯაჭვივით გასდევს საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, უინვალი, წილკანი, მუხრანი, ახალგორი, ქვემო ჭალა, მეჭვრისხევი, ცხინვალი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, გორდი, წალენჯიხა, ჯვარი, ბეღია, ღურიფში და სხვ.).

ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ზეგანი, გარდამავალი ზოლი, როგორც ცნობილია სათანადო სპეციალური ლიტერატურიდან, ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული სხვა ზოლთან შედარებით. ასეა საქართველოშიც.

ვერტიკალური ზონალობის საფუძველზე, ატლასში ივარაუდება სამი ძირითადი ზოლი: ბარის, ზეგანისა და მთისა, რაც მდინარეების აუზების მიყოლებით მკვეთრად ჩამოყალიბებული ჩანს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თითოეული მდინარის აუზის შიგნით გამოიყოფიან ცალკეული მიკრორაიონები (ღუშეთი, ქაისხევი და სხვ.).

კულტურულ-ეთნიკური შედგენილობის თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობა შეიძლება დაიყოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ორ მთავარ ჯგუფად: ა) კოლხური ჯგუფი, რომელშიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შედის (სტრაბონის დროისათვის ზღვიდან შორაპნის ხაზამდე).

ბ) იბერიული ჯგუფი; მასში წარმოდგენილია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა (სტრაბონის დროისათვის შორაპნიდან ვიღრე მინგეჩაურამდე).

ისტორიულად კოლხური ჯგუფის ხალხი ძველი კოლხებიდან მომდინარეობს; იბერიული ჯგუფისა — თობელ-იბერებისაგან.

აქ წარმოდგენილი კულტურულ-ეთნიკური დაყოფა, ეთნიკურ-კულტურული მანკენებლების გარდა, ითვალისწინებს დიალექტოლოგიურსა და ანთროპოლოგიურ მონაცემებსაც. ამავე დროს დაყოფის ძირითადი პრინციპი ამოდის იმ თვალსაზრისიდან, რომ საქართველოში, ისევე, როგორც კავკასიაში, ამორიგენი მოსახლეობა ოდიდანვე იბერიულ-კავკასიური მოდგმის მოსახლეობაა. მეცნიერებაში წამოყენებული დებულება სხვა ჩამომავლობის სუბსტრატის აქ არსებობის შესახებ (ზანგური, სემიტური, ქამიტური, არიული) სინამდვილეს არ შეესაბამება (შდრ. B. Hrozný, Die Aelteste Geschichte Vorderasiens und Indiens, Prag, 1943, zweite, neubearbeitete und ergänzte Auflage).

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იბერიულ-კავკასიური სუბსტრატი წმინდა სახითაა დღემდე შემონახული და რომ აქ ადგილი არ ჰქონია ხალხთა შერევასა

და კულტურული ელემენტების შერწყმას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასია არასოდეს თავისი ისტორიის გრძელ მანძილზე არ ყოფილა იზოლირებული, კარჩაკეტილი ქვეყანა. პირიქით, მსოფლიო ისტორიული მოვლენები, შორეული თუ მახლობელი, აქაც პოულობდნენ გამოძახილს და სათანადო გავლენას ახდენდნენ მასზე.

დღეისათვის ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, თუ როგორ იმოქმედეს საქართველოსა და კავკასიაზე ისეთმა მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ხალხთა მოძრაობებმა, როგორც იყო: ეგოსის ხალხთა გადმოსახლება, კიმერიელებისა და სკვითების აქციები, ალექსანდრე მაკედონელის ომები, ხალხთა დიდი გადასახლება, არაბებისა და მონღოლთა შემოსევები და სხვ.

ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობა შემდგარია დიდი ხალხების ნარჩენებისაგან, რომლებიც შეეხიზნენ კავკასიის მთებს და აქ განაგრძობენ განკერძოებულ, ურთიერთისაგან იზოლირებულ ცხოვრებას; ეს არც იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის კულტურა არის პერიფერიული კულტურა, რომელიც ითვისებდა გარედან, ცივილიზაციის კერებიდან შემოტანილ კულტურის ელემენტებს და, უკეთეს შემთხვევაში, საქართველო და კავკასია მხოლოდ გადამცემი რგოლი იყო, რომლის მეშვეობით კულტურის მონაპოვრები გადაეცემოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ან დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ან პირუკუ.

ამგვარი მცდარი შეხედულების მიხედვით ისე გამოდის, რომ საქართველომ და კავკასიამ თავისი არსებობის მანძილზე დამოუკიდებელი, თავისთავადი ხასიათის მქონე კულტურა ვერ შექმნა. ზოგიერთი მკვლევარი (R. Bleichsteiner) ცდილობს გაარკვიოს ამის მიზეზი. მათი აზრით, მიზეზი თითქოს ის უნდა იყოს, რომ საქართველოსა და კავკასიაში სათანადო გზები არ იყო და რომ საქართველო და კავკასია საკომუნიკაციო საშუალებებს იყო მოკლებული. ა. დიტმერი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ხანის ალებ-მიცემობაში სატრანსპორტო გამწევი ძალის გამოყენებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპილენძისა და რკინის მადნის ნედლეულის სახით გადაზიდვას ჩრდილოეთში მცირე აზიიდან და კავკასიიდან“ [2].

ქართული ეთნოგრაფიული ატლასის ერთ-ერთი ამოცანა ისიცაა, რომ არა მარტო გამოავლინოს ქართველი ხალხის კულტურის ნიშანდობლივი თავისებურებანი, არამედ კარტოგრაფების მეშვეობით თვალსაჩინო გახადოს ისინი საზოგადოებისათვის. დღემდე დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალა როგორც ქართველი, ისევე საერთოდ კავკასიის ხალხთა კულტურის შესახებ იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხალხების მიერ შექმნილია ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების მატარებელი ცივილიზაცია, რომელიც გამოიყოფა სხვა, დიდი თუ მცირე ცივილიზაციებიდან. ყოველივე ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ატლასი ასახავს კულტურის კომპონენტების უწყვეტობას.

ატლასის ძირითადი წყაროა ექსპედიციებისა და სამეცნიერო მივლინებების დროს შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გადატანილია საკარტოთეო ბარათებზე. მასალის შეკრება წარმოებდა სათანადოდ დანაწევრებული მიკრორაიონების მიხედვით. ეს მასალა დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის

განყოფილებაში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე, დღიურების, ფოტოგადაღებებისა და ანაზომ-ჩანახატების სახით.

ველზე შეკრებილი მასალების გარდა, გათვალისწინებულია სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც დაკულია როგორც საქართველოს სახელმწიფო, ღია ცისქვეშა, ისე სამხრეთმცოდნეო მუზეუმებში; ლენინგრადის ხალხთა მუზეუმსა და ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმებში; მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუზეუმებში, აგრეთვე რიგ საზღვარგარეთის მუზეუმებში.

ამასთან ერთად, ამოკრებილია მასალა ერთიან საალრიცხვო ბარათებზე ნაბეჭდი ლიტერატურიდან და საარქივო ხელნაწერებიდან ქართულ, რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ა. შ.). ბარათების რიცხვი ათეულ ათასებს აღემატება.

ატლასისათვის მასალის აღრიცხვა იფარგლება 150 წლის საზღვრებით. მასალის შეკრებისას სახელმძღვანელო პრინციპი იყო მოვლენებისა, ფაქტებისა თუ საგნების განხილვა კომპლექსურად, ყველა გარემოებასა და სიტუაციაში, რაც ხორციელდებოდა სათანადოდ შედგენილი კითხვარის მიხედვით. კითხვარი ითვალისწინებდა პასუხის მიღებას მთლიანობაში, ტოტალობაში. მაგ., ზომის, მოცულობის, ფორმის, შემადგენელი ნაწილების, მასალის, ფუნქციის, გამოყენების ხერხის, მიზნის და ა. შ. ამასთან ერთად, მოსახლეობის რომელი ჯგუფის ან რა პროფესიის მუშაკის მიერ გამოიყენებოდა, გამოყენების ინტენსიურობა, ვისი საკუთრებაა, საგნის განსაზღვრება (ტერმინი, მეტაფორა), რწმენა-წარმოდგენები და სხვა (იხ. თანდართული მასალის აღრიცხვის ბარათის ნიმუში და აღრიცხვის სქემა).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარად შეკრებულ მასალას ლიმიტროპულ ზოლში, როგორც ისტორიულ წყაროს. რუკაზე დატანილი ლიმიტროპული ზოლის გაღმა-გამოღმა შეგროვილი მასალა თვალნათლივ აელენს ორი ეთნიკური ერთეულის როგორც ზოგადს, ასევე განსხვავებული კულტურის ელემენტებს.

ზემოთ დასახელებულ წყაროებზე დაყრდნობით და პრინციპების გათვალისწინებით პირველ რიგში დამუშავდა მიწათმოქმედება. წინამდებარე ნაკვეთში წარმოდგენილია მემინდვრეობასა და მევენახეობაზე რამდენიმე თემა სათანადო კარტოგრაფიითა* და ტაბულებით. ნაკვეთის გამოცემის მიზანია იმის ჩვენება, თუ რა პრინციპით დამუშავდება და გამოიკვება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. ამასთან ერთად, ვიდრე ატლასი მთლიანი სახით დამზადდება გამოსაცემად, ავტორთა კოლექტივის საშუალება ექნება გითვალისწინოს სპეციალისტებისა და მკითხველი საზოგადოების შენიშვნები.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 136, თბ., 1941.
2. A. D i t t m e r. Allgemeine Völkerkunde, Braunschweig, 1954.

* კარტოგრაფებზე პირობითი ნიშნების გავრცელების სისწორე შემდეგი პრინციპით აღინიშნება: ა. ინტენსიური, ბ. არაინტენსიური, გ. სუსტი.

ალრიცხვის ბარათის ნიშნები

ქართული ეთნოგრაფიული ატლასი

ალრიცხვის ბარათი

სიტყვიერი მასალა, ნაბეჭდი ლიტერატურა

ექსპონატი

ფოტო

ნახატი

სახელწოდება — ვარცხლი (|| ვარცხლი || დაუქედელი ნავი || ცალფა ნავი)
 აღნიშვნა — ერთ მთლიან ხეში გამოთლილი ნავი. მასალა: თელა, კოპიტი, თხმელა, წაბლი (იშვიათად — ძეწნა, ტირიფი).

დამზადება — ზომაზე მოჭრილი ხე გარედან გაითლებოდა — „გაკოპიტდებოდა“ და ადგილზევე „ამოიღებოდა“. წინასწარ ლარს დაკრავდნენ (ლარი—წყლიან ნახშირში დასველებული ბაწარია), სატეხითა და ნაჯახით ცოტაზე ამოთლიდნენ ხეს, რომ ეჩოს კარგად მოეკიდებინა პირი, შემდეგ ერთი ბოლომდე ითლებოდა. ძირით — „ნერჩის“ სისქე ზომამდე ვარაუდით დაჰყავდათ.

გამოყენება — გამოიყენებოდა პატარა მდინარეებზე, სამეურნეო საქმიანობაში — ყანებში მიმოსვლისათვის შეშისა და ხე-ტყის დასამზადებლად, ტვირთის გადასატანად.

კუთხეილება —

ადგილი — დას. საქართველო. მდინ. რიონის აუზი (ხობი, ცივა, ცია).

წყარო — მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დას. საქართველოში, მიმომხილველი III, 1953, გვ. 239—240. ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 1-2, 1946, გვ. 78.

დამატებითი ცნობები — ვარცხლი — ერთ ხეში ამოთლილი დაუქედელი ნავი (შდრ. დაქედილი ნავი) ატარებს აგრეთვე „ნიშის“, „კანჯოს“ სახელწოდებას. ამჟამად ასეთი ნაგებობები იშვიათად იხმარება. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ფართო გავრცელება ჰქონდათ.


ამავე კუთხის ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება მთლიანი ხის ნაგებობის დამზადებაში ცეცხლის გამოყენება. ვარცხლისათვის შერჩეული ხის მონაპერს აქა-იქ ამოთლიდნენ და შიგ ცეცხლს აანთებდნენ. ამომწვარი ადგილებს შემდეგ ერთი თლიდნენ. ამომწვარი ადგილები სათლელად ადვილი იყო, მაგრამ ცეცხლის გამოყენება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა, რომ სანავე ხე არ დაზიანებულიყო. ამიტომ, ეს წესი უპირატესობით არ სარგებლობდა პირდაპირ ამოთლასთან შედარებით (იხ. მ. გეგეშიძე, დასახ. შრომა, გვ. 240).

მთლიანი ხის ნაგებობა ამ კუთხეში დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს. გასათვალისწინებელია ისტორიული ცნობები „კამარების“ შესახებ (ნახე, მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ. მისივე, „მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დას. საქ.-დან“, საქ. სახ. მუზ. მოამბე).

მასალის აღრიცხვის სქემა


ლაგამბა 2

1	2	2	4	5	6
<p>საველე დღიურებიდან</p> <p>1) ისტ. ინსტ. ეინ. განყ. არქივი</p> <p>2) საქ. სახ. მუხ. ეინ. განყ. კოლ.</p> <p>3) ეინოგრაფიის კაბინეტი.</p>	<p>მუზეუმის კოლექციების აღრიცხვა (უნივერსიტეტული სააღრიცხვო ბარათების მიხედვით)</p> <p>1) საქ. სახ. მუხ. ეინ. განყ. კოლ.</p> <p>2) თბილისის ისტორიულ-ეინოგრაფ. მუზეუმის კოლექცია</p> <p>3) ერმაკოვის კოლექცია</p> <p>4) ქუთაისის მუზეუმის კოლექცია</p> <p>5) სხვა მხარეთმცოდნ. მუხ. კოლექცია</p> <p>6) რუსეთის მუზეუმის კოლექცია</p> <p>7) საზღვარგარეთის მუხ. კოლექცია</p>	<p>ნაბეჭდი ლიტერატურა</p> <p>1) ქართული პერიოდიკა</p> <p>2) რუსული პერიოდიკა</p> <p>3) რუსი და უცხოელი მოგზაურები</p> <p>4) СЛОВОПЛОД</p> <p>5) МУЗЕЙК</p> <p>6) ЭКОЛОГИ</p> <p>7) КСХ და სხვ</p>	<p>საარქივო მასალები</p> <p>ა) საქართველოს ცენტრ. არქივი</p> <p>1) განის კომისია</p> <p>2) პეტროლდტის მასალები</p> <p>3) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება</p> <p>4) სტატისტიკური სამმართველოს მასალები</p> <p>5) კავკასიის განყ. რუს. გეოლოგიური საზოგადოება</p> <p>ბ) მოსკოვის არქივები</p> <p>გ) ლენინგრადის არქივები</p>	<p>ხელნაწერთა ინსტიტუტის და ლიტერატურული მუზეუმის მასალები</p> <p>1) ილიას მასალები</p> <p>2) რ. ერისთავის მასალები</p> <p>3) გაყავმაველას მასალები</p> <p>4) აკაკის მასალები</p> <p>5) სასულიერო ტექსტებზე მრწამები</p> <p>6) შინაბეჭდული მასალა</p> <p>7) კასტელის ალბომი</p>	<p>კორესპონდენტთა ქსელის მოყოფილებული მასალა</p>




რომა № 1. საპარტემენტოს (XIX ს. II ნახევარი) ადმინისტრაციული დანართს
კუთხაისის გუმბირნი

I სოხუმისოკრუგი საბოლოო უბნები: 1. სოხომი-გულრიფში, 2. გრა-გულაუ-თა, 3. ოჩირე, 4. გალი. II. ლეჩხუმის მუზრა 5. ტემი-ჭრებალო, 6. ცაფრი-ლენ-ტუხი, 7. მესტია. III. ზუგდიდის მუზრა 8. ზუგდიდი, 9. წალენჯიხა, 10. სობი. IV. სენაკის მუზრა 11. აბაშა-სამტრედია, 12. მარცხი-კურუ, 13. ახალი სენაკი. V. რაჭის მუზრა 14. ონი, 15. ამბროლაური. VI. შორაპნის მუზრა 16. შორაპანი, 17. საჩხერე, 18. კიათურა, 19. თერჯოლა, 20. ხარაგაული. VII. ქუთაისის მუზრა 21. ქუთაისი, 22. ტყიბული, 23. ვანი-ბაღდადი, 24. დაბლა-ვოში, 25. ხონი-ჭალტუბო. VIII. ოზურგეთის მუზრა 26. ოზურგეთი, 27. ლანჩხუთი, 28. ჩოხატაური. IX. ბათუმის ოლქი 29. ხულო, 30. ქედი, 31. სარფი, 32. კობულეთი-ბათუმი X. გორის მუზრა 33. ბორჯომი, 34. გორი-კასპი, 35. სურამი-მიხილოვო, 36. ქარელი, 37. ცხნეალი-ჯავაზნაური. XI. ახალქალაქის მუზრა 38. ახალქალაქი, 39. ბოგდანოვკა. XII. ახალციხის მუზრა 40. აბასთუმანი, 41. ასპინძა, 42. ახალციხე. XIII. ბორჯალოს მუზრა 43. კასულო, 44. შულავრი-ბორჩალო-ლუქემ-ბურგი, 45. წალკა-მანისი. XIV. თბილისის მუზრა 46. თბილისი-საგარეჯო, 47. თეთრიწყარო, 48. გარდაბანი. XV. დუშეთის მუზრა 49. დუშეთი-ვაზბეგი, 50. მცხეთა, 51. ახალგორი. XVI. თიანეთის მუზრა 52. შუაფხო-ბარისახო, 53. თიანეთი, 54. ახმეტა-ოპლო. XVII. თელავის მუზრა 55. ყვარელი, 56. თელავი. XVIII. სიღ-ვალის მუზრა 57. ლავილენი, 58. კაქრეთი, 59. სიღნაღი, 60. შიოთლი-ჭყარი.



რუკა № 2. ადმინისტრაციული დაყოფა (X X ს-ის I ნახევარი)



რუკა № 3. სოფლის მოსავლეობის საშუალო სიმკვრივე 1 კვ. კილომეტრზე, 1962 წ.

1. —75-ზე მეტი, 2. 50—75, 3. 35—50, 4. 10—25, 5. 10-მდე

მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობა

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა ანთროპოლოგიურად საკმაოდ ერთგვაროვანია და სრულებითაც არ იმეორებს მისთვის დამახასიათებელ ეთნიკურსა და დიალექტური ნაირგვარობის სურათს; საკულისხმოა, რომ არც კავკასიის მოსახლეობაა რთული ანთროპოლოგიური შედგენილობისა; აქაც ძირითადად ერთ დიდ ევროპეიდულ რასასთან, ან, უფრო ზუსტად, ევრაზიული რასის სამხრეთ-ევროპეიდულ განშტოებასთან გვაქვს საქმე — და ეს მაშინ, როდესაც იშვიათად თუ მოიძებნება ტერიტორია, რომლის მოსახლეობა ხასიათდებოდეს უფრო მეტი ენობრივი და ეთნიკური ნაირგვარობით, ვიდრე კავკასია. მორფოლოგიური ტიპების სწორედ ეს ჰომოგენურობა ართულებს კავკასიის მოსახლეობის გენეზისის კვლევას ანთროპოლოგიური მონაცემების მიხედვით, რადგან, როგორც ცნობილია, ანთროპოლოგიური მონაცემების მნიშვნელობა შეუდარებლად უფრო ეფექტურია სხვადასხვა რასების კონტაქტის ზონაში, ვიდრე ერთი და იგივე რასის გავრცელების ზონაში.

კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ერთიანობა, ცხადია, შემთხვევითი არ არის. იგი უდავო მაჩვენებელია კავკასიის უძველესი აბორიგენების ერთიანი წარმომავლობისა, მაგრამ ეს ერთიანობა იმ უძველეს პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ჭერ კიდევ დაწყებულიც არ იყო, დღეისათვის მკვეთრად გამოხატული, ეთნიკური დიფერენცირება. მხოლოდ შემდეგ, ისტორიული არსებობის მთელ მანძილზე, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა თუ ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხების ზეგავლენის მეოხებით, თანდათან ჩამოყალიბდნენ ის ლოკალური ნაირსახეობები, რომლებიც დღეს, მიუხედავად ძირითადი მსგავსებისა, მაინც განასხვავებს ერთი მეორისაგან კავკასიისა და საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის რეგიონალურ ჯგუფებს.

საქართველოს ანთროპოლოგიური შედგენილობის გენეტიკური არსი, ლოკალური ტიპების ურთიერთდამოკიდებულება, მათი წარმოშობა, ჩამოყალიბება და მიმართება სხვა ანთროპოლოგიურ ტიპებთან, თვალნათლივ ვლინდება საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპების თავისებურებებში.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში დადგენილია ძირითადად სამი ლოკალური ანთროპოლოგიური ტიპი: კოლხური, იბერული და კავკასიონური. თავის მხრივ, ზოგიერთი ამ ლოკალურ ტიპთაგანი წარმოდგენილია ადგილობრივ ნაირსახეობათა სახით. რამდენიმე სიტყვა ამ ლოკალური ნაირსახეობების შესახებ: საქართველოს შავიზღვისპირეთში გავრცელებულია ტიპები, რომლებიც ანთროპოლოგიური ნიშნების გარკვეული კომპლექსით ხასიათდება, სა-


ხელდობრ: მკვეთრად პროფილირებული სახე, თვალის ღია ფერი¹, თვალის ნაპრალის ვიწრო ჭრილი, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნარივი და ოდნავ ზეაწეული წვეტი, შედარებით ვიწრო სახე, დახვეწილი ყვრიმალეები, ზომიერი სისქის ქვედა ტუჩი, შედარებით ღია ფერის თმები, მცირე სიმაღლის ცხვირი, ზომიერად განვითარებული თმოვანი საფარველი, სახის მცირე მორფოლოგიური სიმაღლე, ზომიერი სიგანის თავი და საშუალო ოდენობის ზედა ქუთუთოს ნაოჭი.

მორფოლოგიური ნიშნების ასეთი კომპლექსი გავრცელებულია წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონის მეგრელებში; ლანჩხუთის, მახარაძისა და ნაწილობრივ ჩოხატაურის რაიონის გურულებში; ბათუმის, ქობულეთისა და ნაწილობრივ ხულოსა და ქედის რაიონის აჭარლებში და, აგრეთვე, გუდაუთის, ოჩამჩირისა და ნაწილობრივ გაგრის რაიონის აფხაზებში. ამ ტიპს თავისი ლოკალიზაციის მიხედვით შავიზღვისპირული ვარიანტი ეწოდება (რუკა № 4).

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში გავრცელებულია ტიპი, რომელსაც ახასიათებს: სწორი შუბლი, მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნარივი, მკვეთრად განვითარებული თმოვანი საფარველი სახესა და ტანზე, დახვეწილი ყვრიმალეები, თვალის ჰორიზონტალური ჭრილი, ორტოქეილური ზედა ტუჩი, ღია ფერის თვალების საკმაოდ მაღალი პროცენტი; მკვეთრად გამოხატული ცხვირი, საშუალო ზომის თავის განივი დიამეტრი, მცირე ყვრიმალთა შუა დიამეტრი, ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალოზე დაბალი სახის ფიზიონომიური სიმაღლე და შედარებით მოკლე ცხვირი. ნიშნების ასეთი კომპლექსით ხასიათდებიან: მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურისა და ვანის რაიონების იმერლები. ნიშნების ასეთივე კომპლექსით ხშირად გვხვდება საჩხერისა და ტყიბულის რაიონის იმერლებში, ცხაკაიას რაიონის მეგრელებში, ჩოხატაურის რაიონის გურულებში, ზულოსა და ქედის რაიონის აჭარლებში, ცაგერის რაიონის ლეჩხუმლებში; ზოგჯერ ასეთივე კომპლექსი გვხვდება აგრეთვე ბორჯომის რაიონის „ხეობლებში“, ხაშურისა და გორის ქართლებში და სხვ. ტერიტორიულად ეს ჯგუფები მოიცავენ დასავლეთ საქართველოს ძირითად მოსახლეობას, ამიტომაც მას დასავლურ-ქართული ანთროპოლოგიური ტიპი ეწოდება. როგორც თვით მორფოლოგიური დახასიათებიდანაც ჩანს, დასავლურ-ქართული და შავიზღვისპირული ვარიანტები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამიტომ, არსებობს მორფოლოგიური საფუძველი მათი ერთ ლოკალურ ტიპში გაერთიანებისა. ეს გაერთიანებული ანთროპოლოგიური ტიპი კოლხური ტიპის სახელს ატარებს და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: თავის საშუალო განივი დიამეტრი, ვიწრო სახე, თვალებისა და თმების ღია ფერი, ცხვირის ფუძისა და წვეტის ჰორიზონტული ან ოდნავ ზეაწეული მდებარეობა, ცხვირის მაღალი უნარივი და ცხვირის. ზურგის მაღალი განივი პროფილი, დაბალი სახე, ზომიერად სქელი ტუჩები და თმოვანი საფარველის საშუალოზე მეტი განვითარება. როგორც ვთქვით, ასეთი ტიპები გვხვდება დასავლეთ საქართველოში ზღვისპირეთის ჩათვლით.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი მასისათვის დამახასიათებელია: მცირე სიმაღლის ცხვირი, სახეზე თმოვანი საფარველის უხვი

¹ კატეგორიები ვიწრო, ძალიან ვიწრო, მაღალი, დაბალი, მუქი, აქაც და შემდგომ თხრობაშიც მოცემულია მხოლოდ კავკასიურ მასშტაბში.



რუბ № 4. საბატონომლოს თანამდრმე მისასოოოეაჟი ზანსკულეული
 ანოეაჟეაოიოი ბიეეი

1. შეიბღეისბირული, 2. დასეულექბრბული, 3. აღმისეულექბრბული, 4. სმბრბული
5. კეეესონური

განვითარება, ფართო შუბლი, საშუალო სიგანის თვალის ნაპრალი, თხელი ზედა ტუჩი, მკვეთრად პროფილირებული სახე, ოდნავ დაწეული ცხვირის ფუჭე და წვეტი, ზედა ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალო სიგანის თავი, საშუალოზე დაბალი ტანი, საშუალო სიგანის სახე და ზომიერად მუქი თმის ფერი. ასეთი ფორმებია გავრცელებული თეთრიწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს, აგრეთვე, ხაშურის, გორის, კასპის, თელავისა და გურჯაანის რაიონებში. როგორც ჩანს, ჯგუფების ლოკალიზაცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ტიპს აღმოსავლურ-ქართული ვარიანტი ეწოდება.

საქართველოს სამხრეთ რაიონებში მცხოვრები ჯგუფები, აგრეთვე ხასიათდებიან ნიშნების გარკვეული კომპლექსით, რომელიც მათი ლოკალური თავისებურებების მაჩვენებელი უნდა იყოს. ასეთებია: თმისა და წვერის უხვი განვითარება, დახვეწილი ყვრიბალები, მკვეთრად პროფილირებული სახე, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნაგირი, ზედა ტუჩის ძირითადად ორტოქეილურა, ზოგჯერ კი ოპისტოქეილური პროფილი. გულმკერდზე თმოვანი საფარველის უხვი განვითარება, ფართო შუბლი, ხრტილოვან ნაწილში გამოდრეკილი ცხვირის ზურგი, დაშვებული ცხვირის წვეტი, დაბალი სახე და დაბალი ტანი. ნიშნების ასეთი კომპლექსი ძირითადად გვხვდება მესხურსა და ჭავჭავურ ჯგუფებს შორის, ბოლნისისა და ბორჯომის ქართველებს შორის, და აგრეთვე წალკის რაიონის სოფ. რეხასა და ბათუმის რაიონის სოფ. სარფში მცხოვრებ ჯგუფებს შორის. დასახელებული ჯგუფები ძირითადად სამხრეთ საქართველოს რეგიონს მოიცავენ, ამიტომაც ამ ტიპს სამხრეთ-ქართული ვარიანტი ეწოდება.

ისევე როგორც შავიზღვისპირული და დასავლურ-ქართული ვარიანტები, აღმოსავლურ-ქართული და სამხრეთ-ქართული ვარიანტებიც ანთროპოლოგიურად ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც მათი ერთ ტიპში გაერთიანების მორფოლოგიურ საფუძველს იძლევა. ამ გაერთიანებულ ტიპს იზერული ანთროპოლოგიური ტიპი ეწოდება და მისთვის ძირითადად დამახასიათებელია: საშუალოზე დაბალი ტანი, საშუალო სიგანის თავი, საშუალოზე ოდნავ დაბალი სახე, შედარებით მუქი თმები, ცხვირის დაშვებული წვეტი, ცხვირის მაღალი განივი პროფილი და უნაგირი, დაბალი და გამოდრეკილი ცხვირი, შედარებით თხელი ტუჩები და თმოვანი საფარველის ძლიერი განვითარება.

და ბოლოს, საქართველოს მაღალმთიანი ჯგუფები ხასიათდებიან ზემოაღწერილი ტიპებისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ნიშნებით, რაც მათ მორფოლოგიურ თავისებურებებზე მსჯელობის საფუძველს ჰქმნის. ეს თავისებურებები განსაკუთრებით ვლინდება შემდეგი ნიშნებით: ფართო სახე, განიერი ქვედა ყბა, მაღალი სახე, ფართო თავი, ფართო შუბლი, ოდნავ დაშვებული ცხვირის წვეტი, ღია ფერის თვალების საშუალო პროცენტი, მაღალი ტანი, მაღალი ცხვირი, მედიალურ სიბრტყეში ოდნავ დაქანებული თვალების კრილი და საშუალო ან მაღალი ცხვირის უნაგირი. ქართული ჯგუფებიდან ანთროპოლოგიური ნიშნების ასეთი კომპლექსი ახასიათებს: ფშავებს, თუშებს, მოხევეებს, ხევსურებს, მთიულებს, გუდამაყრელებს, მთის რაჭველებს, სვანებს, თიანეთის რაიონის კახებს და ნაწილობრივ გუდაუთის რაიონის აფხაზებს, რომლებსაც, გარდა ამისა, შავიზღვისპირული ნიშნების კომპლექსი ახასიათებს. როგორც ჩამოთვლილი ჯგუფები გვიჩვენებენ, აღწერილი ტიპი ძირითადად მოიცავს მა-

ღალმთიან ჯგუფებს. ამიტომ, მას ქართველმა ანთროპოლოგებმა კავკასიონის ტიპი უწოდეს; შემდეგ გამოირკვა, რომ კავკასიონის მთის კალთები დაახლოებით ასეთივე ტიპებით არიან დასახლებული ბალყართიდან დაღესტნამდე, მაგრამ ამ ზოგად ტიპსაც კავკასიონის ტიპს უწოდებენ დღეს ლიტერატურაში.

ამრიგად, საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფილია 5 ლოკალური ნაირსახეობა: შავიზღვისპირული, დასავლურ-ქართული, აღმოსავლურ-ქართული, სამხრეთ-ქართული და კავკასიონის; აქედან, შავიზღვისპირული და დასავლურ-ქართული ფორმები კოლხური ტიპის ნაირსახეობებს წარმოადგენენ, ისევე როგორც აღმოსავლურ-ქართული და სამხრეთ-ქართული — იბერიული ტიპისას. ამიტომ, დღესდღეობით საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში სამ ძირითად ლოკალურ ტიპს არჩევენ: იბერულს, კოლხურსა და კავკასიონის ტიპებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპებს შორის გარკვეული მორფოლოგიური განსხვავებანი არსებობს, მსგავსება მათ შორის გაცილებით მეტია და ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ ყველა ისინი ერთგვარად შედიან წინააზიური რასის შემადგენლობაში. ამით უპირისპირდებიან ჩრდილო-დასავლეთით პონტური ტიპის ჯგუფებს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — კასპიურ ტიპებს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპები უშუალო კავშირში იმყოფებიან კავკასიის დანარჩენ მოსახლეობაში დადგენილ ანთროპოლოგიურ ტიპებთან. მათგან კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური კლასიფიკაციისათვის უმთავრესი მნიშვნელობა სამ ძირითად ტიპს აქვს, ესენია: ადიღური, კასპიური და წინააზიური ტიპები. იმისათვის, რომ გვარკვიოთ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში დადგენილი ანთროპოლოგიური ტიპების ადგილი კავკასიის ანთროპოლოგიურ ტიპებს შორის და მით დავაზუსტოთ მათი ადგილი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში, საჭიროა ზოგადად მაინც გადავავლოთ თვალი კავკასიის ანთროპოლოგიურ ტიპებს:

ადიღური ტიპისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია: ცხვირის წვეტის პორიზონტალური ან აწეული მდებარეობა, თვალის ვიწრო ნაპრალი, ქუთუთოს ნაოჭის მაღალი პროცენტი, ღია ფერის თვალები, ცხვირის სწორი პროფილი, თავის დაბალი ან საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი, საშუალოზე დაბალი ტანი, საშუალო ან ოდნავ მაღალი სახის ფიზიონომიური სიმალღე, ვიწრო შუბლი, წვერის სუსტი განვითარება და თმების ღია ფერი. ადიღური ტიპი გვხვდება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენულ ჯგუფებში; ასეთებია, უპირველეს ყოვლისა, ყაბარდოელები, აბაზიანელები, ჩერქეზები და ადიღეელები. ნიშნების გარკვეული კომპლექსით ადიღურ ტიპს ემსგავსებიან აგრეთვე ინგუშები, კრიშები, ურუმები და სხვ.; ქართული ჯგუფები (საჩხერის, ჭიათურის, ლანჩხუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მოსახლეობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტიპი თავისი მორფოლოგიური თავისებურებებით, ყველა კავკასიურ ჯგუფთან შედარებით, უმეტეს მსგავსებას გვიჩვენებს ჩრდილოური წარმომომის ზოგიერთ ჯგუფთან (და აგრეთვე ნაწილობრივ იკონხალკის რაიონის ნოღაელებთან).

კასპიური ტიპი ჭარბობს აზერბაიჯანულ და ქურთულ-ეზიდურ ჯგუფებს შორის. იგი ხასიათდება: თმებისა და თვალების ძლიერ მუქი პიგმენტაციით, თავის დაბალი მაჩვენებლით, თავის ძალიან მკირე განივი დიამეტრით,

მცირე ყვრიმალთაშუა და უმცირესი შუბლის სიგანით, ყვრიმალეების საშუალო ან საშუალოზე მკვეთრი გამოხატულებით, საშუალო ან საშუალოზე დაბალი ტანით, საშუალოზე დაბალი ცხვირის განივი პროფილითა და ცხვირის ზურგის გამოდრეკილი ფორმების საშუალოზე დაბალი პროცენტით. ეს ტიპი წარმოდგენილია აღმოსავლეთ აზერბაიჯანისა და დაღესტნის ჯგუფებს შორის, აგრეთვე ტატ-აზერბაიჯანელებს, ქურთებსა და ეზიდებს შორის; მორფოლოგიურად ამ ტიპს ემსგავსება აგრეთვე შავიზღვისპირელი შაფსულების ჯგუფი.

წინააზიური ტიპი ხასიათდება: დაბალი ტანით, მუქი ფერის თმით, თავის მაღალი მაჩვენებლით, საშუალო სიგანისა და დაბალი სახით, მუქი ფერის თვალებით, ცხვირის ზურგის გამოდრეკილი ფორმით, საშუალო სიგანის, ან ვიწრო და მაღალი ცხვირით, შედარებით ვიწრო შუბლით, საშუალო სისქის ტუჩებითა და სხვ. ეს ტიპი მეტ-ნაკლებად შეეცვლილი სახით წარმოდგენილია კავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე; ის გვხვდება ასურულ, ყველა სომხურ, ყველა ქართულ (ზემოაღწერილი ყველა ქართული ლოკალური ვარიანტი წინააზიური ტიპისა), დასავლურ აზერბაიჯანულ და ზოგიერთ სხვა ჯგუფში.

წინააზიური ტიპი დიდი წინააზიური რასის კავკასიურ ნაირსახეობას წარმოადგენს და საკუთრივ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში იგი ზემოაღწერილი ჰამი (კოლხური, იბერული და კავკასიური) ლოკალური ტიპით არის წარმოდგენილი. ამავე რასის ლოკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს არმენოიდული, ანუ პონტურ-ზაგროსული ტიპიც (რომელიც ძირითადად სომხურ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებს მოიცავს) და ასიროიდული ტიპი (რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ჩვენს წარმოდგენას კლასიკური წინააზიური რასის შესახებ). ამ ტიპებთანაა, წინააზიური რასის კლასიკური ფორმებისაგან, ყველაზე მეტად კავკასიონის ტიპი განსხვავდება. ამის მიზეზი იმ თავისებურ ისტორიულ, თუ გეოგრაფიულ პირობებში უნდა ვეძებოთ, რომლებშიაც საუკუნეების განმავლობაში უხდებოდათ ცხოვრება კავკასიის მთიელებს, ასე რომ, არც ამ განსხვავებას უნდა ჰქონდეს კავკასიისათვის უცხო გენეტიკური საფუძველი. ამიერკავკასიის ძირითად წინააზიურ ანთროპოლოგიურ სუბსტრატს ჩრდილო-დასავლეთიდან ხმელთაშუაბალკანური რასის პონტური ტიპი ესაზღვრება (ე. ი. ადიღური ტიპი, რომელიც უმთავრესად ადიღურ ჯგუფებს მოიცავს), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ინდო-პამირული რასის დასავლურკასპიური ტიპი (რომელიც საკმაოდ მკვეთრად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ აზერბაიჯანულ და აღმოსავლეთ დაღესტნურ ჯგუფებში). ასე რომ, წინააზიური რასა სამხრეთიდან სოლივით არის შეჭრილი ამ ორ დიდ ტიპს შორის. ყველაზე გარკვევით კავკასიის ტერიტორიაზე წინააზიური ტიპი ასიროიდულ ვარიანტშია წარმოდგენილი, არმენოიდულში იგი შესუსტებული სახით არის მოცემული. იბერულ ტიპში აშკარად ჩანს კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ხოლო კოლხურ ტიპში — პონტური რასის ელემენტები. მიუხედავად ამ ლოკალური თავისებურებებისა, ყველა წინააზიურ რასას ეკუთვნის.

ამრიგად, საკუთრივ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში წარმოდგენილი სამივე ლოკალური ტიპი (კოლხური, იბერული და კავკასიური) შედის წინააზიური რასის შემადგენლობაში, რომელშიც მათ გარდა (კავკასიის მოსახლეობიდან), შედიან, აგრეთვე, ასიროიდული და პონტურ-ზაგროსული ანუ არმენოიდული ტიპებიც. თავის მხრივ საერთო წინააზიური რასა, ინდო-პამირულ და ხმელთაშუაბალკანურ რასებთან ერთად, ჰქმნის დიდი ევროპეიდული რა-

სის სამხრეთ-ევროპეიდულ ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ შტოს. გენეტიკური თვალსაზრისით ეს ფაქტი უდიდესი მნიშვნელობისაა. იგი ცხადყოფს, რომ კავკასიის აბორიგენული, როგორც უძველესი, ისე თანამედროვე მოსახლეობა, შედის იმ რასობრივ კატეგორიაში, რომელიც ცნობილია ინდოხმელთაშუაზღვისპირული ანუ სამხრეთ-ევროპეიდული რასის სახელწოდებით. თავის მხრივ, სამხრეთ-ევროპეიდული შტო ჩრდილო-ევროპეიდულ შტოსთან ერთად ჰქმნის ევრაზიულ დიდ რასას და ამასთანავე წარმოადგენს მის უძველეს ანუ, როგორც ფიქრობენ, საწყის ფორმას.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დიდ ევროპეიდულ რასას უწოდებდნენ კავკასიურ რასას, რაც ევროპეიდული რასის ცალკეული განშტოებების კავკასიური ერთიანობის მარჯვენა უნდა ყოფილიყო. ალბათ, არც ეს არის შემთხვევითი, რომ ევროპეიდული რასის კავკასიურ რასად მოხსენების ტრადიცია დღემდე შემოინახა საზღვარგარეთულ ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში.

ამრიგად, კავკასიის მოსახლეობას უშუალო კავშირი აქვს ევრაზიული დიდი რასის გენეზისთან; ეს კავშირი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ მთლიანად კავკასიის აბორიგენული მოსახლეობა განეკუთვნება დიდი ევროპეიდული რასის სამხრეთ შტოს, ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის გავრცელების არეალი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია 44-ე და მე-20 პარალელებს შორის, ინდოეთიდან— ატლანტის ოკეანემდე. ეს რასა თავის მხრივ იყოფა სამ დიდ ქვერასად: ინდო-პამირულ, ხმელთაშუა-ბალკანურ და წინააზიურ რასებად. ხმელთაშუა-ბალკანური შტო ხასიათდება ტალღისებური თემებით, განვითარებული მესამეული თმოვანი საფარველით, ვიწრო და მკვეთრად პროფილირებული სახით, ვიწრო და ზომიერად გამოდრეკილი ცხვირით, რამდენადმე თხელი ტუჩებითა და სხვ. ეს ტიპი დომინირებს სამხრეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობაში. მორფოლოგიურად მასთან ძალიან ახლოს დგას სამხრეთევროპეიდული რასის მეორე შტო: ინდო-პამირული რასა, რომელიც პირველისაგან ძირითადად მუქი პიგმენტაციით განსხვავდება. ეს ტიპი გვხვდება შუა აზიის (ტაჯიკები, უზბეკები, თურქმენები), ავღანისტანის, ირანისა და ჩრდილოეთ ინდოეთის ზოგიერთ ხალხს შორის. ინდო-პამირული და ბალკანო-ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ხალხებს შორის თავმოყრილია განსაკუთრებული ტიპის მქონე ჯგუფები, რომლებიც წინააზიური რასის სახელით არიან ცნობილნი. მორფოლოგიურად ისინი ხასიათდებიან მესამეული თმოვანი საფარველის მაქსიმალური განვითარებით, მკვეთრად გამოხატული, გამოდრეკილი, ზომიერად ფართო ცხვირით, ცხვირის მაღალი უნაგირითა და სხვა. ეს ტიპი გავრცელებულია ამიერკავკასიაში, ანატოლიაში, მესოპოტამიაში, სირიაში, პალესტინასა და არაბეთში.

ჯერჯერობით დიდი მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის სამივე ძირითადი განშტოება, ადგილობრივი ტიპების სახით, წარმოდგენილია კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში, სახელდობრ: ინდო-პამირული შტო წარმოდგენილია დასავლურ-კასპიური ტიპით (აღმოსავლეთ დაღესტნისა და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მოსახლეობა), ხმელთაშუაბალკანური — პონტური (ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა: ადიღელები, ჩერქეზები, აბაზინელები), ხოლო წინააზიური (საქართველოს, სომხეთის, დასავლეთ დაღესტნისა და დასავლეთ აზერბაიჯანის) კავკასიის თა-

ნადროულ მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. საერთოდ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ კავკასიის ტერიტორია ერთადერთი ადგილია მთელს მსოფლიოში, სადაც თავმოყრილია სამხრეთ-ევროპეიდული რასის სამივე ძირითადი ნაირსახეობა, არსად სხვაგან, არც ევროპაში, არც აზიასა და არც ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც საერთოდ გავრცელებულია ევროპეიდული რასა, ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს.

სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუა-ბალკანური შტო მოიცავს რა სამხრეთ ევროპის, ჩრდილო აფრიკისა და ხმელთაშუაზღვის მთელი აუზის ტერიტორიებს, პონტური რასის ადიღური ტიპის სახით, შემოდის კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე. სამხრეთ ევროპეიდული რასის ინდო-პამირული შტო ვრცელდება რა ცენტრალურ და სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე, კასპიური რასის დასავლეთკასპიური ტიპის სახით, შემოდის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. დაბოლოს, სამხრეთ ევროპეიდული რასის წინააზიური შტო, მოიცავს რა წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რიგ ხალხებს, შემოდის კავკასიის ტერიტორიაზე ასიროიდული, არმენოიდული, იბერული და კოლხური ტიპების სახით. სამხრეთ ევროპეიდული რასის ზემოაღნიშნული კავკასიური ლოკალური ტიპები, მიუხედავად მათი მკვეთრი დიფერენციაციისა, მაინც გაცილებით უფრო ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე იმავე სამხრეთ-ევროპეიდული რასის ძირითადი განშტოებების ტერიტორიულად უფრო მეტად დაშორებული წარმომადგენლები. ყოველივე ეს კი სამხრეთ-ევროპეიდული ანუ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ერთიანობის მაჩვენებელია. ამ ანთროპოლოგიური ერთიანობის საფუძველი, ცხადია, მათი ადგილობრივი წარმომავლობა უნდა იყოს. პალეოანთროპოლოგიური მასალები უდავოდ ცხადყოფენ, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობაში წამყვანი იყო ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპების აუტოქტონური, შინაგანი განვითარება და ტრანსფორმაცია; რომ ყველა ის ფორმა, რომელიც პალეოანთროპოლოგიურ სერიებში გამოიყოფა, საკმაოდ თვალნათლივ ვლინდება კავკასიის შემდგომდროინდელ და თანამედროვე კრანიოლოგიურ სერიებშიც და თვით თანამედროვე მოსახლეობაშიც, ეს გამორიცხავს კავკასიის ტერიტორიაზე რაიმე ახალ, უცხო და განსხვავებული ელემენტების ექსპანსიის, ინფილტრაციისა და ასიმილაციის შესაძლებლობას, უძველესი დროიდან დღემდე. ამასვე ადასტურებს მეტი მსგავსება კავკასიის პალეოანთროპოლოგიურ ტიპებს შორის, ვიდრე კავკასიისავე თანამედროვე კრანიოლოგიურ სერიებს შორის სადღესოდ არსებული ურთიერთმსგავსება. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმის შესახებ, რომ კავკასიის თანამედროვე ტიპების დიფერენცირება ადგილობრივ, კავკასიისავე ტერიტორიაზე წარმოებდა და ღრმავდებოდა მით უფრო, რაც უფრო ღიდი იყო საწყის ფორმებს შორის ქრონოლოგიური და ტერიტორიული ზღვარი. ამასვე ადასტურებს სამხრეთ-ევროპეიდული რასის ძირითადი განშტოებების ადრეული ფორმების შედარებით მეტი ურთიერთმსგავსება, ვიდრე მსგავსება შესაბამის თანამედროვე ფორმებს შორის².

ამრიგად, კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის რასო-და ეთნოგენეზში ძირითადი, ადგილობრივი წარმომავლობის მქონე ანთროპოლოგიური სუბსტრა-

² პალეოანთროპოლოგიურ მასალებს კავკასიის ტერიტორიიდან მკითხველი შეიძლება გაეცნოს სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც დართული აქვს წარმოდგენილ მიმოხილვას.

ტის აუტოქტონური ჩამოყალიბება და განვითარებაა. ამან, თავის მხრივ, დასაბამი მისცა, თუ საერთოდ სამხრეთ-ევროპეიდული რასის ძირითადი განშტოებების ჩამოყალიბებას არა, ყოველ შემთხვევაში, მათს კავკასიურ ნაირსახეობათა ჩამოყალიბებას მაინც. ამავე დროს ცნობილია, რომ სამხრეთ-ევროპეიდული რასობრივი შტო თავისი ფორმაციით უფრო ადრეულია, ვიდრე ჩრდილო-ევროპეიდული შტო. ამდენად, კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის ანთროპოლოგიური გენეზისი უშუალო კავშირშია დიდი ევროპეიდული რასის გენეზისთან, საერთოდ. ამიტომ, დღევანდელი ევრაზიური რასის გენეზისზე მსჯელობა წარმოუდგენელია საქართველოსა და კავკასიის ანთროპოლოგიური შედგენილობის (ანთროპოლოგიური ტიპების) გათვალისწინების გარეშე.

ლიტერატურა

1. მ. აბღუშელიშვილი. ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიისათვის, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, „მეცნიერება“, თბ., 1971.
2. მ. აბღუშელიშვილი. ანთროპოლოგიური მასალები საქართველოს უძველესი ისტორიისათვის, მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, „მეცნიერება“, თბ., 1971.
3. М. Г. Абдушелишвили. Об антропологическом составе современного населения Грузии, Тр. Ин-та экспериментальной морфологии Акад. наук ГССР, т. VII, 1958.
4. М. Г. Абдушелишвили. Об антропологическом составе современного населения Армении, Академия наук СССР, Тр. Ин-та этнографии им. Н. Н. Миклухо-Маклая, Антропологический сборник IV, М., 1963.
5. М. Г. Абдушелишвили. Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964.
6. М. Г. Абдушелишвили. Краниология древнего и современного населения Кавказа, Тб., 1966.†
7. М. Г. Абдушелишвили. Антропологический генезис аборигенного населения Кавказа, Человек, эволюция и внутривидовая дифференциация, Тр. Московского общества испытателей природы, т. XXII, М., 1972.
8. В. П. Алексеев. Происхождение народов Кавказа, АН СССР Ин-та этнографии, М., 1974.
9. В. В. Бунак. Антропологический состав населения Кавказа. Вестник Гос. музея Грузии, Т. XIII A, 1946.
10. Г. Ф. Дебец, Палеоантропология СССР, Тр. Ин-та Этнографии, новая серия, т. IV, М.-Л., 1948.
11. Г. Ф. Дебец. Антропологические типы, Народы мира (этнографические очерки) Народы Кавказа I, 1960.
12. Я. Я. Рогинский, М. Г. Левин. Антропология, М., 1978.
13. М. G. Abdushelishvili. Craniology of the Caucasus, PMP, Russian Translation Series, Vol. I, no 2, {Cambridge, 1960.
14. М. G. Abdushelishvili. Anthropological composition of the Peoples of the Caucasus. Journal of the Indian Anthropological society, vol. 2, № 2, Calcutta, 1967.
15. G. S. G u h a. Racial Affinities of the peoples of India, Census of India, vol. I, India, p. III, Ethnographical, 1935.
16. V. V. Бунак. Neues Material zur Ausscheidung Anthropologischer Typen der Bevölkerung Osteuropas.— «Zeitschrift für Morphologie und Anthropologie», B. XXX, № 3, 1932.

ნაწილი აბმსამი

სარწყავი და შრწყავი მიწათმოქმედება

საქართველოს სარწყავ მიწათმოქმედებას დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს. მორწყვა, როგორც მიწათმოქმედების განუყოფელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ელემენტი, თვით საქართველოს ტერიტორიაზევე უკავშირდება მიწათმოქმედების საწყისებს, ამავე ტერიტორიაზე აქვს განვლილი მას განვითარების ხანგრძლივი გზა¹.

ხელოვნური მორწყვა და მიწათმოქმედებაში წყლის სამეურნეო გამოყენება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ირიგაციის საწყისად საქართველოში ენეოლითის (ძვ. წ. IV ათასწ.) ხანაა მიჩნეული [1]. მორწყვა, როგორც საქართველოს მიწათმოქმედების შემადგენელი ნაწილი, ძირითადად თავისებურებას გამოავლენდა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ბარში (დაბლობის), მთის ძირსა და მთის ზოლში.


მთის ძირისა და მთის ზოლში მორწყვა სამთო ირიგაციის ხასიათს ატარებდა, ზონალობის გავრცელების შესაბამისად განსხვავებული იყო მორწყვის მასშტაბები. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში მორწყვა ფართოდ იყო გავრცელებული. მას საწარმოო მნიშვნელობა ჰქონდა და მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო. მთის ძირის ზოლშიც მორწყვა ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს მაღალმთიან ზოლში მორწყვა უმთავრესად დაკავშირებული იყო სათბე მებურნეობასთან.

საქართველოს ბარისა და მთის მიწათმოქმედებაში მორწყვა განიხილება როგორც ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიება. ამიტომ, სარწყავი მიწათმოქმედების კარტოგრაფირება გულისხმობს მებურნეობის გარკვეული დარგების — მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მებაღეობა-მევენახეობა (ტერასული მებურნეობა), სათბე მებურნეობა — რწყვის ინტენსივობის ჩვენებას.

მასალის რუკაზე დატანისას ცხადი ხდება, რომ სარწყავი მიწათმოქმედების გავრცელება ემთხვევა საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების ისტორიულად ცნობილ რაიონებს.


რწყვის ხალხურ წესებსა და თავისებურებებს შორის XIX ს-ის I და II ნახევარში არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, რის გამოც შესაძლებელი ხდება მისი წარმოდგენა ერთ რუკაზე (იხ. რუკა 5). ხოლო XX ს-ის 30-იანი წლები ამ მხრივ განსხვავებულია (იხ. რუკა 6). საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების

¹ ტექსტი ძირითადად აგებულია მ. გეგუშვილის მონოგრაფიაზე — „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“, თბ.; 1961.



რუკა № 5. სარწმუნო ბიზანტიზმის XIX ს.

1. რუკა დაკავშირებული მდინარეებისა, 2. რუკა დაკავშირებული მდინარეებისა,
3. რუკა დაკავშირებული მდინარეებისა, 4. რუკა დაკავშირებული მდინარეებისა.
- ბასთან, 5. რუკა დაკავშირებული მდინარეებისა.



რუკა № 6. სარწავლი მიწათმომცემი (X ს. -ის 30-იან ფლემი)
 1. რწვე დაცმრბული მბოსტნობსიანი, 2. რწვე დაცმრბული მბინრეობსიანი, 3. რწვე დაცმრბული მბინრეობსიანი, 4. რწვე დაცმრბული მბინრეობსიანი, 5. რწვე დაცმრბული მბინრეობსიანი.

დამყარებამდე სარწყავი ფართობი მხოლოდ 95 ათ. ჰა-ს შეადგენდა, დღეისათვის იგი თითქმის 4-ჯერ და მეტად არის გაზრდილი. 30-იანი წლების შემდეგ აშენდა ალაზნის, ტირიფონისა და სამგორის, აჯამეთის, ტაშისკარისა და სხვ. სარწყავი სისტემები. მორწყვის გაფართოებამ კიდევ უფრო ინტენსიური გახადა მიწათმოქმედება, დაინერგა ახალი სამეურნეო კულტურები. წინათ ურწყავ, უღებნო ტერიტორიაზე გაჩნდა ახალი სოფლები.

დღეისათვის საქართველოში ცნობილია შემდეგი სარწყავი ზონები:

1. ქვემო ქართლის ბარი, ელდარის, ყარაიისა და სამგორის ველი, თბილისის მიდამოები (დიღომი, სოლანლული), რომლებიც ხასიათდება ცხელი და გვალიანი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების მცირე წლიური მაჩვენებლით (400-500 მმ). არათანაბარია ატმოსფერული ნალექების განაწილება წლის დროებზე. ყველაზე მეტი ნალექი გვიანშემოდგომაზე მოდის, ნაკლები კი — ზაფხულში. აღნიშნულ პირობებში ირიგაცია მიწათმოქმედების საფუძველია [2].

2. შიდა ქართლის ბარი პირველი ზონის უფრო ზომიერი გავრცელებაა. ზაფხული აქაც მეტად ცხელი და გვალიანია (ატმოსფერული ნალექების მხოლოდ 5% მოდის). ნალექების წლიური მაჩვენებელი 500 მმ-ია [3]. შედარებით მეტი ნალექი (700 მმ) იცის დასავლეთით (სურამი). შიდა ქართლის ბარიც ინტენსიურად ირწყვება, იმ განსხვავებით, რომ გაზაფხულზე ჰარბი ნალექების გამო მორწყვას უფრო ზომიერი ხასიათი აქვს.

3. გარე კახეთი (საგარეჯოს, კაჭრეთის რაიონები) შედარებით მეტი ატმოსფერული ნალექების (624 მმ) გამო არ მოითხოვს საგაზაფხულო მორწყვას.

4. ალაზნის ველი. ატმოსფერული ნალექები მერყეობს 760-1000 მმ-დე. მორწყვას მხოლოდ ზაფხულში საჭიროებს, ისიც მეტად ზომიერად, თუმცა მის ქვემო წელში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს (წნორის წყალზე 447 მმ-ია), რის გამოც საჭიროა საგაზაფხულო მორწყვა.

5. მესხეთ-ჯავახეთი ზაფხულში სარწყავი ზონაა [4].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთოდ საქართველოში, გარდა პირველი ზონისა, სარწყავი მიწათმოქმედების გვერდით მეტ-ნაკლები ინტენსიობით ისტორიულად განვითარებულია ურწყავი მიწათმოქმედებაც. ამავე დროს, რამდენადაც ზომიერი კლიმატის შემცველია ესა თუ ის მხარე, იმდენად ურწყავის ხედრითი წონა მატულობს. ირიგაცია მიწათმოქმედებაში აუცილებელი ღონისძიებაა. ხელოვნური რწყვა საქართველოში შუაბრინჯაოს ხანიდან დასტურდება, როდესაც ხდება ბარის მიმდგომი მთისძირა ზოლის კვლავ ინტენსიური დასახლება, სადაც ყველაზე საუკეთესო პირობები იყო ირიგაციის ჩასახვისათვის წყარო-ნაკადულთა სიუხვის გამო; აღნიშნულ ზოლში მიწათმოქმედების საკმაოდ ინტენსიური განვითარება შუაბრინჯაოს ხანაში წარმოუდგენელია ხელოვნური მორწყვის გარეშე [5]. სამთო სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი სამეურნეო საქმიანობის კვალს ატარებს და იგი თავისი ისტორიით წინ უსწრებს ბარის სარწყავ მიწათმოქმედებას [6]. საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების გვერდით, შუა მთის ზოლში ვითარდებოდა ურწყავი მიწათმოქმედება ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტული ხასიათის შესაბამისად, მას ახასიათებდა სამიწათმოქმედო სისტემის

თავისებურებანი, რაც განსაკუთრებით გვალვის გამძლე პურეულის ჯიშების გამოყენებაში მდგომარეობდა [7]. ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად საქართველოს პირობებში ურწყავის დოლის პური გვევლინება, რომლის ფარგლებში რამდენიმე ეკოტიპს გამოყოფენ. მათ შორის უმთავრესია ქართლის, კახეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ტიპები. ქართლური დოლი განსაკუთრებული გამძლეობით და კარგი შემგუებლობით გამოირჩევა. კახური ეკოტიპი კი ძირითადად უფრო ტენიან ჰავასაა შეგუებული, ხოლო მესხურ-ჯავახური მაღალმთიან პირობებს [8] — ერთი მხრივ, გვალვის ამტანობას და, მეორე მხრივ, ჭარბი ტენისადმი შეგუების უნარს.

XIX ს-ის სტატისტიკური მასალის [10] მიხედვით, საქართველოში ურწყავი მიწათმოქმედების დიდი ხვედრითი წონა მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე, განსაკუთრებით კი სიღნაღის მაზრაზე (80,290,50 ღეს.), შემდეგ თბილისის (35,861, 89 ღეს.), თელავის (21,463, 53 ღეს.), დუშეთის (10,205, 99 ღეს.), თიანეთის (8,590 ღეს.), რაჭის (3,253 ღეს.) და შორაპნის (1,037, 35 ღეს.) მაზრებზე. სარწყავსა და ურწყავ მიწათმოქმედებას შორის მაზრების მიხედვით კი ასეთი თანაშეფარდებაა:


მაზრები	საკარმიდამო	დასამუშავებელი მიწის საერთო ფართობი	
		სათესი სარწყავი	სათესი ურწყავი
1. თბილისი	932,43	972, 555, 18 ღეს.	4, 631, 27
2. დუშეთის	9, 94 ₁₆	8, 94 ₁₆	35, 861, 82
3. სიღნაღის	9, 929	192, 00 406 ღეს.	10, 205, 99
4. თელავის	1540	2, 344 ₆₄	80, 290, 50
5. თიანეთის	984, 03	33, 700, 08	44, 75
6. შორაპნის	66, 59	230, 576, 20	21, 463, 53
7. ოზურგეთის	377, 56	1, 16	8, 590
8. ლეჩხუმის	57, 09	—	1, 037, 35
9. სენაკის	7196, 73	1473, 03	—
10. ზუგდიდის	525, 39	1, 399 ₉₀	685, 71
11. რაჭა	214, 06	69 21 ღეს.	4878, 50
		2575, 53	5, 076, 16
		—	5997, 04
		—	3, 253, 75

რაც შეეხება XX ს-ის პირველ ნახევარს (1900-1909 წწ.), ამ პერიოდის მასალებითაც ყველაზე მეტი ურწყავი მიწები მოდის სიღნაღის მაზრაზე (109101 ღეს.), შემდეგ გორის (102 507), ბორჩალოს (93333), ახალქალაქის (80695), თბილისის (67071), დუშეთის (37960). თელავის (34822), ახალციხის (28 372), თიანეთის (22 304), ქუთაისის (43571), ზუგდილის (40365), სენაკის (36824), შორაპნის (34470), ოზურგეთის (19 810), რაჭის (11)209 და ლეჩხუმის (8171) მაზრებზე, ხოლო სარწყავსა და ურწყავს შორის ასეთი თანა-შეფარდება:

მაზრები	საფესი სარწყავი	სათესი ურწყავი
1. თბილისის	14 961 ღეს.	67.071 ღეს.
2. ახალქალაქის	1086	80695
3. ახალციხის	9355	28372
4. ბორჩალოს	34 674	93333
5. გორის	49 919	102 507
6. დუშეთის	3680	37 960
7. სიღნაღის	2371	109101
8. თელავის	7369	34822
9. თიანეთის	—	22304
10. ზუგდილის	—	40365
11. ლეჩხუმის	—	8171
12. ოზურგეთის	97	19810
13. რაჭის	—	11.209
14. სენაკის	32	36824
15. ქუთაისის	2513	43 571
16. შორაპნის	—	34 470

სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ ურწყავი მიწათმოქმედება ფართობის მიხედვით სჭარბობდა სარწყავს (იხ. რუკა № 7). ისტორიულად ორივე წარმოიშვა და განვითარდა ერთმანეთის გვერდით საქართველოს შუამთის ზოლში, მაგრამ ურწყავი თავისი განვითარების დონით ჩამორჩებოდა სარწყავს და მრავალფეროვნებითაც არ ხასიათდებოდა. შემდეგში სარწყავმა მიწათმოქმედებამ წამყვანი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. წყალი ახალი სამეურნეო ნაკვეთების ათვისების უმთავრეს ფაქტორად გვევლინება, ხოლო სარწყავი მიწათმოქმედება იქცევა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების წყაროდ. ამ გაგებით სარწყავ წყალს ძველთაგანვე უნდა მისცემოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა და მან გადამწყვეტი როლიც ითამაშა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიაში.

საირიგაციო მიწათმოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უშუალოდ წყაროს წყლებს. წყაროებით მორწყვა უმეტესად მარტივ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ასეთი მორწყვის ზვედრითი წონაცა და სამეურნეო მნიშვნელობაც საკმარისად დიდი იყო. წყაროს წყალს მოსარწყავად იყენებდ-



რუკა № 7. სარწავანი და ურწავანი მონუმენტები (XIX ს.-ის II ნახევარი)

1. სარწავანი, 2. ურწავანი

ნენ იქვე, სადაც ის ამოდიოდა. წყაროდან გამოყვანილი პატარა რუებით ახლო ზღებარე ბალ-ბოსტნებს რწყავდნენ. ამავე წყლით ირწყვებოდა შედარებით შორს მდებარე ნაკვეთებიც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა ერთი ან რამდენიმე წყაროს წყლისაგან შემდგარი ნაკადულები, ან მცირე ხეხევი. როგორც უშუალოდ წყაროს წყლით, ისე წყაროს წყლებიდან შემდგარი ნაკადულებით მორწყვა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

ჩვეულებრივი მოვლენა იყო სასოფლო წყაროების სარწყავად გამოყენება მიუხედავად იმისა, რომ ამ წყაროებს ძირითადად სასმელი დანიშნულება ჰქონდა. ფართოდ იყო გავრცელებული წყარო-ნაკადულებით მორწყვაც, როცა ნაკადულის სიგრძე (თუ მას მაგისტრალური სადინარის მნიშვნელობა ენიჭებოდა) რამდენიმე ათეული ან ასეული მეტრიდან ორ, სამ კილომეტრს და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა.

წყარო-ნაკადულების და ხევის წყლების ფართო სამეურნეო მნიშვნელობა და თავისებურება ძალზე საყურადღებო სურათს იძლევა საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით სარწყავი მიწათმოქმედება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში წარმოდგენილია საქართველოს ოთხი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სამეურნეო-გეოგრაფიული და ეთნიკურ-ისტორიული ზონის მიხედვით, კერძოდ ქართლ-კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, კოლხეთისა და სვანეთის საირიგაციო თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე.

ქართლში ხალხური რწყვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მდინარიდან გადმოყვანილი სარწყავი წყლის თვითდინების გამოყენების წესი.

დახრილი გეზის შერჩევისათვის ხალხი მიმართავდა ფართო სათავის მოწყობის წესს, რაც ჯებირებთან ან გოდორყურებთან ერთად წყლის თვითდინებას საგრძნობლად უწყობდა ხელს. რუს სათავე თვით რუს შუაწელის კალაპოტზე უფრო განიერი უნდა ყოფილიყო.

მდინარიდან გამოყვანილი მთავარი რუ, მიემართებოდა იმ სოფლების სარწყავი ნაკვეთებისაკენ, რომელთა საჭიროებისათვისაც იყო ის გაყვანილი. გზადაგზა თავი რუდან საყოფელების საშუალებით გაყვანილი იყო ჩვეულებრივი რუები ამა თუ იმ სოფლის ან სოფლის ამა თუ იმ უბნისათვის. ამ რუებიდან სათანადო ადგილებზე აგრეთვე გადაყვანილი იყო მცირე რუები — ნაკადულები („ნაკადულები“), რომლებიც უშუალოდ ცალკე სარწყავ ნაკვეთებში შედიოდა. ნაკადულებიდან გაყვანილი იყო წყლის უფრო მცირე სადინარები — ეტები ანუ საქცევები. ამათ კი კაწრები უკეთდებოდა, რომ წყალი უშუალოდ ნაკვეთში გადასულიყო. ნაკადულის სათავეზე ხანაკედლო იყო მოწყობილი.

რთული რელიეფის პირობებში რუს კალაპოტის საერთო დახრილობის შენარჩუნებით ხალხი ახერხებდა წყლის გადატარებას უსწორ-მასწორო ადგილმდებარეობაზე. ასეთ შემთხვევაში მოკლე გადასაყვანზე კეთდებოდა ბერღები, შედარებით დიდ ფართობზე გრძელი ტრასისათვის — რუს ხმულეები. იცოდნენ აგრეთვე ჩავარდნილი ადგილების მიწის დაყრით ხელოვნური ამალება.

რუს ჰრიდნენ დიდი ქართული გუთნით, გუთნითვე ზღებოდა ნაკადულების, ეტებისა და საქცევების გაჭრა. არხის გეზის მიმართულების დასადგენად,

ხალხში დამოწმებული წესით, იცოდნენ ამ გზაზე დატვირთული სახედრის გატარება და შემდეგ მის ნაკვალევზე რუს გაჭრა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ „ისე წილკნელის ცხოვრებაში“ დასტურდება არხის ტრასის განსაზღვრა ჰაერში გაწვდილი კვერთხის მიმართულებით [9].

სარწყავი წყლის საზომ ერთეულად მიღებული იყო ე. წ. „საწისქველო“ — „ერთი თვალი წისქვილის დასაბრუნებლად“ საკმარისი წყალი. უფრო მცირე საზომად იხმარებოდა ე. წ. ნაკადული. ოთხი ნაკადული შეადგენდა ერთ საწისქვილოს. საშუალო სიდიდის სოფელს ოთხი საწისქვილო წყალი მაინც უნდოდა ერთ მორწყვაზე. გამოიყენებოდა აგრეთვე ერთი სარწყავი წყალი. ხალხური განმარტებით — „იმოდენა, რომ დღე-ღამე ედინა და დღიური მოერწყო“.

სარწყავი წყლის განაწილება საგანგებო პირების, ე. წ. მერუების საქმე იყო. მერუეს მოვალეობას შეადგენდა რუს წესრიგში მოყვანა და წყლის წესიერი განაწილება სარწყავ ნაკვეთზე. მერუეს სოფელი ირჩევდა. ზოგჯერ სოფელს რამდენიმე მერუე ჰყავდა. თუ რუში ერთი საწისქვილო წყალი მოდიოდა, მას მერუე, დაწესებული რიგის მიხედვით, ნაკადულებად გაყოფდა და ნაკვეთებზე მიუშვებდა.

ბალები უმრავლეს სოფელში წელიწადში ერთხელ ირწყვებოდა. სიმინდის ყანების სამჯერ — დათესვის შემდეგ, მეორე თოხნაზე და ტაროში შესვლის წინ: პურისა და ქერის ყანებს წელიწადში ორჯერ რწყავდნენ — დათესვის შემდეგ და თავთავის გაკეთებამდე. ლამიან მიწებს კი — მხოლოდ ერთხელ, დათესვის წინ.

ქართლის პირობებში ძველთაგანვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე. წ. გათქორვას, გათქორვით მორწყვას, როცა მეზობელი სარწყავი კვლებიდან წყალი გაჟონვით ერთმანეთს აღწევდა. ეს წესი უპირისპირდება ე. წ. მოტბორებას, მოტბორებით მორწყვას ან ზედაპირულ მორწყვას, რაც ნაკლებ ეფექტურია და ნიადაგს აზიანებს.

მორწყვის წინ ხდებოდა დახულის დაკვალვა ანუ კვალის დაჭრა გუთნით. შემდეგ დანაკადულება და დაკაწვრა თოხით ან ბარით, რომ წყალი ყველგან მიწვდომოდა და გაეჟონა, გაეთქორა. წყალს ხნულზე ზემოდან არ უნდა გადაეცლო. ხნულის თავზე გაჭრილი იყო დიდი კვალი, რომლიდანაც წყალი კვლებში ნაწილდებოდა. კვლებში ხდებოდა სანაკედლოების დაღება ანუ გახსნა. მორწყვის დამთავრების შემდეგ წყალს დაწყვეტავდნენ და გადაიყვანდნენ თავის სადინარში.

ქართლის ე. წ. წინამთების ზოლში მისდევდნენ ბალ-ბოსტნების ნაკვეთების საგანგებო მოწყობას, დასაფეხურებას. იგი განუყრელ კავშირში ჩანს მორწყვასთან, აქ ტერასული მეურნეობა ძველთაგანვე სარწყავი მიწათმოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა იყო. იგი უზრუნველყოფდა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლას და იძლეოდა მორწყვის მაქსიმალურ ეფექტს.

დასაფეხურებელი ნაკვეთის სახელწოდებად ქართლში გვხვდება ტახტი და ყათარი. ტახტი დიდი ზომის დასაფეხურებულ ნაკვეთს ეწოდებოდა, ყათარი კი გაცილებით მცირე ზომისას. ტახტი შედარებით მცირე დაქანების ვრცელ ფერდობზე კეთდებოდა და საფეხურებად დაყოფილი ნაკვეთებიც დიდი გამოდიოდა.

ყათარი უფრო მეტი დაქანების ფერდობზე ეწყობოდა. თითოეულ ყათარს ნაპირებზე გასდევდა მიწის შემადლებული ზოლი — ნახურგი, რომელსაც ბა-

ზო ეწოდებოდა. იგი მორწყვის საჭიროებისათვის კეთდებოდა. მასზე მწვანელი ითესებოდა. თითოეულ ყათარს სიგრძეზე გასდევდა აგრეთვე თითო სარწყავი რუ. ყათრები ცალ-ცალკე, ზევიდან ქვევით თანდათანობით ირწყოდა.

ქართლის შუა მთისა და მთიან ზოლში, ნაწილობრივ ბარშიც მორწყვა წარმოებდა ხევის წყლებით და აგრეთვე წყაროებიდან წამოყვანილი წყლით.

ქართლ-კახეთის ყოფაში გავრცელებული იყო წყლის დაგროვების წესი — მისი შემდგომი სამეურნეო გამოყენების მიზნით. წყალი გროვდებოდა საგანგებო ორმოებში ან განიერ თხრილებში. დამოწმებულია როგორც წვიმისა და ნიაღვრის წყლის, ასევე წყარო-ხევის წყლების ამ წესით დაგროვება.

კახეთში (ლაგოდეხის რაიონში), ქართლის შუა მთისა და მთიან ზოლში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული იყო წყალში გახსნილი ნაკელით მორწყვა, ამ ნაკელის მიშვება, გატანა მამულში წყლით. ეს წესი დასტურდება სვანეთსა და აჭარაშიც. იგი უძველესი ჩანს. მთიან ქართლში და მთელეთში ამ წესს გაბღალვას უწოდებენ, ხოლო აჭარაში — მონეხვწყლას. წყალში გახსნილ პატივს ანუ ნაგავს ზეესურები თხლუპას ეძახიან.

კახეთის საირიგაციო ტექნიკა იმავე თავისებურებებით ხასიათდება, რაც ქართლისათვის არის დადგენილი. აქ საქმე გვაქვს ხევის წყლებზე მოწყობილ სარწყავ სისტემასთან, რომელიც თავის დიდ ნაწილში სამთო ირიგაციის ელემენტს შეიცავს. რადგან კახეთის ხევის წყლების განსაკუთრებული თავისებურებაა აღიდეგა და დიდი ძალით მოვარდნა, ამით უნდა აიხსნას სარწყავი არხებისა და სათავეების მოწყობის ერთგვარი სიმარტივე და დროებითობა. სათავეის მოსაწყობად მკვიდრ ნაგებობას არ აშენებდნენ, იყენებდნენ ძეძვისა და ფიჩხის შეკრულ ან ზოგჯერ შეუქრავ კონებს, რასაც ჭარჯს უწოდებდნენ. სათავეს ქვიშითა და ქვით ამაგრებდნენ.

ხშირად საწისქვილე და სარწყავი რუ ერთი და იგივე იყო, ოღონდ წისქვილებისათვის შემალღებული რუები ანუ რუსხმულები ეწყობოდა. აქაური რუსხმულის მშენებლობა ემსგავსება ქართლურს. კახეთში რუსხმულების მშენებლობაში ფართოდ იყენებდნენ თიხას, რომელსაც დაზელილი სახით უსვამდნენ წყლის სადინარსაც და გარეთა ნაპირებსაც.

ალაზნის ველის მთისძირა ზოლში და ველზე ხალხური მორწყვის ტექნიკა იმავე ძირ-თადი თავისებურებებით ხასიათდება, როგორც ქართლში. აქაური მორწყვა წყლის გაფანტვით-მოფანტვით და დაქვივებით ქართლურ გათქორვას შეესატყვისება, რადგან აქაც წყლის კვლებში მიშვება და ჰორიზონტალური ჩნფილტრაცია იგულისხმება. დაქვივება, ხალხური გაგებით, გაუღენთვას ნიშნავს.

სინოყვირის თვალსაზრისით, უპირატესობას აძლევდნენ ისეთ წყლებს, რომლებსაც მეტი ე. წ. ნაშე მოაქვს.

სარწყავი წყალი აქაც თვალთ იზომებოდა. საზომი ერთეულები ქართლში მიღებულ ერთეულს ემთხვევა: „ერთი საწისქვილო — ერთი წისქვილი წყალი“, „ერთი რუ — ერთი რუვი წყალი“, „ერთი ნაკადული — ერთი ნაკადული წყალი“.

კახეთის მორწყვის ტექნიკაში ხალხური ცოდნა-გამოცდილება თავის დროზე საფუძვლად უნდა დასდებოდა კახეთში შესრულებულ დიდ საირიგაციო ნაგებობას, როგორც იყო გრემისა და ალაზნის არხები.

მორწყვა კახეთში ძირითადად მევენახეობასთან, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილში — მემინდვრეობასთან იყო დაკავშირებული. რამდენადაც ამ დარგებს კახეთის ეკონომიკაში ისტორიულად წამყვანი ადგილი ეჭირა, ამდენად, მორწყვა ერთ-ერთი ფართო ღონისძიებათაგანი იყო.

მესხეთი (ადიგენის, ახალციხის და ასპინძის რაიონები) მორწყვის თვალსაზრისით გამოირჩევა საქართველოს დანარჩენი კუთხეებისაგან. მესხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილში (ქვაბლიანის, მტკვრის, ურაველის ხეობების მცირე ნაწილის გამოკლებით) მორწყვის თითქმის ერთადერთი ფორმაა მთის წყლების სარწყავად გამოყენება. ამ შემთხვევაში სარწყავი წყალი ზემოდან ქვემოთ ჩამოჰყავთ. მესხეთში მორწყვა მთის პირობებს პასუხობს და მსგავსებას პოულობს საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი რაიონისათვის დამახასიათებელ წყლის სამეურნეო გამოყენებასთან (სვანეთი, ზემო რაჭა, ქართლის მთიანეთი, ხევი და სხვ.).

მესხეთში მორწყვის ეს საერთო თავისებურება თავის მხრივ ორ განსხვავებულ სარწყავ მეურნეობაში ჰპოვებს გამოხატულებას. ერთი გვხვდება ახალციხისა და ნაწილობრივ ადიგენის რაიონებში, მეორე — ასპინძის რაიონში. პირველი ფორმაა მორწყვა, დაკავშირებული ზეგანის გაშლილ მიწათმოქმედებასთან, მეორე ფორმაა — მორწყვა, დაკავშირებული ძირითადად ტერასულ მეურნეობასთან.

ახალციხისა და ადიგენის რაიონებში განვითარებული იყო მიწათმოქმედება მისი უმთავრესი დარგებით: მემინდვრეობითა და მებაღეობა-მებოსტნეობით, აგრეთვე მევენახეობით. ამ ადგილებში ხილის მოყვანას ძველთაგანვე დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. მორწყვაც, ძირითადად და უპირველესად, მებილეობის საჭიროებისათვის ყოფილა გამოყენებული. ბაღების მორწყვა სოფ. დოლის-ყანაში ეკლესიაზე გამოსახული მზის საათის მიხედვით ხდებოდა [10] (იხ. ტაბ. II, ნახ. 1). ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ეკლესიებზე გამოსახულ მზის საათს მარტო ორნამენტის დანიშნულება კი არ ჰქონდა, არამედ წმინდა პრაქტიკული — რწყვისათვის განკუთვნილი დროის აღნუსხვა. ირწყვოდა ხორბალი, ქერი. მას დიდი ადგილი ეჭირა აჭაურ ეკონომიკაში. ქერს აქ ძირითადად მესაქონლეობისათვის ჰქონდა მნიშვნელობა.

წყლის სადინარს მესხეთში რუ ეწოდებოდა. მთავარი რუ, რომლითაც წყალი სარწყავი ნაკვეთებისაკენ იყო წამოყვანილი, დედარუდ იხსენიებოდა. მთავარი რუდან გამოყვანილი პატარა რუ მამულის რუ იყო.

მამულის რუდან სარწყავ ნაკვეთში წყალი ერთ ან რამდენიმე ადგილას იყო გადაყვანილი. ამ სადინარს კვალი ეწოდებოდა. კვალის სიღრმე და სიგანე ჯილბის კვალის ოდენა იყო. კვალიდან წყალი წვრილი სადინარით — ნაქეთებად იქსაქსებოდა. მთავარი რუდან მამულის რუებში და მამულის რუებიდან სარწყავ ნაკვეთებში წყლის გადმოყვანის პროცესს ნაკადის შეკვრა ეწოდებოდა, ხოლო უმცირეს სადინარებში წყლის შეყვანას — ნაქეთის შეკვრა. სარწყავი წყლის დინების შეწყვეტას — რუსჩაეტვას უწოდებდნენ.

მესხეთში მორწყვის ორი ძირითადი ფორმა ყოფილა გამოყენებული: გაყონვით და დატბავებით მორწყვა, რომელთაგან უპირატესობას მეორეს ანიჭებდნენ, ვინაიდან ხილს უფრო ეს უხდებოდა.

აქაური სოფლები ძველად სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მრავალ ცალკეულ ნაწილად ანუ ჯგუფად იყო დაყოფილი. თითოეულ ამ ნაწილს, ანუ ჯგუფს ა მ ფ ა ეწოდებოდა. ზოგ ამფაში 10 მოსახლე იყო გაერთიანებული, ზოგში — უფრო ნაკლები. თითოეულ ამ ჯგუფში მოსახლეობათა რაოდენობა დამოკიდებული იყო მათი კუთვნილი მიწის სიდიდეზე. მორწყვა ა მ ფ ე ბ ს შორის დაწესებული რიგით წარმოებდა. თითოეულ მოსახლეს დაახლოებით 12 ღლეში ერთხელ ერგებოდა წყალი.

მთელი რაიონის ანუ თემის მორწყვას ძველად მე რ ა ბ ი განაგებდა. ორისამი სოფლის მამულების რწყვას კი ჯ უ ე ა რ ი. სოფლის შიგნით რწყვის საჭიროებას მამასახლისი ხელმძღვანელობდა.

ტერასებზე გაშენებული იყო ზეხილი. ტერასები ძირითადად მდინარეთა ხეობებში, უმეტესად კი მტკვრის ხეობაში გვხვდება ასპინძიდან დაწყებული სამხრეთით საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე; აგრეთვე, ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ს წ ყ ლ ი ს ხეობაში ახალქალაქამდე; ასევე მდინარე უ რ ა ვ ე ლ ი ს ხეობაში.

ზეხილის მოსაშენებლად ფერდობი ადგილი უფრო მოხერხებულია, რამდენადაც მეურნეობის ეს სახე მთლიანად მორწყვაზეა დამოკიდებული.

ტერასებს (ოროკოებს) გვერდებზე სარწყავი წყლის სადინარი უკეთდებოდა. რუდან სარწყავი წყალი თითოეულ ტერასში ცალკე ნაკადულით შეჰყავდათ. ამჯობინებდნენ მის სათითაოდ მორწყვას. რწყვას იყენებდნენ ზედა ტერასებიდან. ტერასზე წყლის გადასაცვანად გვერდითა სადინარს ჩაკეტავდნენ და წყალი ტერასის ნაკადულში შევიდოდა. როცა იგი მოირწყებოდა, ისევე გახსნიდნენ, ხოლო მომდევნო ტერასის სანაკადლო იკეტებოდა. ამავე წესით ირწყვებოდა დანარჩენი ქვედა ტერასები.

მესხეთ-ჯავახეთში მორწყვა ორი განსხვავებული თავისებურების შემცველია, რადგანაც ის მეურნეობის წარმოების ორ განსხვავებულ ფორმას უკავშირდება: 1. მესხეთის დასავლეთ ნაწილში, ე. წ. ახალციხის ქვაბულის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, მორწყვა წარმოებს უსწორო-მასწორო, მაგრამ შედარებით ვაკეზე. წყლის სამეურნეო ნაკვეთამდე მოყვანის შემდეგ აქაური მორწყვა მეტ-ნაკლებად ემსგავსება საქართველოს ბარში წარმოებულ მორწყვას; 2. მესხეთის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, უმთავრესად დიდ მდინარეთა ხეობებში (მტკვარი, ახალქალაქის წყალი, ურაველი) მორწყვა წარმოებს მთაგორიან, ფერდობ ადგილებში — ტერასებზე.

ორივე შემთხვევაში მორწყვა მიწათმოქმედების ძირითად დარგებთან — მემინდვრეობასთან და მებაღეობა-მებოსტნეობასთან არის დაკავშირებული. მორწყვის წყალობით განსაკუთრებით დაწინაურებულა მებაღეობა.

კ ო ლ ხ ე თ ი ს დ ა ბ ლ ო ბ შ ი რწყვის თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე. ფაქტიურად ეს არის დაბლობის დიდ ნაწილში ჰარბ წყალთან წყლით ბრძოლა. დაკოებებულ ზედაპირზე აქ ხშირად მიმართავენ წყლის გადატარებას, რომელიც თავისი ნალექებით ანუ შლამით ერთდროულად ნესტიან ზედაპირსაც ფარავს და ამავე დროს ნათესებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგსაც ქმნის. ეს წესი კოლმატაჟის სახელით არის ცნობილი. არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური კოლმატაჟი.

ბუნებრივი კოლმატაჟი წარმოებს მდინარეების ადიდებისა და ნაპირიდან გადმოსვლის დროს, როცა წყლით დროებით დაფარული ტერიტორია შლამით იფარება, რაც ნიადაგს განსაკუთრებით ანაოყიერებს. ხელოვნური კოლმატაჟის დროს ნაკვეთს ზღუდვებით შემოფარგლავენ, შლამი დაილეკება, დაწმენდილ წყალს საგანგებო სადინარებით ნაკვეთიდან გაიყვანენ. ხელოვნურ კოლმატაჟს მიმართავენ ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგსა და დაჭაობებულ ადგილებზე.

დასავლეთ საქართველოს უმთავრესი მდინარეების აუზში, როგორცია რიონი, ცხენისწყალი, ხობისწყალი, ერთმანეთისაგან ასხვავებენ ლეკსა და სილას. ლეკი ბევრად წმინდაა სილაზე და მასთან შედარებით გაცილებით უკეთ ანაყოფიერებს ნიადაგს.

ნიშნდობლივია აგრეთვე აქაური მდინარეების ლეკის ერთმანეთთან შედარება და მისი დახასიათება, რომლის მიხედვით ამ მდინარეთა შორის ყველაზე მეტ ლეკს ანუ შლამს, და ამასთან უფრო ნაოყიერს, შეიცავს მდინარე რიონი.

მორწყვა ზ ე მ ო ს ვ ა ნ ე თ შ ი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი ფართოდ არის გავრცელებული ზემო სვანეთის ცენტრალურსა და დასავლეთ ნაწილებში, არ გვხვდება აღმოსავლეთ ნაწილში (კალისა და უშგულის თემი). საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემო სვანეთში ირწყვება მხოლოდ სათიბები. აქ მეურნემ კარგად იცის, თუ რომელ ბალახს როგორი რწყვა ესაჭიროება. ყანებს არ რწყავენ. გამონაკლისს შეადგენს ფეტვის ნათესები, რომლებიც ირწყვება იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით ცხელი ზაფხულია და გვალვები დგას.

აქაური სათიბები ერთი ზაფხულის განმავლობაში ორჯერ ითიბება, ცალკეულ შემთხვევაში — სამჯერაც. ამ გარემოებას კი მხოლოდ მორწყვა განაპირობებს.

სარწყავად გამოიყენებოდა მახლობლად ჩამომდინარე ხევის წყალი, საიდანაც გამოტანილია სარწყავი არხი. ცალკეულ ადგილებში სარწყავად გამოიყენება აგრეთვე მიწიდან წყაროს სახით ამომდინარე წყლები, ზოგან კი უშუალოდ ჭაობის წყალი.

ხევის წყლებიდან ჰორიზონტალური კვეთით გამოყვანილია სარწყავი არხები. თუ სათიბები ერთ ფერდობზე მდებარეობს, მაშინ დაახლოებით ერთნაირ სიმაღლეზე მდებარე ჩამდენიმე სათიბისათვის ერთი არხია გამოყვანილი, სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე სათიბებისათვის კი ჩამდენიმე არხის გამოყვანაა საჭირო, რის გამოც წყალი არხში თვითდინებით მიედინება, არხის ტრასა მთელ მანძილზე მცირეოდენი დაქანების მქონეა. ეს თვალთ არის განსაზღვრული ისევე, როგორც წყლის მცირე სადინარები სარწყავ ნაკვეთში. რუს გეზის საჭირო დახრილობას წყლის მიდევნებით ამოწმებენ.

სარწყავი ნაკვეთიდან გამავალი წყალი არხიდან საგანგებო მოწყობილობით გადადის ნაკვეთებში. სარწყავი წყლის შეყვანა ნაკვეთებში და წყლის თანაბარი განაწილება გამიზნულია ყოველი მტკაველის დასასველებლად. რადგან ნაკვეთებს წყალი მხოლოდ ზედაპირული გადავლებით რწყავს, საჭიროა წყლის მომცრო სადინარების ქსელის მოწყობა, რომელთაც თავისი განტოტებები აქვს. თუ წყალი კარგად არ ვრცელდება, განტოტებებს ახლო-ახლო აკეთებენ, ზოგჯერ თითო მეტრის დამორებითაც. სადინარებს ნაკვეთის რელიეფის შესაბამისად თვალის ზომით აწყობენ და დიდ სიზუსტეს აღწევენ.

სარწყავი წყლის მთის ერთი კალთიდან მეორეზე გადასაცვანი ხელოვნური სადინარი ხის ლარებით ეწყობოდა და სხვადასხვა სიგრძისა იყო. ზოგიერთ ადგილას ასეთი სადინარის სიგრძე 100 მ აღწევდა.

საერთო არხებიდან წყლის ხმარებაში რიგა იყო დაცული. რიგს სოფელი აწესებდა და სოფელივე იცავდა. სხვადასხვა თემის სოფლები საერთო არხებით არ სარგებლობდნენ. ისიც ნიშანდობლივია, რომ აქ სპეციალური მერუეების ინსტიტუტი არ არსებობდა. რწყევასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს სოფლის უფროსი (მამასახლისი) აწესრიგებდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში აგრეთვე — საერთო არჩეული ან დასახელებული, სხვაზე მეტად მცოდნე პირი. საერთო არხიდან ცალკე ნაკვეთებში ეწყობოდა ს ა ყ ო ფ ე ლ ე ბ ი.

ლიტერატურა

1. ჩ უ ბ ი ნ ი შ ე ი ლ ი ტ ., ნ. ბერძენიშვილის შეხედულება მორწყვის მნიშვნელობის შესახებ საქართველოს ისტორიის უძველეს ხანაში, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 32.
2. ქ ი კ ე ი ძ ე ი., მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 12.
3. ი ქ ვ ე.
4. ი ქ ვ ე.
5. ი ქ ვ ე, გვ. 24.
6. გ ე გ ე შ ი ძ ე მ., სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 288.
7. დ ე კ ა ბ რ ე ლ ე ე ი ჩ ი ლ., შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 7.
8. იგულისხმება Материалы для изучения! экономического быта Закавказских крестьян, тт. I—VII (1884—85 гг.)
9. ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, 1968. გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო ე. გაბიაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით.
10. М а р р Н., Георгий Мерчул, Жизнь св. Георгия Хандзийского, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII, с. 185, т. 62.


ნიდაგის განოყიერება

სახნავ-სათესი მიწების ხელოვნურად განოყიერებას საქართველოს ყოველ კუთხეში მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმართავდნენ (რუკა 8, 9). მთაში, სადაც უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ, ხოლო შემინდვრეობისათვის ვარკისი მიწის ფართობები მცირე იყო, ნიადაგი სისტემატურ განოყიერებას მოითხოვდა. მარცვლეულის უხვი მოსავლით ცნობილ, საუკეთესო ნოყიერი მიწებით მდიდარ ბარის კუთხეებში პატივს ძირითადად ბალჩა-ბალებისა და ვენახებისათვის იყენებდნენ. საყანე მიწების მოსავალის უნარიანობას აქ სხვა საშუალებებით — თესლონაცვლებით, შერეული თესვით, მიწის დასველებით, ცერცვოვანი მცენარეების თესვით, ბალახ-ნამკიან მიწის გადაბრუნებით, მორწყვითა და დაჭობებით აღწევდნენ.

საყოველთაოდ გავრცელებულია ნიადაგის ნაკელით განოყიერება. ხანგრძლივი დაკვირვებისა და პრაქტიკის საფუძველზე, გლეხობა ასხვავებს ნაკელის ღირსებას საქონლის სახეობის, საკვები მცენარეულისა და წლის დროთა მიხედვით, სიძველე-სიახლის ნიშნით. იყენებდნენ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის პატივს. უპირატესობას საქონლის პატივს ანიჭებდნენ, თუმცა ცხვრისა და თხის დრემლა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საუკეთესო სასუქად ითვლებოდა. იგი ყველა სახის ნიადაგის, თითქმის ყველა მარცვლეული კულტურისათვის იხმარებოდა და უხვი მოსავლის მომცემი იყო [1]. მეურნეთა შეხედულებით, „თხა ფოთლით იკვებება, მისი დრემლა ნაკლებად შეიცავს წყალს, მშრალია, ნაცარივით ფხვიერია და ადვილად ერწყმის მიწას, თუმცა ერთი წლის შემდეგ კარგავს ძალას და გამანოყიერებელ თვისებებს. ხოლო რადგან საქონელი ბალახით, თივითა და ბზით საზრდოობს, მისი ნაკელი დიდი რაოდენობით შეიცავს წყალს, წებოვანია და მიწაში ადვილად არ იხსნება, მიწასთან მის შერწყმას მეტი დრო სჭირდება“ [2], ამასთან ერთად, ცხვრის დრემლა საქონლის ნაკელთან შედარებით, უფრო მხურვალეა.

როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის ნაკელი ორი-სამი წლის შემდეგ ითვლება საუკეთესო სასუქად. უფრო ძველი ნაკელი კი სასარგებლო თვისებებს კარგავს, იფიტება და მიწდება. ნაკელს ბოსელთან მოწყობილ სანეხვეზე აგროვებდნენ. გამონაკლის შემთხვევაში იცოდნენ მისი ორმოში შენახვა და საფარის გაკეთება (ქართლი, სვანეთი, სამეგრელო), რაც პრაქტიკულად ძნელი იყო, მაგრამ თვისებრივად ასეთ ნაკელს უპირატესობა ჰქონდა.


აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში, ივრის ხეობის სათავეებში, დასავლეთ საქართვე-



○	□	1
■	○	2
▲	○	3
●	○	4
■	□	5

რუკა № 8. ნიადგამის განმეორების ხალხური სასულეანი (XIX ს-ის II ნახევარი)

1. ნაქლი, 2. ნადარი (ახოს აღმასთან დაკავშირებით), 3. დაკობება, 4. შამიქის ნაღებები, 5. რუკით მოშლა.



რუკა № 9. ნიადგარის განიხილებების ხალხური სახეობები (X-XI სს-ის პერიოდი)

1. ნაკლი, 2. ნაქარი, 3. დაკობეზი, 4. ტყილი, 5. შავიქო ნიადგარის შეტანი, 6. გომელაქო.

ლოს მთიან რაიონებში (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი), სადაც შედარებით მცირე, მწირი სახნავ-სათესი მიწებია და ეროზიის გამო იფიტება, პატივი ნიადაგს საპწელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად ჭირდება. ამ მხარეებში, როგორც ცნობილია, ხნავდნენ როგორც ბ ა რ ი ს, ე. ი. სოფელთან ახლო მდებარე, ისე მისგან დაშორებით, უფრო შთა ადგილებში არსებულ მიწებს. დაგროვილი და დამწვარი პატივი, ტერიტორიული სიახლოვის გამო, ბარის მამულებში — კარისპირებსა და ნაფუზერებში, ქალა ადგილებში ვაჰქონდათ, სოფლისაგან დაშორებულ სახნავებში კი, სიშორის, უგზოობისა და ზოგჯერ ნაკელის უქონლობის გამო, სასუქის გატანა არ იცოდნენ. ასეთ მიწებს, დასვენებისა და თესლობრუნვის გარდა, საქონლის შიგ დაყენებით ანოყიერებდნენ. ყამირად დაგდებულ მამულში საქონლის ბაკს გამართავდნენ, რომელსაც ადგილს უცვლიდნენ და ასე მთელ მიწას გააპატივებდნენ (ფშავი). ქართლში ა ლ ქ ა ტ ი მიწის პატრონები მენახირეებს გარკვეულ გასამრჯელოს აძლევდნენ, რომ ნახირი მათ მამულში დ ა ე ყ ა რ ა თ (3). მიწის გააპატივების ეს მეთოდი საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება [4].

სასუქის გატანა გაზაფხულის პირზე — თებერვალში ან მარტში იცოდნენ. ამ დროს თოვლზე მარხილის მოძრაობა ადვილი იყო და თოვლით დამბალი ნაკელი მიწას კარგად ერწყმოდა. გამონაკლის შემთხვევაში მიმართავდნენ შემოდგომაზე ნიადაგის განაკელებას.

ახლო ნაკვეთებზე ნაკელი გ ო რ ე ბ ი თ ზურგით ვაჰქონდათ, შედარებით შორს გასატანად კი იყენებდნენ წნელებისაგან მოწნულ ნავის ან ძარის მოყვანილობის ქურქელს, რომელსაც მარხილზე ან ურემზე შედგამდნენ (ჯ ი ნ ი — ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ქართლი, ხ ე ი რ ი — რაჭა, ჩ ა ვ — სვანეთი, ჩ ე ო | ქ ა ნ ა ბ ე რ ი — ლეჩხუმი, ჯ ი ნ ი | ს ვ ი რ ი | ს ა რ ი — იმერეთი). ჰინში დაახლოებით 10-20 ფუთი ნაკელი ჩადიოდა.

მამულში პატივი თანაბარი მანძილებით უნდა დაეყარათ (პირიქით ხევსურეთის არხოტის თემში თანაბრობას მაგალითად შემდეგნაირად იცავდნენ: პირველად დაყრილ ნაკელის გროვას როცა ხარის წინა ფეხები გაუთანაბრდებოდა, ჰინს მაშინ გადმოაპირქვევებდნენ). ნაკელის გროვები მოხვნამდე გაუშლელი რჩებოდა, ხენის წინ კი მას ფიწლებით (ნიჩბით, სამთით, ბარით) მამულის ზედაპირზე თანაბრად გაშლიდნენ და მოხნავდნენ.

ისეთ სახნავებში, რომელსაც წყალი უდგებოდა, ტრანსპორტის გამოყენება კი შეუძლებელი იყო (დაქანებული ფერდობი, სოფლის დაბლა ხეობაში მდებარე მამულები და ა. შ.), ნაკელს წყლის ძალით შეიტანდნენ. დ ა ბ ლ ა ლ ვ ა ანუ მამულში სასუქის წყლით შეტანა შემდეგნაირად ხდებოდა: ნაკელს სახნავში დააგროვებდნენ, სათავეზე წყლის არხს ვაჰკრიდნენ და მიუგდებდნენ, აქედან კი პარალელური რუებით გათხიერებულ პატივს მთელ მამულზე მიუშვებდნენ (მთიულეთი). ხევსურეთში, თუ მამული ბოსლის დაბლა მდებარეობდა და მას წყალი უდგებოდა, ნაკელს კალოსავით გულს გამოუღებდნენ, შიგ წყალს დატბორავდნენ, ფეხით გაათხიერებდნენ და მამულს მი უ ნ ა კ ა დ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ. თუ არა, ნაკელი სახნავი მიწის თავში უნდა დაეყარათ, ზოგჯერ მისთვის ორმო ამოეთხარათ და წყალი მიეშვათ. ჩამბალი ნაკელი წ ვ ე ნ ს გ ა მ ო ი ტ ა ნ დ ა, რასაც ნათესში კ ა წ რ ე ბ ი თ ვაუშვებდნენ. მამული გააპატივებულად ითვლებოდა, როდესაც მისი ზედაპირი 3 სმ სისქეზე ნაკელით დაიფარებოდა. ამის შემდეგ მიწას მოხნავდნენ.

პატივის წყლით გატანა ნაკლები შედეგის მომცემი იყო, ვინაიდან წყალ-რეცხვად და ძალას აცლიდა მას. ეს წესი (თუ მისი საჭიროება და საშუალება არსებობდა) საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (ხეცურეთი, იმერეთი, აჭარა, სვანეთი) [5].

ნიადაგის ხასიათის შესაბამისად მთის პირობებში დღიურ მიწას 15-20 მარხილიდან 60 მარხილამდე პატივი ჭირდებოდა (მაგ. ხევში, სადაც მწირი ნიადაგები იყო, დღიურ მამულს 60 ჭინ სასუქს აყრიდნენ. მიწის დასვენება მცირე სახნავ-სათესი ფართობების გამო, აქ არ იცოდნენ) [6].

მესხეთ-ჯავახეთში ნაკელი ძირითადად სარწყავ მიწებში — ნ ა თ უ ზ რ ე ბ შ ი გაჰქონდათ. მორწყულს როცა ნაკელი ემატებოდა, მიწა ღონიერდებოდა და ყოველწლიურად უხვ მოსავალს იძლეოდა. ურწყავი მიწები ფიცხია, მასში სასუქი რომ შეეტანათ, მოსავალს დასწვავდა. აქ ნაკელს ცვლიდა თესლბრუნვა, სახნავ-სათეს მიწებზე ბალახეულის, ცერცვეულისა ან შერეული თესლის თესვა. რთული საანეულო სისტემის პირობებში ნაკელის შეტანა აუცილებელი არ იყო [7].

გასული საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, ახალციხის რაიონი ნაკელის გატანის პროცენტით ახალქალაქის რაიონს ჭარბობდა, რაც აიხსნება ახალქალაქში ხე-ტყის სიმცირით. აქ საწვავად თუ სათბობად საქონლის პატივისაგან დამზადებულ წ ი ვ ა ს ხმარობდნენ, რაც ამცირებდა ნაკელის სასუქად გამოყენების პროცენტს [8].

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონები — ქართლი და კახეთი, ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწებით მდიდარი მხარეა. გასულ საუკუნეში კახეთში მიწას თითქმის არ ანოყიერებდნენ [9]. აქ მიწები ფიცხია (ქიზიცი), პატივი რომ შეეტანათ, მოსავალი დაიწვებოდა. თუ მიწა სარწყავი იყო, შეიძლება იმ შემთხვევაში გაენოყიერებინათ ნიადაგი. ერწოში მხოლოდ კარისპირა მამულებს აპატივებდნენ. ნაკელი გაჰქონდათ ურმით, ხოლო თუ თოვლი იყო, მარხილით, ჩვეულებრივ შორს მდებარე მიწის ნაკვეთები არ პატივდებოდა; ნაყოფიერებას მისი ერთი წლის დასვენებით აღწევდნენ.

ქართლში ქსნისა და ლიახვის ხეობებში პატივს ძირითადად ვენახებისა და ბაღჩა-ბაღებისათვის იყენებდნენ. იგი სახნავ მიწებშიც შეჰქონდათ, თუ მეურნეს ამის შესაძლებლობა ჰქონდა. გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობებით, თბილისის მაზრაში მიწებს, გარდა ბაღჩა-ბაღებისა და ვენახებისა, არ ანოყიერებდნენ. გვალვების დროს პურეული ნათესები იწვებოდა. ნიადაგს ნაკელი უფრო აფიცხებდა, სარწყავი მიწები ამ რაიონში საერთოდ არ თხოულობს გაპატივებას.

ქართლის შედარებით დაბლობ რაიონებში (სოფ. წილკანი) ნაკელს მამულებისათვის იშვიათად ხმარობდნენ. მთა ადგილებში (პატარა ლიახვის ხეობა) პატივს შედარებით ინტენსიურად იყენებდნენ. აქ 3-4 წელიწადში ერთხელ მამულში ერთ დღიურ მიწაზე დაახლოებით 40-50 ჭინი ნაკელი შეჰქონდათ. ასეთ ნაკვეთში პირველ წელიწადს ქერს დათესავდნენ, მერე კი შეეძლოთ სხვა პურეული დაეთესათ. პურის დათესვას ერიდებოდნენ, რადგანაც იგი ძლიერ ნაზარდს იძლეოდა და წვებოდა, ქერი და სიმინდი კი უძლებდა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში — გურია-სამეგრელოსა და იმერეთში ნიადაგის ნაკელით განოყიერებას ცალკეულ იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ.

ნასუქი მამული გაცილებით ძვირი ღირდა გაუპატივებელ მიწებთან შედარებით (კარისპირები, ნაფუზრები).

ხევსურეთში, შატლ-მომხავეის ხეობათა ზოგიერთ სოფელში, ფერდობზე ერთმანეთის თავზე მდებარე მამულებიდან სათავის მამულის პატრონს ქვედა მიწის პატრონი გარკვეულ გადასახადს უხდიდა (თიკანი, ცხვარი), ვინაიდან ნალექებს ზემოდან ქვედა მამულში ჩაჰქონდა პატივიანი მიწის ფენა და წვენი.

მთის პირობებში, სადაც ნაკელზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო, ვინაიდან ნაკელი არ ჰქონდა, ან სხვა მიზეზით მამულში სასუქის გატანა არ შეეძლო, მიწას დასამუშავებლად აძლევდა მას, ვინც მამულს გააპატივებდა. ნიადაგს თანაბრად დაამუშავებდნენ, მოსავლასაც სწორად იყოფდნენ. სვანეთში პატივის შემტანი მამულს ამუშავებდა, თავის თესლს თესავდა, მოსავლის ორ წილს თვითონ იღებდა, ერთ ნაწილს კი მიწის პატრონს აძლევდა. იცოდნენ ნაკელის გასესხებაც და გაყიდვაც. მაგ. გასული საუკუნის მასალებით, ერთი მარხილი ნაკელი 15-20 კაპ. ღირდა, თბილისის სანახებში ერთი ურემი 25 კაპიკი [10]. საყურადღებოა, რომ ნაკელი საქორწინო შესაწევარი იყო (ქართლი) და მას მზითვეშიც ატანდნენ.

გარდა ნაკელისა, მიწის განოციერებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ. საყოველთაოდ ცნობილი იყო ნ ა ც რ ი ს გამანოციერებელი ძალა. იგი ძირითადად დაკავშირებული იყო ახოს ალების სისტემასთან. როდესაც მამულისათვის საჭირო ფართობზე ტყეს გაკაფავდნენ და ჩირგვებსა და ბუჩქებს ცეცხლს წაუკიდებდნენ, დარჩენილი ნაცარი მიწაში ჩაიხვნებოდა და ნიადაგს დიდხანს უნარჩუნებდა ნაყოფიერებას. ნაცარი სასუქად ყველგან იყო მიღებული, სადაც მცირე მიწიანობის გამო, ახობებს ტეხდნენ (თუმ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, კახეთისა და ქართლის მთიანეთი, ივრის ხეობის ზედაწელი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი).

დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო), განსაკუთრებით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, ეწერ მიწებში განოციერების მიზნით შეჰქონდათ გარკვეული ჯიშის მიწა — ტ კ ი ლ ი. ტკილი „რუხი, ლურჯი, აგურისა და ზოგჯერ მომწვანო ფერის ქვიშანარევი, ნესტიანი და ადვილად ფშვნადი ნიადაგია, რომელიც შეიცავს კირს, აზოტს, ფოსფორს და კალიუმს“ [11]. ტკილი იგივე მერგელია, რომლის შესახებ ცნობა პლინიუსთან არის შემონახული. ერთ ქვევა მამულს 700—800 ურემი მიწა-ტკილი ჰქირდებოდა. ერთი სანტიმეტრის სისქეზე დაყრილი ტკილი 20-25 წელი მოქმედებდა. მე-19 ს. ცნობებში მოტიკლივით მიწის განოციერება არ დასტურდება. მისი ინტენსიურად გამოყენება, მთხრობელთა გადმოცემით, ჩვენი საუკუნის პირველი წლებიდან დაუწყიათ.

ნიადაგის განოციერების მიზნით იცოდნენ აგრეთვე ნიადაგის ხელოვნური დაქაობება. ეს ღონისძიება ხელს უწყობდა მოსავლის ნაყოფიერებასაც და სახნავი ფენის გაზრდა-შენარჩუნებასაც. ქართლში, მაგალითად, მწირ მიწაზე წყალს მიუშვებდნენ და მანამ ადენდნენ, სანამ ნაკვეთი მთლიანად არ დაევიდებოდა. ზედაპირზე ქაობის ბალახი — ჭილი მატულობდა. სამი ოთხი წლის მერე, როცა ჭილი მთელ ნაკვეთზე გადაჯდებოდა, წყალი მიწის ზედაპირს უკვე ვეღარ გადარეცხავდა, მის მიერ შეტანილი ნალექი ადგილზე რჩებოდა. შემოდგომაზე წყალს დაწყვეტდნენ, ბალახს ჩათიბავდნენ და მერე გაზაფხულამდე დატოვებდნენ. გაზაფხულზე კი კვლავ დაიწყებდნენ

ნაკვეთის რწყვას. ასე გრძელდებოდა 7—8 წლის მანძილზე. შემდეგ კი მიწას გამოაშრობდნენ. გაშრობა ზოგჯერ ორ წელიწადს გრძელდებოდა. მერე ანუ-ულზე მოხნავენ და შემოდგომაზე აოშვის შემდეგ ხორბლეულს დათესავდნენ: ნაჭაობარი მიწა დიდხანს ინარჩუნებდა სინოციერეს [12].

დასავლეთ საქართველოში გამოღალულ მამულში იცოდნენ ჭ ა ო ბ ი ა ნ ი მ ი წ ი ს, ან შ ა ვ-მ ი წ ი ს შეტანა. მაგალითად რაჭა-ლეჩხუმში აყალო მიწაზე დაყრილი შავ-მიწა ნიადაგი მიწის ნაყოფიერებას 20-25 წლით უზრუნველყოფდა [13].

მიწის განოციერების სხვა საშუალებებთან ერთად, სარწყავ მიწათმოქმედებაში ფართოდ იყო გამოყენებული ნ ი ა დ ა გ ი ს მ ო შ ლ ა მ ე ვ ი ს წ ე ს ი. აღმოსავლეთ საქართველოში მას ცალკეულ რაიონებში მიმართავდნენ (ქართლში — გორის რ-ნი, თბილისის შემოგარენი, კახეთი), დასავლეთის დაბლობზე კი (გურია, სამეგრელო, იმერეთი) იგი ნიადაგის განოციერების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. მამულში შლამი ან მდინარეების ადილების შედეგად დატბორილ მიწაზე რჩებოდა, ან ხელოვნურად შეჰყავდათ. დასავლეთ საქართველოში, მდინარეების აუზებში (რიონი, ტეხურა, ხობი, აბაშა, სუფსა, ნოღელა) ასხვავებენ შლამის ორ სახეობას ს ი ლ ა ს და ლ ე კ ს. ლეკი სილასთან შედარებით მეტად წმინდა ნალექია, რომელიც თავისი გამანოციერებელი თვისებებით სილას აღემატება. იგი ნაკელზე უფრო გამძლეა და მუდმივ გამანოციერებელ საშუალებადაა მიჩნეული.

წყლით მოსილვის გარდა, იცოდნენ ურმებით შლამის გადატანა მამულში [14].

მიწის ნაყოფიერებას აღწევდნენ ბალახ-ნაძვიანი მიწის გადაბრუნებითაც. საერთოდ, მიწის განოციერება მეტად შრომატევადი სამუშაო იყო. განსაკუთრებით მეტი მუშახელი იყო საჭირო დიდი ფართობების გაპატივების დროს. საქმე რომ დროულად და ხარისხიანად მოესწროთ, ურთიერთდახმარება იცოდნენ. თუშეთში, მაგალითად, ასეთ შეამხანაგებას მ ს კ ო რ ა ვ ა ნ ი ე რ ქ ვ ა. მსკორავანში კაცითა და ხარ-მარხილით ეხმარებოდნენ მამულის პატრონს.

დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო) 700—800 ურემი ტკილის მოტანა ცალკეულ მეურნეს არ შეეძლო, ამიტომ ნ ო დ ს შეყრიდნენ და 7-8 ურმით ერთმანეთს ეხმარებოდნენ. შეამხანაგება იცოდნენ რაჭაშიც, განსაკუთრებით შავ-მიწა ნიადაგით აყალო მიწის დაფარვის დროს.

ნიადაგის განოციერების სხვა საშუალებანი ძირითადად მიწის დასვენებაში, თესლმონაცვლეობასა და შერეული თესლით თესვაში მდგომარეობს.

თესლმონაცვლეობას საქართველოს ყველა კუთხეში მიმართავდნენ, ამასთან, სათეს კულტურებს ერთმანეთს გარკვეული წესით უნაცვლებდნენ. მაგ., „რაჭა-ლეჩხუმში პირველ წელს რომ ფეტვი დაეთესათ, მერე ქერს დათესავდნენ, შემდეგ სიმინდს, ხორბალს, ისევ სიმინდს და მეხუთე წელს ისევ ხორბალი დაითესებოდა. ხშირია სიმინდისა და ხორბლის მონაცვლეობა, ასევე ფეტვის, ღომის და ქერის ნათესების რიგ-რიგობით შენაცვლება. ბოლო ხანებში დამკვიდრდა ორწლიანი თესლბრუნვა ხორბალ-სიმინდისა. სიმინდის თოხნა ნიადაგს აფხვიერებს, ხოლო ხორბლის ძირების ჩახვნა სიმინდს უნოციერებს ნიადაგს. რაჭა-ლეჩხუმში, სადაც მიწის სიმციროს გამო მიწის დასვენება ძნელდება, თესლბრუნვა და ხორბლის მონაცვლეობა ეფექტური გამოსავალია“ [15].

სამეგრელოში სამგვარი თესლმონაცვლეობა იყო წესად მიღებული; პირველ წელს ღომს დათესავდნენ, შემდეგ სიმინდს, შემდეგ პურს, მერე კი მიწას 3-4 წელს ასვენებდნენ.

განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლეოდა ცერცოვანი კულტურების თესვა გამოღალულ მიწაზე. ცერცოვნებს საკვები შეაქვთ ნიადაგში და ლპობის დროს მის შემდეგ დათესილ მცენარეებს ასაზრდოებენ. ამის გამო ნაცერცვალზე დათესილი პური, ქერი და სხვა მარცვლეული კარგ მოსავალს იძლეოდა (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი).

თესლმონაცვლეობასთან ერთად ფართოდ იყო ცნობილი შერეული თესვა. ერთმანეთში თესავდნენ ქერსა და დიკას — ქერკრელს. ეს წესი ფეხმოკიდებული იყო განსაკუთრებით ურწყავი რაიონების მემინდვრეობაში, თუმცა სხვა რაიონებშიც (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, აღმ. საქ. მთიანეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი) პქონდა მას ადგილი. შერეული თესვის თესვის პრაქტიკა გვალვასთან ბრძოლის საშუალებად იყო მიჩნეული.

მოსავლიანობის გადიდების ეფექტური საშუალება იყო აოშვა — საანეულო ნახნავების მსუბუქი სახვნელებით ხელახლად გადახვნა (ქართლი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი). აოშვა სხვადასხვა მეთოდით იცოდნენ: ნახნავის გასწვრივ, გარდიგარდმო, ჯვარედინად და დიაგონალურად — აყურიით, რაც ხელს უწყობდა მიწის სტრუქტურის წარმოქმნა-შენარჩუნებას.

საქართველოს ყოველ კუთხეში ნიადაგს მეტ-ნაკლები ხნით ასვენებდნენ. სახნავ მიწას პირველ წელს საძოვრად დააგდებდნენ, შემდეგ სათიბად, შერე ისევ მოხნავდნენ და ა. შ. ქართლში იმის მოხედვით, თუ მიწა რამდენი ხნის ნასვენი იყო, ასხვაებენ: ნარბილს (1 წ. ნასვენი), რცხალს (2 წ. ნასვენი), ნაჩხატს (3 წ. ნასვენი), ყამირს (4 წ. ნასვენი) და კორდს (დიდი ხნით ნასვენი მიწა). აქედან ყამირი და კორდი კარგად დასვენებული, ღონიერი ნიადაგი იყო და კარგ მოსავალს იძლეოდა [16].

მიწის განოყიერების წესებში ვლინდება „ხალხური ემპირული ცოდნის დიფერენცირებული ხასიათი, რაც უკავშირდება გამანაყოფიერებელი ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას; მის გონივრულ შეხამებას სამეურნეო გარემოს კლიმატურ-რელიეფური და ნიადაგების შედგენილობის თავისებურებებთან“ [17].

ლიტერატურა

1. ქ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 23.
2. ქ. რუხაძე, იქვე, გვ. 22.
3. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 144.
4. ნ. ბრეგაძე, ზთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 100; ქ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 102.
5. სტ. მენთეშაშვილი, აპარის ეთნოგრაფიული მასალები, ენაიკი-ს მოამბე, ტ. II, ნაწ. I, 1937, გვ. 143; მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1947, გვ. 50; ნ. ჩიჭავაძე, ნიადაგის მორწყვა-გაპარეობა ზემო აპარაში, ბათუმი, გვ. 103—108.


6. ს. შაკალათია, ხევი, თბ., 1934, გვ. 69.
7. ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 107—112.
8. ლ. ბერიაშვილი, იქვე.
9. М. В. М а ч а б е л и. Экон. быт. гос. крестьян Тионетского уезда Тифлисской губернии, МИЭКБГКЗК, т. V, 71, Тифл. 1837, с. 443.
10. В. Б и б и л е и ш в и л и. Из села Дигომი, Тифл. уезда, СКСХ, 1895, № 94.
11. ქ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 30.
12. გ. ქალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147—148.
13. ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150.
14. ქ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34—35.
15. ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.
16. გ. ქალაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.
17. ქ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ხ ო რ ბ ა ლ ი

მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლამ გამოავლინა ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ცივილიზაციის საწყის ეპოქასთან ამა თუ იმ ხალხის თანამედროვე კულტურის გენეტიკური კავშირის მანიშნებელია. ასეთთა რიგს განეკუთვნება ხალხის მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად შექმნილ მატერიალურ ფასეულობათა შორის კაცობრიობის ისეთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, როგორცაა კულტურული მცენარეები. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მარცვლეულ, კერძოდ პურეულ კულტურებს. ისინი საფუძვლად დაედო მიწათმოქმედებისა და, შესატყვისად, ცივილიზაციის წარმოშობა-განვითარებას. მატერიალური კულტურის ამ სფერომ ბოლო დრომდე შემოგვინახა ევოლუციის ერთიანი ჯაჭვის ცალკეული რგოლები, დაწყებული პირველყოფილი, ველური თუ ინიციალური — ველურიდან კულტურისაკენ გარდამავალი — და დამთავრებული მეორადი, მაღალკულტურული, ბუნებრივი და ხალხური სელექციის შედეგად შექმნილ-გაუმჯობესებული ფორმებით. ამ კულტურებთან დაკავშირებულ კვლევა-ძიებათა შედეგად მეცნიერებაში დადგენილია მათი წარმოშობის პირველადი და მეორადი, აგრეთვე, ფორმათა წარმოქმნისა და მრავალგვარობის ცენტრები, რომელთა შორის მთავარი ადგილი უკავია წინააზიურ გენცენტრს. იგი მოიცავს ამიერკავკასიასაც, რომელიც ითვლება ფორმათა წარმოქმნა-ევოლუციის ცენტრალურ პლაცდარმად და ეპიცენტრად, რის გამოც მეცნიერებაში უკვე საუბარია ხორბლის სახეობის ამიერკავკასიურ გენცენტრზე. ამ უკანასკნელის ფარგლებში კი კულტურული ხორბლისა და მის მრავალსახეობათა თუ ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად საქართველოა აღიარებული.

საქართველომ ტრიტიკოლოგების ყურადღება მიიპყრო არა მარტო იმით, რომ აქ გვხვდება ხორბლის მსოფლიოში ცნობილი სახეობათაგან ყველაზე მეტი [12], მათ შორის 6 ენდემური სახეობა და ადგილობრივ ჩამოყალიბებული, გარემოს შეგუებული შიშველმარცვლიანი ხორბლის მაღალგანვითარებული ფორმებიც, არამედ იმითაც, რომ მხოლოდ აქ (და არსად სხვაგან მსოფლიოში) შემორჩა კულტურული ხორბლის ევოლუციის ინიციალური ეტაპები; რომ კაცობრიობას შემოუნახა როგორც მეცნიერთა მიერ ფილოგენეზის ერთ-ერთ მონაწილედ მიჩნეული ველური ე გ ი ლ ო პ ს ი ს¹ (Aegilops ტაბ. III, ფ. 1), ისე კულტურული ხორბლის უძველესი, საწყისი, პირველადი, პალეოთრეიქტური ფორმები. ესენია დღეისათვის კულტურიდან გადავარდნილი, მაგრამ

¹ ევოლოპსის პრეისტორიული ნაშთები პირველად დამოწმდა თურქეთში 1957—1960 წწ. არქეოლოგიური გათხრების დროს.



რუკა № 10. ხორბალი XIX საუკუნის დასასრულს (XX ს.-ის პირველი წლები)

1. მახე, 2. ზანდურთი, 3. ასლი, 4. რბილი ხორბალი, 5. დიკა, 6. მკვრივი ხორბალი — თეთრე ხი.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში გავრცელებული და ამ მხარისათვის ენდემური ჯიშები, უძველესი ხანის რელიქტები — კოლხური ასლი (Tr. palaeo-colchicum Men.), მახა (Tr. macha Dek. et Men.) და ზანდური (Tr. Timopheevi Zhuk.), რომლებიც კილიანი ხორბლის ჯგუფს განეკუთვნება.

კილიანი ხორბალი. ხორბლის გვარის წარმოშობა-განვითარების ისტორიაში ქრონოლოგიურად პირველი ადგილი უკავია სწორედ კილიან ხორბლებს, რომელმაც მისცა საწყისი შიშველმარცვლიანი ხორბლის მაღალგანვითარებულ ფორმებს. კილიანი ხორბლის ნიმუშები დამოწმებულია ძველი სამყაროს სხვადასხვა ქვეყნის (შუამდინარეთის, ეგვიპტის, ბალკანეთის, თურქეთის, ამიერკავკასიის, შვეიცარიის) ნეოლითის ხანის არქეოლოგიურ მონაპოვრებში. ნეოლითის ხანის კოლხეთის მასალაში კი აღმოჩენილია ხორბლის მარცვლები, რომლებიც განისაზღვრა როგორც კოლხური ასლი (ტაბ. III, ფ. 3) და მახა (ტაბ. III, ფ. 2).

დასავლეთ საქართველოში დამოწმებული Tr. palaeo-colchicum Men. ასლის, ანუ ორმარცვლა კილიანი ხორბლის (Tr. dicoccum) განსაკუთრებული ქვესახეობაა.

ამჟამად ასლი (იხ. რუკა 10, ტაბ. III, ფ. 4) რელიქტური კულტურაა უძველეს სამიწათმოქმედო ცენტრებში ერთ დროს ფართოდ გავრცელებული ხორბლის სახეობისა. საქართველოში უძველესი დროიდანვე მის კულტივირებას მოწმობს ქსენოფონტეს მიერ ჭანებში, მეორე მხრივ, დაბადების ქართულ თარგმანში ამ პურეულის მოხსენიება.

აღმოსავლეთ საქართველოში ასლი (Tr. dicoccum Schübl.), რომლის ნათესები ამჟამად მხოლოდ მთიან რაიონებშიღა, ისიც მეტად მცირე ფართობზე შემორჩა და რომლის გავრცელება, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, აქა-იქ დაბლობ რაიონებშიც მოწმდებოდა, ოთხი ვარიაციითაა წარმოდგენილი: თეთრთავთავა (v. farrum Bayle), წითელი (v. rufum Schübl.), ღრუბელა თავთავიანი (v. Flaksbergeri Dekapr.) და შავარშიანიკილიანი (v. chevsuricum Dekapr.). ამათგან ცენტონში ჩვეულებრივ თეთრი ასლი ქარბობს.

ასლის ამ აღმოსავლურ ქართულ საგაზაფხულო ვარიაციებისაგან მკვეთრად განსხვავდება ცალკე ქვესახეობად გამოყოფილი დასავლეთ საქართველოს ასლი. იგი დამოწმებულია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე, რომლისთვისაც წარმოდგენს აღმოსავლეთ საქართველოს ორმარცვალათა ვიკარულ (შემცვლელ) სახეობას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საერთო წინაპრისაგან წარმოშობილი საქართველოს ასლის დასავლური და აღმოსავლური სახეობანი შორეულ წარსულში გაემიჯნა ერთმანეთს ევოლუციური თვალთახედვით და საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა მათი განსხვავება-თავისებურებანი, რაც, თავის მხრივ, საქართველოში Triticum-ის გვარის სიძველესა და ინტენსიურ ფორმათა წარმოქმნაზე მიგვანიშნებს.

დასავლეთ საქართველოს ასლი თავდაპირველად განისაზღვრა როგორც Tr. dicoccum var. chvamicum, მაგრამ შემდეგ გეოგრაფიული იზოლაციისა და მკვეთრი მორფოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით, იგი გამოყოფილი იქნა განსაკუთრებულ ქვესახეობად—Tr. dicoccum ssp. georgicum Dek. et Men. მოგვიანებით კი კოლხეთის ენეოლითური ხანის განათხარ მასალაში მისი მარცვლების მიკვლევამ განაპირობა ამ ხორბლის ცალკე სახეობად გამო-

ყოფა და სახელწოდების — კოლხური ასლი (Tr. palaeo-colchicum Men.) — მიკუთვნება.

აღმოსავლეთ საქართველოში² გავრცელებულ ასლთაგან განსხვავებული ეს კულტურა თავთავის აგებულების მხრივ ყველაზე ახლოს დგას ასტურიის ემერის (ასლის) ფორმასთან. გარეგნულ მსგავსებას კი ამჟღავნებს ხორბალ მახას ერთ-ერთ ვარიანტთან (Tr. imereticum). სწორედ ხორბალ მახას ნათესებში მინარევის სახით გვხვდება, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ანუ კოლხური ასლის, ამ უძველესი ხორბლეულის ნიმუშები. ამიტომაც, ადგილობრივი მოსახლეობა მას ცალკე არ გამოყოფს და არც რაიმე საკუთარი ხალხური სახელითაა იგი, ნობილი.

ასლისა და მახას მსგავსებაზე მითითება გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, სადაც პირველად იხსენიება ხორბლის ეს სახეობა. შემდეგი დროის (XIX ს. დასასრული, XX ს.) ავტორებთან დაცულ ცნობები მახას შესახებ არაფერს გვაძლევს მისი ბოტანიკური რაობის განსაზღვრის თვალთახედვით. ჭუკანასკნელ ხანებში კი მახა ფართოდ ვახდა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც კულტურული ხორბლის ინიციალური და რელიქტური სახეობა, რომელიც აერთიანებს ველური და მალაკულტურული (რბილი და მაგარი) ხორბლეულის სახეობათა თვისებების კომპლექსს. მახა Triticum-ის გვარის სახეობათა დიფერენციაციის საწყის ეპოქაში წარმოქმნილი ხორბლის პირველადი ფორმაა, რასაც არქეოლოგიური მასალასთან ერთად მოწმობს მისი ბიო-მორფოლოგიური შესწავლა, მასში სახეობათაშორისი ნიშნების არსებობა: კილიანობა, მტვრევადათავიანობა, თავთუნების ცვენაობა. მახა წარმოიშვა ველური ხორბლისა და ეგილოპსების საერთო გავრცელების არეში. მისი პროტოტიპი (პროტომახა) იქცა ადამიანის მუდმივ თანამგზავრად ჯერ კიდევ შემგროვებლობითი საქმიანობის ხანაში. ახალ პირობებში მოშინაურების, შერჩევისა და მუტაგენური ხასიათის სხვადასხვაგვარ ცვლილებათა შედეგად ამ მცენარეთაგან წარმოიშვა რბილი და მაგარი ხორბლის, აგრეთვე, დიკისა და სხვა მალაკულტურული ფორმები.

მახა (იხ. რუკა 10) საშემოდგომო კულტურაა. ვარიანტთა სიმრავლით (გვაწა მახა—Tr. tubalicum Men., ჩელტა მახა—Tr. imereticum Men., ზოგი სახესხვაობა—Tr. letschchumicum Dek. et Men. და სხვ.) აჭარბებს დასავლეთ საქართველოს სხვა ენდემურ კილიანებს. ამასთან, მახას პოპულაციაში გამოვლენილია² ბევრი შუალედური და სპელტასთან მორფოლოგიურად ახლოს მდგარი ფორმა, რაც მიგვითითებს ამ სახეობათა ახლო ფილოგენეტიკ კავშირზე, გენეტიკურ იდენტურობაზე. სპელტა კი, მიწათმოქმედების საწყისი ეპოქის არქეოლოგიურ მონაპოვრებშია დამოწმებული, ითვლება კულტურული ხორბლის ერთ-ერთ უძველეს სახეობად. ხოლო საქართველოში აღმოჩენილი განათხარი სპელტა ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია. ეს გარემოება კი იმ ფაქტთან ერთად, რომ მისი არქეოლოგიური მონაპოვრები ლოკალიზებულია ოლქებში, სადაც ყველა პირობა იყო მისი ჩამოყალიბებისათვის, ადასტურებს მოსაზრებას სპელტას ადგილობრივი წარმოშობის შესახებ. მართალია, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არაა ცნობილი მისი ნათესები², მაგრამ მეცნი-

² მხოლოდ ჭუკანასკნელ წლებში აღნიშნავენ მის ერთეულ ნიმუშებს აღმოსავლეთ საქართველოს ხორბლის ნათესებში. აკად. ნ. კეცხოველის აზრით, იგი XIX საუკუნის დასაწყისში განდევნა სხვა, უფრო მაღალმოსავლიანმა ჯიშებმა.

ერები თვლიან, რომ სპელტას ჯგუფის თავისებური წევრია მახა და სწორედ მისი სახით მოაღწია ჩვენამდე პირველადმა სპელტამ³. ამიტომაც, გასაგებია აკად. ვ. მენა-ბდის მოსაზრება, რომლის მიხედვით მახას სახეობას უნდა განეკუთვნებოდეს მიწათმოქმედების ადრეული საფეხურების ბაბილონის, ძველი ეგვიპტის, შვეიცარიის ხამინჯებიანი ნაგებობებისა და ურარტუს არქეოლოგიურ მონაპოვრებში დამოწმებული მარცვლეული. ხოლო მისი განსაზღვრა სპელტად და სპელტი-სებურად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სამეცნიერო წრეებისათვის მახა არ იყო ცნობილი 1932 წლამდე. ამ მცენარის აღმოჩენიდან გარკვეული ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ დასავლეთ საქართველოს მეტად ვიწრო არეალში — ძირითადად, ლეჩხუმისა და მისი მიმდებარე ქვემო რაჭის ტერიტორიებზე, ნათესების სახით დამოწმებული ეს კულტურა სხვაგან არსად იყო ცნობილი. მაგრამ არქეოლოგიურმა მასალამ დაადასტურა შორეულ წარსულში მისი გავრცელება სამეგრელოშიც. უკანასკნელ ხანებში კი გამოითქვა მოსაზრება აჭარაში (მაჭახლის ხეობა), ლაზეთში, აგრეთვე დაღესტანსა და ჩრდ. კავკასიის ხალხებში (ბალყარლებში) მისი გავრცელების შესაძლებლობის შესახებაც.

Triticum-ის გვარის პოპულაციის ერთ ინიციალურ ფორმადაა მიჩნეული დასავლეთ საქართველოს მესამე ენდემური ხორბალი — ზ ა ნ დ უ რ ი. მისი პირველი ხსენება გვხვდება¹ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. იგი მოხსენიებულია XVIII ს. უცხოელწავთობათნაც და განმარტებულია ერთმარცვლა ხორბლად. ზანდურის ბოტანიკური რაობის საბოლოო დადგენა მოხერხდა მას შემდეგ, რაც მიკვლეულ იქნა მისი ნათესები (XX ს. 20-ანი წლებიდან).

ზანდურის პოპულაციაში სპეციალისტებმა თავიდანვე განსაზღვრეს ორი ბოტანიკური სახეობა, რომლებსაც ადგილობრივი მიწათმოქმედიც ასხვავებდა ერთმანეთისაგან. ესენია: გ ვ ა ნ ა ზ ა ნ დ უ რ ი (Tr. monococcum L., დიპლოიდური ხორბალი) და ჩ ე ლ ტ ა ზ ა ნ დ უ რ ი⁴ (Tr. Timopheevi Zhuk., ტეტრაპლოიდური ხორბალი). უკანასკნელ ხანებში კი ბოტანიკოსებმა გამოყვეს მესამე — ჰექსაპლოიდური სახეობა (Tr. Zhukowskyi Men.). სამივე ამჟამად ტრიტიკოლოგების საგანგებო ყურადღების არეშია მოქცეული.

დადგენილია ზანდურის (სამივე სახეობის) გენეტიკური იზოლაცია სხვა კულტურულ ხორბლეულთაგან. იგი აელენს ნათესაურ კავშირს მარტო კავკასიის ველურ ზანდურთან (Tr. boeoticum, Tr. chaldicum, Tr. araraticum — კავკასიური ველური ორმარცვლა). ზანდური ქმნის მეორე ძირითად მიმართულებას Triticum-ის გვარის ევოლუციაში და განცალკევებულად დგას ამ სისტემაში. უახლესმა ექსპერიმენტულმა დაკვირვებებმა გამოავლინა მისი მონოგენომურობა და Tr. monococcum-დან ავტოპოლიპლოიდიზაციის გზით წარმოშობა-განვითარება.

ზანდური საგაზაფხულო ფორმაა, მაგრამ ითესება გვიან შემოდგომაზე. იგი ამჟამად უკვე გაძევებულია კულტურიდან. მისი გავრცელების არეც ვიწროა და მოქცეულია ზღვის დონიდან 400—800 მ ზონის ფარგლებში. იგი და-

³ დასავლეთ საქართველოს რელიქტური სპელტა შეიძლება იყოს პირველი ჰექსაპლოიდური ხორბლის პროტოტიპი. აქედან პირველ სპელტას შეეძლო შეედგა ირანსა და აზიის სხვა ნაწილებში და ამ გზით — ევროპაშიც.

⁴ ქვემო რაჭაში (პატარა ონში) დამოწმდა გვაწას შესატყვისი სახელწოდება — შინდა, ჩელტას. შესატყვისი კი — გობეჯა.

მოწმებულია რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოში. სამეგრელოში მას პიტა ქობალი ეწოდება. ზანდურის გავრცელების დაახლოებითი საზღვრებია: ჩრდილოეთით — ცაგერი, ორბელი, ლაილაში, პ. ონი; აღმოსავლეთით — ხეანჭყარა, დღნორისა; სამხრეთით და დასავლეთით დაახლოებით — თამაკონი, გორდი, მექვენა, დღნორისა (იხ. რუკა 10). აღრეულ ხანაში კი მის უფრო დიდ არეზე გავრცელებაზე (კერძოდ, ზემო რაჭაშიც კულტივირებაზე) მიგვითითებს როგორც გიულდენშტედტის ცნობა (XVIII ს.), ისე ადგილობრივი ტოპონიმები.

ზანდური ფაქტიურად არ გაცილებია მისი წარმოშობის არეალს, ხოლო მისი ერთ-ერთი სახეობა — ჩელტა ზანდური (ტაბ. IV, ფ. 2) — მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბინადარია.

მეორე სახეობას — გავწას (ტაბ. IV, ფ. 1) კი ახლო წარსულში უნდა ჰქონოდა გავრცელების ფართო არე ქართლში, სამხრეთ ოსეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. საქართველოში ამ კულტურის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მომხდარა მისი დიფერენციატა დასავლურ (Tr. occidentale georgicum Dek.) და აღმოსავლურ (Tr. orientale georgicum Dek.) მორფო-ეკოლოგიურ ტიპებად, რომელთაგან პირველი გავრცელებული იყო ზანდურის პოპულაციაში და დამოწმებულია აგრეთვე იშვიათი მინარევის სახით სხვა ხორბლის ნათესებში (ცაგერი). მეორე კი, რომელიც ქმნის აღმოსავლეთ საქართველოს ერთმარცვალათა სახეობას, ამჟამად გვხვდება სხვადასხვა ხორბლის (მაგარი, რბილი, დიკა, ასლი) ნათესებში მინარევის სახით. ამასთან, ქართლში (სოფ. ერედვი) დამოწმებული Tr. monococcum-ის ბოტანიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ საქართველოს ერთმარცვალათა კულტურული ცენოზი აერთიანებს კულტურულ, შუალედურ და ველურ ერთმარცვალათა ფორმებს. მაშასადამე, ჩვენში ხორბლის თავდაპირველმა ფორმებმა თავის შემადგენლობაში შეინარჩუნა ევოლუციის ძირითადი ეტაპები, დაწყებული ველურიდან — კულტურულით დამთავრებული.

საქართველოს კილიანთაგან მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ასლები (Tr. dicocccum და სხვა ხორბლის ნათესებში მინარევის სახით დამოწმებული Tr. monococcum) ითვება მაღალი მთის ზონაში. კულტურული ხორბლის ინიციალური ფორმები კი — მახა მასში მინარევი კოლხური ასლით და ზანდური — შუა მთის ზოლის მცენარეებია, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას სამიწათმოქმედო კულტურის პირველადი კერების მთის შუა ზოლში ჩასახვა-წარმოშობის შესახებ.

ხორბლის ყველა ზემოდასახლებულ სახეობასა და ვარიაციას უძველესი დროიდან წარმომავლობის, ისტორიული ხანდაზმულობის გარდა, ახასიათებს სხვა საერთო თვისებებიც, მათ შორის კილიანობა და მტკრეველთავთავიანობა. მათი მარცვალი მჭიდროდ ზის ბუდეში — კილში და სიმწიფეში შესვლისას თავთავები მტკრეველი ხდება. ეს ნიშნები მათ ახლოებს ველურ ფორმებთან და განასხვავებს ჩეულებრივ ანუ შიშველმარცვლიან ხორბალთაგან.

კილიანთა მტკრეველთავთავიანობამ განაპირობა მათი მოსავლის აღებასთან დაკავშირებით თავისებური ხერხისა და იარაღის შემუშავება. თუ შიშველმარცვლიანი ხორბალი ნამგლით იმკება, დასავლეთ საქართველოს კილიანების მოსავლის ასაღებად ხმარობდნენ ორიგინალურ საკრეფ, ან უკეთ, თავთავების გადასამტკრეველ გამოყენებულ, ხის ორი ჯოხისაგან გამზადებულ იარაღს — შამკეს, რომლის ანალოგი იმავე დანიშნულებით დამოწმებულია ასტურიაში.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ევოლუციის მანძილზე საქართველოს კილიანებმა ნიშანდობლივი ცვლილება განიცადა. თუ მახა ბოლო დრომდე კვლავ მეტად მტკრევადთავთაიან მცენარედ დარჩა, რომლის მოსავლის აღების ოდნავი დაგვიანებაც კი იწვევს თავთავებისა და თავთუნების ჩაცვენას და მისი მოსავლის აღება მხოლოდ შამკეთია შესაძლებელი, აღმოსავლეთ საქართველოს ასლი იძებდა და ბოლო ხანებში ზანდურის მკაც დაუწყიათ. ქვემო რაჭაში დამოწმდა ზანდურის საკრეფი მარტივი იარაღიც — ხის დანა, რომლის მეშვეობითაც ძირიანად მოთხრილი პურეულის ჩალას კალოზე წაახეპდნენ თავთავებს. ამგვარი ხის დანა ჩალას არ აზიანებდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კილიანი ხორბლის რაციონალური გამოყენების თვალთახედვით. სახელდობრ, მახა-ზანდურის, განსაკუთრებით კი გვაწა ზანდურის (რომლის ღერო უფრო მაღალი იზრდება) ჩალას — კოროლს, წარმატებით იყენებდნენ როგორც გლეხის საცხოვრებელი ნაგებობების, ისე კარმიდამოში დამხმარე სამეურნეო სათავსოთა სასახურავე მასალად (კოროლისაგან წნავდნენ აგრეთვე ჭილობებსა და პატარა კალათებს). კოროლი, სახურავის ეს ადვილმისაწვდომი, იაფი და ხელსაყრელი მასალა კარგად იყო შეფარდებული ძველი საცხოვრებელი ნაგებობის, ე. წ. შუასახლის, თავისებურებასთან — ქვევიდან შუა-ცეცხლზე შებოლილი, ზევიდან კი ხავსგადაკრული კოროლის სახურავი დიდხანს ძლებდა, ამავე დროს უზრუნველყოფდა ნაგებობაში თანაბარი ტემპერატურის დაცვას. ამ უკანასკნელ ფაქტს კი საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეურნეო სათავსოთა მშენებლობაში, რის გამოც კოროლის სახურავიანი ამგვარი ნაგებობები დიდხანს შემორჩა ყოფას. მაგრამ საბოლოოდ კოროლზე, როგორც სახურავ მასალაზე, მოთხოვნილების დაკარგვამ გამოიწვია ხელოვნური შერჩევის შედეგად ზანდურის ცენოზში საუკეთესო საკოროლე მასალის — გვაწა ზანდურის — შემცირება და სიმრავლის ჩელტა ზანდურისაგან — უკეთესი ხორბლის მომცემი ჭიშისაგან, გადახრა; მეორე მხრივ, ზანდურის მკაც — სამეურნეო დანიშნულებადაკარგულ კოროლს ძველებურად სიფრთხლით აღარ ეკიდებოდნენ.

მახა-ზანდურისა და ასლის კილიანობის გათვალისწინებით, ქართული სამიწათმოქმედო კულტურის არეში შეიქმნა ამ პურეულის მარცვალთა ბუდიდან გამოსაფშენელი სპეციალური იარაღ-მოწყობილობანი — ხისა და ქვის (ხელით, ფეხით, ან წყლის ძალით მომუშავე) საცეხველები და დინგი. კალოზე ლეწვის ნაცვლად ამ იარაღებით ხდებოდა ძნელადგამოსაფშენელ კილიანთა პირველადი დამუშავება წისქვილში დაფქვამდე. კალოზე ან კერის თავზე გაწყობილ ლასტებზე გამხმარი კილიანთა თავთუნები საცეხველში იცეხებოდა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსახლეობა კილიანთაგან გამზადებულ პროდუქტებს. საუკეთესო, ცილის დიდი შემადგენლობის შქონე და ცხობის მაღალხარისხიანი მათი ფქვილისაგან მზადდება კარგი სახაჭაპურე ცომი; პური ნოყიერი, გემრიელი და სურნელოვანია, რამდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებს სირბილეს, რაც განსაკუთრებით ფასოვანი იყო ლაშქრო-

⁶ გვაწა ზანდურისაგან მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს ერთმარცვალა იმით, რომ ეს უკანასკნელი სიმაღლით ნაკლებია და თავთავიც წვრილი და საშუალო ზომის აქვს ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში Tr. monoco. -ის ჩალას არ შეიძლება ჰქონოდა ისეთივე სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება (მოთუფრო, რომ აქ! ამის საჭიროება, ალბათ, არც იყო), როგორც აქ. რაჭასა და ლეჩხუმში ვხვდებით.

ბა-მგზავრობის დროს. კორკოტი კი, რომელიც შემორჩა უმთავრესად როგორც სარიტუალო დანიშნულების კერძი, სწორედ კილიანი ხორბლისაგან მზადდებოდა: დასავლეთ საქართველოში ზანდურისაგან, აღმოსავლეთში — ასლისაგან. ამავე დანიშნულებით (ძირითადად საკორკოტედ) მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც ითესებოდა ჩვენში ასლი ბოლო დრომდე. ამჟამად, აქა-იქ საკოლმეურნეო მიწებებში უმნიშვნელო ფართობები აქვს დათმობილი ამ მომავლევ კულტურას.

კილიანებს ახასიათებს სხვა საუკეთესო თვისებებიც: ისინი შიშველმარცვლიანებზე უფრო ამტანი, ჰავის მიმართ ნაკლებ მომთხოვნია, კარგად უძლებს ნესტსა და გვალვასაც; მეტად პლასტიურია და ადვილად ეგუება ზრდა-განვითარების ყოველგვარ, არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებსაც კი. ცუდ, ხრიოკ, ქვა-ლორღიან-ხირხატ თუ კირ-ქვიან ნიადაგებშიც კარგად გვარობს. ამასთან, უფრო ადვილდება მძიმე, პირშეკრულ მიწაში მოყვანილი კულტურის მოსავლის ზემოაღნიშნული წესით აღება — შამკვით კრეფა. მჩატე ნიადაგებში მოწეული ხორბლის თავთავის მოწყვეტა ადვილად გამოიწვევდა კოროლის ძირიანად მოგლეჩა-დაზიანებას, რაც შეუძლებელს გახდიდა მის გამოყენებას მშენებლობაში.

დიდი ფასი აქვს კილიანებს, როგორც სოკოვან დაავადებათა მიმართ იმუნიტეტის მქონე კულტურებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ჩელტა ზანდური. იგი მდგრადია სხვა დაავადებათა მიმართაც.

ამავე დროს, მახა საადრეო კულტურაა; შემოდის სხვა ჯიშებზე 1-2 კვირით ადრე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მოსავლის მოპოვების გლენხისათვის.

კილიანებთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო ქმედებათა წყება (კორკოტის დამზადება, წლის პირველი მოსავლის მახით შემოლოცვა, კოროლის გამოყენება ხალხურ დღეობა-დღესასწაულთა რიტუალებში და ა. შ.) სხვა რიგის ეთნოგრაფიულ მასალასთან (კილიანებთან დაკავშირებული შრომის პროცესები და იარაღები) ერთად. არქეოლოგიური და ბოტანიკური მონაცემების გვერდით, თავის მხრივ, მიგვანიშნებს ჩვენში კილიანთა კულტურის სიძველეზე. მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ამ ძნელადდასამუშავებელი მარცვლეულის დადებით თვისებებსა და რაციონალურ მოხმარებას, რამაც განაპირობა როგორც მათი გამოყენება საკულტო წეს-ჩვეულებებში, ისე თითქმის ბოლო დრომდე შემორჩენა ყოფაში.

თანამედროვე საბჭოთა მეურნეობის წინაშე აღარ დგას ამოცანა მთის რელიეფის პირობებშიც ყოველგვარი უხარისხო, სხვა პურეულისათვის გამოუსადეგარი ნიადაგების გამოყენება-ათვისებისა, აღარც კილიანთა, როგორც მშენებლობაში გამოსადეგ, საადრეო თუ სარიტუალო დანიშნულების კულტურათა მოყვანისა. ამ უკანასკნელებმა მთლიანად დაუთმო ასპარეზი ხორბლის უფრო ადვილდასამუშავებელ, მაღალკულტურულ ფორმებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბუნებრივი გარემოს მიმართ უპრეტენზიო, ჩვენი სამიწათმოქმედო ყოფის რელიქტები, მამაპაპური ხორბლის ჯიშები სადღეისოდაც ინარჩუნებს მნიშვნელობას მეცნიერული სელექციისა და ჰიბრიდიზაციისათვის. ისინი შესანიშნავი მასალაა ადგილობრივ პირობებთან შეგუებული, საუკეთესო თვისებების მქონე მაღალხარისხოვანი ჯიშების შესაქმნელად. ამ მხრივ მსოფლიო

ალიარება მოიპოვა ზანდურმა, რომელიც წარმატებით მონაწილეობს საბჭოთა თუ უცხოელი სპეციალისტების — სელექციონერებისა და გენეტიკოსების ექსპერიმენტებში.

შ ი შ ვ ე ლ მ ა რ ც ე ლ ი ა ნ ი ხ ო რ ბ ა ლ ი. საქართველოში დამოწმებულია ხორბლის ადგილობრივი, მაღალგანვითარებული ფორმების, შიშველმარცვლიანთა იშვიათი სიმდიდრე და ნაირგვარობა. შიშველმარცვლიანთა რიგს განეკუთვნება ტრიტიკუმების ევოლუციის ისტორიაში უძველეს სახეობად მიჩნეული რ ბ ი ლ ი ხ ო რ ბ ა ლ ი (Tr. vulgare Vill.)⁶, რომელიც საქართველოს მემინდერობაში ოდითგანვე ერთ-ერთი ძირითადი, უმთავრესი კულტურა იყო. მის ვარიაციათა იშვიათი სიმრავლეა დამოწმებული ამ სახეობის წარმოქმნა-განვითარების ერთ-ერთ ძირითად კერად მიჩნეულ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალისა თუ თითქმის ბოლო დრომდე ყოფაში შემორჩენილი ნიმუშების სახით.

დასავლეთ საქართველოს ნეოლითური და აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითური ზანის განათხარ მასალებში, სხვა მარცვლეულთან ერთად, აღმოჩენილია რბილი ხორბლის ნაშთები, რაც ჩვენში ამ კულტურის უძველესი დროიდანვე (ძვ. წ. ა. V ათასწ.) გავრცელების მათუწყებელია. შემდეგ, შედარებით მოგვიანო, მაგრამ მაინც ადრეული ხანიდან (V ს.) მოყოლებული და ჩვენი დროით დამთავრებული გვხვდება წერილობით ძეგლებში ხორბლის ამ სახეობის გავრცელების მანიშნებელი ცნობები.

ქართულმა წერილობითმა წყაროებმა და ყოფამ შემოინახა რბილი ხორბლის ადგილობრივი სახელწოდებები: ი ფ ქ ლ ი, ი რ ქ ი (მეგრ.), ი თ ქ, კ უ ე ც ე ნ (სვან.) ყ ა ნ ა, ა ნ ე უ ლ ი, პ უ რ ი, ძ ვ ე ლ ი პ უ რ ი ა ნ ძ ვ ე ლ თ ე ს ლ ი (პ უ რ ი), ქ ა რ თ უ ლ ი პ უ რ ი, დ ო ლ ი ს პ უ რ ი ა ნ დ ო ლ ი (თ ე თ რ ი, წ ი თ ე ლ ი, შ ი ნ დ უ რ ი), დ ე დ ა ლ ი პ უ რ ი, წ მ ი ნ დ ა, უ ფ ხ ო პ უ რ ი, უ ფ ხ ო, ხ ო ტ ო რ ა, ხ უ ლ უ გ ო, ხ ო ზ ო, ხ უ ზ ა ლ ა, პ ო შ ო ლ ა, გ ო მ ბ ო რ უ ლ ა და სხვ. მათი ანალიზი იძლევა ჩვენში ხორბლის კულტურის ისტორიის შესწავლისათვის მეტად ფასოვან მონაცემებსა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას, სახელდობრ, სახელწოდებების — ძველთესლი, ძველი პური, ანეული და ყანა შესწავლა-ანალიზმა გამოავლინა ჩვენი მიწათმოქმედების ისტორიიდან ის საყურადღებო ფაქტი, რომ საქართველოში პურეულის მოყვანის თავდაპირველი წესი იყო შემოდგომაზე თესვა. საშემოდგომო იყო ხორბლის უძველესი ქართული ჯიშები, მათ შორის რბილი ხორბლის სახეობის, ამ უმთავრესი აბორიგენული კულტურის წარმომადგენელიც — ი ფ ქ ლ ი.

რბილი ხორბლის ჩვენში გავრცელებული სახელწოდებებიდან ი ფ ქ ლ ი უძველესია. იგი იხსენიება დაბადებისა თუ სახარებათა ქართულ თარგმანებში, გ. მერჩულეს თხზულებასა და არა ერთ უფრო გვიანი ხანის ძეგლში. და თუმცა დროთა განმავლობაში სიტყვა იფქლი შეცვალა სხვა ტერმინებმა, იგი ბოლო დრომდე შემორჩა (ზოგჯერ შინაარსშეცვლილი) წერილობით წყაროებსა თუ მთის ზონის მოსახლეობის ყოფაში.

ძველი წერილობითი წყაროების მონაცემთა და ყოფაში დამოწმებული ეთნოგრაფიული თუ ლექსიკური მასალის ანალიზმა გამოავლინა, რომ სი-

⁶ მისი ვარიაცია დამოწმებულია წინააზიაში ძვ. წ. ა. VII ათასწლეულის განათხარ მასალაში.

ტყეას — იფქლი ჰქონია ზოგადად ხორბლის მნიშვნელობა (სიტყეას — იფქლი — ამგვარივე გაგებით მოგვიანოდ ჩაენაცვლა სახელწოდება პური). ხოლო მას შემდეგ, რაც დროთა განმავლობაში მეურნეობის განვითარებასთან ერთად ცხოველების მოთხოვნილებათა შესაბამისად ხალხურმა სელექციამ გამოიმუშავა ხორბლის საგაზაფხულო ჯიშებიც, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, სახელწოდება იფქლი იქცა აგრეთვე რბილი ხორბლის საშემოდგომო ჯიშების გამომხატველადაც. მაგრამ, რამდენადაც იფქლი ინარჩუნებდა ზოგადად ხორბლის მნიშვნელობასაც, საქირო გახდა ამ მარცვლეულის საშემოდგომო ჯიშების შესატყვისი სახელწოდების შემოღებაც. ეტყობა, ეს მისია დაეკისრა სახელწოდებას დოლი ან დოლის პური, რომლის პირველი ხსენება დამოწმებულია IX ს. ძეგლში. იფქლმა კი შეინარჩუნა ზოგადად რბილი ხორბლის მნიშვნელობაც, რისი მოწმობაა მთის ზოლში დღესაც რბილი ხორბლის საგაზაფხულო ნათესების იფქლად მოხსენიება. თუმცა ამ შემთხვევაში დადასტურებულია სახელწოდებისათვის — იფქლი ზოგჯერ საგაზაფხულოობის გამომხატველი მსაზღვრელის — დიკა — დამატება (დიკა იფქლი, რაც ნიშნავს — საგაზაფხულო იფქლი, ანუ რბილი ხორბლის საგაზაფხულო ჯიშ)? ამასთან, ამ ნათესებს ეწოდება ახალთელიც (რაც ისევ საგაზაფხულოს აღმნიშვნელია).

საქართველოში გავრცელებული რბილი ხორბლის ჯიშები (ვარიაციები) და ფორმები ურთიერთისაგან განსხვავდება არა მარტო საშემოდგომობა-საგაზაფხულოობის ბიოლოგიური ბუნებით ანუ განვითარების საშემოდგომო და საგაზაფხულო ციკლით, არამედ მორფოლოგიური ნიშან-თვისებებითაც. ერთ-ერთი ამგვარი ნიშანია თავთავის ფხიანობა თუ უფხოობა. რბილი ხორბლის უფხო ჯიშების სახელწოდებებია: უფხო პური, ხულუგო || ხულგო, პოშოლა, ხოზო, ხუზალა, ნიქსავრა, გომბორულა და სხვ. ხოლო თავთავის, თავთუნის, ფხისა და თვით მარცვლის ფერის გათვალისწინებით რბილი ხორბლის ვარიაციებს შერქმევია — თეთრი დოლი, წითელი დოლი ან წითელი პური, შინდური დოლი ან უშავხა და სხვ.

საქართველოში გავრცელებული რბილი ხორბალი (იხ. რუკა 10) გამოირჩევა განსაკუთრებული პოლიმორფიზმით. დამოწმებულია მისი 32 ვარიაცია და 100-ზე მეტი ფორმა, რომელთა უმეტესობა გამოიმუშავებულია ყოველი კონკრეტული მიკრორაიონისა და მიკროჰავის თავისებურებათა გათვალისწინებით. რბილი ხორბალი ჩვენში პირველ ადგილზეა გავრცელების მხრივ და მისი ჯიშ-ვარიაციები ქმნის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხორბლის ნათესების ძირითად ფონს⁷. მხოლოდ იგი გვხვდება მემინდვრეობის გავრცელების ყველა სარტყელში — დაწყებული უდაბლესიდან და უმაღლესი ზონით დამთავრებული. სრულიად განსხვავებულ კლიმატურ-ოროგრაფიულ პირობებს შეგუებული რბილი ხორბლის ფორმები გვარობს როგორც ცხელი, ისე ხმელთაშუაზღვის ტენიან სუბტროპიკულ, თუ მთის სტეპებისა და ცივი ჰავის ზონაში (იხ. რუკა). ამის მიხედვით, სპეციალისტები განარჩევენ ხუთ მორფოფიზიოლოგიურ ეკორასას:

⁷ ზოგჯერ სახელწოდება დიკა-იფქლი იმ ფაქტის გამომხატველია, რომ იფქლის ნათესი გვხვდება დიკასთან პოპულაციაში. ამ შემთხვევაში იფქლი საგაზაფხულო ნათესია რბილი ხორბლისა.

⁸ იმერეთ-გურია-სამეგრელოში, სადაც მემინდვრეობაში წამყვანი ადგილი ეკავა ფეტვანარ პურულს, ხორბალი მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც ითვისებოდა გარკვეული შემთხვევებისათვის აუცილებელი საქიროების დასაკმაყოფილებლად.

1. ქართული ხორბლეულის მშრალი სტეპების ეკორასა (*Siccocampes-
tre Flaksb.*), რომელშიც შედის განვითარების სანეულო, ნახევრადსანეულო და
საგაზაფხულო ციკლის მქონე თეთრ და წითელთავთა ფხიანი (თეთრი და
წითელი დოლი) და უფხო (გომბორულა, პოშოლა) ვარი-
ანტიები. ისინი გავრცელებულია ქართლის ტყე-სტეპებსა და კახეთის სტეპების
(საგარეჯო-სიღნაღი, კაჭრეთ-წითელი წყარო) ზონაში ზღვის დონიდან 700—
1000 მ ფარგლებში. თავისი გავრცელების ზონაში ამ ეკორასის ფხიანი საშე-
მოდგომო წარმომადგენლები ჯობნის საუკეთესო საკავშირო სელექციურ ჯიშებს,
ყველაზე მდგრადია, ამტანია არახელსაყრელი ბუნებრივი გარემოს მიმართ,
უძლებს გვალვასა და ცხელი, მშრალი ქარების მოქმედებას.

2. ქართული რბილი ხორბლის ტყიანი შუამთის ზოლის ეკორასის (*Proles-
medio-montano-silvaticum Men.*) წარმომადგენლები უმთავრესად საშემოდგომო
ჯიშებია (თეთრი და წითელი დოლი პური), რომლებიც გამოირ-
ჩევა ყინვაგამძლეობით. გვხვდება საგაზაფხულო ფორმებიც (დიკა-იფქლი,
ახალთესლი). გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტყიანი მთის ზონაში
ზღვის დონიდან 1250—1350 მ სიმაღლემდე. უკავია მესხეთის, ქართლის შუა-
მთის ზონის (დმანისი, თეთრი წყარო, მანგლისი, თიანეთი, დუშეთი), სამხრეთ
ოსეთისა და კახეთის ყანები.

3. კახეთის ხორბლის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული შტო (*Proles mesoca-
cheticum Men.*) აერთიანებს კახეთის ტყიანი ზონის ხორბლეულს, რომელთა
გავრცელების არეა ზღვის დონიდან 750—850 მ-მდე მინდვრები ლაგოდეხის,
ყვარლის, თელავისა და ნაწილობრივ ვურჯანის რაიონებში. აქ მეტადაა გავრცე-
ლებული განვითარების საგაზაფხულო და ნახევრად საშემოდგომო ციკლის
მქონე უფხო ჯიშების შემდეგი ვარიანტიები: რაჭულა, გელათურა,
უფხო, ხოტორა, ხულუგო, გრძელთავთავა. ფხიანი საშემოდ-
გომო ჯიშებიდან კი ითვლება (ძნელად საღეწი) დოლის პური, თეთრი
დოლი, შემოდგომის პური.

4. კოლხური ხორბლის შტო (*Proles colchicum Men.*). თავისი ბუნებით ამ
ჯგუფის წარმომადგენლები ახლოს ადგას კახური ეკორასის ხორბლეულთან.
მაგრამ, ამასთანავე, მთელი რიგი განსხვავებული ნიშან-თვისებების გამო, ცალკეა
გამოყოფილი. კოლხური ხორბლეულს ახასიათებს მკვეთრად გამოსახული საშე-
მოდგომოობა, კარგი ყინვაგამძლეობა და იაროვიზაციის გრძელი პერიოდი.
გვხვდება საგაზაფხულო ფორმებიც. დამოწმებულია ადგილობრივ გავრცე-
ლებული ხორბლეულის შემდეგი სახელწოდებები: იფქლი, პური, ძველი
პური, ჩვენებური პური, შინაური პური, წმინდა პუ-
რი, დოლის პური, ხულუგო, პოშოლა.

5. მაღალმთის ხორბლის ეკორასა (*Proles hypermontaneum Men.*), რომლის
ვარიანტიები ითვლება ზღვის დონიდან 1400 მ ზევით და აღწევს მემინდვრეობის
უკიდურეს მაღალ საზღვარს (2100—2300 მ-ს ზღვ. დონიდან). ამ ჯგუფის ჯიშო-
ბრივი შემადგენლობა შეზღუდულია. ძირითადად გვხვდება 1—2 პოპულაცია,
რომელიც მოიცავს 2 სახეობრივ კომპონენტს—*Tr. vulgare*-ს და *Tr. ibe-
ricum*-ს, ე. ი. ესაა რბილი ხორბლისა და დიკის⁹ ნათესა ნარევი, ცნობილი
სახელწოდებით — დიკა ჯავახური და დიკა-იფქლი. განსაკუ-

⁹ დიკის შესახებ იხ. ქვემოთ.

თრებული ოროგრაფიულ-კლიმატური პირობების შესატყვისად ეს ხორბლები საგაზაფხულო ჭიშები. გავრცელებულია წალკა-ჯავახეთისა და დიდი კავკასიონის არეში.

ჩამოთვლილი ვარიაციებიდან, ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენს მემინდვრობაში დომინირებდა ფხიანი საშემოდგომო ჭიშები, რომლებიც წარმოადგენს ხორბლეულის გავრცელების ძირითადი ზონების (დაბლობი, მთის ძირი და მთის შუა ზოლი) მთავარ კულტურას. ამ ჭიშებიდან გავრცელების მხრივ პირველ ადგილზე იყო დოლის პური (ტაბ. IV, ფ. 3)—ქართული მიწათმოქმედის მრავალსაუქუნოვანი შრომისა და მოღვაწეობის, გულმოდგინე შერჩევის შედეგად შექმნილი ხორბალი. მისი ვარიაციები ხშირ შემთხვევაში გამოყვანილია ამა თუ იმ მიკრორაიონის ბუნებრივი გარემოს თავისებურებებთან შეფარდებით და ქმნის გარკვეულ—როგორც სარწყავი, ისე უარწყავი ოლქებსათვის, ცხელი, ტენიანი თუ მთის რეგიონებისათვის ჩამოყალიბებულ — ეკოტიპებს, ასეთებია, მაგალითად, თიანეთური დოლი, მესხური დოლი, კახური დოლი და სხვ.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მონაცემები დოლის პურს — ამ ყველაზე პოლიმორფულ, რთული ბოტანიკური შემადგენლობისა და საინტერესო, ნაირგვარ პიბრიდთა შემცველ ჭიშს — ახასიათებს. როგორც შესანიშნავ, მაღალხარისხიან ხორბალს, რომელიც მრავალი ნიშანთვისებით ჯობია საუკეთესო სტანდარტულ ჭიშებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქართლში ყველაზე კოსმოპოლიტური და მეტი ფართობის მომცველი თეთრი დოლი¹⁰ — გარემოს კარგად შეგუებული, მალე შემომსვლელი და მაღალხარისხიანი ამ ხორბლის ვარიაციები ნაკლებ მომთხოვნია ბუნებრივი პირობების მიმართ; სხვა ჭიშებზე უკეთ უძლებს ამინდის ცვალებადობას, ტემპერატურის მერყეობას, ზამთრის ყინვებსა და ზაფხულის გვალვას; არ უჩნდება გულდაფშუტა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მისი თესვის ვადები ზუსტად იქნება დაცული. ამ მხრივ დოლის პური თავისებური, განსხვავებული ჭიშია. თუ საქართველოში ცნობილ ხორბალთა უმეტესობა ორბუნებოვანია, ახასიათებს განვითარების როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ციკლი, თუ სხვა საშემოდგომო ჭიშები ითესება როგორც გვიან შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზეც, დოლი ამ მხრივ საგანგებო პურეულია. იგი მხოლოდ და მხოლოდ საშემოდგომო ჭიშია. გაზაფხულზე ნათესი ვერ გვარობს და უნდა დაითესოს უეჭველად ადრე შემოდგომაზე (აგვისტოს მეორე ნახევრიდან—ოქტომბრის პირველ ნახევარში რაიონების მიხედვით), რათა მოასწროს აჯეჩილება და ფესვმომადგრებელი შეხვდეს ზამთარს. გვიან დათესილი ველარ ბარტყობს, გაცილებით უფრო სუსტი და ნაკლებ საიმედო ნათესი ამოდის, ერევა გულდაფშუტა. ამ ჭიშის ეს თვისება აისახა მის სახელწოდებაში: დოლის პური, რაც ნიშნავს გარკვეულ ვადაზე დასათეს პურს. მარცვლეულთან დაკავშირებით სიტყვა დოლი, ხალხური გააზრებით, საშემოდგომოს აღმნიშვნელადაა მიჩნეული.

დოლის პური კარგად ეგუება მძიმე, ღარიბ ნიადაგებს, გვარობს სარწყავ და უარწყავ ზონებშიც. თუმცა სარწყავში მოსული დოლის პურს მარცვალი უფ-

¹⁰ ჩვეულებრივ, დოლის პურის ნათესებში შერეულია თეთრი და შითელი ვარიაციები. თუ პოპულაციაში ქარბობს თეთრთავთა ფორმები, მას თეთრი დოლი ეწოდება, თუ არა და — შიოთელი.

რო მსხვილი, მსუყეა და მოსავალიც კარგი აქვს, მაგრამ თვით პურის ხარისხის, გემო-სურნელისა და ცხობისუნარიანობის თვალთახედვით მოსახლეობა ურწყყავის მოსავალს ამკობინებს. ამიტომ, დოლის პურის ყანებს უთმობდნენ მეტად მცირე სარწყავ ფართობს.

დოლის პურს ახასიათებს ძლიერი დაბუჩქება, ჩაცვენისადმი, აოდვისა თუ ზოგი დაავადების მიმართ მდგრადობა და, შესატყვისად, მოსავლის არმოცდენის, მოწვევის მეტ გარანტიას იძლევა. ამიტომ, ხშირად არახელსაყრელი ამინდის დროს იგი მოსავლიანობით ჭარბობს კიდევ ჩორბლის სხვა, უხვმოსავლიან ფორმებსაც. დოლის პური ძლიერი ჭიშია. იგი თავისი გავრცელების ზონებში არა თუ არ უთმობდა პირველობას სხვა ხორბალს, არამედ ძლიერი დაბუჩქების უნარისა და გარემოპირობებთან უკეთ შეგუების შემწეობით ჩაგრავდა კიდევ ქართლის და ბაზოლისათვის, განსაკუთრებით, ქვემო ქართლის ზოგი რაიონისათვის (ბოლნის-მარნეული, გარდაბანი, თბილისის შემოგარენი) მთავარ კულტურად მიჩნეულ თავთუხს¹¹. ამ უკანასკნელის ყანები 2-3 წლის ზედიზედ შემოდგომით თესვის შემთხვევაში გადაჯიშდებოდა — „გადადოლდებოდა“ ხოლმე.

დოლის პურს ახასიათებს აგრეთვე მაღალი დაფქვისა და ცხობისუნარიანობა. იგი ზელაში იმატებს. მისი ცომი ძარღვიანი, ლევიანი, გამწევი. მისგან ცხვება მეტად გემრიელი, სურნელოვანი პური, რომელსაც სირბილეს მატებდა მისი ნათესების დამსარეელიანებელი ქვაგი (უპირატესად მთაში) და მახობელა (უპირატესად ბარში). ამის გამო ამ უკანასკნელთ, შიუხედავად იმისა, რომ ისინი გამომცხვარ პურს ამუჭებდა, მცირე ოდენობით გლეხი შეგნებულად ურევდა დასაფქვადად გამზადებულ დოლის პურს. სწორედ დოლის პურის განსაკუთრებული სირბილის გამოა, რომ მის ფქვილს ხმარობდნენ თათარისა და ჩურჩხელეებისათვის.

დოლის პურს ახასიათებს ზოგი არასახარბიელო თვისებაც: ჩაწოლა, ძნელად ფშვნადობა; ქართლის დოლი ავადდება ყანგათი. თუ ზოგი რაიონის დოლის პური მსხვილმარცვლიანია (თიანური), ზოგი შედარებით წვრილმარცვლიანია. მაგრამ იმდენად უმნიშვნელოა ეს ნაკლი, რომ ვერ ჩრდილავს ზემოჩამოთვლილ მის დადებით თვისებებს, რომლებმაც განაპირობა ამ კულტურის უპირატესი როლი ქართველთა მეურნეობაში და რომელთა გამო მას, როგორც ჩვენი შემინდვრობის მთავარ, უხვმოსავლიან, მაღალხარისხიან, გამძლე, გარემოპირობებთან შეგუებულ ჭიშს, ხალხმა დედალი პური შეარქვა. ამავე თვისებების გამოა, რომ დოლის პურთან ერთად სხვა ჭიშების გავრცელების შემთხვევაშიც სარიტუალო დახიმწელებისათვის — სანათაუროდ (ზედაშედ) ინახავდნენ სწორედ დოლის პურს.

დოლის პური, ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის რაიონების ხორბალია. დოლის პურის გავრცელების არეში მისი თანხლები მატერიალური კულტურის ელემენტებია: ქართული დიდი გუთანა, ნამგალი, კევრი და თორნე.

დასავლეთ საქართველოში დოლის პური გვხვდება, მაგრამ მცირე ფართობზე. დამოწმებულია სვანეთში, აგრეთვე რაქაში, აქარაში (შედარებით დაბალ ზონაში და ისიც ნაკლებმოსავლიანია).

დასავლეთ საქართველოს ნათესებში გავრცელებული რბილი ხორბლის

¹¹ თავთუხის შესახებ იხ. ქვემოთ.

საშემოდგომო ვარიაციები ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: ი ფ ქ ლ ი, იგივე ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი პ უ რ ი, შ ი ნ ა უ რ ი პ უ რ ი, ძ ვ ე ლ ი პ უ რ ი, შ ე - მ ო დ გ ო მ ი ს პ უ რ ი, პ უ რ ი, ტ რ ე დ ი ს ფ ე რ ა, ყ ი რ მ ი ზ ი და ს ს ე.

ი ფ ქ ლ ი ც (იგივე პური) ხასიათდება კარგი ცხობისუნარიანობითა და მაღალმოსავლიანობით; მსხვილმარცვლიანია და თავთუნში აქვს მარცვლების დიდი რაოდენობა. იგი ტენისმოყვარული, ტყის ზოლის მცენარეა, შედარებით საგვიანო ჯიშია.

დასავლეთ საქართველოში იფქლი შესატყვისება ამ სახელწოდებისა და ხორბლის ამ ჯიშის თავდაპირველ მნიშვნელობას (რბილი ხორბალი) და ბუნებას (იგი საშემოდგომოა), აღმოსავლეთ საქართველოში შემორჩენილი ეს სახელწოდება მოწმდება ასევე რბილი ხორბლის ნათესებთან კავშირში, ოღონდ აქ იგი გაზაფხულზე ითესება. ე. ი. მომხდარა ხორბლის ძველქართული ჯიშის შეგუება მაღალმთიან ზონებთან, მისი ბუნების საგაზაფხულოდ გადაკეთება. ხოლო ხორბლის ძველქართული სახელის — იფქლი — აქ შემორჩენა მოწმობა უნდა იყოს იმისა, რომ მთის მაღალი ზონის სამიწათმოქმედოდ ათვისებაც შორეულ წარსულს განეკუთვნება.

აღმოსავლეთ საქართველოს იფქლი ზიანდება სოკოვანი დაავადებით. საგაზაფხულო იფქლი ხშირად მთის ხორბლის — დიკის ნათესებშია შერეული (წალკა-თრიალეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი — ზემო ფშავ-ხევსურეთი).

ბოლო ხანებში შემოვიდა ა დ ე ს ი ს სახელით ცნობილი რბილი ხორბალი, რომელმაც ადგილობრივ მეურნეობაში ვერ მოიკიდა ფეხი.

თითქმის მთელ საქართველოშია ცნობილი რბილი ხორბლის ჯგუფის უფხო წარმომადგენლებიც, რომელთა გავრცელებას არე და სათესი ფართობი შედარებით შეზღუდულია. გვხვდება ამ ხორბლის წითელი და თეთრი ვარიაციები, საშემოდგომო და საგაზაფხულო ფორმები. ამასთან, მისი საგაზაფხულო ფორმები უკეთ გვარობს შემოდგომაზე დათესილი (რაშიც, ეტყობა, მეღვენდება მიდრეკილება მისი თავდაპირველი ბუნებისაკენ).

ხ უ ლ უ გ ო (ტაბ. IV, ფ. 4) ტენისმოყვარეა, ვერ უძლებს გვალვას, ამიტომ, ცუდად გვარობს აღმოსავლეთ საქართველოში (აქ იგი ცნობილია სახელწოდებებით: რ ა ჭ უ ლ ა, ჩ ო ტ ო რ ა, უ ფ ხ ო). კარგია მისი ნათესები რაჭა-ლეჩხუმში. შესაფერისი ამინდის შემთხვევაში იგი მაღალმოსავლიანია. ხულუგო მსხვილმარცვლიანი, დიდთავთავა, გემრიელი, თეთრი პურის მომცემი ჯიშია, ოღონდ უფხოობის გამო ადვილცვენადი და მავნებელთაგან ძნელი დასაცავია. მისი პურიც, ისევე როგორც დოლისა და იფქლის, ძარღვიანია.

პ ო შ ო ლ ა, იგივე უ ფ ხ ო ა ნ ა ხ ა ლ თ ე ს ლ ი, გვხვდება დასავლეთ საქართველოშიც (რაჭა-ლეჩხუმი), მაგრამ მისი გავრცელების ძირითადი არეა აღმოსავლეთი საქართველო. იგი ბარაქიანი, უხემოსავლიანი ხორბალია, ოღონდ ქარიან ადგილებში ვერ გვარობს, იბერტყება. ადვილად ცვივა ბუდიდან დამწიფებისასაც და მოითხოვს უეჭველად დროულად მომკას.

საქართველოში დამოწმებულია აგრეთვე რბილი ხორბლის ქვეჯგუფის — ე. წ. ქ ო ნ დ ა რ ა ხ ო რ ბ ლ ი ს (*Tr. compactum* Host.) წარმომადგენლები. ამ ჯიშის უძველესი ნაშთები, დათარიღებული ძვ. წ. ა. V ათასწლეულით, აღმოჩენილია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. მაგრამ ეტყობა, ჩვენში ამ ხორბალს არ ჰქონია დამოუკიდებელი სამეურნეო მნიშვნელობა, არ იყო ცნობილი მისი

ცალკე ნათესები. იგი მხოლოდ მინარევის სახითაა დამოწმებული როგორც რბილი ფხიანი, ისე მაგარი ხორბლის ნათესებში (უფხოს ნათესებში არაა). ამიტომაც, ქართველთა ლექსიკაში არ მოწმდება მისი ადგილობრივი ხალხური სახელი. მხოლოდ ბოლო დროს სპეციალისტებმა ზოგ რაიონში (თეთრი წყარო, დმანისი, თბილისის შემოგარენი) უმნიშვნელო ფართობზე დაამოწმეს რამდენიმე ნათესი „კარახანას“ ან „კამჩატკას“ სახელით ცნობილი ქონდარა რბილი ხორბლისა, რომელსაც სამხრეთიდან შემოტანილად თვლიან.

რბილი ხორბლის ნათესებში ბუნებრივი მინარევის სახით მოწმდება აგრეთვე ჰეავის გავრცელება. თუმცა ზოგ შემთხვევაში ადგილი ჰქონია ამგვარი (დოლჰეავი), ისევე როგორც ქერისა და ხორბლის (ქერჭრელი) შერეული ნათესის შეგნებულად კულტივირების პრაქტიკასაც. ამ უკანასკნელის ფესვები შორეული წარსულიდან მომდინარეობს და იგი ერთ-ერთ საყურადღებო აგროტექნიკურ ღონისძიებადაა მიჩნეული.

თვით შერეული ნათესების მოსავლის, ისევე როგორც ცალ-ცალკე დათესილი და შემდეგ ერთმანეთში არეული ხორბლისა და ქერის ან ხორბლისა და ჰეავის ფქვილისაგან გამომცხვარი პური ქართველი მეურნის ყოველდღიური საკვები იყო. სუფთა, ჰეავ ან ქერშეურეველი ხორბლის მარცვალსა და ფქვილს, უმთავრესად, იყენებდნენ საგანგებო შემთხვევებში — კორკოტ-წანდილისათვის, ხინჯლისათვის, პურისა, ქადა-ხაჭაპურისა და სხვა ამგვარი ნამცხვრებისათვის, სტუმრიანობა-დღესასწაულების დროს და სარიტუალო დანიშნულებით.

ქერშერეული ან ჰეავშერეული მარცვლისა და ფქვილისაგან (ქერჭრელი) განსხვავებით, სუფთა ხორბლის მარცვალსა და ფქვილს, თუ მისგან გამომცხვარ პურს შეერქვა წ მ ი ნ დ ა. ეს სახელწოდება მოწმდება ძველქართულ წერილობით ძეგლებში; ყოფამ კი ბოლო დრომდე შემოგვინახა იქ, სადაც ქერშერეული ან ჰეავშერეული ხორბლის ნათესები იყო გავრცელებული და ცხვებოდა შერეული ფქვილის პური. ხორბლისა და ფქვილის მნიშვნელობით სიტყვის — წშიხდა — ხმარება სახელწოდებასთან — ქერჭრელი — დაპირისპირებით წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ აისახა ქართული ენის ლექსიკაში ჩვენს სამიწათმოქმედო ყოფაში ოდითგან დანერგილი გონივრული აგროტექნიკური ღონისძიება — შერეული მარცვლის თესვა.

რბილ ხორბალს მორფოლოგიურად ემსგავსება საქართველოს მემინდვრეობის მეტად საინტერესო და უძველესი კულტურა, სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველად *Tr. persicum*-ის სახელით შესული დიკა (ტაბ. VI, ფ. 5), რომელმაც მკვლევართა საგანგებო ყურადღება მიიპყრო. სპეციალური კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დიკა გენეტიკურად მაგარი ხორბლის ჯგუფს განეკუთვნება და რომ იგი ენდემურია საქართველოსათვის. ამიტომ, მას შესატყვისად ეწოდა *Tr. ibericum*.

დაბადების ქართულ თარგმანში მოხსენიებული ხორბლის ამ სახეობის ჩამოყალიბებას ადგილი ჰქონდა საქართველოს მთის მიწათმოქმედების პირობებში. დიკა ადგილობრივი მეურნეობის ხალხური სელექციის საუკეთესო ნიმუშია. მთაგორიანი საქართველოს პირობებში, ადგილობრივი მიკროკლიმატის გავლენისწინებით, მაღალი მთის ზონის საცხოვრებლად და, შესატყვისად, სამეურნეოდ ათვისებამ განაპირობა ხორბლის სავაზაფხულო ჯიშების შექმნა-გამოყვანა. ამიტომაც, დიკის სახით ჩამოყალიბდა ეკოლოგიურად მთის პირობებს

შეგუებული, საგაზაფხულო ფხიანი ხორბალი, რომელიც ბატონობს იმ არეალში, სადაც გეოგრაფიული გარემოს გამო შეუძლებელია პურეულის ძველქართული საშემოდგომო ჭიშების მოყვანა.

პურეულს შორის გავრცელების მასშტაბების მხრივ დიკას მეორე ადგილი უკავია (იხ. რუკა 10) რბილი ხორბლის ფორმების შემდეგ. მისი ნათესები გვხვდება ზღვის დონიდან 750 მ-ის სიმალიდან. მაგრამ დიკის გავრცელების ძირითადი არე მაინც ზღვის დონიდან 1000 მ-დან იწყება: 1500—2000 მ შორის ზონაში მას გაბატონებული ადგილი უკავია. ამაზე ზევითაც, ხორბლის გავრცელების უკიდურეს საზღვრამდეც (2300 მ), დადასტურებულია დიკა, ოღონდ ამ არეალში იგი უკვე აღარაა დამოუკიდებელი ნათესების სახით, არამედ წარმოდგენილია რბილი ხორბლის საგაზაფხულო ფორმებთან შერეულად. რბილი საგაზაფხულო ხორბლისა და დიკის ერთ-ერთი ასეთი პოპულაცია ცნობილია ჯ ა ვ ა ხ უ რ ი დ ი კ ი ს სახელწოდებით. საგაზაფხულო ხორბლის ნათესთან ამდაგვარ ცენოზში (Tr. ibericum და Tr. vulgare Vill.) თანაფარდობა, ჩვეულებრივ, ცვალებადია.

დიკა ფორმათა დიდი მრავალგვარობით გამოირჩევა. იგი იყოფა მთიანი ტყის ზოლისა და მთა-სტეპის ეკოტიპებად. ამათგან, პირველი შეფარდებულია კავკასიის მთავარი ქედის ქვედა ტყის ზოლთან (900—1400 მ) და ჰომოპულაციაში ქარბობს გვიანშემომსვლელი შავთავთავა (Tr. fuliginosum Zhuk.), ნაკლებ გვალვაგამძლე ფორმები. მისი სუფთა ნათესებია ფშავეში. იგი ფონს ქმნის თრიალეთის, მანგლის-მარნეულის ნათესებში, ხოლო მეტ-ნაკლები მინარევის სახით გვხვდება დიდი კავკასიონის კალთებზე განლაგებულ ბევრ რაიონში, სვანეთში, ენგურის, ყვირილის, პატარა ლიახვისა და რიონის ხეობებში. მეორე ეკოტიპის პოპულაციაში კი ქარბობს უფრო გვალვაგამძლე და ადრემომსვლელი, უპირატესად წითელთავთავა ვარიანტიები (Tr. rubiginosum Zhuk.). იგი ყველაზე მეტად გავრცელებულია და გაბატონებული ფორმაა და დიკის გავრცელების არეში ქმნის ნათესთა ძირითად ფონს (მესხეთ-ჯავახეთი, ბაკურჩიან-ბორჯომის რაიონი, წალკა-თრიალეთი, ქართლი, სამხრეთ ოსეთი, ფშავეხესურეთ-მთიულეთი, თუშეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი).

დიკის თეთრი სახესხვაობა (Tr. stramineum Zhuk.) ნათესებში მხოლოდ იშვიათი მინარევის სახითაა დამოწმებული თრიალეთში, რიონის, პატარა ლიახვის, ენგურისა და ყვირილის ხეობებში, ერწო-თიანეთში, ღუშეთისა და მანგლის-მარნეულის რაიონებში.

ბიოლოგიურად Tr. ibericum მხოლოდ საგაზაფხულო ფორმაა (ისევე როგორც დოლის პური—საშემოდგომო) და ამიტომაც სახელწოდება დიკა იქცა ზოგადად საგაზაფხულოს აღმნიშვნელ ტერმინად და ამ მნიშვნელობით იგი მსაზღვრელად იხმარება სხვა კულტურათა მიმართაც. მაგალითად, დიკა-ქერი ნიშნავს საგაზაფხულო ქერს. ზოგჯერ გაზაფხულზე დათესილ თავთუხსაც და იფქლსაც დიკის სახელით იხსენიებენ. რეგიონებში კი, სადაც დიკა ბუნებრივი პირობების გამო ხორბლის ერთადერთი კულტივირებული სახეობაა, მის სახელწოდებას ზოგადად ხორბლის მნიშვნელობაც კი მიუღია.

ერთი მხრივ, ფაქტმა, რომ დიკის ნათესებში ხშირად იფქლია გარეული, მეორე მხრივ, კი დიკის თესვის ვადებმა ხელი შეუწყო ხალხურ აგროტექნიკაში ფეხმოკიდებულ ფრიად პრაქტიკულ ხერხს. სახელდობრ, ეთნოგრაფიული ყო-

ფაში დამოწმებულია შემთხვევები, როცა საქირო ხდებოდა ავბედობის შედეგად დაკარგული რბილი ხორბლის საშემოდგომო ჯიშის თესლის აღდგენა. ამისათვის მეურნე მიმართავდა დიკის შემოდგომაზე თესვას. და თუმცა მოსავალი დიდი არ მოდიოდა, მაგრამ სათესლედ საკმარის მარცვალს მაინც მოიწვედნენ ხოლმე. ამ სასურველ შედეგს აღწევდნენ იმის გამო, რომ დიკის ნათესებში შერეული რბილი ხორბალი ადვილად უბრუნდებოდა თავის თავდაპირველ, საშემოდგომო ბიოლოგიურ ბუნებას და თუ საგზაფხულო დიკა შემოდგომაზე დათესვისას უნაყოფო რჩებოდა, იფქლისაგან მიღებული მოსავალი იძლეოდა საშემოდგომო პურის თესლის აღდგენის საშუალებას.

საშემოდგომო ხორბლის გავრცელების არეში დიკა იშვიათად ითესება, ისიც, უმთავრესად, იმ შემთხვევაში, თუ რაღაც მიზეზის გამო მოცდა საშემოდგომო ნათესი. ამ არეალში იგი ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევს რბილ ხორბალს. ამ უკანასკნელთან შედარებით დიკა უხარისხო, წვრილმარცვალა, მცირემოსავლიანია, თესლი კი მეტი იხარჯება (გაზაფხულზე დათესილ ხორბალს დაბუჩქების სუსტი უნარი აქვს), მოითხოვს ღონიერ ნიადაგებს, მწირ მიწაში მის ნათესს ხშირად ღვარძლი ერევა და პური მათრობელა გამოდის; არაა მაწიერი, ნაკლებძარღვიანი, ფატარია და თონეში კუტად ვარდება. ამიტომაც იგი „ნაწილში არ არის“ და საკულტო დანიშნულებით არ გამოიყენება, თუმცა კი მისგან ტკბილი და გემრიელი პური ცხებება. სამაგიეროდ, ზონაში, სადაც საშემოდგომო ხორბალი ვერ გვარობს, არა მარტო შედარებით გვალვაგამძლეა, არამედ დაბალი ტემპერატურისა და მომეტებული ტენიანობის უკეთ ამტანიც. ამასთან უანგასა და სხვა დაავადებათა მიმართ იმუნიტეტის მქონე დიკა დიდად ფასობს მთის მოსახლეობაში. ადგილობრივ ბუნებრივ-ეკოლოგიურ პირობებს შეგუებული დიკა მაღალი მთის ზონის „მთავარი პურია“, საკულტო დანიშნულებითაც — „ბეგრად“ ის იხმარება. ამ რეგიონებში, როგორც აღინიშნა, იგი რბილ ხორბალთან მინარევის სახითაა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი კი აუმაჯობესებს მისგან მიღებული პურის ხარისხს, სირბილეს მატებს მას.

ცივი ჰავის პირობებში დიკა უკეთ მოდის ქერთან ცენოზში, ამიტომაც შერეული ნათესის ეს სახეობა — ქერდიკა — ფართოდაა ცნობილი ჩვენს მთიელთა მემინდვრეობაში.

დიკის თესვის ვადებია თებერვალ-მაისს შორის სეზონი გეოგრაფიული გარემოს, სიმაღლის გათვალისწინებით. შედარებით დაბალ ზონაში ადრეული, თებერვლის, ნათესი ითვლება საუკეთესოდ.

ნამდვილი ანუ შიშველმარცვლიანი ხორბლის გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელია მ ა გ ა რ ი ხ ო რ ბ ა ლ ი (Tr. durum), რომელსაც ჩვენში თ ა ვ - თ უ ხ ი ეწოდება. მეტ-ნაკლებად ბურუსითაა მოცული საქართველოში ხორბლის ამ სახეობის გამოჩენა-გავრცელების საკითხი. ივ. ჭავჭავიძის გამოკვლევით, ეს პურეული დაახლოებით XVII ს-ის დამდეგს ან ოდნავ ადრე უნდა იყოს ჩვენში შემოსული. ლ. დეკაპრელევიჩი თავთუხის ავტობიოგრაფიულ მათა განხილვის შედეგად აღიარებს Tr. durum-ის ჩვენში გავრცელების სიძველეს და ვარაუდობს, რომ მაგარი ხორბალი საქართველოში შემოვიდა XVII ს-ზე გაცილებით ადრე. ვლ. მენაბდის აზრით კი, ჩვენში უხსოვარი დროიდან ცნობილი დიკა მთის ჰავის პირობებში წინააზიური მაგარი ხორბლის დივერგენციის შედეგადაა მიღებული. აქედან გამომდინარე, Tr. durum უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოში. ეს ვარაუდი მართლ-

დება ქვ. ქართლის უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურ აღმოჩენებში დამოწმებული, ძვ. წ. ა. V ათასწლეულით დათარიღებული მაგარი ხორბლის ნიმუშებით. რაც შეეხება ჩვენში ტერმინის—თავთუხი—გავრცელებას, ვლ. მენაბდე განაკუთვნებს საქართველოს დაბლობ რაიონებში წინააზიური მაგარი ხორბლის შემოსვლის მეორად პერიოდს. ეს მეორადი პერიოდი, შესაძლებელია, მოდის სწორედ XVII ს-ზე, რომელსაც ემთხვევა ისტორიული ფაქტი—ქვემო ქართლში თურქულ-ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლება.

თავთუხის გავრცელების მასშტაბები საქართველოში შედარებით მცირეა. შეზღუდულია მისი გავრცელებაც არე გეოგრაფიული ზონალობის თვალთახედვითაც. თავთუხი უპირატესად დაბალი ზონის კულტურაა. ძირითადად გვხვდება ზღვის დონიდან 450—800 მ ფარგლებში. უფრო მაღლა ვერ გვარობს. მისი გავრცელების ზედა ზოლი ემთხვევა ვაზის კულტივირების საზღვარს (იხ. რუკა 10).

საქართველოში თავთუხი უმთავრესად აღმოსავლეთში გავრცელდა. მის სუფთა ნათესებს გაბატონებული ადგილი უკავია ბოლნის-მარნეულ-გარდაბნის რაიონებში. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება სხვა რაიონებშიც. გარდაბნის რაიონი და თბილისის შემოგარენი მაგარი ხორბლის ფორმაციიდან რბილისაყენ გარდამავალი ზონაა. დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ რაიონში, თავთუხი იშვიათად ითესება და უმთავრესად რბილ ხორბალში მინარევის სახითაა დამოწმებული.

საქართველოში გავრცელებული თავთუხი ფორმათა მრავალგვარობითაც არ გამოირჩევა. უფრო მეტად გვხვდება თეთრი, შავი ანუ შავთაველა და შავფხა ვარიაციები. აქედან თეთრი თავთუხის სუფთა ნათესები დამოწმებულია, უმთავრესად, მარნეულში. საერთოდ კი ჭარბობს შავთავთა და შავფხა ფორმები. სპეციალისტები საქართველოში გამოყოფენ თავთუხა ორ ეკო-მორფოლოგიურ ჯგუფს — ე. წ. ზემოქართლურს, ტყე-ველისათვის დამახასიათებელს და ქვემოქართლურს. პირველი აერთიანებს, უმთავრესად, სავაზაფხულო ფორმებს, რომლებიც შემოდგომაზე დათესილიც კარგად უძლებს ადგილობრივი ზამთრის პირობებს. გეოგრაფიულად ეს ჯგუფი შეფარდებულია ქართლისა და სამხრეთ-ოსეთის მიდამოებთან ზღვის დონიდან 500—900 მ-ის სიმაღლეზე.

ქვემო ქართლის ჯგუფი წარმოდგენილია ნახევრადსაშემოდგომო და საშემოდგომო ფორმებით, რომლებიც უფრო სარწყავ ადგილებში მოყავთ. მორფოლოგიურად და ეკოლოგიურად ისინი ძალიან ახლოს დგას აზერბაიჯანის მაგარ ხორბალთან, საიდანაც სპეციალისტების აზრით არც თუ ისე დიდი ხნის წინათაა შემოტანილი.

თავთუხი სამეურნეო თვალთახედვით ხორბლის მეტად საინტერესო სახეობაა. განსაკუთრებით ფასოვანია ამ მხრივ შ ა ვ ფ ხ ა და შ ა ვ ი თ ა ვ თ უ ხ ი. მათ აქვთ მსხვილი მარცვალი, დიდი, მსუყე, ბარაქიანი თავთავი, რომელიც ხალხური დახასიათებით, ჩიტებივით აზის ღეროს, იძლევა თეთრ ფქვილსა და შესატყვისად, თეთრსავე ნამცხვარს, პური გემრიელი ცხვება. მიუხედავად ამ თვისებებისა, თავთუხმა ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენს მიწათმოქმედებაში დამკვიდრებული უძველესი აბორიგენული კულტურების გვერდით. ამის მიზეზია შემდეგი გარემოებანი: ადგილობრივ ჰავის პირობებს ნაკლებად შეეუბნული თავთუხი ვერ უძლებს ამინდის ცვალებადობას. ცხელი ზაფხულისა და თბილი ზამთრის ზონის

მცენარე მხოლოდ ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში იძლევა კარგ მოსავალს, ცივი, ნესტიანი და ყინვიანი სეზონის დროს კი ვერ ხეირობს; მოითხოვს კარგ, მდიდარ, ნოყიერ ნიადაგსაც. ღარიბ მიწაში ვერ გვარობს. ამდენად, ჩვენში იგი მოსავლიანობის თვალთახედვით ნაკლებ სიიმედო გამოდგა. ამასთან, მისი ხალხური დახასიათებით „შუქიანი“ ფქვილისაგან დამზადებული „თვალ-მახარა“, თეთრი და გემრიელი პური კარგია მხოლოდ ახალგამომცხვარი, მერე კი მალე შრება და მჭადივით ხმება, რაც აიხსნება მისი ფქვილის შედარებით უძარღვობა-უბეწვობით, ნაკლებ წებოვანებით. ამის გამოა, რომ იგი თონეში ვერ ცხვება. გარდა ამისა, მისი გავრცელების ზონა ემთხვევა ჩვენში ადგილობრივ პირობებს შეგუებული ძველქართული პურის ჯიშის, რბილი საშემოდგომო ხორბლის გავრცელების არეს. თავთუხი არა თუ ვერ უძლებს დოლის პურის კონკურენციას, არამედ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იჩაგრება კიდევ ამ უკანასკნელისაგან. საყოველთაოდ დამოწმებული ფაქტია მაგარი ხორბლის ნათესების რბილ ხორბლად გადაჯიშების შემთხვევები. ჩვენში თავთუხის როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ფორმებიც კი შემოდგომაზე ითესებოდა, ვინაიდან ანეულის ნათესი უკეთეს მოსავალს იძლეოდა. მაგრამ სულ რაღაც 2-3 წლის შემდეგ თავთუხის ნათესი სარეველიანდებოდა ჭკავით ან დოლით და თანდათან ცენოზში მთავარ ადგილს დოლის პური იკავებდა. ამიტომაც, თესლის გაახლების მიზნით, თავთუხს, ამ ორბუნებოვან კულტურას, გაზაფხულზე თესდნენ. საშემოდგომო დოლის პური ნაყოფს ვერ იძლეოდა, იღუპებოდა და ღებულობდნენ თავთუხის სუფთა, განახლებულ თესლს.

თავთუხი გაზაფხულზე ითესებოდა არა მარტო თესლის აღდგენის მიზნით, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ საშემოდგომო ხვნა-თესვის შემდეგ რაიმე მიზეზის გამო შემოდგომის ნათესი მოცდებოდა ან საყანური თავიდანვე დაუთესავი, თავისუფალი დარჩებოდა. ეს უკანასკნელი რომ არ გამცდარიყო, გაზაფხულზე თესდნენ თავთუხს.

თავთუხის შემოდგომაზე თესვის ვადები ემთხვევა რბილი ხორბლისას, ოღონდ თუ დოლის პური ამ მხრივ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებშია, თავთუხის გვიან შემოდგომაზე თესვაც არაა საგანგაშო.

საქართველოში ხორბლის კულტურის შესახებ ზემომოტანილი მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსიდან ჩანს, რომ ჩვენში ცნობილი ხორბლის სახეობანი და ჯიშ-ვარიაციები გარემო პირობათა გათვალისწინებით ექვემდებარება გეოგრაფიული ზონალობის პრინციპს, ამ უკანასკნელთანაა შეფარდებული და შესატყვისად გავრცელების შემდეგ სურათს იძლევა:

I ზონაში, რომელსაც უკავია დაბლობი და ზღვის დონიდან 750-800 მ-მდე ადგილები, ბატონობს საშემოდგომო ხორბალი — რბილი (დოლის პური, იფქლი), მაგარი (თავთუხი) და კილიანები (მახა). აქვეა დამოწმებული კილიახი ხორბლის საგაზაფხულო ფორმებიც — ასლი და ზანდური, თუმცა ეს უკანასკნელი შემოდგომაზე ითესება (ისევე, როგორც რბილი და მაგარი ხორბლის საგაზაფხულო ვარიაციები).

II ზონა, რომელსაც უკავია 800—1450 მ შორის მდებარე მთის წინა და მთის ოლქები, რბილი საშემოდგომო (დოლის პური, იფქლი) და საგაზაფხულო (იფქლი, ხულუგო) ხორბლის, აგრეთვე დიკისა და კილიანთა (მახა, ზანდური, ასლი) გავრცელების არეა.

III. მალალმთიან ზონაში, კი (1450—2300 მ ზღ. დონიდან) მოდის მხოლოდ საგაზაფხულო ხორბლეული (დიკა, იფქლი, ასლი), ამიტომაც ეს უკანასკნელი ამ არეალისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და თუ ქვედა ზონებისათვის საშემოდგომო პურეულის გვერდით იგი მხოლოდ დამხმარე ჯიშების სახითაა წარმოდგენილი, მალალმთიან რეგიონებში (რომელთა გეოგრაფიულ გარემოსთან შეფარდებითაა გამომუშავებული) შეუცვლელი კულტურაა.

ამასთან, ხორბლის საგაზაფხულო, ჩვენს მალალმთიანეთში გავრცელებული ჯიშების წარმოშობა შორეულ წარსულს განეკუთვნება, რაც თავის მხრივ, უნდა იყოს მოწმობა იმისა, რომ საქართველოში, სადაც ისტორიულად საშემოდგომო (ანუ დაბლობისა და მთის შუა ზოლისათვის დამახასიათებელი) კულტურები იყო პირველადი, მალალი მთის რეგიონების სამიწათმოქმედოდ ათვისებაც უძველესი დროიდანვე უნდა მომხდარიყო.

ლიტერატურა

- აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჭიშვილი გ. და სხვ., საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
- ბერიაშვილი ლ., მემინდრეობა მესხეთში, თბ., 1973.
- ბრეგაძე ნ., მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969.
- ბრეგაძე ნ., სიტყვა — ყანა — ერთი მნიშვნელობის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 67, № 1, 1972.
- ბრეგაძე ნ., ხორბლის ძველქართული ჯიშები ფერეიდანში. „ძეგლის მეგობარი“, № 34, 1974.
- ბრეგაძე ნ., ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, I, მსე, ტ. XVIII, 1975.
- ბრეგაძე ნ., ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, II, მეცნ., № 4, 1976.
- ბრეგაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მემინდრეობასთან დაკავშირებული ეთნობოტანიკა და ხალხური აგრობიოლოგია (ხელნაწ.), 1970.
- ბრეგაძე ნ., 1956—1977 წწ. შეკრებილი სავლე-ეთნოგრაფიული მასალა (ხელნაწ.).
- გეგეშიძე მ., სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.
- დეკაპრელი ე. ი. ლ., შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგი უმთავრესი კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1937.
- თსუ ახალი ქართული ენის კათედრის საარქივო მასალა.
- კახიძე ნ., მაქაზლის ხეობა, ბათუმი, 1974.
- კახიძე თ., პურეულის ლექსიკა ქართულში, საკანდ. დისერტაცია, თბ., 1949.
- კეცხოველი ნ., მასალები კულტურულ მცენარეთა ზონების შესასწავლად კავკასიონზე, ტფ., 1928.
- კეცხოველი ნ., კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1960.
- ლომოური ი., მარცვლეული კულტურები. I, თბ., 1946.
- მაკალათია ს., თემის ხეობა, თბ., 1959.
- მაკალათია ს., ფრონეს ხეობა, თბ., 1963.
- მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960.
- მუნაბდე ვლ., ქართული ხორბლები და მათი როლი ხორბლის საერთო ევოლუციაში, ბოტანიკის ინსტ. შრომები, ტ. XXI, 1961.
- ნასყიდაშვილი პ., T. Zhukovskiy-ის რბილი ხორბლის სელექციაში გამოყენების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 73, № 2, 1974.
- საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შედგენასთან დაკავშირებული, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული საარქივო მასალა.
- „მინაპრეულობის მასალები“ (ივ. ჭავჭავიძის ხელმძღვანელობით შეკრებილი).
- შუკვანი შ., მიწათმოქმედების კულტურა სვანეთში, კრებ. „სვანეთი“, თბ., 1977.
- ჩიტაია გ., იმერეთის ექსპედიცია, ენციკლის მოამბე, II, 1937.

- ჩ ი ბ ა ი ა გ., ქართული თორნე, „მომომხილველი“, II.
- ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ნ., სამიწათმოქმედლო ყოფის ისტორიიდან საქარაში, 1972.
- ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი ა., ხეცსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930.
- ჯ ა ლ ბ ა ძ ე გ. მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, საღოქტ. დისერტაცია, თბ., 1971.
- Б а р у л и н а Е., Полевые культуры Джавахети, Тр. по прикл. бот. генетике и селекции (ТПБГС), т. 16, в. 2, 1926.
- Б а х т а д з е И. Результаты обследования полевых культур Абхазии и Верхней Сванетии, Сухуми, 1927.
- Б р е г ა დ з ე Н. А., К вопросу о локализации ареала первичных очагов земледелия в Грузии, СЭ, № 4, 1975.
- Б р е г ა დ з ე Н. А., К вопросу об этническом составе населения Грузии в XVII в. «Кавказский этнографический сборник», VI, М., 1976.
- В а в и л о в Н. И., К познанию мягких пшениц, ТПБГС, т. XIII, № 1, 1923.
- В а в и л о в Н. И., Центры происхождения культурных растений, Избр. произведения, т. 5, М.-Л., 1965.
- Г о р გ ი დ з ე А. Д., Филогенетика грузинских эндемичных пшениц, Тб., 1977.
- Д е კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჭ ლ. ლ., Роль Грузии в происхождении пшениц, Сообщ. АН ГССР, т. 2, № 10, 1941; т. 3, № 2, 5, 1942.
- Д е კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჭ ლ. ლ., Грузинский очаг формообразования пшениц, Сообщ. АН ГССР, т. 3, № 7, 1942.
- Д е კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჭ ლ. ლ., К выяснению района возделывания персидской пшеницы. ТПБГС, т. XV, ლ., 1925.
- Д о р о ფ ე ე ვ ვ. ფ., Пшеницы Закавказья, ლ., 1971.
- Ж у კ о ვ ს კ ი ი პ. მ. Систематико-географические данные о хлебных злаках Закавказья, Изв. Тифл. полит. инст., I, 1924.
- Ж у კ о ვ ს კ ი ი პ. მ., Персидская пшеница в Закавказье, ТПБГС, т. 13.
- Ж у კ o ვ ს კ ი ი პ. მ., Мировой генофонд растений для селекции, ლ., 1970.
- Ж у კ o ვ ს კ ი ი პ. მ., Культурные растения и их сородичи, ლ., 1971, ЗКОСХ, I-III.
- Записки научн. прикл. отд. Тифл. ботанического сада, в. III, 1924.
- К о მ ა რ o ვ ვ. ლ., Происхождение растений, М., 1961.
- К у ш ნ ა რ ე ვ ა კ. ხ., Ч у б н и ш ვ ი ლ ი თ. ნ., Древние культуры Южного Кавказа, ლ., 1970.
- Л е პ ი ნ თ. კ., К генетической природе озимости у пшеницы, М.-Л., 1966.
- მ ა ი ს უ რ ი ნ ნ. ა., Перерождение пшениц в Закавказье, Изв. Тифл. политехн. инст., 1926.
- Л и ს ი ც ყ ნ ა გ. ნ., П р и щ е п е ნ კ o ლ. ვ., Палео-этноботанические находки Кавказа и Ближнего Востока, М., 1977,
- МИЭБГҚЗК, тт. I—V.
- მ ე ნ ა ბ დ ე ვ. ლ., Матерналы по изучению географии хлебных злаков Вост. Грузии в связи с их зональностью, Тб., 1928.
- მ ე ნ ა ბ დ ე ვ. ლ., Пшеницы Грузии, Тб., 1948.
- მ ე ნ ა ბ დ ე ვ. ლ., Новое в филогении рода Тг. ლ., Сообщ. АН ГССР, т. 62, № 2, 1971.
- П р и х o დ კ o მ., Зональное распределение видов и разновидностей пшеницы в долине р. Арагви, ТПБГС, т. 19, 1928.
- ს ა ხ o კ ი ა მ. ფ., Новые данные о некоторых злаках Кавказа. Сообщ. АН ГССР, т. 3, № 9, 1942.
- ს ი ხ ა რ უ ლ ი დ ე მ. ა., Пшеницы Грузии и их селекция, Тб., 1968.
- თ ი მ o ფ ე ე ვ ს., Опыт сельскохозяйственного районирования Вост. и Зап. Грузии, 1924.
- ჩ ნ თ ა ე გ. ს., Пахотные орудия и системы земледелия в Грузии, М., 1960.


- Штирельман В. А. Экологические аспекты неолитической революции в Передней Азии. «Актуальные проблемы этнографии», М., 1973.
- B a u m o n t M., Le blé, Paris, 1949.
- F l a n n e r y K e n t V., The Ecology of Early Food Production in Mesopotamia. Peoples and Cultures of Middle East, N.-Y., 1970.
- J a s n y, N., The Wheats of Classical Antiquity, Baltimore, 1944.
- M e l l a r t J., The Neolithic of the Near East, London, 1975.

გ უ თ ა ნ ი

გუთანი ითქმის ინდუსტრიამდელ საქართველოში გავრცელებული რთული სახენელი იარაღის ერთ-ერთ სახეობაზე, რომლის ფუნქციას შეადგენს ხენის პროცესში ღრმა და განიერი კვალის გავლება, ბელტის აჭრა, გადაბრუნება და დაფშვნა. გუთნის გამოყენების შედეგად ნიადაგის სტრუქტურა იცვლება; მცენარეულის ფესვები იშლება, გადაბრუნებულ დაფშენილ ბელტზე კარგად მოქმედებს მზის სხივი და წვიმის ცვარი. გუთანს ახასიათებს ასიმეტრიული აღნაგობა. იგი ცალმხრივი იარაღია, ცალფრთიანი, მართკუთხა სახნისითა და არატოლფერდა თვლებით. მასში ებმის რვა და მეტი უღელი ხარკამეჩი. გამოიყენება გრძელიმინდვრების მოსახნავად, ყამირზე, სადაც გადადის ბელტი და სადაც ანეული ითესება. მისი გამოყენების არეალია შუა და ქვემო ქართლის (გორი, ტრიფონი, მუხრანი, საგურამო, აშურიანი, ქარელი, წითელქალაქი, კოდა, ვარდაბანი) ველები, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, თრიალეთის ველები, ხოლო დასავლეთ საქართველოში ჭიათურისა და საჩხერის რაიონების მინდვრები (რუსკა № 11). ღრმად მოხვნა — ანეულად, „საყანედ“, „პურად“, ნიადაგს სინესტეს უნარჩუნებდა და ამით გვალვის გავლენას ანელებდა. მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ გუთანი მხოლოდ ბარული სახენელი იარაღია, იგი კარგად მუშაობს ზღვის დონიდან 1800—1900 მ-ის სიმაღლეზე, თუ კი შესაფერისი მინდვრებია მოსახნავად. დიდი მინდვრების, „საბატონო დიდი ყანის“, „თავი ყანის“ — ხოდა ბუნების დამუშავების კომპლექსში შედიოდა გარდა გუთნისა, კოლხერაციული შრომა მოდგამი, ანეული, დოლის პური, საბატონო ორმო, დიდი კევრი, თორნე, მრავალკომლიანი დასახელება. ამ სახის მეურნეობასთან დიდი მასშტაბით ხასიათდება სელთან დაკავშირებული ზეთსახელები დიდი გელაზებით (ქვის ბორბლის d—2 მეტრია), ვაზის დიდი ქვევრები (100 ლიტრის ტევადობით) და „გმირთნაკვეთი“ საწნახლები.

გუთნის ნაწილებია: კბილა (თელა, შეიძლება იფანიც); კბილის ძირი სწორი უნდა იყოს, გათლილი. მისი ერთი გვერდი შუაში ჩათლილია. ჩათლილში მიწა გადაუვლის; ხელკუდი, ტოტი, ხელკუდის ნაჩვრეტი. ხმალი (იფანი), ხმლის ჩხირი, საქლეში, კვალის მანქა (იფანი, შვინლი). კაკაბი, ფრთის კოფო, ველის მანქა (იფანი, თელა), ფთე (თელა, წიფელი უკეთესია). უნდა იყოს სიგანით 14 ვერშოკი*, ხოლო სიგრძით — 1,5 მეტრი. იგი მიწას აბრუნებს და ჩეჩს. რკინის გუთანი მიწას კვალზე აწყობს, ხისა კი — აფხვიერებს. ფთე დაგრეხილია (ოვალური). ხის გუთანი თავისი ფთის შემწეობით ბელტს აიკიდებს და გულალმა გადააგორებს. ფთის

* ვერშოკი უდრის დაახლ. 4,4 სმ.



რუკა № 11, ბუძეაწი (XIX ს.-ის II ნახებწაწი)

1. დღი გუთანი, 2. ჭილა— გოგირა, ა ინტენსიური, ბ.) არ ინტენსიური გ) სუსტი,

დაბმა წნელით უნდა ზემოთა ნაწილში. სახელები, სახელები (ცალფრთიანი), აქვს საშუალო (ბუდე), კვალის ცერი (ფთე), წვერი. დამაგრებულია სოლით, ძელაკი (თელა, იფანი) პარალელური სახელია. გუთანს აქვს; გუთნის თავი, გუთნის უღელი, გუთნის ბუდე, უკანა კუდი, ზალტე, ყვავი, უნდა იყოს ერთ ხაზზე გაწევის მიზანში. საკვეთელი: ფხა, ღერი, ყუა, საკვეთლის დაყენება უნდა ზომაზე (ტაბ. IX). ზომიერ ნიდაგში საკვეთელი სახნისს შეიძლება დაცილდეს 2-5 სანტიმეტრით. თუ გვალვა დიდია შეიძლება საკვეთელი სახნისს პირისპირ დააყენონ. გუთნით გავლებულმა სამმა კვალმა უნდა გააკეთოს ორი მეტრი, თითო გავლებაზე სახნის-საკვეთელმა უნდა მოჭრას მიწა 50-60 სმ. ჯამბარა გუთნის თავისა, დედი (ამზადებენ ხეუსურები). ჯამბარის ჩხირი, ჯამბარის ყური, ფამფალაკი — ღერი (თელა), კვალის გოგორა: მორგვი (თელა), სოლი (იფანი), დედალ-მამალი, ფერსო (თელა), ჭინჭილაკი (იფანი). ველის გოგორა (ნაწილები იგივე აქვს, რაც კვალის გოგორას). ველის გოგორა კვალის გოგორასთან შედარებით მცირეა. ამას დირლიტასაც ეძახიან. კარგად გამართული გუთნის კვალის სიღრმე უდრის ველისა და კვალის გოგორების დიამეტრის განსხვავებას. კირჩხა || ჩხა, მასზე დაკიდულია ცული, საჭერო და სხვა ხელსაწყო. შოლტყავი, შოლტყავის ბუდე, სოლები, თავჩხირი, უღლები: გუთნის თავის უღელი (მოკლეა): სატაბავე საქედური, ტაბიკი (შინდი) აქეური, კორა (ხარების ძალის გასათანასწორებელი), გუთნის დედი, გრძელი უღელი, წინა უღელი, საშუალო უღელი, სარტკლის უღელი, საჯდომი უღელი. წინა და გუთნის საძირის უღელში გამოცდილი ხარები უნდა იყოს. ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ გუთნის სახნისა და საკვეთელის დამზადებას სჭირდება ოცი კილოგრამი რკინა, ხოლო რვაუღლიანი გუთნული დედის დასამზადებლად საჭიროა ოთხი ხარისა და ორი კამეჩის ტყავი, ასევე, ჯამბარას ერთი კამეჩის ტყავი სჭირდება. აქეურები, სამალდი კიდევ სხვაა, ამ იარაღს გამწვევ ძალასთან ერთად გუთნის დედის გარდა, სჭირდება 5 მეხრე და 1 მჩეკელი. გუთნის მუშაობის პროცესში გუთნის დედა მიმართულებას აძლევს შეძახილით, თუ კვალისაკენ უნდა წავიდეს გუთანი ზედა, თუ ველისაკენ გაიშე (ტაბ. V, ნახ. 1, 2).

იმისათვის, რომ გუთანმა ლარივით იმუშაოს, მისი ნაწილები ურთიერთან შეწყობილ-გამართული უნდა იყოს. გუთნის დედამ ანგარიში უნდა გაუწიოს ნიდაგის პირობებს, ასევე, ხარის ძალას და სახვნელ იარაღს. გუთნის გაწყობა ხერხდება: მანჭიკები დან, ხმალადან და ჯამბარი დან. ამ მიზნით, კარგი გუთნის დედა წკირებსაც კი იყენებს, რომლებიც მომზადებული აქვს ქუდის ფარფლებში. მანჭვიდან გუთანი სოლით სწორდება კბილასთან, რომ მუშაობის დროს გუთნის ტანმა კანკალი არ დაიწყოს; ხმალადან — ასევე სოლებით, რომ კბილა და სახნისი ღრმად ან პირად მუშაობდნენ. ჯამბარას დამოკლება-დაგრძელებით გუთანი დააკვალვებს ან დაავალვებს. გუთნის მრუდე რვილი მიწას მოგვერდით წამოუწვევება, რომ კარგად ამოიღოს. ფამფალაკი ხარებს ტვირთს უმსუბუქებს და მუშაობას უადვილებს (ტაბ. V.).

გუთანი და მისი შემადგენელი ნაწილები აღწერილია ხალხურ პოეზიაში, სადაც გუთნის ნაწილები ცოცხალ არსებადაა წარმოდგენილი და მათ შორის დიალოგია გამართული:

გუთანი ისე გავმართე, როგორც რომ მართებულია
პირველ გავთალე ხის რვეილი სახელდებული თელისა,
მოუეჭერ სახლმე შუაზედ, შემოუღერე ყელიცა.
ყელი კარგად მოუვიდა და შუა წელი სრულია,
კაკლის დედანი შევაბი შალაშინ ვადასმულია,
ზედ გავუკეთე ხელკუდი, როგორც რომ ჩამოსხმულია
იფნის ხმალი გავატარე, ფარებთ გათანგულია,
ღირღირის მორგვი გავთალე პიტალო კაკლის გულია,
მუხისა სოლი ვახმარე, ხელეჩით დაწმენდილია,
ჯაგ-რცხილის ფერსო მოეკიდე, როგორც დუღაბი კირია,
ისე გავმართე გუთანი როგორც რომ მართებულია.
ზედ მოუეხი საყევერები, მწნელებით ვადასმულია,
შიგ დაეუშარეთ უღლები, ახალი დატუსუღა;
შიგ ჩაეუყარე ტაბიკი, დათლილი შვინდის გულია,
შევაბი აბუერები, ახალი დაგრეხილია;
შევაბი ხარი-კამეჩი, რქა-კუდი შემეკობილია,
ხარები იყო მაღალი და კამეჩები სრულია.
ზედ შეუღდგენე მეხრეები სიმღერას ამბობენ ტკბილსა;
მაჰმო, ხარო შეთვალავე შვინდას უსწორადი მხართანა.

გუთანი XIX საუკუნის პირველ ნახევრისათვის აღწერილი აქვს კლაპროთს, ხოლო XVIII საუკუნისათვის — გიულდენშტეტს. ამ უკანასკნელის ნაშრომში მოცემულია გუთნის ჩანახატი. გუთნის ჩანახატი XVII საუკუნის მოიპოვება კასტელის ალბომში. გუთნის გამოსახულება მოწმდება საფლავის ქვებზე მე-XI საუკუნიდან. XII საუკუნისათვის გუთნის არსებობას არაპირდაპირი გზით ვადასტურებთ იმ ცნობის მიხედვით, რომელიც თამარ მეფის ისტორიკოსს მოეპოვება ხენის შესახებ. ხენის პროცესში მწაფელები ლექსაობდნენ თამარის სახელზე (ტაბ. XI).

ამ სახვნელი იარაღის წინამორბედი უნდა იყოს სახვნელი იარაღი, რომელიც ჭილა-გოგორის სახელწოდებითაა ცნობილი და მესხეთ-ჯავახეთში გამოიყენება. ამ იარაღს, განსხვავებით გუთნისაგან, აქვს სახნისი სამკუთხედის ფორმის, ხოლო მისი თვლები ტოლფერდაა. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, გუთანი თავისი ცალმხრივი ფრთითა და ტოლფერდა გოგორებით ჩვენში შექმნილი იარაღია. ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ იგი უფრო მეტად გავრცელებულია საქართველოში, ორგანულად ჯდება საქართველოს სახვნელი იარაღების განვითარების სისტემაში (ტაბ. VII, ნახ. 1).

უნდა აღინიშნოს, რომ ფამფალაკიანი სახვნელი იარაღის წარმოშობის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საკამათოა. რიგი მეცნიერებისა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ასიმეტრიული გუთანი ფამფალაკით, რომაულ პერიოდშია წარმოშობილი, სახელდობრ, რეტისის ვალიაში. ამ აზრს იზიარებენ ფ. პაინე, ბ. ბრატანიჩი, ი. ბალაშა, ივ. ჯავახიშვილი და სხვები, ხოლო ეწინააღმდეგებიან ლ. ნიდერე, კ. მოკინსკი, ფრ. შახი, პ. ლეზერი და სხვები. ამ უკანასკნელთა მიხედვით, ასიმეტრიული გუთანი გაჩნდა შუა ევროპაში VIII საუკუნიდან. ამ დროს ამ სახვნელ იარაღს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ოვალური ფორმა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია იმ დროინდელი რკინის ჯაჭვი-ჯამბარა, განკუთვნილი გუთნის რკილის დასაკერელად ფამფალაკზე, უფრო მეტად ამ საგნის ექსპერტები ფიქრობენ, რომ ფამფალაკი წარმოშობილია რომის იმპერიაში.

ასევე ვარაუდობენ იმავე ხანის ასიმეტრიული სახნისის აღმოჩენას. მაგრამ ამ ობიექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სახნისები არ შეიძლება ჩავთვალოთ ასიმეტრიულად. ექსპერტებს მიაჩნიათ, რამდენადაც რომის იმპერიაში შეიქმნა პურზე გადიდებული მოთხოვნილება (ქალაქების ზრდა, მოსახლეობის გამრავლება), ამან გააპირობა მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია.

რაც შეეხება საქართველოს (იბერია), I—V საუკუნეებისათვის ივარაუდება ერქვანის ანუ ჯიდაგოგორის არსებობა, რომელსაც ამ დროისათვის ფაშფაღთან ერთად ჯერ კიდევ მხოლოდ თანატოლფარდოვანი თვლები და სიმეტრიული სახნისი ჰქონდა. ამ უკანასკნელს გვიდასტურებენ განათხარი რკინის სახნისები. წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ ერქვანი ხარმრავალბმული სახენელი იარაღია.

ამ სახენელი იარაღის შემდგომი განვითარების საფეხურია ის, რომ მას უჩნდება ასიმეტრიული თვლები, ასიმეტრიული სახნისი და ამასთან შესაბამისი ცალი ფრთა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ გაუმჯობესებამ ეს იარაღი ჩააყენა მიწათმოქმედების კიდევ უფრო მეტად ინტენსიფიკაციის სამსახურში. ამის საჭიროებას მოითხოვდა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (XI—XII სს.) საქართველოში მოსახლეობის ზრდა, ქალაქების გამრავლება, დიდი საბატონო ყანების არსებობა.

ამგვარი სახენელი იარაღი საქართველოს გარეთ სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში, ადიღესა და ჩრდილო სპარსეთშია გავრცელებული. ევროპაში არასწორფარდოვან თვლებიანი სახენელი იარაღი მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეებიდანაა ცნობილი, ისევე როგორც ოვალური ფრთა სახენელი იარაღში XVII—XVIII ს-დან დასტურდება. სახელწოდება გუთანი ასევე შესულია აზერბაიჯანულში — ქოთანი, სომხურში — გუთანი, თურქულში — ქოთანი, დაღესტურ ენებში — ქოთი და ადიღურში (სადაც ფაშფაღის სახელწოდებაშია შეფარებული) — გუთლამიშ. ენის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გუთანი არ არის არც ინდო-ევროპული, არც თურქულ-მონღოლური, არც სემიტური, არამედ კავკასიური წარმოშობისაა.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ტერმინი გუთანი და ყველა მისი ფონეტიკური სახენაცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებულ ენებიდან არც ერთს ამ ტერმინის არსებობის ესოდენ ძველი საბუთის წარმოდგენა არ შეუძლია როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშვება აზრი, რომ გუთანი პირველად საქართველოში, სახელდობრ საქართველოში უნდა იყოს გაჩენილი და აქედან გავრცელებული მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აბრკოლებს, რომ „გუთნის“ ეტიმოლოგია გამოურკვეველია“.

სულ უკანასკნელად სტამბოლის უნივერსიტეტის პროფ. Çapaoglu შეეცადა გუთანი აეხსნა შუა აზიის თურქულში დადასტურებულ სიტყვიდან ქოთი, სადაც ეს სიტყვა აღნიშნავს წრის შემოხაზვას. სემანტიკურად ამგვარი დაკავშირება ხელოვნურად გამოიციქირება და მიუღებელია.

კაპიტალისტური ხანის საქართველოში გუთანს გაუმჯობესების მიზნით გაუყეთდა რკინის ქუსლი და რკინისავე ფრთა, მაგრამ ეს იარაღი, ისევე როგორც სხვა ხალხურ-ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული სახენელი იარაღები,

თანდათან შეცვალა ფაბრიკულმა სახენლეებმა, რომლებსაც ჯერ საქონელი ებ-
მოდა ხოლმე, ხოლო შემდეგ ორთქლის ძალა ეზიდებოდა.

ლიტერატურა

- ფ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1², ტფ., 1930.
გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახენლე იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს
მუზეუმის მოამბე, V, ტფ., 1930, მიმომხილველი, I, თბ., 1949.
ლ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973.
P. L e s e r, Entstehung u. Verbreitung des Pfluges, Münster i. W, 1931; Sach, Proposal
for the classification of Preindustrial Tilling Implements, Praha, 1966.
J. B a l a s s a, The appearance of the onesided Plough in the Carpathian Basin, Acta Eth-
nographia Academiæ Scientiarum Ungaricæ, Budapest, 1971.

გიორგი ჩიბაია

შ ნ ა კ ვ ი

საქართველოში გავრცელებულ სამკალ იარაღთა შორის აღსანიშნავია შ ნ ა კ ვ ი, ეს იარაღი შედგება თითისტარის სისქისა და 50 სმ სიგრძის ორი ჯოხისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ერთ თავში გადაბმულია მოძრავად. ეს მარტივი ხელსაწყო თავისუფალ ბოლოებში იშლება და თავთავები შეიკრიბება ჯოხის გასწვრივ ხელის მოჭერით, შემდეგ ოდნავ გვერდზე გადაწვენით თავთავი ძირში ტყდება და ცვივა აქვე დადგმულ კალათში. ეს იარაღი განკუთვნილია გარკვეული პურეული ჯიშების საკრეფად.

შნაკვის არსებობა მოწმდება XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ლეჩხუმში. 1908 წ. ცნობილ ეთნოგრაფს თედო სახოკიას შეუძენია შნაკვი სამეგრელოში და გადაუცია ლენინგრადის სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის, სადაც დაცულია დღემდე. 1934 წელს შნაკვი ლეჩხუმშიც იქნა შეძენილი და გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ამგვარი იარაღის არსებობა აჭარაშიც დასტურდება შუახევის ხეობაში პურეულის საკრეფად (იხ. რუკა 12).

სპეციალური ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამგვარი იარაღი გავრცელებულია ესპანეთში, ასტურიაში, სადაც მას ა ს ლ ი ს ჯიშის პურეულის საკრეფად იყენებენ [1]. აქ ამ იარაღს უწოდებენ mesories.

აღსანიშნავია, რომ შნაკვი ჩვენში განკუთვნილია პურეულის გარკვეული ჯიშის, კერძოდ, მ ა ხ ა ს (*Triticum macha Dek. et Men.*) საკრეფად (ტაბ. XII).

როგორც ცნობილია, მსოფლიოში გავრცელებული 16 სახეობის ხორბლიდან 12 სახეობა საქართველოშია დადასტურებული. ბევრი მათგანი ენდემურია, აქვეა შემონახული კულტურული ხორბლის ევოლუციის ინიციალური, პირველადი ფორმები.

ნ. ვაკილოვმა დაადგინა პურეულის მოშინაურების ექვსი კერა. ერთ-ერთი მათგანია წინა აზია მასში შემავალი ამიერკავკასიით. ამ მოსაზრებას ასაბუთებენ ხენებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის მთიან ზოლში გარეული ჯიშების არსებობით.

მახა არის ველურიდან კულტურულ პურეულში გარდამავალი ჯიშის. მახას ახასიათებს ღეროს მტკრევალობა, თავთავის ცვენადობა, თვითთესვადობა (ველური ჯიშის დამახასიათებელი ნიშნები). ამიტომ, ამ პურეულის მკა ჩვეულებრივი სამკალი იარაღით — ნამგლით ვერ ხერხდება და მისთვის მისადაგებულია შნაკვი || შამკვი.

ლეჩხუმისა და რაჭის გარდა, მახა, არაპირდაპირი ცნობით, გავრცელებული იყო სხვაგანაც (სამეგრელო, ლაზეთი). მახასა და შნაკვის თანაარსებობის გამო,

შნაკვიც უძველეს სამკალ იარაღად უნდა იყოს მიჩნეული. აქ ისმის საკითხი თუ როგორი იყო პურეულების მოწვევის პირვანდელი მეთოდი. ამის შესახებ არსებობს სხვადასხვა თეორია. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, პურეულს ძირიანად გლეჯდნენ (ფ. სპურელი და მისი მიმდევრები). ამგვარი მეთოდი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია ბევრგან, კერძოდ, საქართველოში, ხევსურეთში. ამგვარ მეთოდს ხევსურეთში იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა ყანა დაგვალულია და ამის გამო დაბალზეა ამოსული ან ხრიოკ ადგილზეა მოწეული. მაგრამ იქ, სადაც ყანა დაბალია და ნამგლით მკა არ ხერხდება ამოგლეჯა არაპრაქტიკული უნდა ყოფილიყო, რადგან მარცვლის უძველეს ჯიშებს უნდა ჰქონოდათ ფხა და სუსტი ღერო. აქ საჭირო იქნებოდა მოწყვეტილი თავთავისათვის საგანგებო ჭურჭელი, რაშიც მარცვალი ჩაცვივდებოდა (როგორც ეს ხდება ზოგან ბრინჯის აღების დროს).

ამიტომ, უფრო რაციონალური იქნებოდა დანით (კაყი) ღეროს მოჭრა თავთავის ძირში. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარცვლის პირველმა მომყვანმა დაიწყო პურეულის კულტივირება მარცვლისათვის და არა ჩალისათვის.

არქეოლოგიური მონაცემები ნეოლითის ხანისათვის მოწმობენ შემდეგ სამკალ იარაღებს უტარო კაყის დანას, ნახევრად წრიულ კაყის დანას, წვეტიან ტარიან კაყის დანასა და მისთ.

საქართველოში კაყის ნამგლის ჩასართავები ცნობილია ძვ. წ. V—IV ათასწლეულიდან.

არქეოლოგიური მასალა თავთავის მოჭრას კაყის დანით ვარაუდობს, ხოლო ბიოლოგიური გამოკვლევის მიხედვით თავთავის ტეხვა-კრეფა საგულისხმო. ეთნოგრაფიული მონაცემები მხარს უჭერს როგორც პირველს, ასევე მეორეს.

საქართველოს ტერიტორიაზე შნაკვის გავრცელება ლეჩხუმით და სამეგრელოთი არ შემოიფარგლება. ანალოგიური იარაღი დასტურდება აჭარაშიც „ხასი პური“ თავთავის საკრეფად ნამგალთან და ხის დანასთან ერთად, აგრეთვე, ცოცხის შესაკრავად, თაფლისა და სანთლის დასაწურავად. გურიისა და სამეგრელოში შნაკო || შნაკის სახელწოდებით შნაკვის მაგვარი იარაღი იხმარება ფიჭის დაწურვის დროს.


კოლუმელსა და პლინიუსთან დღემდე გაურკვეველი იარაღია მოხსენებული. არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი ქართულ შნაკვისა და ასტურული mesories-ის მსგავსი ყოფილიყო.

ამგვარად, პურეულის მოწვევა შნაკვის შემწეობით ძველი დროიდან მომდინარეობს და პურეულის ინიციალურ ჯიშებს უკავშირდება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, შნაკვით კრეფა შემოვიდა თავთავის ხელით მოწყვეტის მაგიერ და მას მოჰყვა მცენარის მოგლეჯა და მოჭრა [2].

აქსელ სტენსბერგის მიხედვით, შნაკვით კრეფის მეთოდი წარმოადგენს ამოგლეჯის შემდგომ საფეხურს.

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს შნაკვის გამოყენების თარიღის საკითხი, აშკარაა, რომ ამ იარაღის გამოყენებამ ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ისეთ სისტემაზე გადასვლას, როგორიცაა მოზნევით თესვა, ნაცვლად ადრე არსებული მარგილით (სვანურად წამ) რგვა (სვანურად წამ) და ქარჩის გამოყენება.



ՔԱՆԱԿ ԿԵ 12. ՊԵՏԱԿՅՈՒՆ (XIX Կ-ՈՒ ՄԻ ԵՆԿՈՅՑՎԵՐ)

1. ՊԵՏԱԿՅՈՒՆ

ლიტერატურა

1. Н. Вавилов, Мое путешествие в Испанию, Новый мир. М., 1937, кн. 2, с. 217.
2. ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1934.
3. Atel S i e e n s b e r g, Ancient Harvesting Implement. Kobenhavn, 1943, გვ. 123.

კ ე ვ რ ი

ქართული სამეურნეო იარაღებიდან როგორც პრაქტიკული, ისე კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კე ვ რ ი, რომელიც განვითარებულ მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული.

კე ვ რ ი შედგენილობის მიხედვით იყო: ე რ თ ფ ი ც რ ი ა ნ ი (იმერეთი, ქსნის ხეობა), ო რ ფ ი ც რ ი ა ნ ი (ქართლი, კახეთი, სვანეთი, რაჭა) და ი შ ვ ი ა თ ა დ — ს ა მ ფ ი ც რ ი ა ნ ი (ტაბ. XII, ნახ. 12) (ქვემო ქართლი, გარეკახეთი). ასხვავებდნენ ორი სახის კე ვ რ ი: ქ ა რ თ უ ლ ს ა და თ რ ი ა ლ ე თ უ რ ს (ტაბ. XIV. ფ. 1, 2). ქართული კე ვ რ ი თ ა ვ ი ა ნ ი ა, ე. ი. თავაწეული (ქართლი, იმერეთი, კახეთი, რაჭა, სვანეთი), ხოლო თრიალეთური (მესხეთ-ჯავახეთი), ბრტყელი, ოდნავ თავახრილი კე ვ რ ი ა. ამის გამო კალოზე ლეწვის დროს ქართული კე ვ რ ი ნამჯას || ბჯას არ იხვეტავდა, თრიალეთური კი იხვეტავდა, რის შედეგადაც ლეწვა რამდენადმე ძნელდებოდა.

ქართული კე ვ რ ა ს სამუშაო პირი მრგვალი, ოთხკუთხა და რომბისებური კოხებით იყო გაწყობილი, ხოლო სწორი და ბრტყელი კოხები თრიალეთურ კე ვ რებს ჰქონდათ. მოსახლეობა უპირატესობას მრგვალკოხიან კე ვ რს ანიჭებდა, რადგან იგი უფრო კარგად ფშენიდა თავთავს. ამავე დროს მრგვალკოხიანი კე ვ რით ვალეწილი ბზე რბილი და წმინდა იყო, რასაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, უპირატესობა ჰქონდა. იგი საქონლის საკვებად გამოიყენებოდა.

კე ვ რ ი — შემდეგი თანამიმდევრობით მზადდებოდა: საკე ვ რ ე ხ ის შ ე რ ჩ ე ვ ა და მოჭრა, კე ვ რ ის დახაზვა და საკოხე ადგილების ამოღება, საკე ვ რ ე ხ ის გამოკოპიტება, უ ლ ე ბ ის || ს ა რ ტ ყ ლ ე ბ ის (მესხეთ-ჯავახეთი) დასხმა, კე ვ რ ის მ ო კ ო ხ ვ ა || შ ო კ ა ყ ვ ა და გასრულება.

ქართლში, რაჭაში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, სვანეთში კე ვ რს ძირითადად ფიჭვის ხისაგან თლიდნენ, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მცენარეულ საფარში ფოთლოვანი კორომები ჰვარბობდა, საკე ვ რედ არჩევდნენ წაბლის (იმერეთი), თელის, პანტის, ლეკის (ქსნის ხეობა), იფნის (ალაზნის ხეობა) და ა. შ. ხის ჭიშებს [1]. მაგრამ ხალხი უპირატესობას მაინც ფიჭვის ხისაგან გამოთლილ კე ვ რს ანიჭებდა, რადგან ფიჭვი სათლელად ადვილი იყო და კოხებსაც კარგად იჭერდა; ამავე დროს ლეწვისას ხეს ძ ა რ ლ ვ ე ბ ი || ნ ა ხ ე ბ ი უჩნდებოდა, რაც ხელს უწყობდა თავთავის გაჭრა-დაფშენეტას [2].

საკე ვ რ ე მასალას ოდნავ შეაშრობდნენ (გახმობა არ შეიძლებოდა, რადგან ხმელი ხე კოხებს ვერ დაიჭერდა). შემშრალ ხეს სიგრძეზე, დაახლოებით სამ არშინზე გადაზომავდნენ, აქედან ორ არშინზე ხე მოიკოხებოდა, ხოლო ერთი არშინი, კ ე ვ რ ის თ ა ვ ის თ ვ ის || ყ ე ლ ი (ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი), || ნ ა ვ ი (რაჭა-ლეჩხუმი) იყო განკუთვნილი. ბამბის ძაფს დანაყილ ნახშირში ან


წერნაქში გაავლებდნენ, საკევრე მორის თავსა და ბოლოში გადაჭიმავდნენ და ძაფის დარტყმით საკევრე ხაზებს აღნიშნავდნენ — დაჩილფავდნენ (მესხეთ-ჯავახეთი), შემდეგ, ცულითა და სოლებით ხეს გააპობდნენ. იტოდნენ მისი განხრევა. ხეს ბოლოდან ისე შეაპობდნენ, რომ კევრის თავი 18—20 სმ-ით მაღლა ამოხარილი სამოქანდული (ქართლი) ყოფილიყო.

საკევრე ხის გათლა მსხვილი თავიდან იწყებოდა. საკევრე კოპიტს დიდი საორხელო ხელეჩოთი აფეხეჩო (მესხეთ-ჯავახეთი) თოხეჩო (აჭარა) თლიდნენ. ხელოსანი პირველად კევრის ზურგს გათლიდა, შემდეგ კი სამუშაო პირს (რომელიც იკობება). კევრის თავიდან 50—55-ე სმ-ზე, 45—59 სმ სიმაღლისა და 5,5 სმ სიგანის საულლე ადგილს დასტოვებდნენ. ლეწვის დროს კევრი და ხვაგი ფიცხდება და სალუწ იარაღს სულის მობრუნება სჭირდება. ამიტომ, საკევრე ფიცრებს ხუთი თითის დადებამზე შუაში სატეხით დახვრეტდნენ. ამოღებულ ადგილს კევრის სულის მოსაბრუნებელი ეწოდებოდა.

საბოლოოდ საკევრე ფიცრები სიგრძით დაახლოებით 2, სიგანით 1 არშინი, ხოლო სისქით 5-7 სმ იყო. საკევრე ფიცრებს, ხმარებაში რომ გამძლე ყოფილიყო, ცეცხლის ალზე მოტუსავედნენ. ამის შემდეგ საკოხე ადგილების აღნიშვნის მიზნით, კევრის სამუშაო პირს გარდიგარდმო, ან ცერად დახაზავდნენ, ისე, რომ კოხები ერთ რიგზე არ მოხვედრილიყო, თორემ ლეწვისას კევრი თავთავს აიხვეტავდა. იქ, სადაც კოხები იქვეები თავსდებოდა, საკოხეს ეძახდნენ, სვანეთში მას „კოხის კოდი“ ეწოდებოდა. კევრის ლეწვითი უნარიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კევრის მოკოხვის ტექნიკას და საკოხე მასალას. ცნობილია სამი სახის საკოხე მასალა: კოხი, კოხი — რკინა და რკინა. საქართველოში უმთავრესად კოხით და კოხი — რკინით [3] მოკოხვა დასტურდება.

კევრისათვის შეირჩეოდა მაგარი ჯიშის ცეცხლგამძლე ქვა — კოხი (ქართლ-ჯავახეთი) აკოჟი (რაჭა-ლეჩხუმი) აქვიები (მესხეთ-ჯავახეთი) აკაჟი (იმერეთი) ბორჯომის ხეობაში მოსაკოხად ხმარობდნენ შავი ფერის, წყლის ლიმ ქვას. ატენელი მეკევრეები მდ. მტკვრის რიყიდან ეზიდებოდნენ ნაჩვრეტიან ქვას. ქვემო ქართლში გამოიყენებოდა შავი დოშამა (გრძელა) ჩოფურა ქვა. იმერეთში საკოხეში ბრტყელ კაჟებს აწყობდნენ. საუღლდაგულოდ არჩევდნენ მესხეთ-ჯავახეთში კოხს, რომელიც შორეული პუნქტებიდანაც მოჰქონდათ, მაგ., ანდრიაწმინდელები შუაქარაგვის მთიდან ეზიდებოდნენ საკოხე ქვას, რომელიც „ხასი“ იყო და დანასავით ჰკრიდა ბჯას. არალელებს წარბასუბნიდან მოჰქონდათ, ტოლოშელებს — არგავიდან, ვალელებს — დიღვირიდან და ა. შ. დგინდება ასეთი ფაქტიც, მაგ.: გუჯარეთის ხეობაში (ბორჯომის რ-ნი) კევრი ადგილზე ითლებოდა, ხოლო მის დასაკოხად ატენელი და ახალქალაქელი მკოხავები მოდიოდნენ, რომელთაც კოხი თან მოჰქონდათ, რადგან ადგილზე მაგარი ჯიშის ქვა არ იშოვებოდა [4].

ხმარებაში კევრს კოხები უცვლდებოდა და დროდრო პირის გაკეთება — მოკოდვა ჰკრიდებოდა. მკოხავები ცხენებით, სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ამოყრილ კოხებს ბუდეში სვამდნენ და პირს უფხავებდნენ, დაკოხილ კევრს წყალს ასხამდნენ, რომ გაუღენთილი კევრის ფიცრებს კოხებისათვის მოეჭირა. კევრს „დაუბამდნენ“ და ასე გადაჰქონდათ კალოზე. ახალ, „ხამ“ კევრს ზურგზე ხის პატარა ჯვარს დააკრავდნენ, თვალი რომ არ სცემოდა და ბარაქიანი კალო



რუკა № 13. კახეთი (XIX ს-ის II ნახევარი)

1. „ქართული“ თავიანი, 2. „თრიალეთურთა“ ბრტყელი (სურბი) 1 1

გელეწა. იცოდნენ ახალ კევრზე თონის პურისა და მარილის დადებაც, რაც დოვლაათის მომატების საწინდრად მიაჩნდათ. ახალი კევრის კალოზე გატანის დროს, ვიდრე მას სალეწ ძნაზე შეაყენებდნენ, ქართლში სცოდნიათ დაობებულ პურებზე მისი გადატარება, ზვავის ბარაქიანობის მიზნით [5].

კევრის დამზადების ხელობით გამოირჩეოდა შემდეგი სოფლები: არალო, ანდრიაწმინდა, ვალო, ჩუნჩხა, ტამალა (მესხეთ-ჭავჭავთი): სპეთი, კორბოული, არგვეთი, პერევი (იმერეთი); ერედა, იკოთი, ყოჩიანი, ზემობოლი (ქსნის ხეობა) და მეკევრეობით განთქმული ლოკალური მიკრორაიონები: ატენის, ბორჯომის, ვერეს, დიდი ლიახვის ხეობები, რომლის მოსახლეობა თავიანთი ნახელავით ამარაგებდა სამიწათმოქმედო რაიონებს. ამ მხრივ დგანდება, რომ ხის მოხელეობის დარგობრივ სახეს ხშირად განსაზღვრავდა მის მეზობლად მდებარე რაიონებში განვითარებული მეურნეობის დარგები, მაგ., იმ რაიონებისათვის; სადაც მეწინდერობა მძლავრად იყო განვითარებული, ნაკლებგანვითარებული სამიწათმოქმედო რაიონიდან მოსული ხის მოხელეები ამზადებდნენ სახენელ, სალეწ და კალოს იარაღებს (გუთანი, კევრი, ცხავი, ფიწალი, ნიჩაბი, არნაღი). ეს კარგად ჩანს ბორჯომის, ატენის დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მცხოვრებთა შრომა-საქმიანობის მაგალითზე. შიდა ქართლში განვითარებულ ინტენსიურ მიწათმოქმედებას დიდი როდენობით ესაპიროებოდა სახენელი იარაღები და კევრები, რომლებით მარაგდებოდნენ ხის მოხელეობის ისეთი ცენტრებიდან, როგორც იყო ზემოალნიშნული ხეობები.

ლეწვა — „ყანის დაბეგვა“ — (საბა) კალოზე ხდებოდა. კალო ეწყობოდა სახლის ბანზე, ეზოში და ყანასთან ახლოს. საქართველოში ორი სახის კალო იყო: 1. გარეთ || ველისა და ფეხის || სახლის || დახურული || და ფარული || ბანიანი კალო. ველის || გარეთ კალოზე ყანის გალეწვა კევრით ხდებოდა. იგი შემალღებულ სახიავო ადგილზე ეწყობოდა (ქართლი, კახეთი, სვანეთი, იმერეთი, რაჭა). 2. დახურული კალოები გავრცელებული იყო მთის ზოლში (ქსნის ხეობა), სადაც ძნა საქონლის ფეხით ილეწებოდა [6].

კალოობისათვის არჩევდნენ მზიან „ფიცხ დღეს“, რადგან ამ დროს თავთავი უკეთესად ილეწებოდა. როდესაც შესაფერისი ამინდი დადგებოდა, კალოზე ძნას თავთავით შიგნიდან ჩაშლიდნენ. კალოზე ხშირად ორი, სამი, ოთხი კევრი მუშაობდა. მათი როდენობა განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ურემი ძნა იყო კალოში ჩაშლილი. თუ, ცხარე მზიანი დღე იყო, ორა ურემი ძნა გაილეწებოდა, ოღონდაც თავთავი ჭანარი (ნედლი) არ უნდა ყოფილიყო.

კევრში, ჩვეულებრივ, ხარს, მოზვერს ან ცხენს აბამდნენ, კამეჩის შებმა იშვიათი იყო.

კევრი ფართოდ იყო გავრცელებული კახეთში, ქართლში, მესხეთ-ჭავჭავთოში, ზემო იმერეთში, ქვემო ქართლსა და სვანეთში. შედარებით ნაკლებად იყენებდნენ მას ქვემო იმერეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთსა და აჭარაში, იშვიათად კიდევ უფრო გურიასა და სამეგრელოში (რუჟა № 13), სადაც ეს იარაღი ხმარებიდან ამოვარდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს გლეხობამ, სევაპრო კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, უხვმოსავლიანი სიმინდის მოყვანას მოჰკიდა ხელი.

საერთოდ, სალეწი იარაღები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფში შედის

რომაული „ტრიბულუმ“, რომელიც ქართული კეერის მსგავსია [7], მეორე ჯგუფში კი სემიტური წარმოშობის პუნიკური სალუწავი იარაღი პლოსტელუმ პუნიკუმ [8]. კავკასიაში იყენებდნენ როგორც ტრიბულუმს, ისე პლოსტელუმ პუნიკუმს.

კეერი — ტრიბულუმ — მარტივი აგებულების, თავაწეული, დაკობილი ფიცარია, ხოლო ჯარჯარა — პლოსტელუმ პუნიკუმი — რთულ, შედგენილ იარაღს წარმოადგენს (სწორაკლბხა ჩარჩოში გაყრილ ღერძებზე ჰადრაკულად არის განლაგებული ლითონის, იშვიათად ქვის გორგოლაჭები). ჯარჯარა — პლოსტელუმ პუნიკუმის სამუშაო ნაწილი უძრავი კი არ არის, როგორც კეერისა, არამედ მოძრავი გორგოლაჭებია, კეერით ლეწვა სრიალ-ჭრა-ფშვნეტაზეა დაფუძნებული, ხოლო ჯარჯარათი (პლოსტელუმ პუნიკუმი) გორვა-ჭრა-ბეგვაზე. მიუხედავად კონსტრუქციული სიმარტივისა, კეერი-ტრიბულუმ უკეთესად ლეწავს, ვიდრე ჯარჯარა-პლოსტელუმ პუნიკუმი.

როგორც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, საქართველოში გავრცელებული ყოფილა მხოლოდ ტრიბულუმის ტიპის სალუწი იარაღი, ე.ი. კეერი. სომხეთში ამ ტიპის სალუწი კამნ (*камн*) [9], ხოლო აზერბაიჯანში „ხაჟა“ სახელწოდებით არის ცნობილი [10].

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებიდან კეერს იცნობდნენ და ფართოდ იყენებდნენ ჩეჩნები, ავარები, დარგულები და სხვ. [11].

კეერი ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი იტალიაში, სამხრეთ რუსეთში [12], მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვის აზზის ქვეყნებში [13]. უძველესი კეერი (ძვ. წ. 1800 წ.) დასტურდება შუამდინარეთში.

კეერი საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული პერიოდიდან ჩანს, მისი ნაშთები ნაპოვნია ძველი იბერიის მიწათმოქმედების ისეთ ცენტრებში, როგორცაა მცხეთა, ხოვლე, უფლისციხე და ცხინვალი.

ხოვლეგორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კეერები თარიღდება ძვ. წ. XI—IX საუკუნით [14]. კეერის ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებით თარიღდება, ნანახი იქნა აგრეთვე ცხინვალის მახლობლად, სოფ. ოსპირთან [15]. იმავე პერიოდს მიეკუთვნება სამთავროს სამაროვნის „კეერი“ (ძვ. წ. აღრ. VIII—VI საუკუნეები) [16]. უფლისციხეში (გორის რაიონი) აღმოჩენილი კეერი ძვ. წ. III—I სს. განეკუთვნება [17]. 1961 წელს სოფ. კავთისხევთან (კასპის რ-ნი) ნაპოვნი იქნა გვიან ფეოდალური ხანის კეერი (არქეოლოგი ბ. ჯორბენაძე).

ამ მონაცემების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კეერების გაჩენა-გავრცელება გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანას მიეკუთვნება. აღნიშნული პერიოდიანათვის „...აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ზის მიწათმოქმედი, მესაქონლე, მეტალურგიაში გაწაფული მეომარი მოსახლეობა“ [18]. ამავე დროს, არქეოლოგიური მონაცემები იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ აკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა მიწათმოქმედებაში ხარის გამოყენება გვიან ბრინჯაოს ხანიდან დაიწყეს.

განთხარი კეერის აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, მასზე მიცვალებული იყო დასვენებული (ტაბ. XIV, ნახ. 1). მიცვალებულის კეერით დასაფლავების ჩვეულება საერთო მოვლენა ჩანს აკავკასიის ხალხებისათვის [19]. იგი გარკვეულად ეხმაურება წინა აზიის ძველი მოსახლეობის, სირიელების ეთნოგრა-

ფიულ ყოფაში დადასტურებულ კევრზე მიცვალებულის დასვენების წეს-ჩვეულებას. ეს ფაქტი დამოწმებული აქვს ბაღდადის ახლოს XIX ს. 70-იან წლებში ეთნოგრაფ ვეტშტინს. მისი ცნობით, სირიელები მიცვალებულს დამარხვამდე კევრზე დასვენებდნენ, რადგან კევრი წმინდა სამეურნეო იარაღია [20]. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს თეთრი წყაროს რაიონში შუააუკუნეების [XI—XII სს.] ნამოსახლარ ნაქვიპვეების ეკლესიის ტერიტორიაზე მიკვლეული კევრის მოყვანილობის საფლავის ქვა. „კევრქვის“ საფლავის ძეგლად გამოყენება მიცვალებულის კევრზე დამარხვის უძველეს ჩვეულებასთან უნდა იყოს დაკავშირებული [21].

სპეციალურ ლიტერატურაში ადრე გამოთქმული მოსაზრებით საღეწი იარაღი რომაელთა მონაპოვრად იყო მიჩნეული, რადგან ამ იარაღის გამოყენება რომაელებში ძვ. წ. აღრ. II საუკუნით თარიღდება. ბოლო ხანების არქეოლოგიური აღმოჩენის საფუძველზე ეს მოსაზრება მოძველებულია. როგორც გაირკვა, კევრი აკვაკასიისა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანიდან გამოიყენებოდა. ასეთი სიძველის საღეწი იარაღი — ჯერჯერობით იშვიათად გვხვდება [22]. ხოლო კიდევ უფრო ძველი ჩანს ამ იარაღის გამოყენება შუამდინარეთში [23].

ლიტერატურა

1. სტ. მენთეშაშვილი, კევრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IX, თბ., 1935, გვ. 78.
2. ნ. ბრეგაძე, რაკა-ლეჩხუმის სამიწათმოქმედო იარაღები, კრებული „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბ., 1914, გვ. 176.
3. სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.
4. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 61.
5. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 133.
6. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპლედციის ნაკვ.არში, ენჩქის ნომბე, ტ. IV—3, თბ., 1939, გვ. 287.
7. М. Сергеевко, Очерки по сельскому хозяйству Древней Итэлии, М.—Л., 1958, с. 75.
8. სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.
9. С. Лисициан, Очерки этнографии дореволуционной Армении, Труды Института этнографии, им. Миклухо-Маклая т. XXVI, М., 1955, с. 18.
10. Народы Кавказа, т. II, М., 1962, с. 63.
11. Народы Кавказа, т. I, М., 1960, с. 348.
12. D. Zelenin. Russische (Ostslavische) Völkerkund, 1927.
13. სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
14. რ. აბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ხოვლეგორაზე 1960 წლის მუშაობის შედეგები. იბ. Итоги полевых археологических исследований на территории Грузинской ССР, 1960.
15. თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიფონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1960 გვ. 21.
16. ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.
17. დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ., 1965, გვ. 45.
18. საქართველოს არქეოლოგია (სახელმძღვანელო), თბ., 1959, გვ. 188.
19. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 132.

20. Wetzstein, Die Sirische Dreschtafel, Zeitschrift für Ethnologie, Berlin Band, V.
21. ალ. ბოხოჩაძე, ახალი ტიპის საფლავის ქვები, თეთრიწყაროს რ-ნული გაზეთი „საკლმეურნეო გზით“, 1956, 27/VI.
22. Г. Ч и т а я, Этнографическая выставка Грузии, «Советская Этнография», 1957, № 2.
23. A. S a l c n e v, Agricultura Mesopotamica, Nach Sumerisch-Akkadischen Quellen, Helsinki, 1968, (რედ.).

ლელია მოლოდინი

ზეთისახდელი

ზეთისახდელი საშუალებები, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნეში და XX საუკუნის 30-იან წლებში გამოიყენებოდა, შეიძლება სამ ჯგუფად დავუყოთ: 1. მარტივი საშუალებები, 2. მარტივი მექანიკური იარაღები და 3. ზეთისახდელი საწარმო.

1. მარტივი იარაღებია: ა) ხელსანაყი, ბ) სასრესი. ხელსანაყი ცნობილია სხვადასხვა სახელით: გურჩი (თუშეთი), როდინი || ფილთაქვა (ქართლი, კახეთი, რაჭა), ფილი || ქვიჯა (გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთი) || ჩუმა (ქვემო სვანეთი) (ტაბ. XV, ნახ. 1). სასრესს წარმოადგენს: გობი || ახაყა (აჭარა), ვარცლი (კახეთი)¹. (ტაბ. XV, ფ. 2).

ხელსანაყი გვხვდება ქვისა და ხის. იგი სხვადასხვანაირია: მაღალი, სწორი „ტანით“, „შუაწელში“ შევიწროებული და დაბალი ჯამის ფორმისა.

სასრესებიც არის ხისა და ქვის. ხის სასრესებია: გობი (ტაბ. XV, ფ. 2) და ვარცლი. გობი მრგვალი, ხოლო ვარცლი გრძელი ჭურჭელია. ახაყა, მრგვალი ოდნავ ჩაღრმავებულ ზედაპირიანი ქვის სასრესია.

საქართველოში მარტივი იარაღებით კანაფის ზეთის მიღება სხვადასხვაგვარად იცოდნენ: მოხალულ (ზოგჯერ მოუხალაესაც) თესლს დანაყავდნენ. ერთხელ ან ორჯერ გაცრიდნენ (ზეთის სწრაფად და იოლად გამოსახდელად კანაფის თესლის ნიორთან დანაყავაც იცოდნენ). დანაყილ მასას გობზე თბილი წყლით დაზელდნენ, „ტოპრაკში“ ჩადებდნენ, თავს მოუკრავდნენ და ზეთს თანდათან გამოწურავდნენ. ამავე მიზნით დაქუცმაცებულ კანაფის თესლს ტომრითვე გაათბობდნენ და მომზადებული ნაფქვავიდან ზეთს გამოხდიდნენ [1].

ნიგეზის ზეთის მისაღებად ნიგოზს ხის სანაყში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი) დანაყავდნენ ან ვარცლში (ქიზიყი) და ახაყაზე (აჭარა) ფილთაქვით დასრესავდნენ. დანაყილს ხელით გამოწურავდნენ. იცოდნენ აგრეთვე დანაყილ ნიგოზში ცხელი მჭადის გულის შერევა (აჭარა) ან მისი ნიორთან ერთად დანაყვა.

საქართველოში მარტივი იარაღების საშუალებით გამოხდილი ზეთი მხოლოდ საოჯახო მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

2. ზეთის მისაღები მარტივი მექანიკური იარაღები ორ ჯგუფად იყოფა: 1. მარცვლის დასაქუცმაცებელი, რომელიც ორი სახისაა და 2. დაქუცმაცებული მარცვლიდან ზეთის გამოსახდელი.

¹ ზემოთ ჩამოთვლილი იარაღები საზეთე ნედლეულის დამუშავების გარდა, მარლის, ნორის, საკმლის საკაზში სუნელის, კორკოტის, თოფის წამლისა და ხილის დანაყვის ფუნქციასაც ასრულებდნენ.

მარცვლის დასაქუცმაცებელი იარაღია: ხელით საბრუნე ხელსაფქვევი შირა (სევანეთი) (ტაბ. XV, ნახ. 3), [2] და ფეხის საცეხველი (ტაბ. XV, ფ. 4), რომელიც ჩამურის ოჩამურეს (გურია, სამეგრელო) ოსაცეხველის (იმერეთი, ლეჩხუმი), საძიგველის (აჭარა), დინგის (სამცხე, საინგილო) სახელით არის ცნობილი [3].

დაქუცმაცებული მარცვიდან ზეთის გამოსახდელი იარაღ-ჭურჭელია: საწნები — ტაბო ანუ საწნები ხე (გურია, აჭარა) (ტაბ. XV, ფ. 5), [4] და წნები — საქაჩველი (იმერეთი) ოსაქაჯავი (ქართლი).

ხელსაფქვევი მრგვალი და ბრტყელი ზედა და ქვედა ქვისაგან შედგენილი საფქვევია. ქვედა ქვის ცენტრში ხის მარგილია გაჭედილი, ზედა ქვა ამ მარგილზეა ჩამოყვანილი, რომელიც მის ზედაპირზე დაგებულ ხის ტარის საშუალებით მარგილის ირგვლივ თავისუფლად ბრუნავს. ორივე ქვის შემხები — მოსაფქვევი პირი დასაფქვევად სათანადოდ არის გამოთლილი და დამუშავებული.

საცეხველი შედგება ქვის ან ხის ჯამის, ძელის ბოლოზე სწორკუთხედ ჩამაგრებული წრის თავის, ღერძის-ლიღვისა და ბოძებისაგან; დამხმარე ნაწილია ლიღზე შემდგარი მცეხველისათვის ხელის მოსაკიდებელი ჯოხი — გაძირა. გაძირაზე ხელებჩაკიდებული მცეხველის მიერ ღერძზე და ძელზე ფეხების ურთიერთ შენაცვლებულ რიტმულ დარტყმას ღერძის აწევ-დაწევა და საცეხველში მოთავსებული წირისთავით ნაყვა მოპყვება.

გეჯა წიფლის ან თხმელის მთლიანი ხისაგან დამზადებული გულამოღებული მოგრძო ჭურჭელია; ამავე ტიპისაა საწნები ხე — ტაბო, რომელიც მთლიანი ხისაგან არის გამოთლილი. ტაბოს ზედაპირი კიდის გასწვრივ ამოღარულა.

სელის ზეთის გამოსახდელად ქუმელით საცხე ტომარას გეჯაში ან ტაბოზე მოთავსებდნენ, ზევიდან ფიცარს დაადებდნენ, ფიცრის ერთ თავს ნაგებობის კედელში ჩამაგრებდნენ და ძელის მეორე მხარეს სიმძიმეებს დააწყობდნენ. ზოგ შემთხვევაში ძელის ბოლოს თოკს გამოაბამდნენ, თოკის მეორე წვერს მიწაში ჩამაგრებულ ხის სოლზე — პასალზე (აჭარა) დაახვევდნენ. ზეთის გამოწურვის შემდეგ თოკს პასალზე უფრო მეტად გადაახვევდნენ, რითაც ძელის გეჯაზე ან ტაბოზე დაწოლის ძალა იზრდებოდა და ზეთიც ბოლომდე გამოიწურებოდა.

შედარებით რთული კონსტრუქციისაა წნები — საქაჯავი (ქართლი), საქაჩველი ოდათვის საქაჩველი (იმერეთი). გეჯაზე გადებულ ღირეზე მოგრძო ძელი — დათვია გადებული. დათვზე სიმძიმისათვის თოკით ასაკიდი ქვა არის ჩამომბული. ძელის კეტებით დატრიალების დროს თოკი ძელზე ეხვევა და ქვაც მალა იწევს, რასაც გეჯაზე ღირეს დაწოლის ძალის გაზრდა და შიგთავსის წნეხვა მოპყვება.

როგორც სანაყებს და სასრესებს, ასევე საცეხველს, ტაბოს, გეჯასა და წნებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ².

² საცეხველი მარცველულს — მახას, ზანდურის, ლომისა, ბრინჯის და სხვათა საცეხვად იხმარებოდა (გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა). საინგილოში, საცეხველში — დინგში იგარდა ბრინჯისა, ნიგოზსად ნაყავდნენ, აჭარაში და ხევსურეთში იგი შესაბამისად ხილისა და თოფის წამლის სანაყსად წარმოადგენდა, ხოლო ტაბო, გეჯა, საქაჯავი უმთავრესად ქაქისა და ხილის დასაწნებად იყო განკუთვნილი.

3. ზეთისახდელი (ტაბ. XVI, ნახ. 1; ტაბ. XVII, ნახ. 1, 2, 3; ტაბ. XVIII, ნახ. 1; ტაბ. XIX, ნახ. 1, 2) ზეთის სპეციალური საწარმო იყო, აქ ერთ კომპლექსში იყო წარმოდგენილი ღუმელი, საზეთე წისქვილი და წნეხი [5]. აქვე იყო ზეთის ხდის პროცესთან დაკავშირებული დამხმარე ხელსაწყოები (საცრები, ქუმელისათვის ხახლები, სხვადასხვა საწყაოები, ხის თოხები, გამწვევი ძალის უღლები, წყლის ჭურჭელი და სხვ.).

ზეთისახდელი ხალხურ ყოფასა და ისტორიულ წყაროებში სახდელის ან საზეთეს სახელით არის ცნობილი.

ზეთისახდელი ოთხკუთხა მოყვანილობის ბაზალტის ქვით ნაშენი მიწურა ნაგებობაა. ზეთისახდელის ღუმელიც ბაზალტის ქვითაა ნაგები, იგი ზეთისახდელის კედელთან არის მიშენებული, მასში გამოიყოფა ქვის ფილებით მოყვანილი მარცვლის მოსახალავი ზედაპირი და საწვავის მოსათავსებელი ნაწილი; ღუმელის საკვამური ზეთისახდელის კედელშია დატანებული. ზეთისახდელის ღუმელი საქართველოს მთიანეთში გავრცელებული პურის საცხობი ღუმელის ანალოგიურია.

წისქვილი (ტაბ. XV, ფ. 6) ზეთისახდელის ნაგებობის ცენტრშია გამართული, იგი შედგება ორი ნაწილისაგან — კალოსა და მომუშავებელაზისაგან.

წირულ, ბრტყელ ქვას გარშემო ხის ან ოთხკუთხი ქვის ფილებისაგან შედგენილი ლავგარდანი აქვს შემოვლებული, რომელიც ცენტრისაკენ არის დაქანებული. კალოს ცენტრში ჩასმულია ხის ბოძი, ბოძში ჩამაგრებულია რკინის სოლი. სოლზე ჰორიზონტალურად გრძელი ღერძია ჩამოყვანილი. ღერძის თავი ბოძის გვერდით მდგარ ურმის თვალვით ცერად შეყენებულ გელაზის ქვის გულშია გატარებული. ღერძს ჯაჭვით ხის უღელი გამოებმება, უღელში შებმული გამწვევი ძალა (ხარი ან კამეჩი) გელაზს საღეწ კალოზე აგორებს, რის შედეგადაც სელის მარცვალი ქუცმაცდება, ხოლო ცხელი წყლის დასხმის შემდეგ ისრისება — იზილება.

გელაზი ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი, დოლაბის ფორმის ქვა არის, ოღონდ განსხვავებული დიამეტრისა, რის გამოც პირი ირიბადაა აჭრილი და კალოს ლავგარდანის დაქანებას ემთხვევა.

გელაზი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თავის ზომით, მისი დიამეტრი უმეტეს შემთხვევაში ორ მეტრზე მეტია, გელაზის ზედაპირი ხშირად სადაა, ზოგჯერ კვეთილი ორნამენტებით და წარწერებით შემკულიც გვხვდება (ტაბ. XV, ფ. 7).

წნეხი სელის ქუმელისაგან ზეთის გამოსაწნეხი მოწყობილობაა. იგი ზეთისახდელის კედლის გასწვრივაა გამართული. წნეხში გამოიყოფა საწნეხი ძელები, ხრახნის, დოლაბისა და დათვის კომპლექტით შედგენილი ნაწილი და მეორე — დასაწნეხი ქუმელის მოსათავსებელი ჭურჭელი. 19—20 მეტრის სიგრძის ოთხი, ორ-ორად შეკრული ფიჭვის ხის ძელი ერთი ბოლოთი ზეთისახდელის კედლის ნიშაშია ჩამაგრებული. მეორე მხარეს, ძელებს შორის ხის ხრახნია ამოტარებული. ხრახნი ბოლოთი ქვაზე დაგებულ ღარიან ლითონზე ბრუნავს. ის ადგილი, სადაც ხრახნია გამართული, იატაკის დონეზე დაბალია. იატაკიდან 40 სმ-ის დაცილებით ხრახნზე დოლაბია ჩამოკიდებული. ხრახნევე, ძელებს ზევიდან, ხის მოგრძო კუნძი — დათვია ჩამოხრახნისი.

ნიშიდან 40—50 სმ-ის დაშორებით, ძელების პირდაპირ, იატაკში საწნეხი ქუ-
მელის მოსათავსებლად ხის ყუთია ჩადგმული.

ეს წნეხი ანალოგიურია რაქა-ლეჩხუმსა და იმერეთ-გურია-სამეგრელოში
არსებული ყურანის წნეხისა, ხოლო ამგვარი ზეთის საწარმო—ზეთსახდელი
ცნობილია სომხეთში, იტალიაში, უნგრეთში, საბერძნეთში, მცირე აზიაში,
პალესტინაში, ალჟირსა და ტუნისში.

ზეთსახდელში ერთ ჯერზე გამოიხდებოდა ერთი შეგდება, ანუ 16 კო-
დი სელის თესლი. ღუმელზე მას 3—4 ნაწილად ხალავდნენ. დახალულ და
გაცხრილულ მარცვალს გელაზით წისქვილის კალოზე აქუცმაცებდნენ. ამ დროს
წისქვილთან ორი მენხრე მუშაობდა—ერთი კამეჩს მირეკავდა, ხოლო მეო-
რე—კალოში ჩამდგარ ქვას მიჰყვებოდა და მარცვალს ურევდა. დაქუცმაცებულ
სელს ცრიდნენ, ანაცერს სალექ კალოზე დასაფქვავად დაყრილ სელს დაამა-
ტებდნენ; ამის შემდეგ იწყებდნენ მეორე კალოს ლეწვას.

სამი კალოდან მიღებულ, კოდებით აწყულ ქუმელს ცხელ წყალს ასხამ-
დნენ (ერთიდან ორ ოყამდე)³. წყლის ოდენობა სელის ჯიშის მიხედვით განი-
საზღვრებოდა. მსუყე და ნოყიერი ბრტყელი სელი მეტ წყალს იტანს, ვიდრე
შავი „მკლე“ სელი. წყლის დოზირების დარღვევა იწვევდა ზეთის გამოსავლა-
ნობის შემცირებას. სათანადოდ დამუშავებული სელის ცომის მასა მუჭის მო-
ქერის შემდეგ უნდა შეკრულიყო. წისქვილში სელის ცომის დასახელად, ღერ-
ძის თავსა და ბოლოში კამეჩებს აბამდნენ, წისქვილთან სელის დამუშავების
ამ ეტაპზე სამი მენხრე და ოსტატი მუშაობდა: ორი გელაზში შებმულ კამეჩებს
მიერეკებოდა, მესამე ნიჩბით ცოშს აბრუნებდა, მასვე ეხმარებოდა კალოს
გარშემო მოსიარულე ოსტატიც. როდესაც ცომი გელაზის კედლიდან ჩამო-
ცვავდებოდა და ქვაც გაპრიალდებოდა, ქუმელის დაზღვევა დამთავრებულად
ითვისებოდა.


დაზღველი სელის მასას თხის ბალნით ნაქსოვ ოთხკუთხ ქსოვილებზე ან
თხლის ტოტისაგან მოწნულ მრგვალ ხახლებზე დაანაწილებდნენ და
შემდეგ წნეხის ყუთში ჩაალაგებდნენ.

საწნეხი ძელების მოძრაობას, რაც ხრახნის დოლაბში შებმული გამწვევი
ძალისა და მენხრის დახმარებით ხორციელდებოდა, წნეხის დაწოლის ძალის
გაღიდება ან შემცირება მოჰყვებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სელის ზეთსახდელი წარმოადგენდა ზე-
თის სპეციალურ საწარმოს, რომელიც ინტენსიურად იყო გავრცელებული ჯა-
ვახეთსა და თრიალეთში, იგი უფრო ნაკლები სიხშირით შემორჩა სამცხეს, ხო-
ლო აქა-იქ—შიდა და ქვედა ქართლს.


XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ზეთსახდელები კერძო საწარმოე-
ბია; მათი მეპატრონეები ამავე დროს ოსტატებიც არიან და თავიანთ საწარმო-
ში იყენებენ დაქირავებულ შრომას. შრომა განაწილებულია ოსტატსა და მუ-
შებს შორის და ხელით წარმოებაზეა დამყარებული. ამრიგად, XIX საუკუნის
მეორე ნახევრისათვის ზეთსახდელი მანუფაქტურული ტიპის საწარმოს წარ-
მოადგენს. ზეთსახდელი ამავე დროს ნათესავთა ფართო წრის მფლო-
ბელობაშია, მის ყველა წევრს შეუძლიან იქ მუშაობა სათანადო ანაზ-
ღაურებით. გარდა ამისა, ამ წრის ცალკე ოჯახებზე ნაწილდება ზეთსახდელის

³ ოყა უღრის 3 გორვანქას.



რუკა № 14. ზემოსახლელი იარაღები (XIX ს-ის II ნახევარი)

1. მარტივი ზემოსახლელი იარაღები, 2. მარტივი გეგმური სემ უღლებანი, 3. ზემოსახლელი



რუკა № 15. ზეთსაღდელი იარაღები (X X ს-ის 30-იანი წლები)

1. მარტივი ზეთსაღდელი იარაღები, 2. მარტივი მექანიკური საშუალებანი, 3. ზეთსაღდელნი.

სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადიდან (ქირიდან) გარკვეული წილი [6].

ზეთსახდელის შემოსავალი სეზონის განმავლობაში სხვადასხვა იყო, ზეთი მზადდებოდა როგორც შეკვეთით, ისე გასაყიდადაც. XVI—XVIII საუკუნეებში ზეთსახდელების მფლობელებად გვევლინება სამეფო კარი, ფეოდალები და ეკლესია-მონასტრები [7]. XI—XVIII საუკუნეების სიგელ-გურჯებიდან ჩანს, რომ საზეთეები ჰქონია შიო მღვიმის, ათონის ივერთა მონასტერს, ქვენიფნევის ეკლესიას [8]. ზეთსახდელები ეკლესია-მონასტრებთან ბოლო დრომდე არსებობდა, რასაც მოწმობს მათ ტერიტორიაზე შემორჩენილი გელაზის ქვის ნაშთები. სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი, ფიის ნასოფლარი) და ქვემო ქართლში (დმანისი) არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი იქნა X—XII საუკუნეების ზეთსახდელები [9]. მათი არსებობა საქართველოში უფრო ადრეც ივარაუდება. ამაზე მიუთითებს პალესტინაში აღმოჩენილი წმ. თედორეს მონასტერთან არსებული ზეთსახდელის ნაშთები. ეს მონასტერი დაარსებული ყოფილა 430-იან წლებში პეტრე ივერიელის მიერ. იგი სრულად განსხვავდებოდა იუდას უდაბნოს სხვა მონასტრებისაგან როგორც გეგმით, ისე სამეურნეო საქმიანობით. ამდენად წმინდა თედორეს ქართულ მონასტერში, ცხადია, ქართული ტრადიციული სამეურნეო დარგების არსებობაა სავარაუდო.

ვ. კობზოს შრომაში მოცემული წმ. თედორეს მონასტერთან არსებული ზეთსახდელის საზეთე წისქვილის, წნეხის გეგმა-ქრილისა და მასთან დაკავშირებული აღწერილობით ტექსტიდან ჩანს, რომ ქართული მონასტრის საზეთე წისქვილი და წნეხი ქართულ სამყაროში ცნობილი შესაბამისი ხელსაწყოების ანალოგიურია და მამასადამე ამგვარი ზეთსახდელის არსებობა საქართველოში V საუკუნეზე გაცილებით ადრეა სავარაუდო [10].

დასტურდება, რომ XIX ს-ის ზეთსახდელები საქართველოში ტრადიციულად შემუშავებულ ტექნოლოგიურ პროცესზე დაფუძნებული საწარმოებია და მათი არსებობა აქ საზეთე სელის კულტურის გავრცელების ზონას ემთხვევა.

XIX საუკუნის II ნახევრისათვის, ზეთსახდელების გავრცელების სიხშირის მიხედვით, გამოიყოფა სამი ზონა (რუკა 14, 15):

1. ჯავახეთი, თრიალეთი (ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონები)— ხშირი გავრცელების არე.
2. სამცხე, ქვემო ქართლი (ახალციხის, აღიგენისა და დმანისის რაიონები), ნაკლები სიხშირით ხასიათდება.
3. შიდა ქართლში (თბილისი, გორი) — გვხვდება ერთეულის სახით.

ლიტერატურა

1. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 69.
2. В. Я. Т е п ц о в, Сванетия, географический очерк, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Вып. X, 1890, გვ. 31; ს. ბ ე ლ უ კ ი ძ ე, საფუძვლების განვითარების ისტორიისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოამბე, ტ. XIX, 1956.
3. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 128-129; ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 8; მ ი ს ი ე ვ ე, თოფის წამლის დამზადება პირაქეთ ხეხსურეთში, ანალები, 1, 1947, გვ. 233.

4. ლ. მოლოდინი, კართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963, გვ. 33.
5. ლ. მოლოდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 36-42.
6. ლ. მოლოდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 43-47.
7. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные Гуджари (Грамоты), Тр. 1881, გვ. 69-80. საისტორიო მოამბე, 1924, წიგნი. 1, გვ. 180.
8. თ. ქორდანია, ისტორიული საბუთები შიო მღვიმეს მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 17. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები, საიუბ. გამოც., საეკლ. მუზ., თბ., 1901, გვ. 264.
9. გ. ლმთათიძე, ჭავჭავთა-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი (1960 წ.) კამპანიის შედეგები; გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბ., 1959, გვ. 19-51.
10. V. Corbi, Gli scavi di Kh. Siyar el-ghanam (Campo dei Pastori) ei monasteriedei dintorni. Pubblicazioni dello Studium Biblicum Franciscum, № 11, Gerusalemme, 1955, B 117-119. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 45-46.

ჯულიბა რუხამი, მალონა ხაზარამი

სამეურნეო სათავსები

საქართველო სამეურნეო სათავსთა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. სამეურნეო სათავსებიდან მხატვრულ-კონსტრუქციული და ხეწილობით, ამასთანავე, ფართო გავრცელებით უთუოდ გამოირჩევა სამარცვლე სათავსები, რომელთაც ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია აქვთ.


სამარცვლე სათავსი, როგორც პროდუქტის შესანახი, ყოფის აუცილებელი ელემენტი. ესაა, უძველესი დროიდან დღევანდლამდე, მისი ფართოდ გავრცელების მიზეზი. სათავსის არსებობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. ზოგჯერ ამ გარემოებას სათავსის ფუნქცია განსაზღვრავს, ზოგჯერ ამა თუ იმ მარცვლის დანიშნულება და თვისება. ამას ემატება საქართველოს ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი, მშენებლობის ტრადიციები, რომელიც გარკვეულ მიკრო ან მაკრო რაიონისათვისაა დამახასიათებელი და სხვაგან იშვიათად გვხვდება; რასაკვირველია, კონკრეტული გარემოც თავის დას ასევე. შეიმჩნევა, მაგალითად, რომ მთაში სასიმიინდეთა უმრავლესობა აგებულია მაღალ საქოლავე ადგილზე; ხშირად, ნაგებობა ორსართულიანია, ქვემოთ ბელელია და ზემოთ სასიმიინდე, ან იგი ეზოს კარის თავზეა მოთავსებული (ნახ. 1). სრულიად სხვა ვითარებაა საქართველოს ბარში, აქ ნაგებობა იგება სახლთან ახლოს, ადვილად მისასვლელ ადგილზე, თან ისეთი მოცულობისაა, რომ თავისუფლად დაიტევდა მთის რამდენიმე პატარა ნაგებობას (შდრ. გურია-სამეგრელოსა და ქვ. იმერეთში გავრცელებული დიდი სასიმიინდეები და ქვ. სვანეთის, ქართლისა და ერწო-თიანეთის პატარა სასიმიინდეები). ეს არის პრინციპული განსხვავება, რომელსაც მთისა და ბარის სხვადასხვა პირობები ქმნის.

საქართველოს ბარში წარსული ყოფისათვის დამახასიათებელი იყო მიწისზედა და მიწისქვეშა სათავსთა კომპლექსები; რეფორმამდე პერიოდში, დასავლეთ საქართველოს ბარში, სამოსახლოში სახლთან ახლოს გაფანტულად იდგა: ნალია, ბელელი, ხულა და სასიმიინდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მშრალ, ნაკლებტენიან რაიონებში ძირითადად მიწისქვეშა სათავსები: ორმო და ხარო იყო გავრცელებული. ამ რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი ინტენსიურად იყენებდა აგრეთვე სხვა სამარცვლე სათავსებს: ხის ხაროს, ხორგოს, გოდორს, კიღობანს, ამბარს და კოდს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვა კუთხეებშიც მოწმდება.

მთაში: რაჭაში, სვანეთში, აჭარაში¹, თუშეთში, ხევსურეთსა და ფშავეში,

¹ როგორც ცნობილია, საქართველოს ყველა კუთხეში — „თვითუღ ძირითად ზოლს თავის შიგნით თავისი ბარი, თავისი „ფურდა“ და თავისი „თა“ გაჩნდა ისე, რომ მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიაც შელანდებო“ [1].

მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, აგრეთვე, სამხრეთ საქართველოს ზეგანზე: მესხეთ-ჭავჭავთვში, წალქასა და თრიალეთში შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი, სახლი სამეურნეო ფუნქციის მატარებელიაა, ხადაც ერთადაა მოქცეული მარცვლეულისათვის განკუთვნილი ჭურჭლის სხვადასხვა სახეები: ა მ ბ ა რ ი || ლ ა ზ ა მ ბ ა რ ი, კ ი დ ო ბ ა ნ ი, ხ ი ს ხ ა რ ო, გ ო დ ო რ ი, კ ო დ ი, ბ ო ყ ვ ი, თ ი ხ ი ს დ ო რ ა და ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ დაგეგმარებაში მოქცეული სათავსები: ბ ე ლ ე ლ ი, ხ უ ლ ა, გ ე მ || გ უ ტ ე მ.



ნახ. 1. სასიმიინდე (ჭრილი, ფასადი და გეგმა), სოფ. სასაში, ქვ. სვანეთა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რეფორმების მომდევნო ხანაში, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა, მეურნეობის სპეციალიზაციამ და დასახლების ტიპის შეცვლამ, ყოფაში ახალი სამარცვლე სათავსები დაამკვიდრა — მაგ., ქვემო სვანეთში და კახეთში ბელელი და სასიმიინდე გაჩნდა. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში, როდესაც სასაქონლო სიმიინდისა და პურის მოსავალი ინტენსიურად გაიზარდა, აღნიშნული სათავსების მოცულობა შეიცვალა, ამავე პერიოდში ზოგიერთი სათავსი გაზოგმირდა. მაგ., გურია-სამეგრელოსა და იმერეთში ბევრმა ორი-სამი, ზოგმა ოთხი დიდი ზომის სასიმიინდე ააგო, ასეთი ვითარება ნაწილობრივ კახეთშიც შეიმჩნევა; ხოლო ნაგებობის ზოგი სახეობა — ოომის თაველის საშრობი ნალია (გურ., იმერ.) || ნანია (მეგრ.) მეტნაკლებად მოიხპო, მაგრამ ყოფიდან არ გაქრა.

XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მთაში: ქვემო სვანეთში, ზემო რაჭაში, გურიაში — აქარლებით დასახლებულ სოფლებში — და

ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, ჩნდება ეზოში განლაგებული სათავსები, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ კუთხეთა დასახლების ტიპის მკვეთრ ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ კახეთში ამ დროისათვის ორმო და ხარო იშვიათად იხმარება.

XX ს. დასაწყისში კვლავინდებურად არის გავრცელებული ბელელი, ხულა, სასიმიინდე და სახლის შიგნით მოქცეული ჭურჭელი: კიდობანი, ხის ხარო, კოდი, მანჩა || ამბარი, გოდორი, ბოყვი, ხორგო და სხვ., რომლებსაც არც მერე დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. ამ დროს დამკვიდრდა ზემო სვანეთის ზოგ თემში დიდი კიდობანი ბაღ || ბელელი და კიდობანზე გრძელი, მრავალთვლიანი ხის ჭურჭელი ხარვალ — ხარალ — (ხარო).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ზოგი სათავსი თავის დანიშნულებას ძველებურად ასრულებდა. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების დროიდან ბევრმა სამარცვლე სათავსმა თავისი ფუნქცია დაკარგა და გაქრა ყოფაცხოვრებიდან, თუმცა იშვიათია კარმიდამო, რომელშიც ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი რომელიმე სათავსი არ მოგვხვდეს თვალში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი სახლების ფორმათა შესამჩნევი უნიფიკაციის ფონზე, სასიმიინდე კარმიდამოს მთავარ ელემენტად დარჩა, ხოლო ბელელი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის.


ამ მხრივ სხვა ვითარება გვაქვს მესხეთ-ჯავახეთში. XX საუკუნის დასაწყისისათვის აღნიშნულ ნაგებობათა შიდა განლაგების წესი იგივეა [2], ხოლო საკოლმეურნეო წყობილების პირობებში ორმო და მიწისქვეშა ხარო თითქმის ხმარებიდან გამოვიდა, ამბარს, ხის ხაროს და თიხის დორას ისევ იყენებენ.

როგორც სათანადო ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ყველა პერიოდისათვის, საქართველოს მთაში, მარცვლის სათავსად უმთავრესად კიდობანი, ხარო და გოდორია გამოყენებული, ხოლო ბარში: ბელელი, გოდორი, ამბარი და სასიმიინდე.

საქართველოში გავრცელებულ სათავსებს კონსტრუქციული თავისებურების მიხედვით რიგი საერთო ნიშანი ახასიათებს, რომელიც ადვილი დასანახია და კარგად ჩანს საილუსტრაციო მასალიდან მათი არქიტექტურული ანაზომების მიხედვით. სათავსის ერთგვარობისა და თითოეულისათვის დამახასიათებელი თავისებურების ნათელყოფის მიზნით, ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ.

ფუნქციონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით კლასიფიკაციის პირველ ჯგუფში, ე. ი. თაველისა და მარცვლის სახმობ სათავსში ერთიანდება: ნალია, სასიმიინდე, ორსართულიანი ნახევრად ღია ნაგებობა ლალჩა (ბაღს ზემო სვანეთი) || მანჩა (ქვემო სვანეთი, რაჭა), || ცალმაგი (ბაღს ქვემო სვანეთი) და სახლის სხვენი (რუკა 16, 17).

მეორე ჯგუფშია: თაველის, მარცვლის, ფქვილისა და მშრალი პროდუქტის შესანახი სათავსები: ბელელი, ხულა, კიდობანი, ხის ხარო, მანჩა || ამბარი, კოდი, გოდორი, ბოყვი, ხოკერი, ხორგო, თიხის დორა, ქვევრი, ორმო და ქვიტკირის ხარო (რუკა 18, 19).



რუბა № 16. სათავისები განათვისნილი მარცვლებულს მასხმონად
(XIX ს-ის II ნახევარი)

1. ნალი, 2. სასიმინდე.

) ნალია — ღომის თაველის სახმობი — გასაწყობი ნაგებობაა. გარდა ღომის თაველისა, ნალიაში საჭიროების ღრის სხვა მარცვლელი კულტურების თავთავებსაც ახმობდნენ.

ნალია სასიმიწღის მსგავსი ერთსართულიანი ნაგებობაა, რომლის ასაგებად ჩვის ან მავარი ხის (წაბლის, აკაციის) ოთხ საშუალო სიმაღლის ბოძს მიწაში აამაგრებდნენ, თავებს ამოუტეხდნენ და ზედ ოთხ გამწვდომ საძირკველს || დირე || დვიროს (გურ.) დააშენებდნენ; მასზე ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს ვერტიკალურად ორ საყვავეს — სარჩხინავს (გურ.) აკეთებდნენ. საძირკველზე აწყობდნენ მრგვალ ჭერს ან დებდნენ ჩელტს თაველის დასაყრელად — დასაფენად. თაველი რომ არ დაფანტულიყო, დაბალ კედელს აგებდნენ, კოქს სატეხით ამოტეხდნენ, შიგერთი მეტრია სიგრძის ანუ, უფრო დაბალ სარებს ჩაასობდნენ და შკერის ან წყავის წნელით კედელს მოწნავდნენ. მოწნული ნალია გურიაში მორაგული, მოლობილი ან ფაცხა ნალიის სახელით არის ცნობილი. სამეგრელოში ასეთ ნალიას ჭინის ნალიას ეძახიან.

გარდა მოწნული ნალიისა, ძელურ || ჯარგულურ || როკის (მეგრ.) და ფიცრულ ნალიასაც აგებდნენ. ასეთი ნალიისათვის კოჭზე ოთხივე მხრივ მრგვალ მორებს ან ფიცრებს ალაგებდნენ. შემდეგ საყვავეზე სათავეს გადებდნენ, მასზე კავებს დააწყობდნენ და თხილის ან რცხილის ხის კანით — წირეხით კრავდნენ — კვენდლავენ (გურ.). კავებზე 5 სმ-ის დაცილებით აკეთებდნენ ლარტყას (იმერ.) || ჭოკებს (გურ.) და ორფერდა სახურავით ისლით ან ღომის ჩალით ხურავდნენ (ნახ. 2).



ნახ. 2. ნალია (ღომის სახმობი)

როდესაც თაველის გაშრობა ცეცხლზე იყო საჭირო (დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ღომის თაველი მხოლოდ ცეცხლზე შრებოდა), ნალიის ბოძებს და სხვენის თავს, სიმხურვალე რომ არ გაფანტულიყო, ნედლი ხის ტოტებით, გვირით ან სიმიწღის ფუჩეჩით ფუთავდნენ და როგორც


ქვემოთ, ასევე ზემოთ შესასვლელს უტოვებდნენ. ღომის გასახმობად საჭირო იყო მბოლავი შეშა და ზომიერი ცეცხლი. ზოგიერთ რაიონში (სამტრედია, წულუკიძე, ტყიბული, წყალტუბო, ზესტაფონი), ჰავის თავისებურების გამო, თაველი უცეცხლოდ შრებოდა [3].

ნალიის გავრცელების არეს წარმოადგენს დასავლეთ საქართველო, ძირითადად გურია-სამეგრელო და იმერეთი.


ნალია XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ერთნაირი სიხშირით არ იყო გავრცელებული. გურია-სამეგრელოში ნალია უფრო ხშირია, ვიდრე იმერეთში, რადგან იქ ძირითად მარცვლეულს ღომი წარმოადგენდა. იმერეთის ისეთ რაიონებში, სადაც თავთავიანი პურეული კულტურების უპირატესობა შეიმჩნევა, ნალია იშვიათად დასტურდება.

ნალია სასიმიინდის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარება, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ გარკვეული დროის მანძილზე აღნიშნული ნაგებობა ორივე მარცვლეული კულტურისათვის იყო გამოყენებული; ხოლო შემდეგ სიმიინდის მეურნეობის ინტენსიური განვითარების გამო ნაგებობის გარეგანი სახე შეიცვალა და იგი თითქმის ისეთი გახდა, როგორც დაახლოებით ჩვენს ყოფაში არსებული სასიმიინდეა, მაგრამ მას ძველი სახელი მაინც შემორჩა (ტაბ. XX, ნახ. 1, 2).

ბ) სასიმიინდე, სიმიინდის ტაროს სახმობი და მისი დროებითი სათავსია. იგი ძირითადად მაღალზე გამართული ერთსართულიანი ნაგებობაა, რომელიც იგება მშრალ, მზიან და სანიავო ადგილზე. ერთთავალიანი სასიმიინდე ზოგჯერ ეზოს კიშკრის თავზეც ქვის ან ხის ორმეტრიან ბოძებზე არის გამართული.




ა





ბ

ნახ. 3. სასიმიინდე, სოფ. ბახვი, მახარაძის რაიონი




რუბრ № 17. სათავსები განათმობილი გარეგნული ბასილიონი
(XX ს. -ის 30-35% წლები)


1. ნაღი, 2. სათმინი.



ა




ბ



გ

ნახ. 4. ორსართულიანი სასიბინდე, სოფ. ჭალა, სამხერის რაიონი, მუზეუმი ლა' დის ქვეშ




რუკა № 18 სათავსები განკუთვნილი მარცვლებულს შესახად
(XIX ს.-ის II ნახევარი)

1. ბედელი, 2. ხულა, 3. გოდორი, 4. კოდოზანი, 5. კოდი, 6. ხის ხარი, 7. ქვიტკირის ხარი,
8. აზარი, 9. თრემი, 10. ქვევრი, 11. ხოკერი

მაღალზე გამართული ერთსართულიანი სასიმიინდე არის ერთთვალისანი, ორთვალისანი და სამთვალისანი (ნახ. 3, 4, 5).


ერთთვალისანი ნაგებობა — (სასიმიინდე) მხოლოდ სიმიინდის სახმობია, ორთვალისანი სასიმიინდის ერთი თვალი სახმობი, ხოლო მეორე საფშენელია. სამთვალისანი სასიმიინდეში კი შუა თვალია საფშენელი, გვერდის თვლები კი სიმიინდის სახმობს წარმოადგენს.



ნახ. 5. ორსართულიანი სასიმიინდე (ჭრილი, ფასალი, გეგმა, დეტალები)

გაგრძელებულია ისეთი ორსართულიანი ნაგებობა, რომლის მეორე სართული სასიმიინდეა, ხოლო ქვემო ნაწილი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვისაა განკუთვნილი (ტაბ. XX, ნახ. 3). ასეთი სასიმიინდის რამდენიმე სახეა ცნობილი: საცხრილავისანი სასიმიინდე, ბელელ-სასიმიინდე, ახორისანი||ჯიხურისანი (სამეგრ.) სასიმიინდე, მარისანი სასიმიინდე და სხვ.

დასაყრდენ საქართველოში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, დღესაც ხშირია ორსართულიანი, შქერისაგან მოწნული სასიმიინდე, რომელიც ორი სართულის და რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ზემოთ სიმიინდის სახმობი და საფშენელია, ხოლო ქვემოთ საცხრილავი; საცხრილავის გვერდით ზოგჯერ სალორეა მოთავსებული. საფშენელის იატაკი დახვრეტილია, რომ ცეხვის დროს სიმიინდის მარცვალი ქვემო სართულში ჩაცვივდეს. ზოგჯერ საცეხვის ჭერს აწყობენ ისე, რომ ხეებს შორის ღიობები დარჩეს, ჭაიდანაც სიმიინდი ტუკით დაფშენის დროს ძირს — საცხრილავში ან საფენზე იყრება [4]. ზემო იმერეთში ასეთ სასიმიინდეებს საცეხვ-საბეგვიანი სასიმიინდეს ეძახიან. ცეხვენ საცეხველით ან საფშენელი იარაღით. მეორე სართულზე გამართული სასიმიინდის ერთი მხარე ბოძზე იდგა, ხოლო მეორე მხარე — ახორის, ბელის ან საცხრილავის სარტყელზე. ქვემო სართულის მასალად გამოყენებული იყო ძელი||დვარკალი (მეგრ.) ან ფიცარი.




რუბა № 19. სათამშაბე განათმუშინი ბარაკეღუფულის შუანანაბად
(XX ს.-ის 30.იანი ფოფეი)

1. ბელედი, 2. ბულა, 3. გოდორი, 4. კოდობანი, 5. კოდი, 6. ხბს ხაბო, 7. ქეეკორის ხაბო.
8. აზბარი, 9. რბმი, 10. კვეეზი

მეორე სართულზე გამართული სასიმიინდე გვხვდება კახეთშიც. სასიმიინდის ქვემოთ მოთავსებულია აგურით აშენებული ბოსელი ან საქათმე, ზოგჯერ ქვემო ნაწილი ორად არის გაყოფილი, ერთი ბოსელს წარმოადგენს, მეორე — სალორეს ან საქათმეს. ასეთ სასიმიინდეს წინა მხარე გადმოხურული — მოჩარდახული აქვს და იგი ქვის ან ხის, ზოგჯერ აგურის მაღალ ბოძებს ეყრდნობა. სასიმიინდის ჩარდახქვეშ თონეა მოთავსებული.

მასალის დამუშავების მიხედვით არის მოწნული, მორის და ფიცრული სასიმიინდე. მოწნული სასიმიინდე ფაცხა სასიმიინდის (გურ.), ჰინის (მეგრ.), ძაროს (იმერ.), ზარი||ძარის (ქართლი, კახეთი, ერწო-თიანეთი) და დობური (კახ.) სასიმიინდის სახელით არის ცნობილი. მორისაგან აგებული სასიმიინდე გვხვდება ძელური და სუკიანი. ძელური სასიმიინდის (გურ.) პარალელურ ტერმინად დადასტურებულია ჯარგვალი||რკი||ნოღა||დღვარკალი (მეგრ.). ერთვალისანი მოწნული სასიმიინდე ძა-



ნახ. 6. ძარი/ზარი — სასიმიინდე, ერწო-თიანეთი

რი||ზარი||ჰინ-გოდორი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში, გარეკახეთში და ერწო-თიანეთში) გვხვდება (ნახ. 6), განსხვავდება

როგორც კახეთის ცენტრალურ რაიონებში გავრცელებული სასიმიინდებისაგან, ასევე დასავლეთ საქართველოს ტრადიციული მოწნული სასიმიინდისაგან.

ძარი არის მრგვალი ან ოდნავ წაგრძელებული ფორმის ჭურჭელი, რომელიც დგას წიფლის საშუალო სიმაღლის ან დაბალ ოთხ ბოძზე გაღებულ ლატუნებზე — ხელნეზე და მასზე წნელით არის დამაგრებული. ძარისათვის იყენებდნენ თხილის, შინდის ან არყის ხის ნედლ და მსხვილ რამდენიმე წნელს, რომლებსაც ძარის ფორმის შესაბამისად მიწაში ჩამაგრებენ. მერე მარცხნიდან მარჯვნივ ჩელტური მოღობვის წესით მოწნავენ და იმავე პროცესს უუშქცევით გაიმეორებენ. ძარის მოწვნის დროს შუაში სიმიინდის ჩამოსაყრელ ლიობს აკეთებენ და ჩელტით ხურავენ.

ძარს ან საბძლური სახურავით გადახურავენ ან თავზე ჩელტს დაადებენ. სახურავისათვის იყენებენ ჩალას ან ლერწამს — ყარლო (კახ.). საბძლურ ძარს აქვს საყვავვე და გვერდებზე საქარეები, საიდანაც სიმიინდის ტარობი შეაქვთ.

აჭარაში გვხვდება ისეთი ერთსართულიანი ფიცრული სასიმიინდე, რომლის ბოძები უშუალოდ დაყენებულია ხის სარტყელზე. სარტყელი კირელიეფის მიხედვით შესაფერისად შერჩეულ ქვის ლოდებზეა დადებული. სასიმიინდის ქვემო ფიცრით მოგებული ღია ნაწილი გამოყენებულია სიმიინდის და ჰარკოსანი კულტურების დასაფშენელად, ხოლო ზოგჯერ საცეხველისათვის. სიმიინდის ჩამოყრა სასიმიინდიდან სპეციალური ხვრელების საშუალებით ხის იატაკზე ხდება. ბოძებს შორის მანძილები მჭიდროდაა შეფიცრული, რომელთა ზედა ნაწილი ორნამენტითაა შემკული. ასეთი კონსტრუქციის სასიმიინდე გავრცელებულია მთელ ლაზისტანში, შავშეთსა და კლარჯეთში [5].

გურიაში — ჩოხატაურის რაიონის იმ სოფლებში (ზოტი. ჩხაკოურა) სადაც აჭარლები ცხოვრობენ, სასიმიინდის ეს სახეობა დღესაც არის შემონახული. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიაში ერთსართულიანი სასიმიინდის თითოეულ ბოძს თავზე ედგმის მრგვალი გულჩაზნეპილი ხის ან ქვის დისკო — როგოლბარბალ ანუ ქუდი, რომ თავში სასიმიინდეში ვერ შევიდეს. ბარბალზე ზოგჯერ მცენარეებს თავციას არას, ეკლიან კრახანას ან წაბლის ეკლიან კანს ახვევენ (ნახ. 3).

მოწნული სასიმიინდე სხვადასხვაგვარია და მოწვნის ფორმის შესაბამისი სახელი აქვს. გურიაში ცოდნით სასიმიინდის ძარული და ლასტური — ჩელტური მოწვნა. იმერეთში გავრცელებული იყო გრიგლურად, ლობურად, ჩასკვნილად და ფაცხურად მოწნული სასიმიინდე. სამეგრელოში ცნობილია სასიმიინდის გარგატული და აფხაზური მოწვნის წესი. გარე კახეთში სასიმიინდეს ზოგჯერ შუამდე გრეხულით წნავდნენ, შუას ზევით ჰაპნურიით [6]. გარდა წნელისა, გავრცელებული იყო აგრეთვე ტკეჩის სასიმიინდე.

მოწნული სასიმიინდის მასალად ძირითადად იყენებდნენ თხილისა და შქერიის შქერიის (გურ.) შიშხორა (სვან.) დეკას წნელს.

ფიცრული სასიმიინდე სამგვარია: ფიცრული, რომელსაც ორნამენტის მაგვირად ფიცრებს შორის ლიობები აქვს გაკეთებული; კახეთში ასეთი წყობით აგებულ სასიმიინდეს თევზისფხურ სასიმიინდეს ეძახიან. ფიცრული მარტივი ორნამენტით და ფიცრული რთული ორნამენტით, აუთრული, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ლიობებით (ქვ. სვანეთი, რაჭა, ზემო იმერეთი)






გვხვდება აგრეთვე ისეთი ფიცრული სასიმიინდე, რომელსაც არც საპაერო ღიობები და არც ორნამენტები აქვს. ამ შემთხვევაში სახურავი ისე ეწყობა, რომ ლარძაყინებიდან ჰაერი შევიდეს.

ჯარგლისა და სუკიანი სასიმიინდის ძელის გვერდები ერთმანეთზე დაშვებული არ იყო; ზოგჯერ ძელს ორივე მხარეს გაკეთებული ჰქონდა სამკუთხა ღიობები — ს ა ნ ი ა ო ე ბ ი, რომელსაც ზემო იმერეთში ს ა ს უ ლ ე თ ვ ლ ე ბ ი ერქვა [7]. როგორც ვხედავთ, სასიმიინდე იგება ჰაერის მუდმივი ცირკულაციის გათვალისწინებით.

სასიმიინდეს ფხადის მხარეს პატარა კარი აქვს დატანებული, რომელიც ხის ლურსმნით — ჩ ხ ი რ ე ბ ი თ არის შეკრული. კარი საყუნწურით ჩადგმულია კარის სფურბლის საყუნწურში და სხვადასხვა საკეტით იკეტება.

სასიმიინდეს ჩვეულებრივ უკეთდება მოკლე სვეტებიანი პატარა აივანი || ს ა ჩ ე ხ ი || პ ა რ მ ა ხ ი (გურ.), ზოგი სასიმიინდე კი უაივნოა. აივნიან სასიმიინდეს შედგმული აქვს მოკლე სვეტები.

სასიმიინდე მალალი სახურავით არის დახურული, მაგრამ ზოგი დაბალი სახურავითაც იხურება. ძველად სახურავად გამოიყენებოდა ის ლ ი || ის ი რ ი (მეგრ.) ჩ ა ლ ა, ჰ ვ ა ვ ი ს ლ ე რ ო, ლ ო მ ი ს ჩ ა ლ ა || წ უ (მეგრ.) წაბლის ხის ფ ი ც ა რ ი და ყ ა ვ ა რ ი.



ნახ. 7. სასიმიინდე საპაერო გოდრით (გეგმა, დეტალები)

XX ს-ის 30-იან წლებში სასიმიინდე ძირითადად ყავრითა და კრამიტით იხურებოდა. ზოგიერთი სასიმიინდის სახურავი ისე იყო მოწყობილი, რომ მისი ახლ შეიძლებოდა სიმიინდის დაბინავებისა და გაზაფხულზე სიმიინდის ამოღების დროს.

ჰაერის მოძრაობის გასაადვილებლად სასიმიინდის ჰერი ამოჭრილი იყო და მასზე იდო თხილის წნელისაგან მოწნული დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ძარი || ძარო (იმერ. გურ.) || გორძლო (იმერ.) || ჩიხთურა! ქუფე (მეგრ.), რომელსაც ზემოდან სიმიინდს აყრიდნენ (ნახ. 7). ძარი არ იდვა ისეთ სასიმიინდეშიც, რომელსაც ჰერი არ ჰქონდა ამოჭრილი.

მართალია, ძარს გარკვეულ კლიმატურ პირობებში აყეთებდნენ, მაგრამ იგი ასევე გარკვეული ჯიშის სიმიინდისათვის იყო გათვალისწინებული. მაგალითად, თეთრი საგვიანო სიმიინდი ძნელად ხმებოდა (ამის გამო მეტი წონა და გამოსავალი ჰქონდა) და ძაროს ჩადგმა ასეთ სასიმიინდეში აუცილებელი იყო, ხოლო წვრილმარცვლოვანი საადრეო სიმიინდის გასახმობად ძარო საქირი არ იყო. დიდ სასიმიინდეში ზოგჯერ ორი ძარი იდგა (მეგრ.). როდესაც სასიმიინდეში ნელ სიმიინდს ათავსებდნენ, მაშინ ქარაან დღეს სასიმიინდის ქერს ცულით ხსნიდნენ ან ძარს გაწევდნენ და სიმიინდს ძირს ჩამოყრიდნენ. ჩამოყრილ სიმიინდს ნიავე აშრობდა. იმ სოფლებში კი, სადაც მეტი სინესტეა, სასიმიინდეში დაყრილ სიმიინდს ქვემოდან დაბალ ცეცხლს უნთებდნენ [8].

სასიმიინდეს მიდგმული აქვს ხის მორის დასაფეხურებული კიბე — ჩართი (მეგრ.), რომელსაც სამეგრელოს ზოგიერთ (მაგ., წალენჯიხის) რაიონში ტკეპს, ხოლო იმერეთში აღამკიბეს უწოდებენ.

სასიმიინდის გავრცელების არე, ძირითადად, დასავლეთ საქართველოა, იგი მეტნაკლები ინტენსივობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. სასიმიინდის შესატყვისია ტერმინი ნალია || ნალიე (გურია), ნალია (ქვ. იმერეთი, ქვ. სვანეთი), ნალია, ხულა [9], ნალია, ხარო (ზემო გურია), ტურაბედელა, ნალიე (აჭარა). სამეგრელოში მოწნულ სასიმიინდეს ზარი, ხოლო ფიცრულ და ძელურ სასიმიინდეს მაღაზა ჰქვია. ზემო და ქვემო იმერეთის ზოგიერთ სოფლებში სასიმიინდეს ძარი || ძაროს ეძახიან. ქართლში სასიმიინდის შესატყვისად ძარი || ზარი, ჯინი და ჯინგოდორია ცნობილი. ერწო-თიანეთში სასიმიინდს აღმნიშვნელად — ზარი იხმარება.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 30-იან წლებში, ერთვალისანი მაღალზე გამართული სასიმიინდე ძირითადად დასავლეთ საქართველოშია (გური-სამეგრელო, აჭარა, ქვემო იმერეთის ზოგიერთი რაიონი, რაჭა-ლეჩუმი და ქვემო სვანეთი) გავრცელებული; გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში: ქართლში, ერწო-თიანეთში და ნაწილობრივ კახეთში. გრძელი ორი და სამთვალისანი სასიმიინდე ისევე, როგორც მეორე საართულზე გამართული ისეთი სასიმიინდე, რომელსაც ქვემოთ სხვა სამეურნეო დანიშნულების სათავსებო აქვს, ზემო იმერეთში, ქვემო იმერეთის ზოგიერთ სოფლებსა და იშვიათად კახეთშიც დასტურდება.

როგორც ცნობილია, გურიაში, იმერეთში და სამეგრელოში დიდი მოცულობის სასიმიინდეებია გავრცელებული; მათი აგება დაიწყო დაახლოებით 1880-იანი წლებიდან, როდესაც სიმიინდის ნათესები მასიური გახდა და მისი ექსპორტი დაიწყო. საყურადღებოა, რომ სასიმიინდეს უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია. ზოგიერთი სასიმიინდე დიდ მსგავსებას იჩენს იტალიელი მხატვრის კასტელის მიერ ჩანატულ სასიმიინდესთან (XVII ს.).

ა) ბ ე ლ ე ლ ი. ბელელი გამხმარი თავთავის, მარცვლეულის (ლომი, ხორბალი, ფეტვი, ჭვავი, ქერი, სიმინდი და სხვ.) და ფჰვილის შესანახი ნაგებობაა. მაგრამ გარკვეულ მიკრორეგიონებში იგი მხოლოდ ლომის თავთავის — თაველის შესანახად იხმარებოდა.

ბელელი შედის კარ-მიდამოს კომპლექსში და, როგორც წესი, ეზოშია მოთავსებული. იგი ორგვარი სახისაა: კვადრატული ფორმის ერთსართულიანი, დაბალ ბოძებზე გამართული და ორსართულიანი, რომლის პირველ ან მეორე სართულზე ბელელია აგებული, ხოლო მისი შესაბამისი ნაწილები სხვდასხვა დანიშნულების სათავებს უკავია.




ბელლის ასაგებად — ბ ე ლ ი ს და ა ზ ა დ გ მ ე ლ ა დ, ადგილი უნდა შერჩეულიყო და მიწა მოსწორებულიყო. შერჩეულ ადგილს თანასწორად გადაზომავდნენ. ოთხივე კუთხეში ერთი მეტრის სიღრმეზე მიწას ამოთხრიდნენ და მუხის ან თუთის ხის ნედლ ბოძს მიწაში ჩაამაგრებდნენ — ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ს გ ა ს კ ვ ნ ი დ ნ ე ნ. ხ ა ჩ ი რ შ ი გასწორებულ ბოძებს, რომელსაც გურიაში — ბ ო კ ო ხ ე ბ ი, ზემო სამეგრელოში — ბ ო ყ ო ნ ე ბ ი, ქვ. იმერეთში ს ა ყ ო რ ე ე ბ ი ან ბ ა რ ჯ გ ე ბ ი ერქვა, მიწას მიაყრიდნენ და მაგრად მოტკეპნიდნენ. ზოგჯერ ბელლისათვის ქვის სვეტებს იყენებდნენ და მასზე, იატაკი რომ მკვიდრი ყოფილიყო, ნედლ ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ს აწყობდნენ — წაბლის ან თუთის ხეს ნაჭახით გაკუთხავდნენ და ერთმანეთზე დააჭედებდნენ — დ ა ა ქ ი ლ ი ქ ე ბ დ ნ ე ნ. იატაკის გასამაგრებლად საძირკვლებს შუა კეთდება მეხუთე ხე. ამის შემდეგ ერთ რიგზე შენდება ფიცარი და მერე სქელი ფიცრის იატაკი იგება. ბელლის იატაკი შიპით იყო მიშვებული, რომ მარცვალი არ გასულიყო; და ამასთანავე, ის ლამაზი და გამძლეც ყოფილიყო.

ბელელს აშენებდნენ წაბლის, ცაცხვის, თელის ფიცრისაგან. აშენების დროს ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ბელელს მთლიანობა ჰქონოდა შენარჩუნებული, ე. ი. ნაკლებად ყოფილიყო და კუ წ უ ლ ი, დაქრილი [10], ამიტომ, მასალად ფართო და კარგად დამუშავებულ ფიცრებს იყენებდნენ. კედელი შენდებოდა კოტისა და ჭდის საშუალებით. ფიცარს ცალ მხარეს ჭდე აქვს ამოღებული. მეორე მხარეს კი რამდენიმე ადგილზე კოტა არის ჩასმული. კოტის რაოდენობა ფიცრის სიგრძეზეა დამოკიდებული. ბელლის კუთხეები ქ ი ლ ი კ ი თ — ყ უ რ ი თ იყო გაკეთებული. ბოყვში ბელელს არ აშენებდნენ. როდესაც კედლის აშენება დამთავრდებოდა, ზემოდან სარტყელს დაადებდნენ; სარტყელზე ქერი ეწყობოდა, რომლის ფიცრები ერთმანეთთან კოტის საშუალებით იყო დამაგრებული. ამის შემდეგ კეთდებოდა ა ფ რ ა, ს ა თ ა ვ ე და კ ა ვ ე ბ ი, რომელზედაც ლ ა რ ტ ყ ა იყო დადებული. ბელელი დახურული იყო ორფერდა, სამფერდა ან ოთხფერდა სახურავით. სახურავის მასალად გამოყენებული იყო ის ლ ი, კ ო რ ო ლ ი — ჩ ა ლ ა, ყ ა ვ ა რ ი ან კ რ ა მ ი ტ ი. სახურავის მასალის შესაბამისად ბელელს ჰქონდა მაღალი ან დაბალი სახურავი, ბელელი მაღალი — ჩ ხ ო ტ ი ო (ქვ. იმერეთი) სახურავით იგებოდა მაშინ, როდესაც იგი იხურებოდა ისლით ან ჩალით. ყავრით ან კრამიტით (განსაკუთრებით კრამიტით) ბელელი დაბალზე უნდა დახურულიყო, რომელსაც იმერეთში ბ ა ბ ა გ ი ნ ი ერქვა, ხოლო რაჭაში ს ა ბ ძ ლ უ რ ი სახურავი.


ხის ბელლის მკიდროდ აგება, ისევე როგორც მისი ბოკონების საშუალებით ამალღება მიწის ზედაპირიდან, ნაკარნახევი იყო მარცვლეულის უკეთ დაცვის საჭიროებით.

ბელელს აქვს ოთხკუთხა ფორმის მთლიანი ხისაგან გათლილი პატარა კარი, რომელიც იკეტება ხის ურდულით და თავათი (რომელსაც, დათვაკლიტეისაც უწოდებენ) ან რკინის რაზით და ბოქლომით. ზოგჯერ კარი გაკეთებულია წინა ფასადზე სხვენთან ახლოს. ასეთ ბელელში ჩასასვლელად ჩაყუდებულია ცალფა კიბე. ბელლის კარზე ზოგჯერ ვხვდებით ამოტვიფრულ ჭვარს, სარტყელზე და ლირსზე ჩუქურთმოვან როზეტს. ქიზიყში ბელელს კარი არ აბია, აქვს სათვალე ფანჯარასავით, რომელსაც ბელლის კარსაც ეძახიან და პურს აქედან ჰყრიან.

ერთსართულიანი ბელელი გეგმით ერთ და ორთვალისაა. ერთსართულიანი და ერთთვალისანი ბელლის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი: 1. უაივნო — კოთხო ბელელი (ტაბ. XXI, ტაბ. XXII, ნახ. 1, 2), 2. აივნისანი ბელელი. აივნისანი ბელელი არის დახურულ აივნისანი — ლიობებით და ღია აივნისანი (ტაბ. XXIII, ნახ. 1, 2). ღია აივნისანი ბელელი ორგვარია: მოაჯირიანი (რომელსაც დაჩარხული რიკულებიანი მოაჯირი და სვეტის ზედა ნაწილზე დაფანჯრული ჩუქურთმა აქვს; რიკულები ზომით მცირეა, რაც ესთეტურ შთაბეჭდილებას აღიერებს და ნაგებობის აღქმის მასშტაბურობას ზრდის) და უმოაჯირო.



1-1



ნახ. 8. აივნისანი და სხვენისანი ბელელი, სოფ. საელიაო, გეგეკეორის რაიონი, მუზეუმი ღია ცისქვეშ

3. ბელელი, რომლის სხვენიც სათავსადაა გამოყენებული და ცალკე შესასვლელი აქვს (ნახ. 8).

4. ბელელი, რომლის აივნის და ბელლის სხვენი ერთ სათავსად არის გამოყენებული და ერთი შესასვლელი აქვს.

როგორც ჩანს, ზოგან ბელლის განვითარება ერთვალნიანი უაიენო ბელლის სრულყოფით დასრულდა; ზოგან მას სხვადასხვა ფორმის აივანი გაუკეთდა; ზოგმა ბელელმა თავის სრულყოფა სხენის სათავსად გამოყენებში ჰპოვა.

სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ქვემოიშრეთის ზეგანზე (ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონი) და ზემო რაჭაში ოდითგანვე ტრადიციული ყოფილა ორთვალნიანი ბელელი. ერთი თვალი კვადრატულია, იგი ტიხარით არის დაყოფილი, რომელშიც მარცვლეულს ან მშრალ თავთავს ინახავდნენ, ხოლო მეორე თვალი განსხვავებულ ფუნქციას ატარებს, მას ბ ე ლ ე ლ-ო თ ა ხ ი, ბ ე ლ ლის ო თ ა ხ ი ან ხ უ ლ ა ჰქვია.

ბ ე ლ ე ლ-ო თ ა ხ ი მოგრო, სწორკუთხა ფორმისაა, ფასადის მხარეს საყუნწურით აქვს ჩასმული ხის გრძელი ცალფა კარი. ბელლის ოთახში დგას პატარა „სუფრა“ (მაგიდა), სკამები; კედლის გასწვრივ გაკეთებულია გრძელი ტახტი; ამავე დროს, იქ სხვადასხვა საოჯახო ავეჯი და ინვენტარია შენახული [11].

ბ ე ლ ე ლ-ო თ ა ხ ი ლიტერატურაში სასტუმრო ოთახად არის ცნობილი [12]. ამავე დროს იგი ახალდაქორწინებულთა საცხოვრებლის დანიშნულებასაც ასრულებდა. მთის რაჭის სოფელ ღებში ახალდაქორწინებულთათვის იცოდნენ დ ე ფ ა ნ ი ს (ბელლის გვერდზე მოდგმული პატარა ოთახი) გამოყენება [13]. რაჭაშივე დასტურდება ნ ე ფ ე-პ ა ტ ა რ ძ ლ ი ს ბელლის თავზე ან ბელლის თვალში (სოფ. ღები, სოფ. ირი) დაწვენა [14]. ორთვალნიანი ბელელი, რომლის ერთი თვალი ბოსელი იყო, გავრცელებული ყოფილა ზემო ქართლში (სოფლები: წაღვლი, ავლევი, ატოცი) [15].

ორსართულიანი ნაგებობა, რომლის პირველი ან მეორე სართული ბელელია, ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

იმერეთის ზეგანზე და გურიაში (ჩოხატაურის რაიონი) გვხვდება ბ ე ლ ე ლ-სასიმიინდე, რომლის პირველ სართულზე სხვადასხვა სახის მასალისაგან აგებული ბელელია მოთავსებული, მეორე სართული კი სასიმიინდეს წარმოადგენს. ჩოხატაურის რაიონში ბელელ-სასიმიინდე ძ ა რ-ბ ე ლ ე ლ ა ს სახელით არის ცნობილი. ძარ-ბელელას პირველი სართული — ბელელი ღ ო ჯ უ რ ი ჯ ა რ გ ვ ა ლ ი იყო, ხოლო მეორე სართული მ ო წ ნ უ ლ ი ს ა ს ი მ ი ნ დ ე. ზოგჯერ პირველი სართული მომცრო ხ უ ლ ა ს უჭირავს, მეორე სართულზე კი დაშენებულია ბელელი. გვხვდება აგრეთვე ბ ე ლ ე ლ-მ ა რ ა ნ ი, რომლის პირველ სართულზე მარანია გამართული, ხოლო მეორეზე ბელელი ან ბელელი და ოთახი.

მარანი არის ხისა და ქ ვ ი ტ კ ი რ ი ს (ქვამარანი). ხის მარანი ძ ე ლ უ რ ი ან ფ ი ც რ უ ლ ი ა, ხოლო მასზე დაშენებული ბ ე ლ ე ლ ი — ფიცრული. ბელლის გვერდზე საკუქნაოა; აქ სუფრის ჭურჭელი, სასმისები და საღვინეები ინახება. მარანის ირგვლივ აივანი ხმელი ხილის და სხვა პროდუქტების გასაშრობად არის გამოყენებული [16].

წყალტუბოს რაიონში ხშირია ისეთი ბ ე ლ ე ლ-ს ა ს ი მ ი ნ დ ე, რომელსაც ფართოდ — გ ა ი დ ა ბ ნ ა თ დახურული სახურავი აქვს. ბელელ-სასიმიინდის სახურავქვეშ გამართულია ს ა ქ ა ჯ ა ვ ი, ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი და ზოგჯერ მიწაში მოთავსებულია ქ ვ ე ვ რ ე ბ ი; იქვე ინახება სამეურნეო ინვენტარი, ჩალა და სხვ. ბ ე ლ ე ლ-ს ა ს ი მ ი ნ დ ე ს შუაში ჭერი აქვს ამოჭრილი, რომელიც კარით იხურება. საჭიროების დროს კარს ახდიან და დაფშვნილ სიმიინდს ბელელში ჩაყრიან [17] (ტაბ. XXIV, ნახ. 1, 2).

მთის რაჭაში მაღალ ბოძებზე და კოჭებზე ნაგები ბელელიც დასტურდება. ასეთ ბელელს ორი ბოძი ჰქონდა, მისი წინა ფასადი კოჭებთან სახლზე იყო შემოდგმული. ზემო რაჭაში ბელელი დე ფ ა ნ თ ა ნ ერთად სახლზე იყო მიშენებული.

ბელლის დაშენება რომელიმე სამეურნეო ნაგებობაზე ტიპურადაა მიჩნეული XI საუკუნისათვის. ნიკორწმინდის სიგელში აღნიშნულია, რომ „შ ე ვ ქ მ ე ხ ს ა წ ი რ ე ს ... მ ა რ ა ნ ი მ უ ხ ი ს ა : ა : დ ა დ ა ვ დ გ ა ნ ე დ ა ბ ე ლ ე ლ ი ხ ე რ ა ხ უ ლ ი : ბ :“ (ქბი II, 48).

დასავლეთ საქართველოს მთის ზონაში ბელელი საცხოვრებელი სახლას კომპლექსში შედის, იგი საცხოვრებელი ოთახის გვერდით (გემ-ში ბ/ზ სვან.) ან სახლის სხვენზეა აგებული (ჩოხატაურის რაიონი, სოფლები: ზოტი, ჩხაკოურა). ბელელში შედიან სხვენიდან, ხოლო სხვენზე აღიან ხეზე ამოჭრილი კბილებიანი ვიწრო ცალფეხი კიბით, რომელსაც გურიაში კიბეს, იმერეთში ა დ ა მ კ ი ბ ე ს, სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში ტ კ ვ ა -ს ხოლო ზოგან ჩ ა რ თ -ს ეძახიან [18]. ასეთივე კიბე იხმარება მეორე საართულზე გამართული ბელლისათვისაც. ერთსართულიან დაბალ ბელელს ფიცრებისაგან შეკრული კიბე აქვს მიშენებული (ტაბ. XXV, ნახ. 1).

მასალის დამუშავების მიხედვით ბელელი გვხვდება ძ ე ლ უ რ ი ო ო რ ო კ ი ს ო ო ჭ ა რ გ ვ ა ლ ი ს, ს უ კ ი ა ნ ი და ფ ი ც რ უ ლ ი.

ბელელი არის დაყოფილი და დაუყოფელი. ბელელი ან რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი ან მას ბელლის სიგრძეზე ბრტყელი სქელი ფიცარი — ხ ი დ ი აქვს გაკეთებული. ხიდიან ბელელში ჩაყრიდნენ გაწყობილ (გაზხმარ თაველს) ღომს, დატყეპნიდნენ უ რ ო თ ი და ამგვარად ხიდის ზემოთ თავამდე ამოაჯებდნენ. ასე ჩაწყობილი ღომი 3-4 წელიწადს უკნებლად ინახებოდა [19].

ბელლის დანაყოფების სხვადასხვა სახელია ცნობილი: თ ვ ა ლ ი (ყახეთი, თიანეთი, ქვემო იმერეთი, გურია), თ ვ ა ლ ი, ს ა გ ვ ე რ დ უ ლ ი (რაჭა — ლეჩხუმი) [20], ხ ა რ ო (ზემო იმერეთი, ჭანეთი), ხ ვ ი მ ე რ ა (ზემო იმერეთი), ხ ა რ ო (გურია, ჩოხატაურის რაიონი), ხ ა რ ვ, თ ვ ა ლ ვ ა რ (ქვ. სვანეთი), ო რ მ ო (ქართლი) [21].

მას შემდეგ რაც ბელელმა დაკარგა თავის ძირითადი ფუნქცია, იქ დაიწყეს მეურნეობის სხვა პროდუქტების შენახვა: პარკოსნები, ხილი. ბელელში მოთავსებულია აგრეთვე კასრები, კოდი ფქვილისათვის, პურის ხაშის შესანახი ჭურჭელი: კედელზე გაკეთებულია ხას თარო ბ უ ჯ ე რ ი (ზემო რაჭა) ო ფ რ ტ ო ნ ი (ქვემო რაჭა), რომელზედაც სხვადასხვა თესლისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, ყველისა და ერბოს ქილები დგას. ესლა აქა-იქ შეზორჩენილ ბელლებში ტანსაცმელს და სხვა ნივთებსაც ინახავენ [22].

ბელლის შემდეგი სახელწოდება დასტურდება: ბ ე ლ ე ლ ი (ყახეთი, ქართლი, ერწო-თიანეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი), ბ ა ლ -ბ ე ლ ე ლ (ზემო სვანეთი), რომელიც მა ჩ უ ბ ზ ე მიშენებულ ნაგებობაში გ ე მ ო გ უ ე მ შ ი იდგას; ხ ა რ ო (იმერეთის ზოგიერთი რაიონი). ბელლის სინონიმად ხშირად იხმარება ხ უ ლ ა (სამეგრელო, იმერეთი, გურია).

ბელლის, როგორც მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი ნაგებობის გამოყენების ფაქტი, მეტ-ნაკლები გავრცელებით საქართველოს ყველა კუთხეშია დამოწმებული, იგი დიდი მასშტაბის მეურნეობისათვისაა განკუთვნილი. ბელელი გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) ამ რიგის

სათავსებს (კილობანი, ამბარი, ხარო და სხვ.) და, როგორც წესი, ყველაზე მეტად დაავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბელელი თავის გეგმარებით, კონსტრუქციითა და ფუნქციით ორგვარია: ხევსურული და ფშაური, რომელთა დამახასიათებელი თავისებურებაა მათი გადახრვის სისტემა და ფორმა. ხევსურული ტაძარ-ბელელია, ფშაური კი—ბელე-ამბარი, სადაც ხატის მინდვრებიდან აღებულ მარცვლეულს ინახავდნენ [23].

ვ. ბარდაველიძე, იმოწმებს რა ლინგვისტურ მონაცემებს, დასკვნის, რომ ბელელი ქართულ ენაში მეტად ძველი ტერმინია, იგი ქართულ-ზანაური ენობრივი ერთიანობის ხანას განეკუთვნება.

ამ ტერმინიდან ნაწარმოებია ბელლის გადახრვის სტრუქტურასთან დაკავშირებული მეტად საყურადღებო ტექნიკური ხერხის აღმნიშვნელი ზმნა დაბელვლა და ქობბელელად (თუშეთი) [24] დაწყობა. აღსანიშნავია, რომ ბელელი საზოგადოებრივად ერთეულია ყავრისათვის (დასავლეთ საქართველო).

ტერმინი ბელლის მონათესავე სიტყვები ბოთლიხურსა და ხუნძურშიც დასტურდება. ბოთლიხური ბელუა—მარცვლის საფიცხობელის აღმნიშვნელია, ხუნძური—ბელო—საძნე სახლს და საფიცხობელს ნიშნავს². ბელო ამავე მნიშვნელობით ქართულშიაც არის (საბა ორბელიანი, დ. ჩუბინაშვილი).

ბ) ხულა. ხულა ხმელი ხილის, თხილის, წაბლის, კაკლისა და მისთანათა სათავსია. აქ ინახავდნენ აგრეთვე ჭურჭლით მარცვლეულს და ფქვილს, პარკოსნებს, არაყს, ზამთრისათვის შესანახ ნედლ ხილს და სხვ. მას შემდეგ, რაც ხულამ თავისი ძირითადი დანიშნულება დაკარგა, იგი ტანსაცმლის და სხვა ნივთების შესანახად გამოიყენეს.


ხულა, ისევე როგორც ბელელი, ძირითადად ეზოშია მოთავსებული. იგი კვადრატული ან მოგრძო ფორმის ერთსართულიანი და ერთოთახიანი ნაგებობაა. ხულა გვხვდება საცხოვრებელი სახლის ინტერიერშიც (ქვემო იმერეთი, გურია), (ნახ. 9).

იცოდნენ აგრეთვე ბელლისა და ხულას ერთმანეთის გვერდზე აგება. ზოგჯერ, ასეთ შემთხვევაში ხულა ბელლის ოთახის სახელით იხსენიება. ყოფაში დადასტურებულია მეორე სართულზე გამართული ხულა, რომლის პირველი სართული ხშირად ახორია.



ხულა შენდებოდა სამზადსახლოთან ახლოს. არჩევდნენ მშრალ ადგილს და მასში ოთხ ცალ ქვის ან ხის ბოკონს ღრმად ჩაასობდნენ; ამაზე დებდნენ ხის საძირკველს, რომელზედაც აწყობდნენ იატაკს. ამის შემდეგ წაბლის ხის მასალისაგან დამზადებულ ფიცრებს ერთმანეთს ხის კოტით უკავშირებდნენ. აგებულ კედლებს სარტყელს დაადებდნენ, ზემოდან ქერს დააწყობდნენ და ორ აფრას დააყენებდნენ. აფრაზე მოთავსებული იყო სათავე, შემდეგ მაგრდებოდა კავები და ლარტყა. ხულა დახურული იყო ჩალით, ისლით, ყავრით ან კრამიტით. ხულას წინა კედელში, ბელლისაგან განსხვავებით, კარისათვის გაჭრილია გრძელი ღიობი. კარის თავისა და ზღურბლის ხის ფოსოებში საყუნწურით არის ჩასმული ხის ცალფა კარი, ხულის კარი ხშირად ანჯამით არის დამაგრებული.

² ტერმინების შესახებ მასალა მომართა პროფესორმა ტ. გულაშვილმა.

მასალის დამუშავების მიხედვით, ხულა არის ფიცრული და ძელური ილიჯარგვლური — ოთხლოჯიანი.



ჩაბიძგის 6-ის სარკაპალი
 ათა სხლს
 1/3 ფასლი, I სართლის ბაბის
 2/3 II სართლის ბაბის



ნახ. 9. ოლა და ხულა (ფასალი, I სართლის გეგმა, II სართლის გეგმა)

იჩვევა, რომ ხულა მთლიანი იყო და თვლებად დაყოფილიც. ზოგიერთ ხულაში კედლის თაროების არსებობაც დასტურდება. თარო გამოყენებული ჰქონიათ სხვადასხვა თესლეულისათვის განკუთვნილი ჭურჭლის, ყველის ქილები სხალმების და სხვ. დასაწყობად.

ხულა და ბელელი კონსტრუქციულად ერთმანეთს ჰგვანან. თითქოს არც ფუნქციური სხვაობაა გამოკვეთილი; ამიტომ, ხულა ხშირად ბელის სინონიმად იხმარება. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისშიც, როგორც ზემოთ ითქვა, ხულა განსხვავებული დანიშნულების, ძირითადად ხმელი და ქერქმაგარი ხილის შესანახი ნაგებობა იყო. აღნიშნული მონაცემების მოშველიებით შეგვიძლია ამ დანიშნულებით ხულის ძველთაგანვე გამოყენების ტრადიცია ვივარაუდოთ. ხულას ძირითადი ფუნქციის გარკვევისათვის საყურადღებოა ტერმინი ხული (ხულ-ი), რომელიც საბას განმარტებული აქვს, როგორც „... ნაჭუჭმაგარი ხილი, ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ბუსტული და ეგვეითარნი“ — აო (ლექსიკ.). ეგვეე სიტყვა ფერეიდნელ ქართველებშიც მოწმდება. ეული ხილის, ყურძნისაგან დამზადებული პროდუქტების რძის და რძის პროდუქტების საცავად გამოყენებული ნაგებობაა.

რადგან ხულა თავდაპირველად სწორედ ქერქმაგარი ხილის სათავსი იყო, საფიქრებელია, რომ ასეთი ნაგებობის სახელი წარმომდგარიყო სწორედ ხულ — ფუძიდან [25].

გ) კილობანი — კილობანი დანიშნულების მიხედვით სამგვარია: კომბინირებული — ორ- და სამთვალისანი³, რომელშიც ფქვილი და მარცვალი ინა-

³ დაბადებაში „თვალის“ შესატყვისად ნახმარია „ბუღეზად ნაშენი კილობანი“ (დაბადება შიგნი ა. მოსესი იდ).

ხება, ერთვალისანი სამარცვლე და ერთვალისანი საფქვილე. სამივე დანიშნულების კილობანი თავის მხრივ იყოფოდა ყოველდღიური მოხმარებისა და სარიტუალო დანიშნულებისათვის განკუთვნილი მარაგის შესანახად.

კილობანი კვადრატული ან წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა, მას აგებდნენ თელის, ნაძვის, ვერხვის, ფიჭვის ხის მასალისაგან, რომელსაც ნაჯახით ფიცრებად თლიდნენ და ერთმანეთს კბილანებით უკავშირებდნენ. კილობნისათვის მუხის ოთხ დირეხ — სვეტს ფეხიანად გამოთლიდნენ და ფიცრების ჩასაწყობად ორივე მხარეს ამოღარავდნენ. შეკრულ კილობანს თუ ფეხი არ ჰქონდა, ხის კოჭებზე დაამაგრებდნენ, ან ფეხებს გაუკეთებდნენ; ზოგჯერ კილობანს სიპებზე დგამდნენ (ნახ. 10).

კილობანი დახურულია ხის სახურავით, რომელიც შედგება თავბოლო-გათხელებული ფიცრებისაგან. ფიცრები შესულია ორივე მხარეს გაკეთებულ დირეში და მოძრაობს. მარცვლის ან ფქვილის ჩაყრის დროს ფიცრებს მთლიანად გამოიღებენ, ხოლო მათი ამოღებისას ერთი ფიცრის გამოწევა ხდება. კილობნიდან ფქვილი ხის ნიჩბით ამოაქვთ, მარცვალი — ჯამით.

რამდენიმეთვალისანი კილობანს ზოგჯერ ერთი სახურავი აქვს, ორსახურავიანი კილობანიც დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კიბით ასასვლელი დიდი კილობანი სახურავის გარეშე იყო აგებული. კიბიანი კილობანი ბელის ტოლფასოვანი იყო და სვანეთში მას ბალ-ს ეძახდნენ.

დიდ კილობანში ძირითადად იმ მარაგს ათავსებდნენ, რაც ერთი წლით გათვალისწინებულ სარჩოს გადარჩებოდა. მოსავლიან წელს დიდი კილობანი ხშირად ივსებოდა. ბალში ჭირნახულს ყრიდნენ საგანგებო სარკმლიდან, რომელიც სვანური სახლის მეორე სართულზე, დარბაზში იყო გაკეთებული.

კილობანი შერჩეული იყო მარცვლეულის სხვადასხვა სახეობისათვის. მაგ., ფეტვის და ფქვილს ათავსებდნენ უკეთ გათლილ და მჭიდროდ ნაშენ ან გალესილ კილობანში, ხოლო ქერისა და ცერცვისათვის კილობანს საგანგებოდ არ არჩევდნენ. კილობანს ორივე მხრივ — შიგნიდან და გარედან ლესავდნენ ქვევის ფქვილისა და ნაცრის ან ნაქელის, ნაცრის და ლორის ჯაგრის ნარევეთ. ზოგჯერ კი ამოლესავდნენ მხოლოდ ფიცრების შეერთების ადგილს.


საფქვილე — გალესილ კილობანში ინახებოდა როგორც სახარჯო, ასევე შესანახი ფქვილი, რომელიც განკუთვნილი იყო ქორწილისა და მიცვალებულთან დაკავშირებული დღისათვის. კილობანს, რომელშიც მარცვალი ხანგრძლივად ინახებოდა (2-3 წელი), ძველი კილობანი ერქვა. ეს კილობანი გალესილი იყო სახურავიანად. ტრადიციულ ოჯახს შენახული ჰქონდა რამდენიმე ასეთი კილობანი.

სამარცვლე კილობანს მასში შენახული პროდუქტის სახელი ჰქონდა: მაგ., პურის კილობანი, ფეტვის კილობანი, ქერის კილობანი, ცერცვის კილობანი და სხვ.

სათესლე მარცვლით სავსე კილობანი დარბაზში (სვან.) იდგა. ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი კილობანი კი საცხოვრებელი სახლის შინაში (ინტერიერში) იქ, სადაც მეურნეობა წარმოებდა. შეძლებულ ოჯახს 8--12 კილობანი ჰქონდა. მარცვლისათვის დიდი ზომის კილობანი იხმარებოდა, ფქვილისა და გამომცხვარი პურისათვის — შედარებით პატარა.



სოფ. სასაზი

კიდობანი



პანანა

შასალი



ნახ. 10. საფეკილე კიდობანი, სოფ. სასაზი, ქვ. სვანეთი

საკულტო დანიშნულების კილობნები დამოწმებულია როგორც დასავლეთ (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (მთიულეთ-გუდამაყარში, ხევსურეთსა და ფშავში). კილობნებში შენახული იყო რიტუალური კერებისათვის განკუთვნილი ფქვილი ან ხორბალი. სვანეთში ეს კილობანი ცნობილია გ ჟ ი ზ ი კ ი ბ ლ ო ნ ი ს ა და ტ ა ბ ლ ა შ კ ი ბ ლ ო ნ ი ს სახელით.

საყურადღებოა კილობნების დაკრელების წესები და მისი თავისებურება; წინა კედელზე ვხვდებით გეომეტრიულ ორნამენტს: დიდი ზომის ს გ ა ს ტ ი კ ე ბ ს, ბ უ ლ ა უ რ ს, ჭ ვ ა რ ა ს და სხვ. საქართველოში ჭვრის მხატვრულად გამოსახვას მატერიალური კულტურის ძეგლებზე მეტად დიდი ზნის ტრადიცია გააჩნია [26]. ჭვრის გამოსახულება ისევე, როგორც ბორჯღალასი, კილობნის სამკაულთა სისტემის აქტიური ელემენტია, რაც შემთხვევით არ უნდა იყოს. ასტრალურ ორნამენტს — მზე, ჭვარი — დიდი ადგილი უჭირავს იმდროინდელი ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, დღეს ავეჯზე გამოსახულმა ორნამენტმა დაკარგა თავისი შინაარსი და ხალხური ხელოვნების ეს ნიმუშები ამჟამად წარმოადგენენ კილობნის განყენებულ დეკორატიულ ელემენტებს [27].

კილობანში მარცვალს ათავსებდნენ გამოწყული საზომით (2 ან 3 ფუთიანი საწყაოთი), ამიტომ მისი ტევადობა ცნობილი იყო. გვხვდება 20-დან 120 ფუთამდე მარცვლის დასაუნჯებელი კილობანი.

აღსანიშნავია, რომ კილობანი, როგორც საწყაო, იხმარებოდა ყიღვა-გაყიღვის დროსაც.

კილობანს ეძახდნენ აგრეთვე მოწულ ჭურჭელს, რომელსაც კილობანის ფორმა ჰქონდა. მოლობილი კ ი ლ ო ბ ა ნ ი — ლ ე შ ხ ა ტ კ ი ბ ლ ვ ე ნ ი ორივე მხრივ ნაკელით და ნაცრით იყო გალესილი (სვანეთი).

მარცვლეულის და ფქვილის სათავსი კილობანი გვხვდება მთაში; დასავლეთ საქართველოში იგი გავრცელებულია სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში და ერწო-თიანეთში.

დ) ხ ა რ ო — მარცვლეულის ერთ-ერთი უძველესი სათავსია. ხარო ფორმის, დანიშნულებისა და მდებარეობის მიხედვით ორგვარია: 1. მიწის ქვეშა, განკუთვნილი მხოლოდ მარცვლეულისათვის, რომლის სწორი ან მრგვალი გვერდები ქვიტიკრით არის ამოშენებული და 2. მიწის ზემოთ მდებარე ხარო, რომელიც მარცვლეულის და ფქვილის სათავსს წარმოადგენს. იგი არის ქვიტიკრის ან ხის და მიშენებულია კედელზე. ხის ხარო ორგვარია:

უძრავი, კედელზე მიდგმული და იატაკზე დაშენებული და მოძრავი, რომლის გადატანა შეიძლება.

მიწისქვეშა ხარო ეზოს კომპლექსში შემავალი სათავსია. ხაროს აგებდნენ აგრეთვე ყანასთან ახლოს, კალოზე. ხარო ეკლესია-მონასტრის ეზოშიც ჰქონდათ [28]. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ხარო იშვიათად არის დადასტურებული, ურბნისის განათხარი ხარო IV—VI საუკუნეებით არის დათარიღებული [29].

სულხან-საბას ხარო მხოლოდ მიწისქვეშა სათავსად აქვს განმარტებული — „ხარო არს მოხრებლი შინაგან ქვიტიკრით ამოგებული“.

ქვიტიკრით ამოგებულ ხაროსთან, ფორმით და მასალის მიხედვით ყველა-

ვისებურებასთანა დაკავშირებული. ორმო კეთდებოდა სახლში (მესხეთ-ჭავჭავეთი), თითქმის ყველა დარბაზში მოწყობილი იყო პურის ორმო, რომელშიც ხორბალი ქერიდან საგანგებო მილის საშუალებით იყრებოდა [33], ასევე ეზოში ან კალოსთან ახლოს. ორმოსათვის მიწას დაახლოებით მეტრანახევრის ან ორი მეტრის სიღრმეზე ამოთხრიდნენ, კედლებს წიფლის ხის ფოთლიანი ტოტებით ამოაგებდნენ, რომლებსაც რამდენიმე ადგილზე კაპიანი პალოთი ორმოს კედელზე მიამაგრებდნენ [34]. ორმოს შუა წელზე შემორტყმული იყო ხის წნელი, ძირზე ეყარა ბზე, რომ მარცვალი არ დანესტიანებულიყო. ორმოს მშრალ — თირ (კლდისაგან ნაშალი) მიწაში ჰრიდნენ, ვინაიდან ქვიშიანი მიწა წყალს იკრებს, ნესტიანია და მარცვალი ფუჭდება. მარცვლეულის ამ სათავსს ძირი განიერი, ხლო ყალი შედარებით ვიწრო ჰქონდა იმგვარად, რომ ადამიანს შესძლებოდა შიგ ყასლა და მარცვლის ამოღება.

ორმო სხვადასხვა მოცულობის (ერთი, ორი და სამი ურმის ტევადობის) სათავსია. იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ, ნაკლებტენიან ზაიონებშია გავრცელებული. ორმოში ზორბლეული ოდნავ ნოტიო, მაგრამ ერთ უცვლელ ტემპერატურაზე ინახებოდა, რაც აჩვენებდა დათესილი ხორბლის გაღვივება-გალოჯვასა და ამოსვლას. ორმოს ამ თვისების გამო თრიალეთის ზეგანზე და საერთოდ, სადაც ურწყავი მამულები ჰარბობს, შემოდგომის ნათესების დაზამთრებამდე დაჯივილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამის განხორციელება ორმოში შენახული მარცვლის საშუალებით ხდებოდა [35]. იმ სოფლებში, სადაც მეტი ტენიანობაა, არა მხოლოდ სათესლე პურის მარცვალი, არამედ საერთოდ ზორბლეული ორმოში არ ინახებოდა. ხლო სადაც ნიდაგი მშრალი იყო და გვალვები იცოდა, ორმოში მხოლოდ ს ა ხ ა რ ჯ ო პ უ რ ს ათავსებდნენ. სათესლე წინ წვერი პური კარგად ინახებოდა კ ო დ შ ი ან ა მ ბ ა რ შ ი, სახარჯო უკანა წვერს კი ორმოში ყრიდნენ. ამავე დროს, ორმოში ჩაყრილი მარცვალი სინესტისაგან დაცული უნდა ყოფილიყო, რადგან ცუდად შენახულ მარცვლისაგან დამზადებული პური ცხობის პროცესში ძირს ვარდებოდა — თ ო ნ ე შ ი ი წ ე ვ დ ა.

ორმო ძირითადად ფეტვის კულტურასთანა დაკავშირებული. ეს ხალხურ ლექსშიც ჩანს: „ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადაო, ორმოში წყალი ჩასულა დასაღპობადაო, ორმოდანა ამოვყარე გასაშრობადაო“.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართლ-კახეთში ახალ წელს ცხვებოდა რიტუალური კვერები ქერიის, ფეტვისა და პურის ორმო, რომელიც ამ მარცვლეულთა სიუხვის დაბეჭებისათვის იყო განკუთვნილი. ეს საყურადღებო ცნობა ძველი ვითარების ანარქლია და აღნიშნული მარცვლეულის და მისი საცავის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ორმო პირველად რუსთავეში მტკვრის ორსავე ნაპირას იქნა დამოწმებული, რომელიც ადრეული და შუაფეოდალური ხანით (VII—XII სს.) თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ორმოები ძირითადად ფეტვისათვის ყოფილა განკუთვნილი, აქა-იქ ქერის მარცვალიც არის დადასტურებული [36].

ვ) ა მ ბ ა რ ი — ყუთის მსგავსი ხორბლეულისა და ფქვილის სათავსია.

ამბარი მარტივად კეთდება. წიფლის, ცაცხვის ან აბანოზის ხის ფიცრებს წინასწარ აღებული ზომების მიხედვით ოთხკუთხედათ დაჭრიან და გაასუფთავენ, დამზადებულ ფიცრებს შეაერთებენ, შეკრავენ და ი ა თ ა ლ ე ბ ა დ || თ ვ ლ ე ბ ა დ დაყოფენ. მეტე კეთდება სახურავი ანუ ზ ე მ ო კ ა რ ი და საკე-

ტი. ამბარს, წინა მხრიდან ხშირად მეორე კარი, ან პატარა თაღისებური სარკ-
მელი აქვს, რომელიც ნიჩბისებური ს ა გ დ უ ლ ი თ იკეტება.

ამბარში მარცვალს ზემოდან ყრიან, ხოლო წინა კარიდან იღებენ. როდესაც
ამბარი სავსეა, წინა კარი კარგად უნდა დაიკეტოს: კარს აქვს კოჭაკი, რომელიც
ჩამაგრებულია მაგარი ჩხირი.

ამბარი სხვადასხვა მოცულობისაა, არის ნახევარფეხიანი, ერთფეხიანი,
სამ და ოთხფეხიანი (ურემი, როგორც საზომი ერთეული, უდრის 20 კოდს,
კოდი 3 ფუთია) ამბარი. ამბარი თითოეულ ოჯახს ჰქონდა, იგი იდგა სახლის
გადახურულ ნაწილში ან თვით შენობაში.

ამბარი იგივე მარცვლის სათავსი უნდა იყოს, როგორც ლ ა ზ ა მ ბ ა რ ი და
ხ ა ლ ა მ ბ ა რ ი, რომელიც ს. ს. ორბელიანის განმარტებით წარმოადგენდა
მცირე ბელეს, სადაც მარცვლეული კულტურები და მისი პროდუქტები
(ფქვილი) ინახებოდა. ა მ ბ ა რ ი || ხ ა ლ ა მ ბ ა რ ი და ლ ა ზ ა მ ბ ა რ ი კონ-
კრეტულ ეთნიკურ გარემოში ბელის სინონიმად იხსენიება.

ამბარი გავრცელებული იყო ქართლსა და კახეთში, ერწო-თიანეთში და
მესხეთში; იმერეთში ამბარი მ ა ნ ჩ ა ს სახელით არის ცნობილი, ლავოდების
რაიონის იმერელი მოსახლეობა ამბარს მ ა ნ ჩ ა ს || მ ა ჩ ა ს ეძახის.

ზ) გ ო დ ო რ ი — წნელისა და ტყეჩისაგან დამზადებული წნული ქურჭე-
ლია (ტაბ. XXVI, ფ. 1 ნახ. 1). მარცვლეულისა და ფქვილის დასაუნჯებელი
გოდორი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი,
მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი) ერთ-ერთ ძირითად სათავსს წარმოად-
გენს და მხოლოდ წნელისაგანაა დაწნული.

სამარცვლე გოდორი ორი სახისაა — ქ ე ე ვ რ ი ს მ ო ყ ე ა ნ ი ლ ო ბ ი ს
ფიცრის ძირიანი ან ძირგამოწნული და ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი ფ ო რ მ ი ს ძირ-
გამოწნული. სამარცვლე და საფქვილე გოდორი საქონლის პატივითა და ბზით,
ან საქონლის პატივითა და ნაცრის ნარევით არის გალესილი.

გოდორი არყის, თხილის, შინდისა და მანულის წნელისაგან იწვნება.
წნელს შემოდგომით ჰკრიან, როდესაც ზე მშრალი, დ ა პ უ რ ე ბ უ ლ ი ა. ასე-
თი წნელი მაგარია და გამძლე. მოჭრილ წნელს 4—5 დღის განმავლობაში
ჩრდილში ა ქ კ ნ ო ბ ე ნ, რის შემდეგ წნელი უფრო დრეკადი ხდება.

საძირე ფიცარი ფიჭვის, წიფლის ან მუხის ხის მასალისაგან მზადდება.
ფიცარს ნაჩვრეტები აქვს, რომელშიც მსხვილი წნელები — ბ ო ძ ე ბ ი || ს ა -
რ ე ბ ი არის ამოყრილი. გოდორი, როგორც ყველა წნული სათავსი, ორი წნე-
ლით გადაჯვარდინებულად იწვნება. გადაგრეხილი წნელისაგან გოდორს თ ა -
ვ ი — შ ი ბ ი აქვს შემოწნული. მთიულეთ-გუდამაყარში გავრცელებულ გ ო -
დ ო რ ს მარცვლის გამოსაღებად ძირზე მცირე ზომის ღია ადგილს უტოვებენ,
რომელიც ფიცრით არის დახურული.

გოდორის სახურავად გლუვზედაპირიან ბრტყელ ქვას იყენებენ. ზოგჯერ
გოდორს თავზე ირგვლივ დაგრეხილ ჩ ა ლ ა ს ან ნ ა მ ქ ა ს შემოავლებენ, ზე-
მოდან ნამჯის სქელ ფენას დააფარებენ და საქონლის პატივითა და ბზით გადა-
ლესავენ. ამ წესს მთიულეთ-გუდამაყარში ჩ ა ლ ი ს ა ლ და ხ ი თ გა და ლ ე -
ს ა ს უწოდებენ.

გოდორი XVII საუკუნეში მტიციელ დაკანონებული ოდენობის სა-
ზომია მთელ საქართველოში [37]. XIX საუკუნეში, როგორც დადგენილი საწ-
ყაო, იგი უკვე არ გვხვდება, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლები სიზუსტით

მიანც გარკვეულია. სამარცვლე გოდორი სხვადასხვა ზომისაა და მისი ტევადობა მერყეობს 10-40 კოდამდე. ამჟამად გოდორს სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებენ.

სამარცვლე გოდორი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და ბარში, ასევე დასავლეთ საქართველოს მთაშიც (სვანეთი, რაჭა).

ქვევრის მოყვანილობის ფიცრისძირიანი გოდორი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში და ერწო-თიანეთში დასტურდება, ხოლო ქვევრის მოყვანილობის ძირგამოწნული გოდორი კ უ ფ ი ქ უ ფ და გოდ უ მთავრესად დასავლეთ საქართველოს მთაშია (სვანეთი) გავრცელებული. ცილინდრული ფორმის ძირგამოწნული გოდორის გავრცელების არეა ქართლი, კახეთი და მესხეთ-ჭავჭავთვი.

გოდორი სფირიდის სახელწოდებით X—XI სს. ძეგლებში გვხვდება [38].

თ) კოდო — ცილინდრული ფორმის მარცვლეულისა და ფქვილის შესახებ მთლიანი ხისაგან გათლილი ძირჩადგმული სათავსია (ტაბ. XXVI, ნახ. 2). კოდი მზადდება ცაცხვის, ვერხვის, იშვიათად თხილის ხისაგან. თხილისაგან დამზადებული კოდები გავრცელებული ყოფილა კახეთში. ამავე მასალის კოდი გელათის მონასტერშია დაცული და მას XVI ს. მიაკუთვნებენ [39].

კოდის დამზადება მოჭრილი ხის გასხევიდან და გაქერქვიდან იწყება. ხეს ზომაზე დამორავვენ, მორის შიგნით ნაწილს სოლებით, სატეხით და ნაჭახით გამოთლიან, გულს ხვეწით გამოასუფთავებენ. მორის გვერდები თანდათან თხელდება და სასურველ ფორმას ღებულობს. კოდის ფსკერი ცალკე კეთდება, რომელიც კოდის გვერდებში ზემოდან იდგმება. გვხვდება კარიანი კოდიც, რომელიც ხის საგდელით იკეტება (კახეთი).

კოდი რძის ნაწარმის დასამზადებლად და სითხის ჩასახმელადაც გამოიყენება. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი) იგი ლუდის, ხოლო სვანეთში — არყის დასაყენებელი ჭურჭელია. იხმარება მარცვლეულის საწყაოდაც. მისი წონითი ოდენობა 1,5 (რაჭა), 2 (ხევსურეთი), 4 (ქვემო ქართლი), 5 ფუთამდე (ზემო იმერეთი) მერყეობს.

სამარცვლე და საფქვილე კოდი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთაშია გავრცელებული. მეტ-ნაკლები სიხშირით კოდი საქართველოს ბარშიც გვხვდება, იშვიათად — დასავლეთ საქართველოში.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კოდის რამდენიმე სახელი დასტურდება: ბურწენი || ბუყუნი (სამეგრელო), ბიდილა (ზემო რაჭა), ნელარ || ნილარ (ზემო სვანეთი), ბოყვილ (ქვემო სვანეთი). კოდი პირველად XV საუკუნის სიგელ-გუჯრებსა და დავთრებშია მოხსენებული [40].

ო) ხოკერი — ცილინდრული ფორმის ხის ქერქისაგან (ბალი, თელა, ცაცხვი) დამზადებული ჭურჭელია. მარცვლის სათავსი ხოკერი დიდი მოცულობისაა; პატარა ხოკერი კი ტყის ხილის, კენკრეულისა და მატყლის ფთილების ჩასაწყობად იხმარება. ხოკერი მთაში ფუტკრის სკადაც გამოიყენება.

ხოკერს შემდეგნაირად აშადებენ: ხის ქერქს ცეცხლზე ათბობენ, გაშლიან და შემდეგ ისე მოხრიან, რომ მისი გარეთა ნაწილი შიგნით მოექცეს. ხოკერის გვერდები და ძირი ერთმანეთზე ტკეჩით (ყაპყატოთი, პწკალით) არის მიკერებული-მიქსოვილი.

ხოკერის სახელწოდებით ეს სათავსი ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოში და გურიაში [41]. იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა [42] და ზემო ქართლში მას ბოყვი ჰქვია. სვანეთში იგი გოლის სახელწოდებით არის ცნობილი [43].

მარცვლის სათავსად გამოყენებული ხოკერი ფშავსა და ზემო ქართლშია გავრცელებული.

კ) მარცვლისა და ფქვილის დასაუნჯებელი თიხის ჭურჭელი. XIX საუკუნისა და XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის, მარცვლისა და ფქვილის სათავსად იყენებდნენ ქვევრს, ქვევრის მსგავს თიხის ჭურჭელს და სხვა კერამიკულ ნაკეთობას.

სამარცვლე ქვევრი მოთავსებული იყო როგორც სახლში, ასევე ეზოში [44], ზადაც იგი სანახევროდ მიწაში იყო ჩაფლული; ხოლო საფქვილე ქვევრი მხოლოდ სახლში ინახებოდა. ასევე სახლში ჰქონდათ როგორც სწორძირსადგამიანი და ფართო ყელიანი ქვევრის მსგავსი ჭურჭელი, ასევე დერგი || ხალამი (იმერ. გურ. სამეგრ.), თიხის დორა (თრიალეთი) [46] და კოკა (იმერ. გურ. მეგრ.). აღსანიშნავია, რომ დიდი მოცულობის (დაახლოებით 10-15 ფუთის ტევადობის) ჭურჭელს მარცვლისათვის, ხოლო პატარებს ფქვილისა და პარკოსნებისათვის იყენებდნენ (ნახ. 11).



ნახ. 11. მარცვლეულის საცავ ორყურა დორათა მწკრივი, სოვ. გუნიაკალა

სოფელ შრომაში დღესაც გვხვდება მარცვლის სათავსად გამოყენებული, ქვევრისებური თხელკედლიანი და სწორძირიანი ჭურჭელი, რომლის ტევადობა ხუთიდან ათი ფუთია.

ახეთში (სოფელი ვარდისუბანი) დადასტურდა ქვევრის მსგავსი კერამიკული ჭურჭელი, რომელშიც ტონანახეიარი მარცვალი თავსდება. ჭურჭელს პირზე სამი ზერელი აქვს და თავზე ახურავს ზერელებიანი ხის ხუფი. ჭურჭლისა და სახურავის ზერელებში (რომელიც ერთმანეთის გასწვრივ არის გახვრეტილი) იყრება ჯაჭვი და საკეტით იკეტება [46].

ქვევრისა და მისი მსგავსი ჭურჭლის გამოყენება მარცვლისათვის არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება.

ურბნისში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ზომის 16 ქვევრი, რომლებიც თითქმის მუცლამდე ჩანდა თიხატყეპნილ იატაკზე. ასე ჩაფლულ ერთ ქვევრში მარცვლები ეყარა და მას თავზე სარქველი ეხურა. ზოგიერთ ქვევრს ჰაერისათვის ძირში ზერელი ჰქონდა დატანებული. ქვევრები დათარიღებულია VI—XI სს-ით და ხორბლის სათავსად არის მიჩნეული [47].

ახალმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა დაადასტურა, რომ სამარცვლე ქვევრს საქართველო შორეულ წარსულში იცნობდა. სოფელ ჭალადიდან სიმაგრის ნამოსახლარზე ძვ. წ. V—IV სს. ფენებში აღმოჩენილია შავზედაპირიანი და რელიეფურქედებიანი ქვევრები ფრაგმენტები, რომლებსაც ძირთან ნახვრეტები აქვს დატანებული [48]. სამარცვლე ქვევრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების გამო, იგი მიჩნეულია მარცვლის შესანახ ჭურჭლად.

უმჯეღესი წერილობითი წყაროები სათავსების შესახებ არაპირდაპირ ცნობებს გვაწვდის. ქსენოფონტს (V—IV სს. ძვ. წ. ა.) აღნიშნული აქვს, რომ ელინებს მოსინიკების სახლებში წინა წლის პური და ახალი გაულეწავი თავთავის დიდი მარაგი უნახავთ [49]. ბუნებრივია, რომ მათ მოსავლის დასაუნჯებლად რაიმე სათავსი ექნებოდათ, თუმცა ტექსტის მიხედვით ეს არ ჩანს.

ქართული წერილობითი მონაცემებიდან სამეურნეო სათავსებზე მნიშვნელოვან მასალას იძლევა ნიკორწმინდის სიგელი (XI საუკ.), რომლის მიხედვით რაჭაში, იმ დროს, ხის ორსართულიანი სხვადასხვა სახის სადაგი და ხერხული — ბეღელი დასტურდება [50].

სამეურნეო სათავსებმა კარგა ხანია მიიქცია მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღება. მათ შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოცემული აქვს XVII საუკუნის 30-იან წლებში არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე კასტელს და ჟან შარდენს; XVIII—XIX საუკუნეებში გიულდენშტედტს და ჰაქსტჰაუზენს; უფრო სრულ მასალას ვხვდებით XIX ს. მოგზაურის ფრ. ბაუმპაუერის შრომაში. სათავსო აღმშენებლობის ისტორიის საკითხები შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის [51], მ. გარაყანიძის [52], ა. ადამიას [53], ლ. ზუმბაძისა და სხვათა შრომებში.

ქართული ეთნოგრაფიული ატლასისათვის სათავსო ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის დასადგენად ერთადერთი წყაროა ეთნოგრაფიული მასალა [54]. ამასთან ერთად გათვალისწინებულია თანამედროვე ეთნოგრაფიული ლიტერატურის მონაცემები და ის ცნობები, რომელიც გვხვდება მასალებში საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის [55].

1. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ლაოს კვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, ძეგლის მეგობარი, თბ., 1971, გვ. 25-41.
2. თ. თ ჩ ი ა უ რ ი, ახალი საცხოვრებელი სახლი ადიგენის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963, გვ. 139.
3. ქ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 90-91.
4. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.
5. ი. ა დ ა მ ი ა, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 69.
6. მასალები საქართველოს შინაშენეულობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ., 1976, გვ. 118.
7. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.
8. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
9. მასალები საქართველოს შინაშენეულობისა . . . გვ. 269.
10. მასალები საქართველოს შინაშენეულობისა ... გვ. 325.
11. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.
12. Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. 1, Тиф., 1885, с. 260.
13. თ. თ ჩ ი ა უ რ ი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ონის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, IX, 1957, გვ. 16.
14. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.
15. მასალები საქართველოს შინაშენეულობისა... გვ. 220.
16. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, 1, თბ., 1974, გვ. 109.
17. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
18. ქ. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 96.
19. მასალები საქართველოს შინაშენეულობისა ... გვ. 412.
20. ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, წთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 158-159.
21. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, პურის ბეღელი და კოდი, ძეგლის მეგობარი, 12, თბ., 1967, გვ. 12, 28.
22. ქ. რ უ ხ ა ძ ე, სინჯარნო დანმშენეობის ნაგებობანი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963, გვ. 103.
23. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული-საზოგადოებრივ საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 16-17.
24. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 18.
25. ქ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა ... გვ. 107.
26. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, ხეცურული. თბ., 1939, გვ. 12; ლ. ბ ო კ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ხეცურული ჭვარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1951, გვ. 70; ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973, გვ. 25-26.
27. ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 28.
28. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, ქალმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ., 1960, გვ. 156-157.
29. ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 110.
30. М а р р Н. Я. Грамматика Чанского (лазского) языка, с. II., 1910, სიტყუასთან. ხარო.
31. თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 67-68.
32. ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 61.
33. თ. თ ჩ ი ა უ რ ი, ახალი საცხოვრებელი სახლი ადიგენის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., გვ. 132; თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 17.

34. მასალები საქართველოს შინაშრეწველობისა ... გვ. 73.
35. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 156, ჟ. რუხაძე, სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 189-190; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 157; თ. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.
36. გ. ლ ო შ თ ა თ ი ძ ე, რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, 1955, გვ. 177 და შემდეგ.
37. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წიგ. III, ნაკ. მესამე, ტფ., 1925, გვ. 85.
38. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია—ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1948-49.
39. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, პურის ბელელი და კოდი, ძეგლის მეგობარი, 12, 1967, გვ. 28.
40. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 85.
41. სალექსიკონო მასალა შეკრებილი ეპისკოპოს კირიონის მიერ, ძვ. საქართველო, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1913, გვ. 27.
42. Ф. Б о б л е в, Несколько мыслей и замечаний об имеретии в сельско-хозяйственном отношении; Записки Кавказского общества сельского хозяйства, кн. II, Тифлис, 1856, с. 356.
43. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, მეფუტკრეობა სვანეთში, M¹ 59. 1944, რე. 1, გვ. 64. საქართ. ეთნოგ. განუ. არქივი.
44. ჟ. რ უ ხ ა ძ ე, სოფელი აკურა ... გვ. 189-190.
45. ჟ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა გვ. 58.
46. ც. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შრომული კერამიკა, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოველად თბ., 1973, გვ. 161-165.
47. ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 109-110.
48. გ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, ნ. ე ა შ ა კ ი ძ ე, კოლხური ქვევრი, სახრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., 1957, გვ. 93.
49. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ თბ., 1967, V, 2, 27.
50. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, 11, 1897, გვ. 46-47.
51. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის [მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, შვენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.
52. М. Г а р а х а н и д з е, Грузинское деревянное зодчество, Тб., 1959.
53. ი. ა დ ა მ ი ა, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, თბ., 1968.
54. ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილია 1960 წელსა და 1971 წლიდან დაწვებული საექსპედიციო საველე მუშაობის დროს საქართველოს სხვადასხვა რაიონში.
55. მასალები საქართველოს შინაშრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ. 1967.

ლევან ბაბუნია

ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი

ყურძნის დაწურვა საქართველოში უმთავრესად მამა-პაპური წესით, ფენით წარმოებს საგანგებო ჭურჭელში — საწნახელში. საწნახელი გვხვდება ხის, ქვისა და ქვიტკირის. ქვიტკირის საწნახელი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართლ-კახეთისათვის. აქვეა გავრცელებული ხის საწნახელი, რომელიც არც თუ იშვიათად იმერელი ოსტატების მიერაა დამზადებული. დასავლეთ საქართველოში უმთავრესად ხის საწნახელი გამოიყენება, თუმცა აქა-იქ მთლიანი ქვისაგან (მონოლითისაგან) გათლილი საწნახლებიც დასტურდება.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის მასალებითაც აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლეს რაიონებში (დუშეთის, თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში და გორის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში) ქვიტკირის საწნახელი ჰარბობდა ჩისას და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე რაიონში (გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში) უფრო ფართოდ ხის ნაეი იყო გავრცელებული.

ხის საწნახელი, ჩვეულებრივ, ცაცხვის (უფრო იშვიათად წაბლის, თელისა და სხვ.) ხის გულამოლებულ და საგანგებოდ გათლილ მორს წარმოადგენს. საქართველოში იგი ნაირი სახელწოდებითაა ცნობილი: ნ ა ვ ი (ქართლ-კახეთი), ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი (ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა), ო ჭ ი ნ ა ხ (სამეგრელო), ხ ო რ გ ო (რაჭა-ლეჩხუმი), ხ ა პ ი (რაჭა).

საქართველოს მარნებში სხვადასხვა სიდიდისა და ტევადობის საწნახლებს ვხვდებით. მცირე ზომის საწნახლიდან, რომელიც 20—40 ფუთ ყურძენს იტევს, ვიდრე 3000 ფუთის ტევადობის საწნახლამდე. უფრო ხშირია 80—100 ფუთიანი საწნახელი. საწნახლის სიგრძე ოთხიდან ათ არშინამდე მერყეობს.

უზარმაზარი საწნახლის ნახატი შემოგვინახა XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის კასტელის ჩანახატების ალბომმა. სურათზე ჩანს, რომ საწნახელს კიბე აქვს მიდგმული, მზიდავები ამ კიბით ადიან და საწნახელში ცლიან ყურძნით ვასვს გოდრებს.

ხის საწნახლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რაც წინამდებარე სტატიაში ქვემოთ იქნება მოტანილი, ემყარება შემდეგ ნიშან-თვისებებს: ა) საწნახლის მოყვანილობა, მისი ღრუს თავისებურება. ბ) თავ-ბოლოს გამოყვანის თავისებურება და თავის შეკვრის წესი. გ) ტკბილის გამოსასვლელი ჰრილისა და ბაქანის (ინდურის) თავისებურება.

მოყვანილობის მიხედვით ერთმანეთისაგან ვასხვავებთ საწნახლის გაკუთხულ, მრგვალ და ნახევრადგაკუთხულ სახეობებს. გაკუთხულ საწნახელს აქვს სწორად, ბრტყლად გათლილი, ოდნავ დაქანებული (შიგნით შეწეული) გვერდები, რომლებიც „ძ რ ო ს თ ა ნ“ (ფსკერთან) მახვილ კუთხეებს ქმნის. ამგვარი

საწნახელი უფრო ხშირად ერთი მორიდანაა გამოთლილი: თავები, ანუ შუბლები თავისავე ხისა აქვს. თავებს მეტი სიმტკიცისათვის მუხის ან წაბლის უღლებს უკეთებენ. უღელი ხის ჩარჩოა, ზემოდან მოხრილი, გვერდებიდან კი სოლებით გამაგრებული (ტაბ. XXVII, სურ. 1—3).


მრგვალ საწნახელს გარედან მორის მოყვანილობა აქვს შერჩენილი და მისი დრუც მომრგვალებულია (ტაბ. XXVIII, სურ. 1). ამგვარი საწნახელი უფრო ხშირად „თ ა ვ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა“ — ბოლოებში ჩაამული აქვს მთლიანი, ანდა 2—3 ნაწილისაგან შედგენილი თავები. იშვიათად ვხვდებით, აგრეთვე, მთლიანი ხისაგან გამოთლილ „თავგამოყენებელ“ მრგვალ საწნახელს.

თავგამოყენებული საწნახლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისა და ბოლოს შეკვრის თავისებურებით. ცნობილია თავის შეკვრის, ანუ; როგორც იმერეთში ამბობენ, „თ ა ვ ი ს გ ა ფ ს კ ე ნ ი ს“ ორი ძირითადი წესი: თავის შიგნიდან გამოყენებისა და თავის ზემოდან ჩადგმის წესი. ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს საწნახლის ორი სახეობა: 1. შიგნიდან თავგამოყენებული; 2. ზემოდან თავჩამოდგმული [1].

შიგნიდან თავგამოყენებული საწნახელი დამოწმებულია გურიაში, სადაც ის ცნობილია „თავგამოდებული“, აგრეთვე, „როგოგამოყენებული“ საწნახლის სახელით. როგოგამოყენებულ საწნახელს წინა ნაწილი, ე. წ. როგო, შიგნიდან აქვს მორგებული საგანგებოდ გაკეთებულ საფეხურის მაგვარ ამონაქერზე. როგოს გასამაგრებლად მის ნაპირებს ტკბილში აზელილი ნაცრით ლესავენ. ზოგჯერ მიმართავენ კანაფის მეშვეობით როგოს დამატებით გამაგრების ხერხს. როგოს შუა ადგილას გახვრეტენ და კანაფს გაუყრიან. კანაფის ერთ ბოლოზე მოაბამენ ჩხირს, რომელიც შიგნიდან არის გჰმოდებული როგოზე, კანაფის მეორე ბოლოზე გამობმულია ჯოხი, რომელიც გარედან ებჯინება საწნახელს [2].

ზემოდან თავჩადგმული საწნახელის ბოლოები, ჩვეულებრივ სამი ნაწილისაგანაა შედგენილი. ორი ნაპირის ფიცარია, ნახევარწრისებური ფორმისა, დასავლეთ საქართველოში ფალანგებად წოდებული, მესამე კი — მათ შორის ჩაჭედილი ვიწრო ზოლისებური საქეჩი ანუ „შუანა საფსკრაავი“. აღმოსავლეთ საქართველოში სატიხრავ ფიცრებს სართაულები ეწოდება (3). შუბლები გარედან ვიწრო ლატანით (ხმალა) მაგრდება. „საფსკრაავი“ რომ არ მოიჩყას, მჭიდროდ იჯდეს საწნახლის თავსა და ბოლოში, მას კარგად გამომშრალ ხისაგან აკეთებენ. ამისათვის გამოიყენება ცაცხვის ხე (იმერეთი, რაჭა), აგრეთვე წაბლი (სამეგრელო).

გაკუთხული საწნახელი გავრცელებულია ქართლ-კახეთსა და ზემო იმერეთში. მრგვალი საწნახლის ინტენსიური გავრცელების არეალი მოიცავს გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო იმერეთს. სადემარკაციო ხაზი მათ შორის შუა იმერეთზე გადის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თითოეული ამ ტიპის გავრცელების არეში ალაგ-ალაგ შეინიშნება მეორე ტიპის სპორადული გავრცელება; სახელდობრ: მრგვალი საწნახლისა — უპირატესად იმერეთის მოსაზღვრე შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებში, ხოლო გაკუთხული საწნახლისა — დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში (მაიაკოვსკის, ვანის რაიონები, გურია). უფრო ფართო მასშტაბით კი ამ ტიპების თანაარსებობას ადგილი აქვს ამ ძირითად არეალებს შორის მდებარე შუალედ ზოლში (შუა იმერეთი). ეს ზოლი წარმოადგენს არა მარტო ამ ორი ტიპის შეხვედრის ადგილს, არამედ,



რუბა № 20. საფნახაზი (X X ს.-ის 30-იანი წლები)

1. გეოგრაფიული (ზის), 2. პრეგალი, 3. ნახეგრადგეოგრაფიული (ზის), 4. კეიკობის, 5. კვის

აგრეთვე, ნახევრადგაკუთხული ე. წ. „ნაშურიანი“ საწნახლის გავრცელების რაიონსაც (იხ. რუკა 20). ნაშურიანი საწნახელი ერთგვარი ჰიბრიდული ფორმაა, რომელსაც ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. მისი კედლის ზედა ნაწილი ბრტყლად არის გათლილი, გაკუთხულია, ქვედა ნაწილი კი მრგვლად არის დატოვებული. ეს ნაწილები ისეა გაერთიანებული, რომ საწნახელს წიბო არა აქვს, წიბოს ადგილი მომრგვალებულია¹.

ნახევრადგაკუთხული საწნახელი ჩვეულებრივ მაშინ ითლება, როდესაც სასაწნახლე ხე პატარაა და მისი მოცულობის მაქსიმალურად გამოყენებით არიან დაინტერესებული. იმერელი მთხრობლებისაგან ხშირად გავიგონია: „ხე პატარა იყო და საწნახელს ნაშური² შეჰყვა, ნაშურიანი გავთალეთო“ საქმე ის არის, რომ ხის მორის გარედან გათლისას, გაკუთხვისას ღრუს მოცულობა, მისი ტევადობა საგრძნობლად მცირდება. გაკუთხულისაგან განსხვავებით, მრგვალი საწნახელი იძლევა ხის მოცულობის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ მას, მორში ამოპობილი ჭურჭლისათვის მისი კონსტრუქცია, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურია. მთხრობლები აღნიშნავენ, რომ შედარებით მცირე ზომის ხისაგან შეიძლება გაითალოს მრგვალი საწნახელი, რომელიც საწნახლის ზომის მინიმალურ სტანდარტს პაუხობს, მაგრამ ამავე ზომის ხისაგან ვერ გაითლება გაკუთხული საწნახელი. გაკუთხული საწნახლის ზემოაღნიშნული ნაკლი დაძლეულია, აგრეთვე, ნაშურიან საწნახელში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მრგვალი საწნახლის არსებითი ნაშანი: მისი ღრუ თითქმის სავსებით მომრგვალებულია, მრგვალ საწნახლისებურია; ზედა ნაწილის გაკუთხვა არ ახდენს არსებით გავლენას მის ტევადობაზე. ამაშია ნაშურიანი საწნახლის უპირატესობა გაკუთხულ საწნახელთან შედარებით.

შეიძლება დავსვათ კითხვა, თუკი მთელი საწნახლის მოცულობის გაზრდითაა დაინტერესებული, რატომ არ უტოვებს იგი ხეს სავსებით შორისებურ ფორმას, როგორც ეს კეთდება სამეგრელოში ან ქვემო იმერეთის რიგ რაიონებში.

ნახევრადგაკუთხული საწნახლის არსებობა ბუნებრივი ჩანს იქ, სადაც გაკუთხვის წესს მისდევენ ან მას რაიმე მიზეზის გამო უპირატესობას ანიჭებენ. მაგალითად, ზემოიმერელ მთხრობელთა შეხედულებით, „შნოვება სწორედ გაკუთხულ საწნახელს აქვს“. მრგვალი საწნახელი, მათივე დახასიათებით, „გვამიანია, დიდი, მაგრამ უშნოა“. მთელს, რომელიც ცდილობს მორს ბრტყლად გათლილი იერი მისცეს, რამდენადაც ამის საშუალებას მისი ზომა იძლევა, ცხადია, ერთგვარ სახელმძღვანელო ნიმუშად გაკუთხული საწნახელი აქვს აღებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ის მრგვალ საწნახელს გათლიდა და საწნახლის ტევადობის პრობლემასაც იოლად გადაჭრიდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გავრცელებული საწნახლის ტიპები (მრგვალი და გაკუთხული) გარკვეულ კავშირს ამჟღავნებენ ღვინის ადგილობრივ ტექნოლოგიასთან. მთხრობლები მიუთითებენ, რომ ვიწროპირიანი, მორის მოყვანილობაზე დატოვებული და შიგნიდან მომრგვალებული საწნახელი კარ-

¹ ნაშურიანი საწნახლის აღწერილობას არ შეეხვედრივართ ლიტერატურულ წყაროებსა და საარქივო მასალებში.

² „ნაშური ხის ოთხკუთხედ გათლისას (გახერხვისას) წიბოს ადგილზე დაყოფებული სიმრგვალი“ (პ. გაჩეჩილაძე, იმერული დილაქტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976).

გადაა მომარჯვებული ღვინის დასადუღებლად („საწურად გაკუთხული ჭობს, სადულრად კი — მრგვალი“). დასაველეთ საქართველოს კუთხეებში (გურია-სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო იმერეთი) იგი ასრულებს არამარტო ყურძნის დასაწური, არამედ, აგრეთვე, ღვინის დასადუღებელი ჭურჭლის დანიშნულებას [4].

ხის საწნახლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ინდურისა და ტკბილის გამოსასვლელი ჭრილის თავისებურება. ჩვენ გამოვყოთ ინდურ-სადინარის სამ ვარიანტს: 1. კახურს, 2. ქართლურ-იმერულს (რაჭულ-ლეჩხუმურს), 3. გურულ-მეგრულს.

1. კახური ნავის სადინარი წარმოადგენს ხის ან ტყავის მილს. მილი ჩასმულია ხვრელში, რომელიც დატანებულია ნავის კედლის ძირში შუა ადგილას. თვით ნავს ფსკერზე გაკეთებული აქვს ღარები ტკბილის სადენად. წინიდან ფიცრის ბაქანი აქვს დაკრული ყურძნიანი გოდრების დასადგმელად [5]. გარდა ბაქნიანი ნავებისა, გვხვდება უბაქნო ნავები [6].

2. სხვაგვარად აქვთ მოწყობილი ინდური და ტკბილის სადინარი ხვრელი ქართლურ და იმერულ (რაჭულ-ლეჩხუმურ) საწნახლებს: ტკბილის გამოსასვლელი ჭრილი დატანებულია საწნახლის თავის ძირში; ხვრელიდან გამოსული ტკბილი გადმოდის საწნახლის წინ წამოშვერილ ბაქანზე — ინდურზე, რომელიც შუაში დაღარულია ტკბილის სადენად.

3. გურულ და მეგრულ საწნახლებს ინდური და ტკბილის გამოსასვლელი ხვრელი ხშირ შემთხვევაში არა აქვთ.

მრგვალი და გაკუთხული საწნახლის ტიპები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ინდურ-სადინარის სხვადასხვა ვარიანტს უკავშირდება. ვხვდებით გაკუთხულ საწნახელს კახურ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინარით, ქართლურ-იმერულ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინარით, უსადინრო გაკუთხულ საწნახელს (გურია); მრგვალ საწნახელს იმერულ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინარით (ქვემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი), უსადინრო მრგვალ საწნახელს (იმერეთი, რაჭა, სამეგრელო). ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს კორელაცია საწნახლის მოყვანილობასა და ინდურ-სადინარის თავისებურებებს შორის. სამაგიეროდ შეიმჩნევა გარკვეული მიმართება ინდურ-სადინარის თავისებურებებსა და ტკბილის ფილტრაციის წესებს შორის.

ინდურ-სადინარის თითოეულ ვარიანტს ტკბილის ფილტრაციის განსაზღვრული წესი შეესატყვისება: კახურ ნავში, რომელსაც სადინარი გვერდზე აქვს დატანებული ტკბილი იფილტრება საწნახლის სიგრძეზე ჰორიზონტალურად გადებული ლასტის ან საგანგებოდ დახვრეტილი ფიცრის-ტუპკირის მეშვეობით, რომელზედაც შლიან ჩადუნას, შალაფას ან ცოცხმაგარას [7]. იმერულ და რაჭულ საწნახლებში და ხშირ შემთხვევაში ქართლურ ნავში, რომელთაც ტკბილის სადინარი ხვრელი თავში აქვთ გაკეთებული, ფილტრაცია წარმოებს სადინართან მოთავსებული „ციცხვის“ (ლერწების კონა) დახმარებით: სამეგრელოში, სადაც უსადინრო საწნახლებია გავრცელებული, დამკვიდრებულია ტკბილის ფილტრაციის სრულიად განსხვავებული წესი: საწნახლის ბოლო ნაწილი ნედლი გვიმრით გადაიტხრება, დაწურული ტკბილი საწნახლის დაბალ ნაწილში გროვდება (საწნახელი ოდნავ დაქანებით დვას ხის „ძეკებზე“), საიდანაც ხირკეთი (ყელიანი გოგრისაგან დამზადებული ჭურჭელი) კოკაში გადაახამენ, იქედან კი ლავკანში გადაიტანენ.

ხის საწნახლის ტიპოლოგია საბოლოოდ შემდეგ სახეს იღებს: ჩვენ გამოვყოფთ 1. გაკუთხულ საწნახელს მისი სამი ვარიანტული სახესხვაობით: ა). კახური ნავი გვერდზე დატანებული სადინრით. ბ. ქართლურ-ზემოიძერული საწნახელი თავში დატანებული ზერელით, გ. გაკუთხული უსადინრო საწნახელი (ე. წ. ქანური საწნახელი გურიაში). 2. ნახევრადგაკუთხულ საწნახელს თავში დატანებული ზერელით. 3. მრგვალ საწნახელს შემდეგი ვარიანტული სახესხვაობებით: ა. თავგამოუყენებელი უსადინრო საწნახელი. ბ. თავგამოუყენებელი საწნახელი თავში დატანებული ზერელით. გ. ზემოდან თავჩადგმული საწნახელი. დ. შიგნიდან თავგამოყენებელი (როგოგამოყენებელი) უსადინრო საწნახელი.

თუ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად მაქსიმალურად დაშორებულ რეგიონებში, კახეთსა და გურია-სამეგრელოში გავრცელებულ საწნახლის ტიპებს ზემოგანხილული ნიშნების მიხედვით ერთმანეთს შევადარებთ, მათ შორის არსებით სხვაობას აღმოვაჩინებთ. კახური ნავი ხშირად გაკუთხულია, ტკბილის სადინარი ზერელი გვერდზე აქვს დატანებული და ბაქანიც გვერდზე აქვს მოდგმული. ამასთან, ჩვეულებრივ, მთლიანი მორისაგან ითლება. გურია-სამეგრელოში გავრცელებული საწნახლები მრგვალია თავგამოყენებელი, ტკბილის გამოსასვლელი ზერელი და ინდური ხშირად სულაც არა აქვთ. თუ მხოლოდ გურიით შემოვიფარგლებით, თავის შეკერის სპეციფიკურ, მრგვალი საწნახლისათვის დამახასიათებელ წესსაც დავადასტურებთ (როგოგამოყენებელი საწნახელი), ნაწილობრივ განსხვავებულია ხსენებულ კუთხეებში დამკვიდრებული საწნახლების ფუნქციაც — ყურძნის დაწურვა კახეთში, დაწურვა და ღვინის დადუღება გურია-სამეგრელოში.

გავაფართოვოთ ჩვენ მიერ მოხაზული არეალები, ისე რომ მათ შორის წყალგამყოფი ხაზი შუა იმერეთზე გავიდეს, ე. ი. დასავლეთის არეალში შევიყვანოთ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი, ამ ზოლში აღმოვაჩინებთ მრგვალი საწნახლის სახეობას, რომელსაც ტკბილის სადინარი ზერელი და ინდური თავში აქვს გაკეთებული, ხოლო აღმოსავლეთით, მის შომიჯნავე არეში (ზემო იმერეთი, ქართლი), გაკუთხული საწნახლის სახეობას, რომელსაც ინდური და ტკბილის გამოსასვლელი ჰქონდა ზუსტად ასევე აქვს მოწყობილი.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან მაქსიმალურად დაშორებულ არეებში გვაქვს მრგვალი და გაკუთხული საწნახლის მაქსიმალურად განსხვავებული ვარიანტები, ხოლო მათ შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე ამ ძირითადი ტიპების ისეთი სახესხვაობანი, რომლებიც ინარჩუნებენ რა ზოგიერთ განმასხვავებელ ნიშანს, საერთო ნიშან-თვისებებსაც ამჟღავნებენ. კერძოდ, ერთი მხრივ მრგვალი საწნახლის იმ ძირითად ტიპს, რომელიც რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო იმერეთშია გავრცელებული, და, მეორე მხრივ, გაკუთხული საწნახლის ტიპს, რომელსაც ზემო იმერეთში და ქართლში ვადასტურებთ, მიუხედავად არსებითი სხვაობისა (მოყვანილობა, ფუნქცია) აქვთ საერთო ნიშანი — თავთან გაკეთებული ინდური და თავშივე დატანებული ტკბილის გამოსასვლელი ზერელი.

საწნახლის გათლა. ხის საწნახლებს უპირატესად ხელმარჯვე გლეხები თლიდნენ, ოღონდ თავებს ჩასასმელად და საწნახლის საბოლოოდ დასამუშავებლად ოსტატს — „მესაწნახლეს“ ქირაობდნენ. იყიდებოდა აგრეთვე ოსტატების მიერ დამზადებული საწნახლებიც.

საწნახლის დამზადების პროცესი რამდენიმე საფეხურს შეიცავს: 1. ხის შერჩევა, 2. ხის მოჭრა და პირველადი დამუშავება (გამოკოპირება), 3. გათლა.

ტყეში სასაწნახლე ხის მოსაჭრელად ჩვეულებრივ რამდენიმე კაცი წავიდოდა ხოლმე. ოსტატის მონაწილეობა პირველ ეტაპზე სავალდებულო არ იყო, მაგრამ შემხანაგებულთა შორის ერთი მინც უნდა ყოფილიყო „ამლარავი“, მესაწნახლეობაში მეტ-ნაკლებად გამოცდილი პირი, რომელმაც ზომების აღება და „ლარის დაკვრა“ იცოდა და ნაკლებად გამოცდილ მეზობელს დახმარებას გაუწევდა. ასე რომ, სამუშაო ხშირად რამდენიმე კაცს შორის იყო განაწილებული: „საჯაფო საქმეს“ თვით პატრონი ასრულებდა, აზომვას და ლარების დაკვრას უფრო გამოცდილ მეზობელს ან ნათესავს აკისრებდნენ, ყველაზე უფრო რთულ საქმეს — „შეყვლვას“ და წმინდად გათლას კი — ოსტატს.

სასაწნახლე ხის მოჭრა უპირატესად შემოდგომაზე და ზამთარში სცოდნიათ. მთხრობელთა მითითებით აპრილის თვიდან აგვისტომდე ხის მოჭრა მიზანშეწონილი არ არის. „ლოპობის დროს ხე ჩერჩეტია, კანი ძვრება, წვენი სდის“. ვისაც ეჩქარებოდა საწნახლის გათლა, ხის მოსაჭრელად ზაფხულის ბოლოს მიდიოდა. „ნამარიობებს“ როცა „ლოპობის დრო“ გასულია, ხე უკვე შეიძლება მოიჭრას, მაგრამ საუკეთესო დროთა შემოდგომის მიწურული და ზამთრის თვეები ითვლებოდა. მთხრობლის სიტყვით, „ხე იმ დროს არა მართო შეკანულია და დამწიფებულია, არამედ კარგად მოშუშებულიც“.

სასაწნახლედ ცდილობდნენ შეერჩიათ უზადო ხე, სწორი („ტოლოკა“) ან სულ ოდნავ მოხრილი, ამასთან „კვერცხივით მრგვალი“ ან ოდნავ ბრტყელი. თუ ძალზე „დიდი იყო ხე, ამჯობინებდნენ მის გათლას სიბრტყეზე, რათა მწურავი არ ჩამალულიყო საწნახელში. სასაწნახლედ სასურველია შეირჩეს „ლატა ხე“, რომელსაც რამდენიმე არშინის გაყოლებით როკი არა აქვს. საწნახლისათვის უვარგისია დეფორმირებული „უგვერდულა“ ხე, რომელსაც „გვერდს ვერ უნახავ, ვერ გაასწორებ, ბევრს მოათლი და აღარაფერი შეგარჩება“. თუ ხეს რაიმე ზადი აღმოაჩნდა (ფოტორი, ტლუჯი, რვილი) ცდილობენ ეს ადგილი ამოსაპბ მხარეს მოაქციონ. აღსანიშნავია, რომ სასაწნახლე ხის უფრო მკაცრად შერჩევა ხდებოდა იქ, სადაც გაკუთხულ საწნახელს ზმარობდნენ (აღმ. საქართველო, ზემო იმერეთი). საქმე ის არის, რომ გაკუთხული საწნახელი უფრო ხშირად მთლიანი მორისაგან ითლებოდა „თავგამოუყენებლად“, ამიტომ ღრუიანი ხე მისთვის გამოუსადეგარი იყო. მრგვალი თავგამოყენებული საწნახლების სათლელად კი ამგვარი ხე ფართოდ გამოიყენებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართლელები და ზემო იმერლები სასაწნახლედ სავსებით საღ, ტანმრთელ ხეებს ეტანებოდნენ, ქვემოიმერლები კი ღრუიანი ხეებითაც იოლად გადიოდნენ ფონს. ღრუს არსებობა ხის თავსა თუ ბოლოში არ ქმნის მათთვის დაბრკოლებას, რადგანაც დეფექტიანი ნაწილი შეიძლება ამოიკვეთოს და სატიხრავე ფიცრები ჩაისვას.

საწნახლისათვის ყველაზე უფრო შესაფერ კიზად ითვლება ცაცხვი, რომელიც იოლად სათლელი „ნაქსოვი“ და სუფთა ხეა და, რაც მთავარია, დაზარავა-დაპობა არ იცის. უფრო იშვიათად იყენებდნენ წაბლს. წაბლი მაგარი ჯიშია, მაგრამ ადვილად იზხარება.

ხის მოჭრისას სავალდებულოდ ითვლებოდა მთვარის ფაზების გათვალისწინება. მთხრობელთა მითითებით, „ხე რომ არ დარკილოს, კარგ მთვარეზე უნ-

და მოიჭრას“ (ასეთად მიჩნეულია „გამოხუთშაბათებული მთვარე“) ან ყოველ შემთხვევაში ხეს „კარგ მთვარეზე“ რამდენიმე ნაფოტი მაინც უნდა აათალოს.

ხის მოსაჭერლად გრძელტარიაან ნაჯახს იყენებდნენ. სანამ საწნახლის გათლას შეუდგებოდნენ, მოჭრილი ხე უნდა დაიმოროს. თუ ხე ძნელად მისადგომ ადგილზეა მოჭრილი, მას ბოგირს მოუწყობენ“. მიწაზე დადებული „გლანების“ (პალოების) მეშვეობით ხეს სასურველ ადგილზე მიაგორებენ. აქ ხე აიზომება და ბოლოში ბირდაბირით გადაახერხება ო გადაიმორება. გადამორილი ხე, უკვე გამზადებულია გასათლელად. თუ ხე ვაკეზეა, მას „დაბაჯგავენ“ — ბაჯგებით გაამაჯგებენ. თუ ფერდობია — ხეს ხარახოს გაუკეთებენ: საგანგებოდ დასობილ ორკაპა ბაჯგებზე დებენ ძელს, რომელზედაც პალოებს დაალაგებენ. ამგვარად მოწყობილ ხარახოზე ანუ ლოგინზე შეაგორებენ ხეს, ზღზნათი გაასწორებენ და გათლას შეუდგებიან.

საწნახლის გათლას პირის დაჭრით იწყებენ. მორს ზემოდან ცულით გააბრტყელებენ. ამის შემდეგ ხე უნდა დაილაროს — მას ნახშირში ამოვლებულ ლარს დაკრავენ. საწნახელი, ჩვეულებრივ, ოთხ ლარში ითლება, ორი — გვერდის ანუ „ნაბირის ლარია“, ორიც — შიგნითა ანუ „ამოსაპობი ლარი“. კედლების გასასწორებლად ზოგჯერ დამატებით „საწმინდო ლარის“ დაკვრაც უხდებათ. კედლების სისქე ჩვეულებრივ 2 გოჯია. იგი განისაზღვრება შიგნითა და გარეთა ლარებს შორის დატოვებული მანძილით, ხოლო საწნახლის „გულის“ (ყურძნის ჩასაყრელი ღრუს) სიღვივ დამოკიდებულია შიგნითა ლარებს შორის დატოვებულ მანძილზე. გურული მასალების მიხედვით საწნახლის პირს (ანუ გულის) სიგანე 7—10 „ვერშოკი“ უნდა დაეჭირათ [8]. მას შემდეგ რაც საწნახელს პირს დაჭრიან, მის შიგნიდან გამზადებას — გულის ამოჩხვას შეუდგებიან. ამოჩხვას გრძელტარიაანი ნაჯახით იწყებენ. თავდაპირველად „ნაჯახის საბრუნავს“ ამოაპობენ. მოკვეებიან საწნახლის თავიდან და ბოლომდე ჩავლენ. ნაჯახს ყოველ 2-3 გოჯში უჭლობენ და ბელიშები (ნაპობი) ამოაქეთ. ერთ პირს რომ ამოიღებენ, მეორე ბოლოდან წამოვლენ და ა. შ. 4-5 გოჯის სიღრმემდე გრძელტარიაანი ნაჯახით მუშაობენ, უფრო ღრმად კი, სადაც ამგვარი ნაჯახი ძნელი მოსახმარია, მოკლეტარიაან ხებრუნდს იყენებენ (ნაჯახს ტარს გამოუტკვლიან, მოკლე მოხრილ ტარს დააგებენ). ხებრუნდით რამდენიმე პირი ამოიღება. რაც უფრო უახლოვდება მთლელი ძროს მით უფრო მეტად ფრთხილობს, რომ საწნახელი ზედმეტად არ ამოაპოს. განსაკუთრებული სიფრთხილება საჭირო, როდესაც ეჩოთი საწნახლის წმინდად გათლას შეუდგებიან. ეს სამუშაო ჩვეულებრივ, სახლში სრულდება.

„გამოკობიტებულ“ საწნახელს 2-3 კვირით პირქვე დამხობილს ტოვებდნენ. რომ გამოშრებოდა გამჩატებოდა, სახლში წამოიღებდნენ.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში დიდი საწნახლის გადატანა მნიშვნელოვან სიძნელებთან იყო დაკავშირებული. იგი მოითხოვდა სრულფასოვან პირუტყვს და საკმაო რაოდენობით დამხმარე ძალას. თუ ხის დამუშავების ადგილიდან შეიძლებოდა საზიდის გამოყენება, საწნახლის წამოღებაში რამდენიმე კაცი მონაწილეობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი უხლებოდათ ნადის (მეშველის) შეწევა, რომელშიაც 20—25 კაცი მონაწილეობდა.

პირველყოელისა, საწნახელი „სახაროზე“ (სახარო ვზაზე) უნდა გამოეტანათ, სადაც პირუტყვის გამოყენების საშუალება მიეცემოდათ. ძნელად მისად-

გომი ადგილიდან საწნახელი „საგორაეების“ დახმარებით გამოჰქონდათ. სადაც საგორაეებს ვერ იხმარდნენ — მხრით „კაცობრ გამოჰქონდათ“. საწნახელს გარდიგარდმო კეტებს დააკრავდნენ და რამდენიმე კაცი მხრით შეუდგებოდა³. ზოგჯერ უხდებოდათ საწნახლის თავდაღმართზე დატურება. საწნახლის ძროზე ჯარჯის კონას დააკრავდნენ და ისე გადმოუშვებდნენ „საშუავეში“.

სახაროზე მიტანილი საწნახლის წასაღებად გამოიყენებოდა როგორც ბორბლიანი, ისე უბორბლო საზიდი. მორჩილი საწნახელი ხელნა ურმით გადაჰქონდათ. დიდი საწნახელი გადაჰქონდათ დაბალი გოგორათელიანი ურმით — გოგრაჰაითი. ხშირ შემთხვევაში მას ფრჩხილებით ანუ ლაშქონის დახმარებით ეზიდებოდნენ. ფრჩხილებს საწნახლის საფრჩხილეში ამოუყრიდნენ და ჭაჭვით ან წყნელით უღელზე დაამაკრებდნენ. კლდე-ღრეში და მოსახვევებში „მ ე კ ე ტ უ რ ნ ი“ (კეტებით შეიარაღებული კაცები) ეხმარებოდნენ. კეტს ტვირთს ამონდებდნენ და ისე გადაჰქონდათ. თრევით წამოღების დროს საწნახელს ძირი რომ არ გაცდომოდა, გამოკობიტებისას მას ბოლოზე მომსხო მომრგვალებულ ნაწილს ე. წ. სათრევს || სახოხილოს || დუმას უტოვებდნენ, რომელიც შემდეგ მოითლებოდა. სახლში მოტანილი საწნახელი უნდა წმინდად გაითალოს. მთლელი საწნახელში ჯდება და ძროს ეჩოთი თლის. ინდურს რომ მიუახლოვდება დაჩოქილი მუშაობს, თან დროდადრო ძროს სისქეს ზომავს, რომ „ფსკერმა არ მოატყუოს; ეჩომ გვერდზე არ გაიხედოს, ან ძროში არ გაეარდეს“.

ფეინდა ხაზი გაუყვავთ არსებით სხვაობას, რაც მრგვალი და გაკუთხული საწნახლის გათლის წესებში შეიმჩნევა და რაც მათი განსხვავებული ფორმით არის შეპირობებული. მრგვალი საწნახელი ხის ნაზარდის გაყოლებით ითლება და საბოლოოდ „ერთი წლის ქსოვილის გაყოლებაზე უნდა დადგეს“. ეს კარგად ჩანს გურული და რაჭული მასალების მიხედვით [9]. გაკუთხული ბრტყელი საწნახლის გათლისას ამ წესის დაცვა შეუძლებელია. გაკუთხულ საწნახელს ბრტყლად ჩაჭრა ჰირდება და მისი ღრუს მოყვანილობა ხის ნაზარდს არ მიკუყვება.

ყველაზე უფრო რთულ საქმედ საწნახლის კეთებისას ითვლება თავების ჩასმა (დატიხერა — რაჭა; ცონუა — სამეგრელო). ჯერ საინდურე ადგილი ჩაიხერხება, შემდეგ თავების ჩასასმელ ღარს თევით ამოჭრიან, საწნახელს შუბლს გაუჭრიან და სატიხრავ ფიცრებს (ფალანგებს) ჩასვამენ ღარში. შუაში სოლისებურ საქექს ჩაჭედვენ. ფალანგებს ე. წ. ყალიბის (შაბლონის) მეშვეობით ჰრან, რომელსაც წინასწარ მოარგებენ საწნახლის კედლებს.

ხის საწნახელი ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად ნიკორწმინდის სიგელში (XI ს.) მოიხსენება. უფრო ადრეული ხანის ძეგლებში ტერმინი საწნახელი აღნიშნავს როგორც ყურძნის დასაწურ ჭურჭელს, ისე ზეთის გამოსაზღველ ჭურჭელს თუ ხელსაწყოს. ამასთან, ზოგჯერ ნათელი არ არის რა მასალა-საგან დამზადებულ საწნახელთან გვაქვს საქმე [10]. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საქართველოში, მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიციების ქვე-

³ ზემო გურიის მასალების მიხედვით „ტყიდან გამოსატან საწნახელზე სიგრძივ დაკრულ კეტს ელესია ეწოდებოდა“. ელესია გურისა და აჭარაში საგუნდო სიმღერაა, რომელსაც კოლექტიურად შესასრულებელი საშუაოეცის (მძიმე ტვირთის ხელით აწევა, გადატანა) დროს მღეროდნენ იხ. მ. გ. გ. ე. შ. ი. ძ. ე. ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, 11 მმ ტ. XIX—B, 1956, გვ. 133; ე. შ. ა. რ. ა. შ. ე. ნ. ი. ძ. ე. გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. 1, თბ., 1938.

ყანაში, რომელსაც ხე-ტყის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნდა, ხის საწნახელი ადრეულ ხანაშივე იქნებოდა გამოყენებული. ამაზე მიუთითებს ისეთი არქეოლოგიური მარნების არსებობა, სადაც ნახულია დიდი ქვევრები, ხოლო ქვის საწნახლები აღმოჩენილი არ არის [11].

XIX საუკუნისა და უფრო ადრეული ხანის მონაცემების მიხედვით, არამც თუ არ შეიძლება ხის საწნახლის ცალკეული ტიპების გავრცელების არეების თუნდაც მიახლოებით მოხაზვა, არამედ საერთოდ არ მოგვეპოვება საწნახლების ისეთი აღწერილობა, რომელიც მათი ტიპოლოგიის დადგენის საშუალებას მოგვცემდა.

თუ მივიღებთ, რომ საწნახლის ტიპების გავრცელების აწინდელი სურათი რამდენადმე შეცვლილი სახით უფრო ადრეულ ვითარებას ასახავს, მაშინ მასზე დაყრდნობით შეიძლება წამოვყენოთ ზოგიერთი ვარაუდი.

ჩვენი აზრით, მრგვალი საწნახელი შეიძლება დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო გაკუთხული საწნახელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ელემენტად მივიჩნიოთ. მრგვალი საწნახლის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში უნდა იყოს შედარებით გვიანდელი მოვლენა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს აღმოსავლეთ საქართველოში მისი გავრცელების თავისებურება: შედარებით უფრო ხშირი — იმერეთის მოსაზღვრე ან მის მახლობელ რაიონებში (ხაშური, ქარელი) და უფრო იშვიათი — დასავლეთ საქართველოდან დაცილებულ რეგიონებში (ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი, კახეთი). შესაძლებელია გაკუთხული საწნახლის გავრცელების ადრინდელ ვრცელ რეგიონს, გარდა აღმოსავლეთ საქართველოსი, წარმოადგენდეს სამხრეთი საქართველო. უფრო თამამად ეს შეიძლება ვამტკიცოთ მესხეთის შესახებ, სადაც გაკუთხული საწნახელი ზოგ სოფელში ამჟამად არ წარმოადგენს დიდ იშვიათობას. მეტი სიფრთხილით ამგვარი ვარაუდი შეიძლება წამოვყენოთ საქართველოს აწინდელ საზღვრებს მიღმა მდებარე ძველი ქართული პროვინციების მიმართ. ამის საფუძველს გვაძლევს: 1. გაკუთხული საწნახლის გავრცელება დასავლეთ საქართველოს მთელ სამხრეთ ზოლში (მაიაკოვსკი, ვანის რაიონები, გურია). ბუნებრივია დავუშვათ, რომ ეს ზოლი კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე ისეთი რეგიონის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც ოდესღაც გაკუთხული საწნახლის ინტენსიური გავრცელებით ხასიათდებოდა. 2. ამაზე მიგვანიშნებს აგრეთვე, გურიაში დამოწმებული გაკუთხული უსადინარო საწნახლის ადგილობრივი სახელწოდება — ჭანური საწნახელი.

ქვიტკირის საწნახელი. ქვიტკირის საწნახელი, როგორც ვთქვით, უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებშია გავრცელებული, სადაც ისინი ხშირად დახურულ მარნებშია მოთავსებული. ჩვეულებრივ, საწნახელი მარანზეა ხოლმე მიშენებული, მარნის კედლები გამოყენებულია საწნახლის კედლებად, ხოლო თვით საწნახელს ორი კედელი აქვს ამოყვანილი. არც თუ იშვიათად ვხვდებით აგრეთვე ვენაში განცალკევებით მდგარ ქვიტკირის საწნახელს, რომელიც ღია ცის ქვეშ იმყოფება, ზოგჯერ კი მსუბუქ ნაგებობაშია (თვით ან წალმით წახურული ქოხი თუ ფარდული) მოთავსებული. ამგვარ საწნახლებს იხსენიებს ყონდურელოვი ქართლის მევენახეობა-მელვინეობისადმი მიძღვნილ თავის ნარკვევში (ვასული საუკუნის მიწურული) [12]. ცნობილია, რომ სახლკარისაგან და მარნისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ვენახებში ყურძენი აღ-

გილზევე იწურებოდა და ტკბილი მარანში ურმით გადაჰქონდათ. რიგ კუთხეებში (ქართლ-კახეთი, რაჭა) ტკბილის გადასატან ჭურჭლად გამოიყენებოდა მოლკუპრავი თხიერი (ქეშელი). ვენახებში ეწულად მდგარი ქვიტკირის საწნახლების არსებობა გვიანფეოდალური ხანისა და უფრო ადრეული ეპოქის არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ვენახში ყურძნის დაწურვა და ტკბილის სახით მისი წალემა საშუალებას აძლევდა მეურნეს თავიდან აეცილებინა ტრანსპორტირების დროს ყურძნის დაზიანება და აგრეთვე მისი დაწურვის დაყოვნება, რაც, როგორც ცნობილია, ღვინის ხარისხის გაუარესებას იწვევს [13].

აღმ. საქართველოში გავრცელებული საწნახლები ხშირად ორგანოფილებიანია (შუაში კედლითაა გადატხირული). ერთი განყოფილება წითელი, ხოლო მეორე—თეთრი ყურძნის საწურავადაა განკუთვნილი [14]. ტკბილის სადინარი ხშირ შემთხვევაში შუა-წელში აქვს გაკეთებული და დაქანება ორივე ბოლოდან იწყება. საწნახელს წინ ბაქანი აქვს მიშენებული, რომლებიც გოდრების დასადგმელად გამოიყენება. ძირში მრგვალი მილი აქვს დატანებული, რომელიც წინ ბაქანში გამოდის.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ქვიტკირის საწნახლებს ტკბილის სადინარი, უპირატესად, თავში აქვთ გაკეთებული.

ქვიტკირის საწნახლებს ადგილობრივი ხელოსნები — კალატოზები აშენებდნენ. საშენ მასალად გამოიყენებოდა რიყის ქვა, ფილაქვის ნატეხები. გასამაგრებლად — კირხსნარი და დულაბი.

აშენების პროცესი კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: საწნახლის საძირკველში ჩაასხამდნენ დულაბს. შემდეგ ქვებს ჩააწყობდნენ, ზედ კირქვიშას გადალესავდნენ, ზედაპირს შიმშით გაუსწორებდნენ და კედლების ამოყვანას შეუდგებოდნენ: ქვას რამდენიმე პირად აწყობდნენ, ქვებს შორის დარჩენილ ცარიელ ადგილს ხიჭით ავსებდნენ, თითოეული პირის ამოყვანის შემდეგ ზედაპირს ქაფჩით ლესავდნენ. აშენებული საწნახლის შიდა პირი საბოლოოდ კირქვიშით გაილესებოდა. კირქვიშას მარნის წინ გამართულ „ქვიშის კალოზე“ აშხადებდნენ. კალოზე ცხავში გაცხავებულ კირს დაყრიდნენ, ზედ წყალს დაასხამდნენ და ქვიშას აურევდნენ [15]. ძველად, როგორც ჩანს, საწნახლის გასალესად რძე (ან რძით განზავებული ხსნარი) უხმარიათ, რასაც ქართლში ჩაწერილი ლექსის შემდეგი ნაწყვეტი მოწმობს: „თავს საწნახელი დამადგი, პირი მოულესე რძითო“ [16].

ქვის საწნახელი. გასულ საუკუნეში მეღვინე ლ. ჭორჯაძე, აღნიშნავდა რა ქვიტკირის საწნახლის ზოგიერთ ნაკლს, მასთან შედარებით უპირატესობას თლილი ქვით ნაშენ საწნახელს ანიჭებდა. ლ. ჭორჯაძის მტკიცებით, ქვიტკირის საწნახელი „პირველ დაწურვაში“ გემოს აძლევს ყურძნის წვესს; გარდა ამისა, კირი, რომლითაც ილესება საწნახელი, მავნებელია ღვინისათვის [17]. თლილი ქვით ნაშენი საწნახელი, როგორც გასული საუკუნის მასალებიდან ჩანს, გავრცელებული ყოფილა ქართლში, კერძოდ დუშეთის მაზრაში, სადაც მას ზოგიერთი შეძლებული მეურნე იყენებდა [18].

ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ქვის საწნახლები უპირატესად მონოლითისაგანაა დამზადებული. იშვიათად ვხვდებით ნაწილებისაგან შედგენილ ქვის საწნახელს, რომლის ძირი და კედლები ცალკე ნაჭრებისაგანაა გაკე-

თებული. ქვის საწნახელი ხშირ შემთხვევაში ქვიტყირისაზე უფრო მოკლეა; მისი ძირი ფორმით კვადრატს უახლოვდება (ტაბ. XXVIII, სურ. 3).

ქვის საწნახლებს ხელოსნები — ქვის მთლელები თლიდნენ.

ქვის საწნახლები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლში, კახეთსა და ქიზიყში. დასავლეთ საქართველოში გვხვდება ძირითადად იმერეთში (ოკრიბა).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ქვის საწნახლები ადრეელინისტური ხანით (ძვ. წ. IV—III სს.) თარიღდება. ისინი კლდეშია ნაკვეთი. თითოეულს, გარდა ყურძნის დასაწური მოედნისა, აქვს ტკბილის მოსაკავებელი აუზი, რომელიც ძირითად განყოფილებასთან კლდეშივე ამოკვეთილი სადინარითაა დაკავშირებული [19].

შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება ქვიტყირის საწნახელი, რომელსაც ხის საწნახლის მსგავსად წაგრძელებული ფორმა აქვს. ამ დროისათვის სახე იცვალა კლდეში ნაკვეთმა საწნახელმაც, რომელიც აღნაგობის მხრივ სიახლოვეს ამქლავნებს თავის თანადროულ ქვიტყირის საწნახელთან. ფეოდალური ხანის როგორც კლდეში ნაკვეთ, ისე ქვიტყირის საწნახლებს არ გააჩნიათ ტკბილის მოსაკავებელი რეზერვუარი, რაც დამახასიათებელი იყო ადრეული ხანის საწნახლებისათვის. რეზერვუარის დანიშნულებას ასრულებს საგანგებო ჭურჭელი — თალარი [20].

ქვიტყირის საწნახლის ზემოაღნიშნულმა ტიპმა ფართო გავრცელება ჰპოვა გვიანფეოდალურ ხანაში და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ბოლო დრომდე შემორჩა.

ლიტერატურა

1. მ. გეგეშიძე, ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, სსმპ, ტ. XIX B, 1956, გვ. 135.
2. მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ.
3. ა. ლეკიაშვილი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XX, 1960, გვ. 66.
4. ლ. გაბუნია, ღვინის დაყენების ხალხური წესები იმერეთში, მას. საქ., ეთნ. XV, 1970, გვ. 112; ა. ლეკიაშვილი, საწნახელი ძეგლის მეგობარი 1968, №16, გვ. 54.
5. ა. ლეკიაშვილი, მეღვინეობა კახეთში, დასახ. ნაშრ., გვ. 66; ქ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 154.
6. ი. ნანობაშვილი, ვახის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1963, გვ. 120.
7. ა. ლეკიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.
8. მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137.
9. მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ.; ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, რაჭა, თბ., 1974.
10. ივ. ჭავჭავაძე, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1964, გვ. 27-28.
11. ა. ბოხობაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1973, გვ. 99.
12. П. Г. Капдуларов, Очерк виноградарства и виноделия в Карталиннии, ССВВК, VIII, 1897.
13. რ. რამიშვილი, ზიადისის ნაშოსახლარი და მლაშეების გორის მარანი, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III თბ., 1974, გვ. 146-147.
14. ჟ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, II, თბ., 1974, გვ. 146.
15. ა. ლეკიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

16. ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, კირის დამზადება და მისი გამოყენება მშენებლობაში (ქართლის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), სსმ XX — B, 1959, გვ. 267.
17. ლ. ჭ ო რ ჭ ა ძ ე, მევენახეობა და ღვინის დაყენება. კეთება და გაუმჯობესება, ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მამყენებლებისა, ტფ., 1876.
18. П. Г. Капдуралов, დასახ. ნაშრ.
19. დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ე ი ლ ი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, II, 1963, გვ. 119.
20. ა. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.

ანდრო ლეკიაშვილი

მ ა რ ა ნ ი

ტერმინი მარანი

მელვინეობისათვის განკუთვნილ სამეურნეო ნაგებობას მთელ საქართველოში ერთი და იგივე სახელი — მარანი ეწოდება. ეს ზოგად-ქართული ტერმინია და ამავე ფორმითაა წარმოდგენილი მეგრულსა და სვანურ ენებშიც. ტერმინი მარანი ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე მეცხრე საუკუნიდან იხსენიება¹.

სადაურია ეს სიტყვა? როგორია მისი წარმომავლობა?

უნდა ითქვას, რომ საანალიზო სიტყვა ამავე ფორმით და მნიშვნელობით გვხვდება სომხურშიაც—*maran*. დასტურდება მისი პარალელური ფორმაც *zaxmaran* შტემარან, რომელიც ბელეს აღნიშნავს.

3. აჭარის თანახმად, სომხური *zaxmaran* უნდა მომდინარეობდეს სირიული სიტყვიდან *madāna* „ბელელი“. ამასთან, მისი აზრით, ქართული „მარანი“ ნასესხებია სომხურიდან [1].

სტ. მალხასიანცი, აღნიშნული შესაძლებლობის გარდა, უშვებს აგრეთვე სომხური სიტყვის ირანულ წარმოშობას: სომხური მარან ანუ შტემარან შესაძლოა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვიდან *maidan*—ღვინის შესანახი [2].

ამ ბოლო ხანებში იგივე აზრი გამოთქვა ირანისტმა მ. ანდრონიკაშვილმა. ირანული ეტიმოლოგიისათვის ამოსავალია ძვ. ირანული *madu* „თაფლი“, „თაფლის სასმელი“, თაფლუქი. საშუალო სპარსულში გვაქვს ფორმა *maddan*, აქედან—*maran* (ირანული ენის ფონეტიკური კანონის თანახმად, „დ“ გადადის ხან „რ“-ში, ხან კი—„შ“-ში). ახალსპარსულში მისი კანონზომიერი შესატყვისია *maidan*. ირანული სუფიქსი „დან“ შეესატყვისება ქართულ „სა“-ს. ასე რომ, საშუალო სპარსული ანდა პართული *maddan* (*maran*) აღნიშნავს „საღვინე ადგილს“. მკვლევარის დასკვნით, ქართული მარანი უნდა მომდინარეობდეს საშ. სპარსულიდან ან პართულიდან. ამასთან, არ არის გამორიცხული სომხური ენის მეშვეობა [3].

ეს უკანასკნელი ვარაუდი — „მარანის“ ირანული წარმოშობა — მეცნიერულად სარწმუნო გვეჩვენება.

ზოგი ქართველი ისტორიკოსი ტერმინ მარანს აკავშირებს სიტყვასთან — „მარ-ი“, რომელიც მოიხსენიება ქართული ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში

¹ „და ჩუენცა საყუარელნო მარანსა მას მაცხოვრისასა მივისწრაფოთ... სინური მრავალთავი (864 წლის ხელნაწერი), ტექსტი გამოცემა ა. შანიძემ, თბ., 1959 გვ. 18.

ზეთის საწყაოს მნიშვნელობით. თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა თიხის დიდ ჭურჭელს, რომელშიაც კიდევ იმარხებოდნენ. მისგანაა წარმომდგარა სიტყვა სამარე — ადგილი, სადაც მარები იმარხება. ამ სიტყვას სემანტიკურად უკავშირდება ტერმინი მარანიც — „ადგილი, სადაც მარები, ქვევრებია დამარხული“ [4].

ეს ეტიმოლოგია შენიშვნებს იწვევს. ჯერ ერთი, მარის საღვინე ჭურჭლად გამოყენება თავისთავად დასამტკიცებელია. გარდა ამისა, სიტყვა მარანში მარის გამოყოფის შემთხვევაში აუხსნელი რჩება-ან-ნაწილის მნიშვნელობა.

მ. გეგეშიძემ სცადა „მარნის“ წარმოშობა აეხსნა ქართულ ნიადაგზე და ამ მიზნით სათანადო ეთნოგრაფიული მონაცემებიც მოიშველია. მან მარანი დაუკავშირა სიტყვა მორ-ს. მკვლევარმა გულამოდებული მთლიანი ხის მორი გაიაზრა, როგორც ყურძნის ფეხით დასაწური საწნახლის თავდაპირველი სახე, ხოლო ფარალალა ფარდულის ტიპის მარანი, იმ საწყის ფორმად, რომლის თავდაპირველ დანიშნულებას სწორედ ამგვარი მორ-საწნახლის დაცვა შეადგენდა. ამ სამეურნეო ნაგებობამ თავისი სახელწოდება მიიღო „მორიდან“ ანუ იკავებოდა ძველქართული „მარიდან“, რომელიც, ავტორის ვარაუდით, თავდაპირველად ხის ჭურჭელს აღნიშნავდა [5].

ეს მოსაზრება მოკლებულია დამაჯერებლობას. თავი რომ დავანებოთ მარნის, როგორც სამეურნეო ნაგებობის ფუნქციის ასეთ უკიდურეს დაიფრობას (მხოლოდ საწნახლის დაცვა), მის ეტიმოლოგიას ელოდება სერიოზული ენობრივი დაბრკოლებები. საკმარისია აღინიშნოს, რომ სრულიად უსაფუძველოა სიტყვების მორ-ისა და მარ-ის გაიგივება.

მარნის ტიპები

ტრადიციამ ბოლო დრომდე შემოინახა ნაირგვარი სახის მარანი, რომლებიც ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნების შესაბამისად, მეტ-ნაკლები თავისებურებებით ხასიათდება.

მათ შორის გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: ღია მარანი და დახურული მარანი.

პირველი მათგანის სპეციფიკას შეადგენს ღია ცის ქვეშ, მიწაში ჩაფლული ქვევრები. საკუთრივ მარანში კი მოთავსებულია ყურძნის ფეხით დასაწური ხორგო-საწნახელი და მელვინეობის სხვა ჭურჭელ-ხელსაწყო.

ხოლო მეორე ტიპის მარანში ქვევრებიც მოქცეულია შიგნით, „გადახურულში“, ისევე, როგორც მელვინეობის დანარჩენი ინვენტარი.

ქვემოთ ჯერ ღია მარნის დახასიათებაზე შევჩერდებით.

ღია მარანი

ამჟამად, ღია მარნის გავრცელების არეალი მოიცავს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს. იგი ხშირია იმერეთში, ქვემო რაჭაში, ლეჩხუმში (რიონის ხეობაში), გურიაში, ნაკლებ ხშირი — სამეგრელოში.

ღია მარნის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს — ღია ცის ქვეშ გამართულ ჭურჭების ადგილ-სამყოფელს მოეპოვება საკუთარი სახელი. მას ეწოდება: ჭურისთავი (ჭურისთავები) (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია). ოლაგვანე — „საქვევრე“ (სამეგრელო). აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მომიჯნავე იმერეთის ზოგ სოფელში (მაგ., მათხოჯი) დასტურდება ტერმინი „საჭურე“ — მეგრული ოლაგვანეს ზუსტი შესატყვისი.

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ღია მარნის ზოგადი სახელწოდებაა ჭურ-მარანი. ეს ტერმინი ხშირად იხსენიება გვიანი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ჭურ-მარანი დასავლურ ქართული კარ-მიდამოს განუყრელი ნაწილია. ჩვეულებრივ, გამართულია დასამხრის-ზე, მეტწილად მომალე ადგილას. მევენახეთა დაკვირვებით, ჭურისთავზე, „პაერი უნდა მუშაობდეს“, ამასთან, წვიმის წყალს ყველა მხრიდან „იწურავდეს“. ჭურისთავი სუფთა ადგილიცაა, საბძელ-ბოსლოსაგან, სანაგვე-სანეხვე-ლასაგან მოშორებული, საქონელი რომ არ შევიდეს, ხშირად მესრით ან შქმერის ცოცხალი ღობითაა შემოკავებული.

იმისათვის, რომ ჭურებს მზემ არ დახედოს და ღვინო არ წაახდინოს, ჭურისთავი სავანგებოდ არის დაჩრდილული. ტრადიციული საჩრდილობელია კომშის, თხილის ან რცხილის ხეები — ჭურების ირგვლივ შემორგული და ერთმანეთზე ტოტებით გადაყვანილი.

იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ჭურისთავზე განსაკუთრებით მოწონებაშია კომშის ბუჩქნარი, რომელიც არა ერთი ღირსებით გამოირჩევა. კომშის ბუჩქნარს კარგი ჩრდილი აქვს, ამასთან ეს ხე სუფთაა, მატლს იშვიათად იჩენს. რაც მთავარია, მისი ფესვები მიწაში ღრმად და სწორად მდის, რის გამოც ჭურებს დაზიანება არ ემუქრება. მისი ფოთლები ჭურების ფარვლას მოსარეცხად და ღვინის ბრკის მოსაწმენდად მოიხმარება, თვით ნაყოფს კი — ღვინისათვის სასიამოვნო სუნის მისაცემად ჭურის კედელს შეახეხავენ...

რაჭაში ჭურ-მარანზე ზაფხულდობით მუდმივი ჩრდილისათვის მის შორიან-ლოსაც ირგვება ხეები: მეტწილად კოპიტო, რომელიც ჩრდილიანია, „უსუნო“ და სუფთა, ლამაზი და „კავარიანი“, ამასთან, „ზრდაში დამყოლი“... [6].


ბოლო ხანებში, ჭურისთავის საჩრდილობლად აქ ფეხს იკიდებს ვაზის ტალავერი. მიწაში ჩასობილ ბოძზე ვადებულია სიგრძივ და სიგანით ლარტყები, ონგალოები, ზედ ჭოკებია „გაბანდული“, რომლებზედაც ვაზია მიშვებული... [7].

მზრუნველი ხელი მეტადრე იმერულ ჭურისთავს ეტყობა. მას არცთუ იშვიათად ბროწეულის ბუჩქნარიც ამშვენებს. აქვე ღობის ძირში გრძელა, დაბალი სკამი და ქვის მრგვალი მაგიდა გაუმართავთ. ურყევი ტრადიციისამებრ საპატიო სტუმარს ჭურისთავზეც მიიწვევენ...

ჭურისთავზე ჭურების განლაგების გარკვეული წესი შეიმჩნევა. დიდი, „ჩასავალი“ ჭურები ჩაყრილია მარანთან, საწნახელთან ახლოს, რომ დაწურული ყურანის ტკბილი პირდაპირ მიუშვან ჭურებში, მათ საშუალო ზომის ჭურები მოაღდეს, სულ ბოლოს კი წვირილი ქვევრებია მოქცეული...

ღია ცის ქვეშ ჩაყრილ ჭურებს თავი საიმედოდ ეხურება. ჭურქელს პირზე ჯერ აფარებენ „საფენს“: ესაა ხის თხელი კანის „ოფიჭო“, მოკუპრული ტყავი, ან ბიის, ვაზის, თუ ნიგვზის ფოთლები..., მას ზემოდან დაედება ხის მრგვალი სარქველი, ბადიში, ანუ როგო, სარქველზე თიხის, „აყალო მიწის“ სქელი ფენა „დაიკვერება“, ხოლო ამ უკანასკნელს, იმისათვის რომ არ დასკდეს, ზემოდან ფხვიერი მიწა (სვარსვალი, უბირი, სამაშნი, საზედაო მიწა, სამთავრავი) წაყურება... ასე, აშგვარად თავდახურულ ჭურქელში წვიმის წვეთიც კი არ ჩაატანს...

ჭურისთავს ზედ ეკვრის მარანი, რომელიც ნაირგვარია როგორც მასალის,



რუკა № 21. მარანი (XIX ს.-ის II ნახევარი)

1. ღია მარანი, 2. დახურული მარანი (ქვიტკობი), 3. დახურული მარანი (ხის), 4. დახურული მარანი (საცხოვრებელი სახლის კომპლექსი)

ისე კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით. მათ შორის გაბატონებულია ხის მარანი, რომელშიც გამოირჩევა შემდეგი სახეობანი:

1. უკელებო ფარღალა ფარღელი: მიწაში დასობილი მუხის მსხვილი ბოძები ყავრის ან კოროლის სახურავით. მარნის ამ უმარტივეს სახეობას ზოგჯერ მხოლოდ ცალი მხრიდან, „სანიავოდან“ თუ აქვს ლამფა აკრული. მისი ინვენტარი ძირითადად ხორგო—საწნახლით ამოიწურება. ეს სახეობა, ჩვეულებრივ, სახელდახელო დანიშნულებისაა. ამგვარი მარანი მთელ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (ტაბ. XXIX, სურ. 1).

2. სამი მხრიდან დახურული, „პირღია“ მარანი. მას მხოლოდ „ზურგი“ და ორივე „გვერდი“ აქვს, ხოლო „წინ პირი ჭურებისაკენ ღიაა“. მარანი ისე დგას, რომ „ქვენა ქარი არ ურტყამდეს წინა პირს, — ზამთარში თოვლმა არ აავსოს მარანი“. ეს სახეობა მელვინობის მრავალრიცხოვან ინვენტარსაც იტევს და ამასთან, ჭურებთან მისადგომიდან მარჯვეა და მოსახერხებელი. ამგვარი მარანი ხშირია იმერეთში, ნაკლებ ხშირი — რაჭა-ლეჩხუმში (ტაბ. XXIX, სურ. 2).

3. ოთხივე მხრიდან დახურული მარანი ორგვარია: ფიცრული და ძელური. ტრადიციულია ძელური მარანი, რომელიც ფიცრულთან შედარებით საგრძნობლად უფრო მკვიდრია და მოხდენილი. იმერული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მისი კედლები მუხის ან წაბლის გამძლე „გასაძლის“ საძირკველზეა ამოყვანილი. ორად გააბილი მუხის მორის ძელები შიგნიდან სწორია — „ფიცრული“, გარედან კი ლამაზად „გაკუთხულ-გასუკული“. ხის კოტებით ერთმანეთზე მჭიდროდ დაშენებული ძელები კუთხეში ყელებითაა გადაჭიმული. მარნის კედლები ზემოდან შეკრულია ხის სარტყლებით, რომელთაც ყავრის ან კრამიტის გაწყობილი სახურავი აქვს. მარანს წინიდან, ჭურისთავის მხრიდან შედგმული აქვს სადა, ფიცრული კარი, ერთ-ერთ კედელში კი პატარა სარკმელი, „სასინათლოა“ დატანებული. ზოგ მარანს აქვს უკანა კარიც, ჭირნახულს (ყურძენს) აქედან შეზიდავენ — მარანში ჭურისთავზე გაუვლელად (XXIX, სურ. 3).

ასეთი მარანი ხშირია იმერეთში (ქიათურისა და საჩხერის რაიონები), ნაკლებ ხშირი — ქვემო რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში.

დ) ხის მარანი ბელლითურთ. ოთხივე მხრიდან დახურულ ფიცრულ ან ძელურ მარანს ზემოდან ადგას ბეღელი, ჩვეულებრივ, ორფერდად „საბძლურად“ შეხურული ყავრით. მარნის ზედა სართულზე ბეღელს ზოგჯერ ოთახი აკრავს. ბეღელი ჭირნახულის შესანახადაა განკუთვნილი, ხოლო ოთახი საკუქნაოს მოვალეობას ასრულებს. აქ, ჩვეულებრივ, ინახება სუფრის ჭურჭელი: სასმისები და საღვინეები. მარანს ირგვლივ არტყია ფართო აივნები, რომლებიც ჩვეულებრივ ჩირის, ტყლაპების, ტბილის კვერების, ყურძნისა და ხილის აგნების, ჩურჩხელების გასაშრობად გამოიყენება. მარნის ეს სახეობა ნაკლებ ხშირია რაჭა-ლეჩხუმში [8].

„ქვამარანი“. იქ სადაც „ქვა უფრო ეშოვებოდათ“ დასტურდება ქვის მარანი, როგორც სამი მხრიდან, ისე მთლიანად დახურული. რაჭა-ლეჩხუმში ქვის მარანებსაც ტრადიციისამებრ ზემოდან ადგას ბეღელი. ხის მარანთან შედარებით ქვიტიკრის მარანი „მუდმივია“ და ამიტომაც უფრო მოწონებული. გავრცელებულია იშვიათად იმერეთში, ხშირია რაჭა-ლეჩხუმში.

რაც უფრო მკვიდრად ნაგებია ხისა თუ ქვიტიკრის მარანები, მით უფრო მრავალფეროვანია აქ მოთავსებული ინვენტარი. შესასვლელთან იქვე კუთხეში,

ჩვეულებრივ, თავმოყრილია ჭურისთავის „ხელსახმარი“: ჭურიდან ფხვიერი მიწის გადმოსაყრელი თოხი, აყალოს მოსახდელი ძელბარი, აყალო მიწის დასაგლეს-დასაკვერი კვეფო-საგოჭელა ... კედლების გასწვრივ ხის სადგარებზე ხორგო-საწნახელია წინ მიწაში ჩადგმული თიხის სატკბილოთ — ისარნით. ზოგჯერ აქვეა გამართული ჭაჭის საწნეხი საქაჩავი ანუ წბერი. მარნის კედლებსა და კოჭებზე გაწყობილია სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი: ყურძნის მოსატენი მსხვილთავიანი კობულო-სატუყელა, ჭაჭის მისაწვე-მოსაწვეი გრძელტარიანი ორშიმოები, გრძელტარიანი სარცხები, სათხლევები...

ჩვეულებრივ, მარანში ინახება ვენახის სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღები, აგრეთვე, არყის სახდელი მოწყობილობა: ქვაბი, ზარფუში, ორიკა. აქვეა ზოგჯერ მიწაში ჩაფლული პატარა ჭურები, რომლებშიაც ყველი ან წნილია ჩადებული.

ღია მარანი სავსებით შეესაბამება დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობების თავისებურებებს. ლიხთ-იმერეთის ჰავისა და ნიადაგის მოჭარბებული ტენიანობის გამო, „გადახურულში“ ჭურების დამარხვა საზიანოა ღვინისათვის: მუდმივი „ჩერო“ და უმზეობა ღვინოს „დაცდის“, შმორის სუნს მისცემს. ღია ჭურისთავზე კი სასურველი სიმშრალეა: მას დილა-საღამოს მზე უდგება, ნიავეც უვლის. ხოლო ზაფხულის მოჭარბებული სიცხისაგან ჭურისთავს, აქ გამართული საჩრდილობელი იფარავს; გარდა ამისა, ჭურისთავს ნიავე და წვიმაც აგრილებს: „სიგრილუში ინახავს ღვინოს“. მხოლოდ აქაური მთიანი მხარეების მკაცრი ჰავა და აგრეთვე სამეგრელოს გადაჭარბებული ნალექიანობა აიბულებს მეურნეს, რომ ქვევრებს „გადახურულში“ მიუჩინოს ბინა.

ამჟამად, ღია მარნის გავრცელების არეალი მკაცრად შემოფარგულაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის ეს ტიპი სრულიად უცნობა. მაგრამ წარსულისათვის განსხვავებულ ვითარებას ვადასტურებთ. ეთნოგრაფიული თუ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოსათვის ღია მარანი არცთუ იშვიათი ყოფილა ქართლში და აქა-იქ კახეთშიაც, მეტადრე სიღნაღის რაიონში.

გვიანი ფეოდალიზმის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში (წყალობისა და ნასყიდობის წიგნებში და სხვ.) არცთუ იშვიათად იხსენიება კომპოზიტური ტერმინი: „ქვევრ-მარანი“ თუ „ჭურ-მარანი“, რომელიც უთუოდ ღია მარანს გულისხმობს [9].

არქეოლოგიური მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოში ღია მარნის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს. ქართლის ტერიტორიაზე არაერთგან არის მიკვლეული ადრე ფეოდალური და გვიან ანტიკური ხანების ღია მარნის ნაშთები [10].

დახურული მარანი

დახურული მარნის გავრცელების არეალი ზოგადად მოიცავს ქართლ-კახეთს და, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს მთის ზოლს. ღია ჭურისთავთან შედარებით, აქ, უპირატესობა ენიჭება დახურულ მარანს, რაც ამ მხარეთა გეოგრაფიული თავისებურებებით აიხსნება.

ასე, მაგ., ქართლ-კახეთში დახურული მარანი ღვინოს იცავს ზაფხულში მოჭარბებული სიცხისა, ხოლო ზამთარში ყინვა-სიცივის მავნე ზეგავლენისაგან. ლიხთ-იმერეთის მთიან მხარეებში, უმთავრესად აჭარის მკაცრი ჰავის გამო, აწკობინებენ ჭურების გადახურულში შენახვას, ხოლო სამეგრელოში ამის მიზეზია ჰავის მოჭარბებული ნალექიანობა.

ქართული მარნის ამ მეორე ძირითად ტიპში გამოიყოფა ორი მთავარი სახეობა: ა) მარანი, როგორც განცალკევებით მდგომი ნაგებობა, და ბ) მარანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში.

განცალკევებული მარანი მასალის მხრივ ორგვარია: ქვიტკირისა და ხისა.

ქ ვ ი ტ კ ი რ ი ს მ ა რ ა ნ ი

ეს სახეობა ძირითადად დამახასიათებელია ქართლ-კახეთისათვის, სადაც მისი რამდენიმე ქვესახეობა დასტურდება. მრავალ სოფელში თითო-ოროლად გვხვდება ძველებური ქვიტკირის მარანი, რომელიც განსაკუთრებული სიდიდით გამოირჩევა. ზოგი მათგანის სიგრძე ათ მეტრს აღემატება. მარნებს თავდაპირველად ჰქონია მიწურბანანი სახურავი, გვიან კი ორფერდა სახურავი დაუშენებიათ. არაერთი მათგანი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საეკლესიო ნიმუშად გველენება. თვალს იზიდავს კედლების ლამაზი წყობა, წინამხრიდან (ფსადის მხრიდან) ჩაყოლებული აგურის ჯვრები და ზოლები, აგურით ამოყვანილი თაღოვანი შესასვლელი — მუხის მასიური ორფრთიანი კარებია (ტაბ. XXX, სურ. 1).

ზოგ მარანს შიგნით ორ არა თანაბარ ნაწილად ყოფს თაღებიანი კედელი ან ხის დედაბოძი, რომელიც უხვად მოხუჭურთმებულ გრძელ ბალიშს ებჯინება. მარნის მოზრდილ წინა ნაწილში ჩაყრილია ქვევრები, პირის ირგვლივ გაწყობილი აგურით. ამგვარად მოპირკეთებულ ჭურქელში ღვინო უფრო სუფთად ინახება. მარანში უკან ყურძნის დასაწური განყოფილებაა. აქ კედელთან მთელ სიგრძეზე მიშენებულია ვეება ქვიტკირის საწნახელი, ჩვეულებრივ, ორგანყოფილებიანი (ორთვალიანი) ერთდროულად სხვადასხვა ფერის ყურძნის დასაწურად განკუთვნილი. საწნახლის წინ ქვიტკირისავე ბაქანია ყურძნიანი გოდრების დასადგმელად. წინიდან ბაქანში თიხის სატკბილე მილებს გამოუყვიათ თავები. ზოგ მარანში ქვევრიდან ამოღებული ნარეცხი წყლის გადასადგურად კედელში თახჩა ჩატანებული, მის ფსკერზე კი გარეთ გამოყვანილი თიხის მილია ჩადულაბებული.

მარნის კედლებში დატანებულია მოხდენილი სარკმლები და თახჩა-განჯინები. აქ, ჩვეულებრივ, ჩაშენებულია ძველებური ბუხარი. ზოგ მარანს მოეპოვება სხენიცი — უმთავრესად ხილისა და ბოსტნეულის შესანახად [11].

ქართლ-კახეთის ძველებური ქვიტკირის მარნები დიდი მასშტაბის მეურნეობისათვისაა განკუთვნილი. ზოგ მათგანში ათეულობით ქვევრი დაითვლება (ტაბ. XXX, სურ. 2).

როგორც უკვე ითქვა, ეს მარნები ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ტრადიციებს განასახიერებს. მოხდენილად გაწყობილ-გამართული, „ტურფად ნაგები“ ამგვარი „საღვინე სახლი“ ძველთაგან მომდინარე ტრადიციით, მამაკაცთა დროსტარების, ლხინის ადგილიც იყო. ალბათ ამიტომაცაა მარნის ერთ-ერთ კედელში ბუხარი ჩაშენებული. ამასვე მიგვანიშნებს ერთ-ერთ მარანზე წარწერილი ლექსი [12].

„ვარ მარანი აღშენებული ზაქარია მღვდლის იაშვილისა,
მოწყვანი და შემნახავი ცივად ღვინისა,
სალხინოდ მოსახმარი, შვილთა და შვილთაშვილისა...“

ეთნოგრაფიული თუ ლიტერატურული მონაცემებით, ამგვარი მარანი ხშირი იყო ქართლ-კახეთში გასული საუკუნის მიწურულში...

გასულ საუკუნეში ქართლ-კახეთში შეძლებულ შემამულეებს ქვიტიკირის მარნები დიდ ვენახებშიც ედგათ. ყურძენი აქვე იწურებოდა ქვიტიკირისავე საწნახლებში, ხოლო დაწურული ტბილი შემდეგ დიდ მარნებში გადააქვნიდათ. გვიანი ფეოდალური ხანის ისტორიულ საბუთებში ხშირად იხსენიება „ვენახი მისი საწნახლითა“. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„ბატონმა ვენახი მომცა ახალი ასაშენა,
შიგ გაეკეთე მარანი, მოემართე საწნახელია“.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალგანაა შემორჩენილი ქვიტიკირის მარნის ნაშთები შუა ფეოდალური ხანის ნაქალაქრებსა თუ ნასოფლარებზე, ეკლესია-მონასტრებისა თუ სასახლეა კომპლექსებში. ადვილი შესაძლებელია, რომ უფრო ღრმად მიდიოდეს ამ ტერიტორიაზე ქვიტიკირის მარნის მშენებლობის ტრადიცია...

განცალკევებით მდგომი ქვიტიკირის მარანი იშვიათად გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთის ზოლში: ზემო იმერეთში (ჭიათურისა და საჩხერის რაიონები), ლეჩხუმში (მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანურას ხეობები) და ზემო რაქასა და ქვემო სვანეთში (ლენტეხის რაიონი). ქვემო სვანეთში ჩოლურისა და ყახუნდერ-ჩიხარეშის სოფლებში დღემდეა შემონახული ქვა-კირით ნაშენები ძველი მარნის ნაშთები. ზოგ მათგანში თორმეტამდე ჭურია ჩაფლული. „ზოგი ჭური იმდენად დიდი ყოფილა, რომ კარებში არ ეტეოდა, რის გამოც ჯერ ჭურებს მარხავდნენ და შემდეგ ადგამდნენ შენობას“. თუმცა აღნიშნულ მხარეებში (ლაშხეთსა და ჩოლურში) ვაზს არ აშენებდნენ, ღვინო მაინც საკმაოდ ჰქონიათ ძველად. „აქ მარნები სპეციალურად ღვინისათვის შენდებოდა და ჭურებს ავსებდნენ ლეჩხუმიდან (ნაწილობრივ რაჭიდან) მოტანილი ღვინით“ [13].

რაჭაში ქვიტიკირის მარნები ძველთაგან უშენებიათ. ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის მიერ შედგენილ სიგელში [XI ს.] აღნიშნულია:—„ნიკოლაოს წმიდას შეეკმენ ... მარანი ქვიტიკირი და დავჰვალ შიგან ჭური ნავარძული“ [14].

გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ ი თ მ დ გ ო მ ი ხ ი ' მ ა რ ა ნ ი

განცალკევებით მდგომი დახურული ხის მარანი მეტ-ნაკლებად გვხვდება დასავლეთ საქართველოში. იგი იშვიათია ზემო იმერეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, შედარებით ხშირია სამეგრელოში. დასტურდება მისი ორი სახეობა: ფიცრული და ძელური ანუ ჯარგვალი. ამათგან ეს უკანასკნელია ტრადიციული, მამა-პაპური. ჯარგვალი მარანი სამეგრელოში აქა-იქ დღემდეა შემორჩენილი.

მოგვეყავს მეგრულ ჯარგვალი მარნის აღწერილობა ეთნოგრაფ ნ. თოფურიას მიხედვით:

„მარნის „ოსხირისათვის“ (საძირკველი) ხე იყო გამოყენებული. საძირკველსათვის მსხვილ და მრგვალ მუხას თლიდნენ. საძირკველს ხის ბომზე (გუხუძეკ-


ვენ) დასვამდნენ. ბოძი მსხვილი ხე უნდა ყოფილიყო. თითო საძირკველს სამკ ბოძი (გუხუ) ჰქონდა. გუხუ სიგრძით ერთი არშინი უნდა ყოფილიყო. ის მიწაში იყო ჩამჯდარი. საგუხუედ მუხის ხე იყო გამოყენებული. საძირკვლის თავები ამოკვეთილ-ამოჭრილი იყო ერთიმეორის დასაკავებლად და დაფუძნების დროს საძირკვლები შეიკვრებოდა. საძირკვლების დაწყობის შემდეგ ბოყვებს თავ-თავის ამოჭრილებში დააყენებდნენ. ბოყვსა და ბოყვს შორის ამოღარულებში ფიცრებს ჩააწყობდნენ, ზოგან კიდევ ფიცრების მაგივრად გაუთლული ხე-ღვარაკალი იყო გამოყენებული. ასე აგებდნენ კედელს. კედლის აგება რომ დამთავრდებოდა, ბოყვები ზევით ორტყაფუებით — სარტყლებით შემაგრდებოდა. ორტყაფუს თავები ამოჭრილი იყო ერთმანეთის დასამაგრებლად. ოთხი სარტყელი შიგნით ჰქონდა. მესხეთე სარტყელი იმ შემთხვევაში იყო საჭირო, თუ სახურავი გადაყვანილი იყო წინ და ბოძებზე იყო დაყრდნობილი. წინ და უკან ამართული იყო ცუცუ — (ბოძი), რომელზედაც დამაგრებული იყო სათე. სათეზე ორი მხრიდან მაგრდებოდა კაკუტები. კაკუტების თავები ამოჭრილ-ამოღარული იყო და ამით მაგრდებოდა სათეზე... კაკუტები ერთმანეთისაგან თითო არშინით იყო დაშორებული. კაკუტებზე ჰოკებს გადებდნენ. ჰოკებს კაკუტებზე წკლულეთით (დაგრეხილი წნელი) ამაგრებდნენ, შემდეგ ისლით გადახურავდნენ. ჯერ ერთ ფენა ისლს დააწყობდნენ, ზედ დაადებდნენ ჰოკს. ჰოკს წკლულეთით დაამაგრებდნენ, შემდეგ მეორე ფენა ისლი წავიდოდა და ასე შემდეგ. მარანი საბძლურად იყო გადახურული. კარს მისასვლელისაკენ უკეთებდნენ, კარი ხშირად მოჭრელებული იყო. ზოგან მარანს სარკველს ატანდნენ“ [15].

ხის მარანი ტრადიციულია რაჭისათვის. XI ს-ის დოკუმენტში ნიკორწმინდის მონასტრისათვის ხის მარნის აშენებაზეა საუბარი: „შეეკმენ საწირეს ... მარანი მუხისა და დავჰვალ შიგან ჰურაი ...“ [16].

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რაჭული ხის მარნის თავისებური სახეობა „მთიულთა მარანი“. მოგვყავს მისი დახასიათება ეთნოგრაფ ლ. ფრუიძის მიხედვით: „ცნობილია, რომ რაჭის მთის სოფლების მცხოვრებლებს ვენახები აქვთ ქვემოთ, როინისპირა ადგილებში. იქ ხშირად აგებენ ერთსართულიან, ფიცრულ შენობას. ვენახში შეარჩევენ ისეთ ადგილს, რომელიც შედარებით მწირია (ეს იმიტომ, რომ მიწა არ მოცდეს), მოასწორებენ, საძირკვლებს გასკენიან, „ყორეს“ — „ჭილიქს“ აიყვანენ. თუ ყურიდან ყურემდე გამწვდომი ფიცარი არ იქნება, კედლებს შუაგულში „ბოყვებს“ ჩაუყენებენ. ქილიქის აყვანის შემდეგ კედლები დანსარტყლება, სარტყლებზე გაიმართება „ღირე“, რომელზედაც „დააჩენენ“ ისრებს, ზედ გარდიგარდმო გადებენ „სათავეს“. სათავეზე დახრილად „კაკუტები“ გაეწყობა, მერე „ლოფინები“ და კოროლით ან ყავრით „საბძლურად“ დაიხურება.

შენობას ჰერი არ გააჩნია, აქვს მიწის იატაკი და ერთი კარი. შიგნით თავსდება საწნახლები, ტკბილის მოსაკავებელი ჰურტკლები და ყურძნის დასაწურავად საჭირო სხვა ინვენტარი. საწნახლის წინ ჩაფლულია ერთი-ორი ჰური, აატკბილედ და პატარა „ქვევრა“ სახარჯო ღვინისათვის. რაჭული „მთიულთა მარანი“ განკუთვნილია ყურძნის დასაწურად, ტკბილის დასადუღებლად და დასაყენებლად კი „სახლის მარნები“ გამოიყენება [17].

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ განცალკევებით მდგომი ხის მარანი ამჟამად სრულიად უცხო ჩანს ქართლ-კახეთისათვის. მას აქ ვერც გასული საუკუნე



რუკა № 22. გარანი (XX ს-ის 30-იანი წლები)

1. ლია გარანი, 2. დაბურული გარანი (ქვიტკრისი), 3. დაბურული გარანი (ხისი), 4. დაბურული გარანი (მთაწარი).

ნისათვის ვადასტურებთ. გადაჭრით ნაინც ვერ ვიტყვი, უფრო ადრე იგივე ვითარება იყო, თუ არა...

მარანი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში

ზოგადად მარნის ამ ტიპის გავრცელების არეალი მოიცავს ქართლ-კახეთს და, აგრეთვე, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს. ამგვარი მარანი განსაკუთრებით დასახსიათებელია ქართლ-კახეთისათვის, სადაც მისი არაერთი ნაირსახეობა დასტურდება.

ქართლ-კახეთში ამჟამად გაბატონებულია ორსართულიანი ქვიტკირის საცხოვრებელი სახლი, რომელმაც აქ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიკიდა ფეხი. მის ზედა სართულზე ადამიანთა საყოფი ოთახებია, დაბლა კი ჩვეულებრივ მარანია გამართული, ზოგჯერ მარანს უკავია საცხოვრებელი სახლის ნახევრადსარდაფის სართული (ტაბ. XX XI).

კახეთში აქა-იქ გვხვდება ადრინდელი ქვიტკირის დიდი სახლები, რომელთა ქვედა სართული ზოგჯერ მთლიანად უზარმავარ მარანს უკავია.

თვალში მოგვხვდება ფართო ფიცრული კარი მარნისა. წინა მხარეს, ჩვეულებრივ, ერთი-ორი ფანჯარაცაა დატანებული. მიწურ (უიატაკო) მარანში შოგ შესვლისთანავე იგრძნობა სივრცე. კედლებში აქა-იქ თახჩებია, ხშირად განჯინაცა გამართული. ზოგ მარანს აქვს უკანა კარიც ეზოში — შინა ვენახში გასასვლელად.

ერთ-ერთ კედელთან დგას ხის ნაგი ანდა ქვიტკირის საწნახელია მიშენებული. ნავ-საწნახლის წინ უფროს-უმცროსობით ჩაყრილია საღვინე ქვევრ-ქოცოები, პირზე ქვის მრგვალი სარქველებით.

კედლებთან, კოქოებზე, საკიდებზე, თახჩა-განჯინებში გაწყობილია მეღვინეობის ნაირგვარი იარაღ-ჭურჭელი: სატკბილე ღარები, ხის ნიჩბები, გრძელტარიანი საცხები, თუ კრაზანის კონები, თიხისა და სპილენძის, ხაპირები, სპილენძის თუნგები და ხელჩაფები, თიხის დოქები და ხელადები, სპილენძის საწურავები, ძაბრები... ქართლის მარნებში ხშირად გამართულია ძველებური ქაჯის საწნეხი ხელსაწყო — საქაჯავი.

ჩვეულებრივ, აქვე ინახება სწავლასხვა ჰირნახული და სურსათი. აქ მრავლადაა ფქვილიანი კასრები, სიმინდითა თუ კარტოფილით სავსე გოდრები, ყველის გუდები, წნილიანი კასრები და ქოცოები. ... კედლებზე ჰკიდია ხახვისა და ნივრის გალები, განჯის თაროებზე მურაბიანი ქილები ჩამწკირვებულა... აქვეა პურის საცხობი ხელსაწყო: ვარცლი, ტაბაკი, ორომი, კოჭებზე თოკებით ჩამობმული საპურე. საქმელ ყურძენსაც, ჩვეულებრივ, მარანში ინახავენ. შემოდგომაზე, ნართვლებს მარნის კედლებსა და კოჭებს ყურძენს ჩხები და აკიდოები, კანაფზე ასხმული ჭაგნები დაამშვენებს [18].

უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს ქართლ-კახეთში აქა-იქ შემორჩენილი ერთსართულიანი, „დაბალი“ სახლი, რომლის ერთი თვალი საცხოვრებელია, მის გვერდით, მეორეში კი მარანია გამართული.

ამ სახეობის შორეულ წინაპრად უნდა მივიჩნიოთ ურბნისის ნაქალაქარზე გათხრილი VI—VIII საუკუნეების ალიზის მარნები, რომლებიც ალიზითვე ნაგებ საცხოვრებელზეა უშუალოდ მიბმული [19], (ტაბ. XXX, 2).

ასევე ძველ ტრადიციებს განასახიერებს აქა-იქ ქართლ-კახეთში შემორჩენილი დაბალი სახლები, ზედ მოდგმული ფიცრული ან ლასტის მარნით [20].

იგივე ითქმის მარნის უფრო მარტივ სახეობაზე: სახლის გვერდზე ცალპირად წამოხურულ ფარალალა, ნახევრად ღია მარანზე.

მარანი ქართლში წარსულში გაბატონებული ბანიან-ერდოიანი დარბაზის კომპლექსის ერთ-ერთ სათავსოდაც გვევლინება. ქვემო ქართლში, თრიალეთში და შესხეთ-ჭავჭავეთში აქა-იქ ბოლოდრომდე შემორჩენილი დარბაზული საცხოვრებლები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია საგანგებო სამეურნეო სათავსოთი, რომელსაც მარანი ეწოდება [21].

დაბოლოს, ამ ტიპის მარნის თავისებურ სახეობას ქმნის ციხე-მარანი: ქართლ-კახეთში აქა-იქ კიდევ გვხვდება გვიანი საშუალო საუკუნეების დროინდელი ციხე-კოშკები, სადაც ქვედა სართული მთლიანად მარანს აქვს დათმობილი [22].

მარანი საცხოვრებელ სახლთან კომპლექსში გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთიან მხარეებში: რაჭა-ლეჩხუმში და აგრეთვე სვანეთში. ამ სახის მარანი მეტადრე დასტურდება იმ მხარეებში, სადაც „მევენახეობა-მეღვინეობა ნაკლებ ინტენსიურია და ცალკე, საგანგებო ნაგებობას არ საჭიროებს“ [23].

მისი ცალკეული სახეებია:

ა) საცხოვრებელ სახლზე მიდგმული, ცალპირად გადახურული მარანი, „ცალმაგი“ (რაჭა-ლეჩხუმი) [24].

ბ) სახლზე მიშენებული ქვიტირის ორსართულიანი მარანი. აქ დაბლა ქვევრებია, ზედა სართული კი საკუქნაოდ გამოიყენება (ქვემო სვანეთი);

გ) სახლის ქვედა სართულზე გამართული მარანი (რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი) [25].

და დ) მარანი ციხე-კოშკის ქვედა სართულზე (ქვემო და ზემო სვანეთი).

მარნის ბენეფისის საკითხისათვის

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დგას მარნის გენეზისის საკითხი — თუ რომელია მისი თავდაპირველი ფორმა — ღია თუ დახურული მარანი?

ამ საკითხს ერთ-ერთი პირველი შეეხო პროფ. ვ. ბარდაველიძე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ქართულ საკულტო-მითოლოგიურ საგალობლებში წარმოდგენილია ღია ტიპის მარანი. გარდა ამისა, მკვლევარის დაკვირვებით, ამავე ტიპის მარანს განასახიერებს უძველესი საკულტო სასამისი მარანი. ეს საგულისხმო მონაცემები მას საფუძველს აძლევს, რომ ქართული მარნის თავდაპირველ სახეობად ღია მარანი მიიჩნოს [26].

ამ მიმართულებით საკითხის შემდგომი გაღრმავებული კვლევა ეკუთვნის ნ. თოფურჩიას. დამატებით ითვალისწინებს რა ღია მარანის უნივერსალურ გავრცელებას მთელ საქართველოში, გარკვეულ პირობებისათვის მის უაღრეს მიზანშეწონილობას, ამასთან, ღია მარნის უძველეს ტრადიციებს თვით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ავტორი დაასკვნის: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული დროისათვის მარნის ტიპების საწყისი ფორმა ერთნაირი უნდა ყოფილიყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის. დასავ-

ლეთ საქართველოში უძველესი მარნის (ღია მარნის) უკანასკნელ დრომდე შემონახვას ხელი შეუწყო ბუნებრივმა პირობებმაც...“ [27].

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე იგივე აზრი გამოხატვა არქეოლოგმა ალ. ბოროჩაძემ. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარნის ტიპების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა მას კონკრეტულად ამგვარად ესახება: „გვიანანტიკურსა და ადრე ფეოდალურ ხანაში, ვიდრე მეთუ საუკუნემდე, აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ღია ტიპის მარანი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ ხანებში კი დახურული მარნის ტიპი ვრცელდება და ღია მარანი აღარ არსებობს“ [28].

რამდენად შეესაბამება სინამდვილეს აქ წარმოდგენილი სურათი?

როგორც ჩანს, გვიან ანტიკურ ხანაში აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, მართლაც, უმთავრესად გავრცელებულია ღია მარანი, მაგრამ აშკარა გადაჭარბებაა ამგვარი ვითარების გადმოტანა ასე გვიანობამდე—მეთუ საუკუნემდე: საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკვე მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების დახურული მარნის ნაშთები მრავლად აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარზე. ამას გარდა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წინააღმდეგ ავტორის მტკიცებისა, ღია მარანი, არამცთუ მეთუ საუკუნისთვის, არამედ უკანასკნელ ხანებამდეც კი არ გამქარა მთლიანად ყოფიდან აღმოსავლეთ საქართველოში...

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომლის თანახმად ქართული მარნის თავდაპირველ ფორმად დახურული მარნის ტიპი უნდა იქნეს მიჩნეული.

პროფ. პ. გუგუშვილი მარანს თავისი საწყისებით უკავშირებს საცხოვრებელს. მისი სიტყვით, „თავდაპირველად ქვევრები, როგორც არქეოლოგიური მონაცემები შეტყველებენ, თვით საცხოვრებელ ბინაში იყო“. ხოლო შემდგომში, „ქვევრები გამოეყოფა საცხოვრებელ ბინას და ცალკე ეზოში ანდა ვენახში“ [29].

უნდა ითქვას, რომ მარნის გენეზისის ამგვარი ახსნა მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს. ავტორის მითითება, თითქოსდა სათანადო არქეოლოგიურ მონაცემებზე, გაუგებრობაზეა დამყარებული.

განხილულ თვალსაზრისს იზიარებს ეთნოგრაფი ლ. ფრუიძე, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს მის დასაბუთებას. საღვინე ქვევრების თავდაპირველი სამყოფელი მასაც ეგულება საცხოვრებელ კომპლექსში, სადაც ღვინო საიმედოდ თავდახურული იქნებოდა და ადვილი მოსავლელიც. ამავე მიზეზის გამო უპირატესობა უნდა მინიჭებოდა დახურულ მარანს მას შემდეგ, რაც „მეღვინეობის ზრდამ აუცილებელი გახადა მარნის საცხოვრებელი ბინიდან გამოყოფა“. უფრო გვიან უნდა მომხდარიყო ქვევრების გამოტანა ღია ცის ქვეშ, რაც მათ საგანგებო თავდახურვასა და მოვლას მოითხოვდა.

ამავე დროს, მკვლევარი ღია მარანზე გადასვლას უკავშირებს მეღვინეობის ხელოვნების გარკვეულ სპეციალიზაციას—ბუნებრივად ტკბილი ღვინოების წარმოებას. მათი დამზადების აუცილებელი ტექნოლოგიური პირობა—ღვინის (ტკბილის) არასრული დაღუღება (ბოლომდე დაუღუღებლობა), მისი აზრით, სწორედ „ღია მარნის მეშვეობით ხორციელდება“ [30].

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ ამ უკანასკნელი არგუმენტის უსაფუძველობა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის

საერთო პრობლემების მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის ბუნებრივად ტკბილ ღვინოებზე. გარდა ამისა, ამ ტიპის ღვინოებს ხომ ტრადიციულად დახურულ მაზანშიც აყენებენ. ასე რომ, მარნის ტიპოლოგიური თავისებურება აქ არაფერ შუაშია.

ჩვენ ვერც იმაში დავეთანხმებით ავტორს, თითქოსდა, ღია ჭურისთავის გამართვა, აქ, ქვევრების თავდახურვისა და მოვლის საგანგებო სიძნელეებისა და სირთულის გამო, საერთოდ მეღვინეობის კულტურის განსაკუთრებულ დაწინაურებასთან იყოს დაკავშირებული. თუ ასეა, როგორღა აეხსნათ, რითაა გამოწვეული თვით ეს სიძნელეები? ამის მიზეზი, ცხადია ერთია: დახურულ მარანთან შედარებით ღია ჭურისთავის ტექნიკური არასრულყოფილება. ხოლო ეს კი საფუძველს გვაძლევს საწინააღმდეგო დასკვნისათვის: ღია ჭურისთავი დახურულ მარანთან შედარებით მეღვინეობის კულტურის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურს უნდა განასახიერებდეს.

ჩვენი მხრივ, ქართული მარნის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ქართული მარნის საწყისების ძიებისას უნდა ამოვიღეთ ქვევრის, როგორც საღვინე ჭურჭლის ძირითადი სპეციფიკიდან. ქვევრი მიწაში ღრმად დასამარხი თიხის ჭურჭელია და ამის გამო არ მოითხოვს აუცილებლობით რაიმე ნაგებობას მის დასაცავად. ამიტომაც, ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ თავდაპირველად ღია ცის ქვეშ დამარხულ ქვევრებში ინახავდნენ ღვინოს. ამასვე გვაფიქრებინებს სათანადო პარალელური მონაცემები: მაგ., სომხეთში ტრადიციულად დახურულ მარანს მხოლოდ იქ ეძლევა უპირატესობა, სადაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ ქვევრებს მთლიანად დამარხვა მიწაში.

მეღვინეობის კულტურის შემდგომი განვითარების კვალდაკვალ, ღია ჭურისთავის პარალელურად, თანდათან დახურულმა მარანმაც მოიკიდა ფეხი საქართველოს იმ მხარეებში, სადაც ამას ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს. ამ უკანასკნელმა აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული დროიდან გაბატონებული მდგომარეობაც მოიპოვა, ეკონომიური თვალსაზრისით მისი აშკარა უპირატესობის გამო: მაღალხარისხოვანი ღვინის ინტენსიურად წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს ხომ გაცილებით უკეთ ესადაგება დახურული მარანი. შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ქართლ-კახეთში აქა-იქ შემორჩენილი ფარდალალა, ღია მარანი სიღარიბის უტყუარ ნიშნად იყო მიჩნეული (რუკა 21, 22).

ლიტერატურა

1. პ. ა. ჯ ა რ ი ა ნ ი, სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი, 1926, ტ. 4. (სომხ. ენ.).
2. ს. მ ა ლ ხ ა ს ი ა ნ ც ი, სომხური ენის განპარტებითი ლექსიკონი, 3, 1944. (სომხ. ენ.).
3. მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, მევენახეობა-მეღვინეობის ზოგი ქართული ტერმინის წარმოშობისათვის, ხელნაწერი, 1973,
4. ნ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, გვ. 112.
5. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაპზე, XIX, 1956, გვ 146.
6. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974, გვ. 111.

7. ლ. ფ რ უ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 111.
8. ლ. ფ რ უ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 200.
9. ნ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 150-151; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, თბ., 1940.
10. ა. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963.
11. ლ. ს უ მ ბ ა ძ ე, ქართული მარანის ხუროთმოძღვრება, ძეგლის მეგობარი, № 16. ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში. თბ., 1960.
12. ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ისტორიისათვის, თბ. 1974, გვ. 138.
13. ჯ. ო ნ ი ა ნ ი მ ე ლ ვ ი ნ ე ო ბ ის საკითხისათვის ლენტეხის რაიონში, ძეგლის მეგობარი, 16, თბ., 1968.
14. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები ტ. 2. გვ. 46; მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მსკი, ნაკ. 34, 1962, გვ. 34.
15. ნ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
16. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, გვ. 48; მ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 37.
17. ლ. ფ რ უ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 114-115.
18. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ი. კ ყ ო ნ ი ა, ა ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, სოფელიაურა, თბ., 1964, გვ. 180.
19. ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 104-109.
20. ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.
21. თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ., 1960.
22. ლ. ს უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, გვიანი ფერდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი სახეობა, მაცნე, 1967, № 2.
23. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა-მელვინეობა ლეჩხუმში, ხელნაწერი, გვ. 187.
24. ი ქ ვ ე .
25. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მელვინეობა საქართველოში, გვ. 106.
26. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, მცენარეულობისა და ნაყოფიერების ღვთაება ნანა, ხელნაწერი, 1947; В. В. Б а р д а в е л и д з ე, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1975, с. 65-75.
27. ნ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 148.
28. ა ლ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 175.
29. ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მელვინეობა საქართველოში, გვ. 118-120.
30. ი ქ ვ ე, გვ. 120-122.

თ ა ლ ა რ ი

თალარი მთელ საქართველოში გავრცელებული კერამიკული ჭურჭელია, რომელსაც საწნახლიდან გადმოსული ტკბილის დასაყენებლად იყენებდნენ. დასავლეთ საქართველოში ის „ისარნის“ სახელწოდებითაა ცნობილი. თალარი იდგმება საწნახლის წინ — ღართან ახლოს. ზოგან თალარის მაგიერობას სწევდა ქვევრი (თბილისის სანახებში მას „დედა ქვევრს“ უწოდებენ) ანდა ქვითკირით ნაშენი აუზი, რომელიც არაგვის ხეობაში „მენას“ სახელითაა ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან როგორც ტკბილის დასაყენებელი კერამიკული ჭურჭელი, ისე ქვითკირის აუზიც თალარის სახელს ატარებს.

დასავლეთ საქართველოში ტკბილის დასაყენებლად, გარდა კერამიკული ჭურჭლისა, გამოიყენებოდა ხის ჭურჭელი — გობი (რუკა 23).

სულხან-შაბა ორბელიანი თალარს „ტაგარს უწოდებს, ტაგარი ტკბილის სადგომიაო და „მენაზე“ მიუთითებს, „მენა“ კი სამყოფი, სადგომია, მენასა კახნი ტაგარს უწოდებენ და იგიცა ტკბილის სადგომია“—ო [1]. ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონის მიხედვით, „ტაგარი ახლად დაწურულ ტკბილის ჩასადინებელი აუზია საწნახელის ქვეშ“ [2].

თალარი სხვადასხვა ზომისა ყოფილა. ზოგ დიდი მარანში „20—30 კოკიანი“ თალარი მდგარა. გადმოცემით, თალარი 10—15 საპალნიანიც ყოფილა, ხალხურ ლექსში თალარი ასეა დახასიათებული:

საწნახელი მომინზადე
პირი მოულესე რძითა,
თალარი კარგი დამიდგი
იყო ორმოცი კოკისა.
ისე გაგივსებ ქვევრებსა
ცვარი აღარ გედგას სხვისა [3]

ყურძნის წურვის დროს საწნახელიდან გადმოსული წმინდა წვენი თალარში ან „დედა ქვევრში“ გროვდებოდა. თალარში ტკბილს გარკვეულ დრომდე ინახავდნენ, საიდანაც შემდეგ ქვევრში გადაჰქონდათ. თალარში ტკბილის დაგროვება-გაჩერებას „ტკბილის დასვენება“ ეწოდებოდა. უეჭველია, რომ ეს ხერხი ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებათა და დაფუძნებული და ღვინის ტექნოლოგიის მაღალ დონეზე მიუთითებს.

მეცნიერულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტკბილის განიავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ღვინის ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობაზე. „კლერტიანად თუ უკლერტოდ ყურძნის დაჭყლეტის დროს წვენის ანერჯია ხდება, რაც გამრავლებისა და მოქმედების ოპტიმალურ პირობებში აყენებს სა-

უფარის უჯრედებს ტკბილის დუღილის დროს, რაც უფრო მცირე მყავიანია ყურძნის წვენი, მით უფრო ადვილად მოქმედებს მის ფერზე ჰაერის ჟანგბადი. თეთრი ყურძნის მარცვლიდან გამოწმენი წვენი თითქმის უფერულია, მაგრამ დარჩება თუ არა ჰაერზე ცოტა ხანს, ფერი მას უფრო და უფრო უყვითლდება. მყავეები ამ შემთხვევაში ადვილად დასაყენებელი ნივთიერებათა, მაგალითად, ტანიდების დამცველ როლს ასრულებენ“ [4].

აერაცია, როგორც ჩანს, დადებითად უნდა მოქმედებდეს ყურძნის წვენის არომატზეც; ჰაერზე რამდენიმე ხნით დატოვებულ ტკბილს (დუღილის ნიშნები სანამ შეემჩნეოდეს) სპეციფიკური არომატი უფრო ძლიერად აქვს გამოხატული.

თალარში „დასვენების“ შედეგად ტკბილის ხარისხი უმჯობესდებოდა და „ღვინო ყვითელი, სასიამოვნო ფერის დგებოდა“. არაგვის ხეობის სოფლებში (ბოდორნა, ყვავილი, მეზვრიანთკარი და სხვ.) ვენახებს მდ. არაგვის პირზე აშენებდნენ; აქვე ვენახებში ღია ცის ქვეშ, საწნახლების ძირში ქვით და კირით თალარის მსგავს ქვევრისოდენა სათავსს — „მ ე ნ ა ს“ აშენებდნენ. მასში ტკბილს რამდენიმე დღის განმავლობაში (3-4 დღე) აყენებდნენ, რის შემდეგაც ნაწურ-რი ტკბილი და ჰაჰა ცალ-ცალკე მიჰქონდათ საჭირო ადგილზე.

საქართველოში გავრცელებულმა თალარმა, რომელსაც ადრე ტკბილის დასაყენებლად ხმარობდნენ, დღეისათვის დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თანამედროვე ყოფაში ის ძირითადად ვაზის წაშლის დასაყენებლად იხმარება.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, საქართველოში გავრცელებული იყო 3 ტიპის კერამიკული თალარი: ქუსლიანი (კახეთი), უქუსლო (კახეთი, ქართლი, იმერეთი), ქვევრის მოყვანილობისა (კახეთი).

ქვევრის მოყვანილობის თალარი პირგანიერია, ძირისაკენ ვიწროვდება და დაბალი ტენით ხასიათდება (ტაბ. XXXII, ნახ. 1, 2), ქუსლიანი თალარი კი შუაზე გაჭრილი ქვევრის მოყვანილობისაა, მას ვიწრო და ქუსლიანი ძირი აქვს, ზემოთ კი გაფართოებულია (ტაბ. XXXII, ფ. 3). ქუსლიანი თალარი საწნახლის წინ მიწაში იყო ჩასმული, ხოლო ბრტყელძირა — მიწის ზემოთ იდგებოდა [5].

არქეოლოგიურ განთხარ მასალაში კერამიკული თალარი თითქმის არ მოჩანს. თბილისში, ერეკლეს მოედანზე წარმოებულნი გათხრების დროს შუაფეოდალური ხანის მასალებში ყურადღებას იქცევს ერთი დიდი ფართობიანი და ყურბიანი ჭურჭელი, რომელიც დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, თალარს უნდა წარმოადგენდეს. იგი XI—XII სს. თარიღდება [6]. გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება ყურბიანი, ფართო პირიანი დაბალი ჭურჭელი, რომელიც ძალზე წააგავს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ დაბალ ქვევრისებურ თალარს, ოღონდ მოცულობით პატარაა. ვფიქრობთ, ეს ჭურჭელი ყურძნის ტკბილის გადასატანი უნდა იყოს.

რაც შეეხება ქვითკირით ნაგებ თალარს ანუ „მენას“, არქეოლოგიური განთხარის მასალის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის შუაფეოდალურ ხანაში გაჩნდა, როდესაც საწნახლების კირხსნარის დუღობით აშენება შემოვიდა პრაქტიკაში.

კირხსნარით ნაშენი აუზი დადასტურებულია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (ბოლნისის რ-ნი), მდ. ლოქის ხეობაში, ნასოფლარის გათხრის დროს

აღმოჩენილ მარანში, რომელიც XVIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [7].

არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ქვიტყირით ნაშენ თალარებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქვაში ნაკვეთი ტყბილის დასაყენებელი აუზი.

ქვაში ნაკვეთი აუზი, ჩვეულებრივ, თან ახლავს კლდეში ნაკვეთ საწნახელს და, როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, მასთან ერთად არის წარმოქმნილი. ამას მოწმობს უფლისციხეში აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთი საწნახელი და მონოლითში ამოკვეთილი საწნახელი ზენითიდან. უფლისციხის შიდა ქალაქში პირველი საწნახელი კლდეში ნაკვეთი ორი განყოფილებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არხით. პირველი განყოფილება, რომელიც გეგმაში სწორკუთხედს იძლევა, წარმოადგენს საკუთრივ საწნახელს, სადაც ყურძნის დაწურვა წარმოებდა. ხოლო მეორე განყოფილება, რომელიც გეგმაში კვადრატს წარმოადგენს, აუზია, სადაც ყურძნის წვენი გროვდებოდა; მისი ფართობია 1,2 მ [8], მოცულობა კი 1—2 კუბმეტრს ანუ 1 200 ლ. უდრის. ასეთივე ტიპის აუზი ჰქონდა ზენითის მონოლითში ამოკვეთილ საწნახელსაც; ქვაში ნაკვეთი აუზები საქართველოში ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ყოფილა გავრცელებული [8].

კერამიკული თალარი წინ უსწრებს ქვაში და კლდეში ნაკვეთ ყურძნის წვენის დასაყენებელ აუზს. ის აღმოჩენილია დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებულ მარნის კომპლექსში.

აღნიშნული ფაქტი საფუძველს უმაგრებს მკვლევართა მიერ ადრე გამოთქმულ ვარაუდს, რომ თალარის სამ ტიპს შორის (კერამიკული, ქვაში ნაკვეთი და ქვიტყირით ნაგები) ყველაზე ძველია კერამიკული თალარი.

ლიტერატურა

1. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა, ქართული ლექსიკონი, 1928.
2. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ნ, ქართული ლექსიკონი, 1961.
3. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხალხური პოეზია, 1934, გვ. 142.
4. მ ო დ ე ბ ა ძ ე კ., მეღვინეობა, 1924, გვ. 267.
5. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ლ., ქართული კერამიკა 1, კახური 1949 გვ. 122; ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ჟ., საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, 1974, გვ. 140-141.
6. ბ ო ჩ ო ჩ ე ა., მევენახეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1963, გვ. 114, 112, 110.
7. ი ქ ვ ე, გვ. 112.
8. ხ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ი, დ., ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, 1963, გვ. 116.

მემინდვრეოვასთან დაკავშირებული შრომის სიმღერები

სამიწათმოქმედო ყოფის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს შრომის სიმღერები. ქართული მუსიკალური ფოლკლორის ეს ქანრი უალრესად დახვეწილი, განვითარებული და მრავალფეროვანია. მასში მკვეთრად არის გამოხატული ქართული ხალხური სიმღერის თავისებურებანი — მრავალხმიანობა, შესრულების მანერა, თვითმყოფადობა. ამ ქანრის ძირითადი ბირთვი სწორედ მემინდვრეობის სამუშაოებთან დაკავშირებული სიმღერებია.

შრომის სიმღერების მრავალფეროვნება გაპირობებულია შრომის იმ პროცესების მრავალმხრივობით, იმ საქმიანობის მრავალფეროვნებით, რომლის დროსაც ესა თუ ის სიმღერა ან სიმღერათა ჯგუფი სრულდება.

იგი ჯავახიშვილი მიუთითებდა შრომის სიმღერების არსებობაზე უძველესი დროიდან და იმოწმებდა თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილ ეზოსმოძღვარის ცნობას (მიწის ხენის დროს გუთნურშიც თამარის საქებას ლექსებს ჩაურთავდნენ ხოლმეო) [1].

შრომის სიმღერების განვითარებული ფორმების არსებობას უფრო მოგვიანებით ადასტურებენ XVII—XVIII სს-ში საქართველოში ჩამოსული იტალიელი და ფრანგი მოგზაურები და მისიონერები (არქ. ლამბერტი, გამბა).


XIX ს-ის 50-იანი წლების მიწურულის ცნობებით, საქართველოში არსებულა შრომის სიმღერათა სხვადასხვა სახეები, მათ შორის მემინდვრეობის სამუშაოებთან დაკავშირებულიც (მიწის ხენის, დაფარცხვის, მკის, ნამგლის გაღვსვის, ძნის მოტანის, კალოს ლეწვის, ხვავის განაივებისა და სხვ.), რომელთაგან ბევრი იმ ხანად უკვე დაიწყებას ეძლეოდა [2].

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია შრომის სიმღერების ორგვარი კლასიფიკაცია. პირველის მიხედვით, შრომის სიმღერები იყოფა ოთხ ჯგუფად: 1. მოტორული ხასიათის სამუშაოსთან დაკავშირებული სიმღერები („ეღესა“, „ოჩეშხვე“, „ნამგლური“, „პერიო“, „პერი ეგა“ „პოპუნა“, „თოხნური“, „ნადური“), 2. არამოტორული ხასიათის სამუშაოსთან დაკავშირებული შრომის სიმღერები, 3. სიმღერები, რომლებიც შრომის პროცესის წინ ან შემდეგ სრულდება და 4. აგრარული ღვთაებისადმი მიმართული სიმღერა-ჰიმნები [3].

მეორე კლასიფიკაციის მიხედვით შრომის სიმღერები დაჯგუფებულია შრომის პროცესების შესაფერად (შრომის რომელ პროცესში სრულდება ესა თუ ის სიმღერა): ხენის, მკის, ლეწვის, თოხნის დროს შესრულებული სიმღერები [4].

ეს უკანასკნელი კლასიფიკაცია უდევს საფუძვლად შრომის სიმღერების გაერცელების ჩვენ მიერ შედგენილ რუკებს (იხ. რუკები № № 24, 25).

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა შრომის პროცესთან დაკავშირებული სიმღერების ჯგუფი ზოგჯერ გაერთიანებულია ერთი საერთო სახელწოდებით.



რუბა № 24. შრომის სივლიანი (XIX ს-ის II ნახევარი)

1. ორიველა, 2. მკის სივლიანი, 3. მუშორი, 4. ნადური, 5. ურგული

მაგ., „ოროველა“ არის გუთნურის, კალოურისა და კევრულის საერთო სახელი, ეს სიმღერები სრულდება შესაბამისად ხენის, ლეწვისა და განიაგების დროს. ასევე, „ნადური“ საერთო სახელია ყანურის, კალოს ხელხვაისა, რომლებიც, შესაბამისად, სრულდება ყანის თოხნისა და სიმინდის ტაროს რჩევის დროს.

განვიხილოთ ეს სიმღერები ცალ-ცალკე. თვით შრომის პროცესების (მაკა, თოხნა, მარგელა და სხვ.) აღწერას აქ გვერდს ვუვლით, რადგანაც ეს სათანადო ადგილას იქნება მოცემული. სიმღერების მუსიკალური ტექსტები მოცემულია სანოტო დანართში.

1. ხ ე ნ ი ს დ რ ო ს შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ს ი მ ლ ე რ ე ბ ი (გ უ თ ნ უ რ ი . ტ ა ბ . X X X I I I). ეს სიმღერები განეკუთვნება ოროველებს. ოროველა საერთო სახელია გუთნურის, კალოურის და კევრულისა, სრულდება მიწის მოხვნისა (გუთნური || გუთნის ოროველა) და ლეწვის დროს (კალოური, კალოს ოროველა || კევრული || კალოსპირული). ისინი სიტყვიერი ტექსტით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო მუსიკალურ ტექსტში არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, განსაკუთრებით ერთხმიან ოროველებში [5].

„ოროველა“ ძირითადად ერთხმიანია, რაც გაპირობებულია ამ სიმღერის სოციალური ფუნქციით, მაგრამ გუთნის ოროველები ორხმიანიცაა (ორხმიანობა ბურღონელი ტიპისაა: ტექსტის მთქმელი და მელოდიის წამყვანია ერთი, ხოლო ბანს რამდენიმე კაცი ასრულებს). მელოდია სევდიანია, მდიდარია მელოდიზირებული იმელიზმებით, რაც ამ სიმღერის განვითარებაში გვიანდელ დანაშრევს წარმოადგენს (შ. ასლანიშვილი); ახასიათებს რიტმული ფორმულების მრავალფეროვნება. ეს კი თვით შრომის პროცესის არამოტორულობით არის შეპირობებული. დამახასიათებელია აგრეთვე ტემპებისა და ზომების ხშირი ცვლაც, კილო, როგორც წესი, მინორულია.

„ოროველის“ ტექსტად სხვადასხვა შინაარსის ლექსებია გამოყენებული (გუთნის, გუთნის დედისა და მეხრის შრომის ამსახველი) [6]. ტექსტები იმპროვიზაციულია, მაგრამ არსებობს ტრადიციული ტექსტებიც, რომლებიც საკუთრივ გუთნურ სიმღერებში გვხვდება და უნება მუშა-საქონელს, გუთანს, გლეხის მძიმე მდგომარეობას [7].

ოროველას მელოდია ღვთაებისადმი მიმართვის ან ვედრების საფუძველზე წარმოშობილად არის მიჩნეული [8].

ანალოგიური სახელწოდებებისა და შინაარსის სიმღერები მოიპოვება სომხურ მუსიკალურ ფოლკლორშიც („ჰოროველ“). ქართულ-სომხური ოროველების მსგავსება ჩანს მუსიკალურ სტრუქტურაშიც და სიტყვიერ ტექსტშიც (გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი).

სომხეთში შრომის სიმღერებიდან ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული (ყველა რაიონში) მხენელის სიმღერა (ცალფა, სოლოდ სრულდება, ბოლოს კი ერთხმიანი გუნდი უერთდება). ამ სიმღერების სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტი რეჩიტატიულ-იმპროვიზაციულია [9]. სიმღერის ტექსტში ხშირად მეორდება სიტყვა „ოროველი“, როგორც რეფრენი. ეს სიტყვა ანდაზებშიც არის გადასული სიმღერის სინონიმად („ვის ურემზედაც დაჯდება, იმის ოროველს დასძახებსო“, „ჰოროველას ძახილით ყანა არ მოიხვნებაო“) [10]. „ჰორი“ ძე. სომხური კალენდრით არის მეორე თვე და ამიტომ ქართულ „ორს“ უკავშირებენ და ქართულიდან ნასესხებადაც ვარაუდობენ. სხვა თვალსაზრისით კი, რაკი სომხურად თვეების სახელები დაკავშირებულია წლის დროებთან, და ამ

დროში არსებულ ყოფით მოვლენებთან, ამიტომ უფრო სარწმუნოდ თვლიან, „ჰორი“ დაუკავშირონ „ური“-ს, „ურის კეთების დროს“ (ური ნიშნავს რქას), ე. ი. რქის, ვაზის გადაწვენის დრო [11].

საყურადღებოა ოროველების ტექსტების რეფერენში ე. წ. გლოსოლოგიების არსებობა ე. ი. ისეთი სიტყვებისა, რასაც დღეს კონკრეტული შინაარსი დაკარგული აქვთ („ჰარალო“, „ჰარიარალო“ და მისთ.), რომელთა ახსნაც ხურიტულ-ურარტული ენების მონაცემებით ხერხდება და სადაც წინააზიის უძველესი მოსახლეობის ღვთაებათა სახელებია ასახული [12].

სპეციალურ ლიტერატურაში, მუსიკალური გამომსახველობის საშუალებების მიხედვით, ოროველებს ღრმა წარსულს განაკუთვნიებენ და აგარაულ ანდა ტაროსის ღვთაებისადმი მიძღვნილ ჰიმნად მიიჩნევენ [13].

როგორც აღენიშნეთ, ოროველა არის გუთნურიცა და კალოურიც იმის მიხედვით, თუ როდის — ხენისა თუ ლეწვის დროს სრულდება იგი. სახელწოდება „გუთნური“ გულისხმობს, რომ იგი ხენის დროს, გუთანზე სამღერია. ტერმინი „გუთანი“ სახენელი ბარალის ზოგადი სახელწოდებაა, ამასთან, ზოგადკვაკასიური კუთვნილების სიტყვაა, რომელიც თავდაპირველად პრიმიტიულ სახენელ იარაღს აღნიშნავდა [14]. ფოლკლორისტების აზრით, სიმღერის არსებობა გუთნის გაჩენამდე არის სავარაუდო [15].

მუსიკალური ტექსტის სტრუქტურა ამ სიმღერის სიძველეზე მიუთითებს და სავსებით მართებულად განაკუთვნიებენ მას განვითარების ადრეულ სტადიას.

2. მკისსიმღერები (ტაბ. XXXIII—XXXIV) („ჰერი ეგა“, „ჰერიო“, „ჰოპუნა“, „გლესამ და გლესამ“ და სხვ.) ე. წ. მოტორული ხასიათის სამუშაოს განეკუთვნება, მათთვის დამახასიათებელია მისამღერებისა და შეძახილების სიმრავლე. სიმღერის სახელწოდებებიც ამ შეძახილებს უკავშირდება.

მკა ორგანიზებული, რთული პროცესი იყო. მკის პროცესში ორ ჯგუფს შორის შეჯიბრი მუშაობასა თუ სისწრაფეში, ელინდება სიმღერაშიც. საერთოდ, სიმღერის ფორმა შრომის პროცესით არის გაპირობებული, წამყვან საწყისად რიტმული მხარეა [16]. სიმღერის რიტმს განსაზღვრავს შრომის რიტმი. სიმღერა ძალიან დინამიურია, ახასიათებს ტემპის თანდათანობითი ზრდა, სამწილადი ზომა, პატარა დიაპაზონის მოქნილი მელოდია.

სიმღერის ფორმა კუპლეტურია, შესრულების ფორმა — ანტიფონური, რაშიც კარგად ჩანს მოკელთა ორ მხარეს შორის შრომასა და სიმღერაში შეჯიბრების მომენტი. სიტყვიერი ტექსტი სახუმარო და სატრფიალო ხასიათისაა.

მკის სიმღერები ორ და სამხმიანია. პირველი ხმის ჩართვისას მეორე ხმა ან გამოეთიშება, ანდა ბანის პარტიას აორმაგებს. ამიტომაც, სამი ხმის (ტემბორის) ფაქტორი არსებობის მიუხედავად, რეალურად მხოლოდ ორი ხმა ელერს [17].

მკის სიმღერები შრომის მაორგანიზებელია, ამაღლებს მუშების სულიერ განწყობილებას და ამსუბუქებს ამ მძიმე შრომას [18].

ლეწვასთან დაკავშირებული სიმღერები („ჰერი ეგა“, „ჰერიო“ და სხვ.) უშუალოდ შრომის პროცესში სრულდება და ექვემდებარება შრომის რიტმს. სიმღერა სამხმიანია, სრულდება ორი სოლისტის მიერ ანტიფონურად გუნდის ფონზე. აქაც მკის სიმღერების მსგავსად, პირველი ხმის ჩართვისას მეორე ხმა გამოეთიშება ან ბანის პარტიას აორმაგებს, ამიტომ, რეალურად მხოლოდ ორი ხმა ელერს [19].

3. „მუ შ უ რ ი“ არის საერთო სახელწოდება იმ სიმღერებისა, რომლებიც უმუშალოდ შრომის პროცესში კი არ სრულდება, არამედ მის წინ ან შემდეგ [20]. სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიმღერებს გვიანდელ ფორმაციებს განაკუთვნიებენ, რადგან მათი სამხმიანი წყობა ძალიან უახლოვდება ქართლ-კახეთის სუფრული სიმღერების სამხმიან წყობას [21]. სიტყვიერი ტექსტები იმპროვიზაციული ხასიათისაა, აქ ვხვდებით ისტორიულ, საწესო, სატრფიალო ლექსებს. მუსიკალური ტექსტი მკვეთრი მეტრულ-რიტმული აგებულებითა და მხნე ხასიათით გამოირჩევა.

„მუშური“ სიმღერის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ე. წ. „ოდური“, რომელიც კახეთშია დადასტურებული და სრულდებოდა შესვენების დროს ან სამუშაოდან დაბრუნებისას გზაზე [22].

4. შრომის სიმღერათა ციკლში „უ რ მ უ ლ ს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს სიმღერა ქართული მრავალხმიანი სიმღერების ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს განვითარებული ერთხმიანობით. ამ სიმღერის ცალ-ხმიანობას მისი სოციალური ფუნქცია განსაზღვრავს.

„ურმული“ სრულდება მეურმის მიერ ღამით ტვირთის გადაზიდვის დროს. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კუთხეებში.

ურმულ სიმღერებს ახასიათებს იმპროვიზაციულ-ვარიაციული ფორმა, მინორული კილო (ეოლიური და დორიული), დაღმავალი მიმართულება მელოდიისა, ფართო დიაპაზონი.

ურმული სიმღერების მუსიკალური ტექსტი ენათესავება ოროველებს მთელი რიგი ნიშნებით (იმპროვიზაციულობა, რეჩიტატიულობა; დაღმავალი მიმართულების მოტივები, მელოზმატიკა, რიტმული სურათის სიმდიდრე, ტემპისა და ზომების ხშირი ცვლა, მინორული კილო) [23], მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც: ოროველაში მელოზმატიკა ნაკლებია და უფრო ხშირია მელოდიური დეკლამაცია.

სამეგრელოში „ურმულის“ სახელწოდებით სამხმიანი სიმღერა გვაქვს, რომელიც ძველი სიმღერის გვიანდელ გადაშუშავებას უნდა წარმოადგენდეს [25].

5. ნ ა დ უ რ ი (ტაბ. XXXIV—XXXVIII). შრომის სიმღერებში ნადური სიმღერებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ეს სიმღერები შემორჩენილია აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში და იმერეთში (ნაწილობრივ).

ნადური არის საერთო სახელი სიმღერებისა, რომელიც კოლექტიური შრომის დროს (მიმინდის თესვა, თოხნა, გარჩევა) სრულდება. სახელწოდება „ნადური“ მომდინარეობს ამ სიმღერების შემსრულებელი კოლექტივის სახელწოდებიდან „ნ ა დ ი“. „როგორც ირკვევა, ნ ა დ ი ძველი სიტყვაა, რომელიც მომდინარეობს საერთო ქართულიდან, როდესაც სვანური და ზანური ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი საერთო ქართულიდან; ქართ. ნადი, მეგ. ნოდი, ჭან. ნოდ(რ)ი, სვ. ნადვ. ნედ. ამ სიტყვის არაბულიდან (ნადუნ) შესხება გამოირიცხული უნდა იყოს“ [26].

ნადი დასავლეთ საქართველოში ეწოდება გადაუღებელი სამუშაოს შესასრულებლად მოწვეულ დამხმარე მუშაზელს. ნადი მეზობელ-ენათესავეებისაგან შედგებოდა და ოჯახს ეხმარებოდა უსასყიდლოდ. ოჯახი მოვალედ თვლიდა თავს, მათ კარგად გამასპინძლებოდა. ნადს იწვევდნენ ახოს გატეხვის, მარგვლა-თოხნის, მოსავლის აღებისა და სხვა დროს. ნადის დახმარებით ხდებოდა შო-

რეული ყანებიდან მოსავლის ურმებით წამოღება, რაც ურმის ნადის სახელით არის ცნობილი [27].

ნადში მუშაობა საპატიო და სასიამოვნო მოვალეობად ითვლებოდა. ნადში საგანგებოდ იწვევდნენ საუკეთესო მომღერლებს და მათ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ნადის წევრთა რაოდენობა დამოკიდებული იყო მასპინძლის შესაძლებლობაზე.

ნადს ჰყავდა უფროსი, ხელმძღვანელი — ნადის თავი || მესვეური || მესვრიელი || მესრიელი || მეფსოული (იმერ., გურ., მეგრ.) || თაბაგარი, რომელიც თავისი შრომით სხვას მაგალითს აძლევდა, მუშაობის ტემპს არეგულირებდა, სიმღერას წარმართავდა [28]. იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა როგორც ნადის სხვა დანარჩენ წევრთა შორის, ისე მასპინძლის მხრივ, ასევე განსაკუთრებულ პატივში იყვნენ მეკრიმანჭულე და გამყივანი.

შრომის პროცესის შესაბამისად, ნადის მიერ შესრულებული სიმღერები — ნადურები იყოფა სხვადასხვა სახედ იმის მიხედვით, თუ რომელ სამუშაოსთან დაკავშირებით სრულდება — ყანური, ხელხვავი.

ნადური სიმღერები გარკვეული რიგით სრულდება. ნადურებს შორის გამოიყოფა სიმინდის თოხნა-მარგვლის დროს შესრულებული „ყანური“, რომლებიც სხვადასხვა ვარიანტებით არის ცნობილი.

ყანური სიმღერების ციკლი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: დილის ანუ ხელმოსაკრავი (მუშაობის დაწყების), სადილობისა და სამუშაოს დამთავრების. ნადი მუშაობის დროს დღის განმავლობაში რამდენჯერმე ისვენებდა და მუშაობას ისევ აგრძელებდა.

სიმღერა სამნაწილიანია, იწყება ნელი ტემპით. ამ დროს შრომის რიტმზე არ არის დამოკიდებული სიმღერის რიტმი, მეორე ნაწილი ჩქარდება და სრულდება ძალიან მძაფრი ტემპით. სიმღერის სიტყვიერი ტექსტი ამ ნაწილში აგებულია „იოვ“ და ია-ბოე“ — სიტყვებზე (რაც დღეისათვის გაუგებარია და მას ღვთაების სახელად მიიჩნევენ [29]).


დასამუშავებელი ნაკვეთის ერთი მესამედის დამთავრებასთან მთავრდება ნადური სიმღერების პირველი ეტაპი. ამ ნაწილის ტექსტი იუმორისტული ხასიათისაა.

მეორე ნაწილში მეტი ყურადღება გადატანილია შრომის რიტმზე, მესამე ნაწილი კი ზედმიწევნით ჩქარ ტემპში სრულდება. აქედან მოყოლებული სიმღერას ერთვის სიმღერისა და მუშაობის დამთავრების მაუწყებელი ყიყინა [30].

არსებობდა ნადური სიმღერების მთელი ციკლი, რომელშიც ათეულობით სიმღერა ერთიანდებოდა [31].

ნადურის შესასრულებლად საჭიროა 8-16 კაცი. სიმღერა ორპირულია (ორგუნდიანი), რაც გაპირობებულია შრომაში შეჯობრებით. თითო გუნდში მონაწილეობს ერთი მთქმელი || დამწყები, გამყივანი, შემხმობარი, ბანეხა. ბანი ნადურში ბოლოს ჩაერთვის. სიმღერის ყოველ მონაკვეთს აბოლოვებენ შემხმობრები [32]. (იმერეთის მასალითაც ნადური ოთხხმიანია: დამწყები, მოძახილი, იაო-იაოს მთქმელი, ბანი) [33].

შემხმობარი არის ხმა, რომელიც მხოლოდ ნადურში გვხვდება, ეს არის მელოდითურად უძრავი ხმა, ჰარმონიული ფუნქციის მქონე გაბმული ბგერა და განსაკუთრებულ კოლორიტს ანიჭებს ნადურ სიმღერებს.



რუკა № 25. შრომის სიმდიდრე (X-X ს-ის 30-35% წილი)

1. თრავილი, 2. შოსი, 3. კუმუხი, 4. ნადური, 5. ურბული

ნადურების მეტრი ორწილადაა. რიტმი მდიდარი და ნაირსახოვანი, ტემპი თავდაპირველად ზომიერი და თანდათან აჩქარებული.

ნადურის სიტყვიერი ტექსტი (საჩივარი — გურ., მოსათვალავი — იმერეთი) ძირითადად სახუმარო და სატრფიალო ხასიათისაა. [35].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეგრული შრომის სიმღერა „ოღოია“ (ტაბ. XXXIX—XLIII). სიმღერის სიტყვიერი ტექსტი დღეისათვის გაუგებარ სიტყვებზეა აგებული. ტექსტის აზრი თვით „ოდ“ სიტყვაში უნდა იყოს გადმოცემული და უნდა უკავშირდებოდეს ნაყოფიერებებს ღვთაებას [36]. არის სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად „ოდი“ უნდა ნიშნავდეს ღრუბლის ღმერთს [37]. ამ უკანასკნელს მხარს უჭერს ბასკური ენის მონაცემებიც, კერძოდ, ღრუბელთან და წვიმასთან დაკავშირებული ბასკური სიტყვები: „ოღოი“, „პოდეი“, „ოღეი“ და გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ოღოია“ წვიმის მოსაყვანად ან გადასაღებად განკუთვნილი საწესო სიმღერა უნდა ყოფილიყო [38].

სიმღერის მუსიკალური ტექსტი შრომის სიმღერათა შორის მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა და მას ქართული მუსიკალური ფოლკლორის შედევრად მიიჩნევენ [39].

აღსანიშნავია, გურიასა და აჭარაში დღემდე შემორჩენილი სიმღერა „ელე-სა“, რომლითაც ნადი ამთავრებდა მუშაობას და სრულდებოდა ნადის მასპინძლის სახლში დაბრუნების დროს. ეს სიმღერა მძიმე ტვირთის გადატანის დროსაც სრულდება. სხვა შრომის სიმღერების ფონზე იგი განვითარების დაბალ დონეზე დგას და მიჩნეულია ადრინდელი ფორმაციების სიმღერების გადამონათად [40].

ნადური სიმღერების ციკლში შედის „ხელხვაი“ (აჭარა—გურია, სამეგრელო, იმერეთი). სიმღერა სრულდება სიმინდის ტაროს რჩევის დროს. დ. არაყიშვილი ამ სიმღერას წარმართული ჩანის სიმღერად მიიჩნევდა [41].

მოსავლის აღებ-დაბინავებისათვის ნადში იწვევდნენ 10—15 კაცს (მათ ევალდებოდათ მოსავლის გარჩევა, კალოს დადგმა და შესაფერის სათავსებში დაბინავება). კალოზე მუშაობის დროს ამბობდნენ ლექსებს, გამოცანებს, ზღაპრებს, დასცინოდნენ და კილავენდნენ ერთმანეთს; გარჩეულ სიმინდს კალოზე ისროდნენ და ოჯახს ხვავსა და ბარაქას უსურვებდნენ [42]; სრულდებოდა სხვადასხვა შინაარსის სიმღერებიც; ფართოდ იყო გამოყენებული სატრფიალო ლირიკა, აგარარული, სამეურნეო სიმღერები: ხელხვაი, ნადური და სხვა, რომლის სხვადასხვა ვარიანტია ცნობილი; განსაკუთრებით მიღებული იყო ხელხვაი, რომელშიც ხვავისა და ბარაქის გამოთხოვისათვის წმ. თევდორეს, წმ. გიორგის, წმ. გრიგოლს და მიქელ გაბრიელს მიმართავდნენ [43].

„კალოს რჩევის“ დასასრულს საგანგებო ლხინი იმართებოდა, სადაც, ბოლოს ისევ „ხელხვაეს“ იმღერებდნენ [44].

გამოთქმულია აზრი, რომ სიმღერა „ხელხვაი“ წარმოშობილია მოსავლის „რჩევისთან“ დაკავშირებული საქმიანობიდან, რომელთა შესრულებას ამ პროცესის დროს, ხალხის შეხედულებით, დოვლათიანობა შეეძლო [45].

სიმღერაში ყურადღებას იქცევს სიტყვა ოხო|ოჩი, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმართული ღვთაებაა. ეს საკულტო ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა ნადირობისა და მესაქონლეობის უძველეს ღვთაებას; ახალი ეთნოგრაფიული მასალით იგი ნაყოფიერების მფარველი ღვთაების აღმნიშვნელი ტერმინიცაა [46].

ნაღური სიმღერების მუსიკალური ტექსტი ხასიათდება შესრულების თავისებურებით, ფორმისა და შინაარსის მჭიდრო კავშირით, ჰარმონიის სიმკვეთრით, რთული პოლიფონიითა და სტრუქტურის სირთულით, რაც ყალიბდება ერთიანი განვითარების სამნაწილიან ფორმაში [47].

ნაღურის სიმღერების მუსიკალური ტექსტის სირთულე, მალალმხატვრული დონე, შესრულების წესი განსაზღვრავს იმ ფაქტსაც, რომ ნაღური წარმოადგენდა შესანიშნავ სანახაობას (მეზობელი სოფლებიდან მოდიოდნენ მის მოსასმენად), რომლის ამალღებული ხასიათი შრომისაკენ განწყობდა მონაწილეთაც და მხილველეთაც.

ამგვარად, შრომის სიმღერებში წარმოდგენილია როგორც მარტივი, ასევე მალალმხატვრული ნიმუშები. შრომის სიმღერებში სიტყვიერი ტექსტები ზოგჯერ ტრადიციულია, ზოგჯერ კი სატრფიალო-სახუმარო ხასიათის ლექსები გვხვდება.

შრომის პროცესში სიმღერას მორგანიზებელი როლი ენიჭება. საზოგადოებრივი შრომა ამხნეებს, ამალღებს განწყობილებას, აჩქარებს საქმეს, აწესრიგებს შრომას [48]. ამით იგი შრომის ნაყოფიერების გაღღებას ემსახურება.

შრომის სიმღერები, რომლებიც მემინღერობასთან დაკაშირებულ საქმიანობასთან არის შერწყმული, თანღათანობით დავიწყებას მიეცა, რადღან თვით შრომის პროცესები და მათი ორგანიზაცია შეიცვალა, ტექნიკა ღრმად შეიჭრა და დამკვიღრდა ამ საქმიანობაში და სიმღერას ამით მატერიალური საფუძველი გამოაცალა, სიმღერამ ძირითადი ფუნქცია დაკარღა. ეს სიმღერები ამჟამად ყოფიღან თითქმის გამქრალია, XX ს. 30-იან წღებში იშვიათი ან ნაკღებად გავრცეღებული იყო, ხოლო XIX საუღუნის მიწურულს ჟერ კიღევ მყარად იყო დამკვიღრებული ყოფაში (იხ. რუკები 24, 25).

ლიტერატურა

1. ივ. ჟავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 275.
2. აღ. ჟამბაქურ-ორბელიანი, ივერიანღების გაღბა, „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 157.
3. შ. ასღანიშვილი, ხალღური სიმღერების სოღალური ფუნქცია. ნარკვევები ქართული ხალღური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954, გვ. 270—271.
4. გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალღური სიმღერა, I, თბ., 1960; შ. ასღანიშვილი, დასახ. ნაშრ., თ. მამღაძე, შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1963.
5. თ. მამღაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
6. ჟ. რუხაძე, აღ. ლეკიანშვილი, ი. ჟყონია, სოფელიაკურა, თბ., 1964, გვ. 97.
7. თ. მამღაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14—18.
8. შ. ასღანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 287—289.
9. А. Кочарян, Армянская народная музыка, М.—Л., 1939, с. 7—10.
10. Սո. Մախսատևոնց, Հայերեն բազմաժանրի բարձրագույն, հատ. I, სრღსან, 1944, էღ 131.
11. იქვე.
12. გ. მღღიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 145.
13. შ. ასღანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286—287, 298.
14. გ. ჩიღთია, ქსნური მთის გუღანი, ენიღკის ზღანებ, V—VI, 1940, გვ. 497.
15. მ. ჩიღოვანი, ქართული ხალღური სიტყვიერების ისტორია, I, 1975, გვ. 441.
16. შ. ასღანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 274—284.

17. იქვე, გვ. 283—284.
18. Д. Аракичев (Аракишвили), Народная песня Восточной Грузии, Труды музыкально-этнографической комиссии, V, 1917, с. 182.
19. შ. ასლან იშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 282—284.
20. იქვე, გვ. 295.
21. იქვე, გვ. 295—296.
22. თ. შაჰალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.
23. მ. ქორღანიძე, „ერმელის“ ცილობრივი საფუძვლები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, № 9.
24. შ. ასლან იშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 288—289.
25. С. Чантуришвили, Из истории грузинской народной музыкальной культуры (Трудовые песни Мегрелии), Тб., 1973, с. 13—14.
26. ვ. ბარდაყელიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საქალაქო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 12.
27. ქ. რუხაძე, ხალხური ავრეკელტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 182.
28. იქვე, გვ. 182.
29. ე. ახობაძე, ქართული (აქრული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961, გვ. 12, 28.
30. იქვე, გვ. 35.
31. იქვე, გვ. 12; ქ. ნოლაიძე, ქ. ჩხეიძე, აქრული სამიწათმოქმედო შრომის ღებობა და სიმღერები, ბათუმის სამეცნ. კვლ. ინსტიტუტის შრომები, 1, 1960, გვ. 73.
32. ვ. ახობაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31; ა. ინაიშვილი, ქ. ნოლაიძე, გრ. ჩხიკვაძე, მასალა აქრული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961, გვ. 10—11.
33. ნ. ბრეგაძე, მალაქოვსკი ჩაწერილი მასალა (1972).
34. ა. ინაიშვილი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 14.
35. ქ. ნოლაიძე, ქ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73; ნ. ბრეგაძის მასალა; თ. თქროშიძე, ნადური ლექსისიმღერები, „ლიტერატურული ძეგანი“, X, 1956, გვ. 342.
36. ვეკ. ბერიძე, ოღი, ოღიში, ოღოა, „მნათობი“, 1959, № 12, გვ. 168—170.
37. С. Чантуришвили, укр. раб., с. 14—15.
38. ლ. ტაბაღუა, სიტყვა „ოღოას“ ეტიმოლოგიისათვის; „ლიტერატურული საქართველო“, 1971, № 28.
39. С. Чантуришвили, укр. раб., с. 14—15.
40. შ. ასლან იშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 271, 272, 273.
41. ლ. არაუიშვილი, ქართული მუსიკის გერეღი შტო, „ქართული მწერლობა“, 1927, № 10, გვ. 147.
42. ქ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184.
43. იქვე, გვ. 184.
44. იქვე, გვ. 186.
45. იქვე, გვ. 187.
46. იქვე, გვ. 193.
47. ე. ახობაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29, 32.
48. К. Бюхер, Рванта и ритм, М., 1923, с. 227—228.

თინათინ ოჩიაური

მოსავლიანობის მფარველი ღვთაებები

ქართველი ტომების სამეურნეო ცხოვრებაში ძველთაგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მემინდვრეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს. უხვი და ბარაქიანი მოსავლის მოყვანის მიზნით, ქართველი მეურნე რაციონალურ საშუალებებთან ერთად ირაციონალურ ქმედებასაც მიმართავდა. ამასთან ერთად, მოსავლიანობის მფარველ ღვთაებებს იგი, ტრადიციულად გამომუშავებული რიტუალის მიხედვით, საქმეში ხელის მომართვას შესთხოვდა. ხალხის რწმენით, ეს ღვთაებანი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდნენ ჭირნახულისათვის სასურველ ამინდს, ხოლო მეორე მხრივ მის სიუხვე-ბარაქიანობას მფარველობდნენ.

ჩვენამდე მოღწეული მონაცემებით ძნელდება მხოლოდ აგრარული ფუნქციის მქონე ღვთაებების გამოვლენა. თითქმის არ გვხვდება ღვთაება, რომელიც მარტო პურეულის სიუხვე-ბარაქიანობას განაგებდეს, თესლის აღმოცენებას, ზრდასა და მწიფობას უწყობდეს ხელს. ჩვეულებრივ, ეს ფუნქცია შერწყმულია როგორც საერთოდ ნაყოფიერების, ისე დარ-ავდრის ღვთაებათა სხვა ფუნქციებთან; ძირითადად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ღვთაებანი, რომელთაც ხშირ შემთხვევაში დამიანისათვის ნაყოფიერების მინიჭების ძალაც მიეწერებათ. წარმართული და ქრისტიანული რელიგიების სინკრეტოზმის საფუძველზე, არაიშვიათია ქრისტიანული წმინდანისა თუ ღვთაებისათვის ნაყოფიერების მფარველის ფუნქციის მიკუთვნება. საქართველოში მოსავლიანობის მფარველ ღვთაებებად მიაჩნდათ: ბ ა რ ბ ა ლ - ბ ა ბ ა რ ი , ბ ო ს ე ლ ი ა ნ უ ბ ო ს ლ ა - ბ ო მ ბ ღ ა ჭ ა ბ უ კ ი || ტ ა რ ჭ ა ბ უ კ ი , ბ ო ჩ ი - ო ჩ ი , ი ა ნ - დ ე ც ე შ ი , ლ ა მ ა რ ი ა , წ მ . თ ე ვ დ ო რ ე (იხ. რუკა 26).

ამინდის გამგებელი ღვთაებები, რომელთაც სხვასთან ერთად ნახნავე-ნათესის მფარველობაც მიეწერებათ, შემდეგია: ლ ა ზ ა რ ე , ე ლ ი ა , დ ა მ ა ს - ტ უ რ ი , ს ა ჩ ა ლ ის წ ვ ე რ ის წ მ . გ ი ო რ გ ი , მ ი ნ დ ო რ ის ჭ ვ ა რ ი , მ ი ქ ა მ გ ა რ ი ო .


ნაყოფიერების ღვთაება ძველად დ ე დ ა მ ი წ ა უ ნ და ყოფილიყო. ჩვენამდე მოღწეული მასალებით ეს რწმენა გამოკვეთილი სახით შემორჩენილი არ არის. სხვადასხვა მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად ივ. ჭავჭავაძის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „უეჭველია ძველ დროს ქართველი თაყვანს სცემდა „დედამიწას“, ვითარცა „ღვთაებას“ და რომ „მიწის ზალოცავი დედრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაება უნდა ყოფილიყო“ [1]. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ცალკეული რელიგიური რიტუალები, ენობრივი

მონაცემები და რწმენის ნაშთები ავლენს დედამიწის თაყვანისცემის ელემენტებს.

დედამიწის ღვთაება მოკვდავი და აღდგენადი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ბერძენთა მიწის ღვთაება დემეტრა და სხვა ამ კატეგორიის წინააღიერი ღვთაებანი. მათთან პარალელს პოულობს ქართული აგარაული დღესასწაულების პერსონაჟი ბერიკა (შავად გამურვა, შავი ფერის ნიღბები, თხის ტყავის მოხურვა და თხის ნიღბის ტარება, დღესასწაულის ხასიათი და მიზანდასახულობა) [24].

დედამიწის ღვთაების კულტი ადგილის დედის კულტთან უნდა იყოს შერწყმული, რომელსაც ქრისტიანულ ეპოქაში ნაწილობრივ ღვთისმშობელი ჩენაცვლა და ნაყოფიერების, მათ შორის მოსავლიანობის მფარველის ფუნქციაც მიითვისა. ასეთი ღვთაება ლამარია, რომლის კულტი სვანეთშია გავრცელებული (ღვთისმშობლის სახელს სვანური ენის ბუნების შესაბამისად ლა-თავსართი აქვს დართული). ლამარია ძირითადად ადამიანისა და მსხვილფეხა საქონლის ნაყოფიერებას განაგებდა, მაგრამ იგი პურეულის ღვთაებაც უნდა ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ერთ-ერთი საგანაფხულო დღეობის ლილაშუნეს რიტუალიდან. ეს დღეობა დიდმარხვის მეორე შვიდეულის შაბათს მოდიოდა. ამ დღიდან იწყებდნენ სვანები თესვისათვის მზადებას (ლილაშუნე თესლობას ნიშნავს). ახლიდნენ კიღობნებსა თუ გოდრებს, სადაც სათესლე მარცვლეული იყო შენახული და ამ მარაგიდან ოჯახის წევრებისათვის სამყოფ კორკოტს მოხარშავდნენ. ამავე დღეს ცხვებოდა სამეურნეო იარაღებისა და მუშა საქონლის გამოსახულებიანი კვერები, რომელსაც მოსავლიანობის ღმერთს შესწირავდნენ და ევედრებოდნენ თესლეულის ნაყოფიერებასა და ნათესებისთვის ხელსაყრელ ამინდს. ცხუმარის თემში „მფარცხავი ხარებით“ გაწყობილ ტაბაკს პურის კარგი მოსავლისათვის ლოცვა-ვედრებით ოჯახის უფროსი პურეულის ღვთაება ლამარიას სწირავდა, რომელსაც ამ დღეს ლამარია ლილაშუნეს სახელით მოიხსენებდნენ. ეს მონაცემები აშკარად ავლენს ლამარიას აგარაულ ბუნებას და მას პურეულის ნაყოფიერების ღვთაებად სახავს [3].

ღვთაება ბოსელი ანუ ბოსლა-ბოსლა, როგორც ღვთაებრივი პერსონაჟი, დღეს დაიწვებულია. მისი გამოვლენა საქონლისა და შინაური ფრინველის მფარველ ღვთაებად, რომელსაც პურეულის საქმეც ეკითხებოდა, შესაძლებელი გახდა ბოსლობის სახელწოდებით ცნობილი დღეობის შესწავლის შედეგად [4]. ბოსლობა ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის განკუთვნილი დღეობა იყო. ამის გარდა, „მის მიზანდასახულობას შეადგენდა სხვა შინაური ცხოველების, შინაური ფრინველებისა და მათი მომვლელი ადამიანის გამრავლება და კეთილდღეობა, ყანავენახების და სათიბების მოსავლიანობის გადიდება და დაცვა“. ბოსლა-ბოსელის კულტის ამსახველი დღეობა — ბოსლობა რომ აგარაული დღესასწაულიც არის, ეს კარგად ჩანს სადღეობო რიტუალის ცალკეული ელემენტებიდან (საბოსლობო რიტუალურ პურებზე სახენელისა და უღელ-ტაბიკის გამოსახვა; ღვთაებისათვის — მიწის მუშის, ხარისა და კაცის ნამუშევრის, ხოლო ყანა-ვენახების — მიწათა ანგელოზისათვის შევედრება; საბოსლობო დიალოგებში ხარების სახენელ უღელთან დაკავშირება, საცხობ „ბუჯირზე“ მსუქანი ბავშვის დაგორება პურის სიდიდე-ზარაქიანობის მიზნით და სხვ.). ეს მონაცემები იმა-



რუკა № 26. მოსავლიანობის გეოგრაფიული ბაროსის ადგილები (XIX ს-ის II ნახევარი)

- 1. დამასტური, 2. მიკამ ვაბო, 3. სახელს წვერის წმ. კაძგი, 4. ბოდუის წმ. გიორგი ანუ მიწორის ქვაი, 5. ელა

ზე მიუთითებს, რომ ბოსელი მიწათმოქმედების ღვთაებაც არის. ბოსლობაში ასახული ღვთაება თავდაპირველად ცხოველური, სახელდობრ, ხარის სახის არსება უნდა ყოფილიყო. „ჩვენამდე მოღწეული მსხვილფეხა შინაური ცხოველების კულტის გადმონაშთები ძირითადად მომდინარეობს ქართველი ხალხის ასტრალური რელიგიის მალალი საფეხურიდან, რომელიც განვითარებული მიწათმოქმედების მეურნეობისა და შესაფერისი სოციალური წყობილების ზედნაშენ წარმოდგენდა. ამ საფეხურზე თვით ღვთაება ბოსელიც მიწათმოქმედების მეურნეობასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ანთროპომორფიკებული სახე აქვს მიღებული სხვა ასტრალურ ღვთაებათა მსგავსად“.

„ახალი წლის დღეობაში უძველესი .თიფალური ღვთაება ბასილის სახელს ატარებს. ბოსლა-ბომბლას კულტი ბასილის კულტთან არის შერწყმული. ქრისტიანული წმინდანი აქ ქართულ-წარმართული კულტის თანაზიარად გვევლინება. ასეთი შერწყმა უნდა მომხდარიყო წმინდანის სახელის — ბასილის მსგავსებრი ნიადგაზე წარმართული ღვთაების სახელთან — ბოსელი“.

ამავე ღვთაების კულტს ფუნქციონალურად უკავშირდება საახალწლო რიტუალის პერსონაჟი ბერი-ბერა და ბერიკა. მათ მიეწერებოდათ მოსავლიანობის, ადამიანთა და ცხოველთა ნაყოფიერება — გამრავლებისა და დოვლათიანობის ფუნქცია [5].

თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული ნაყოფიერების ღვთაება ბარბალეს კულტი. ბარბალე არა მხოლოდ მსხვილფეხა საქონლისა და შინაური ფრინველის მეურნეობის მფარველ ღვთაებად მიაჩნდათ, არამედ, საზოგადოდ, ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაებადაც. იგი ამრავლებდა როგორც საქონელს, ისე ადამიანსა და მცენარეულს. ამასთანავე, მთის მოსახლეობაში მას უმთავრესად მესაქონლეობისა და ნაწილობრივ მიწათმოქმედების ღვთაებად მიიჩნევენ (სეანება, ლეჩხუმლები).

ბარბალ-ბარბოლი ასტრალური ღვთაება იყო, რომელიც მზეს განასახიერებდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ფშავ-ხევსურეთი) მზის ღვთაება მზექალი, რომელიც ღვთაებათა პანთეონის უზენაეს ტრიადაში შედიოდა, მოსავლიანობის მფარველად მიაჩნდათ. მას შესთხოვდნენ ჭირნახულის დაცვას, უხვი მოსავლის უზრუნველყოფას. ხალხის შეხედულებით, მზექალი-მშვენიერს შეეძლო „ქერ-ოქროთ“ გამოთხოვა მორიგე ღმერთისაგან და ღვთისშვილებისათვის განაწილება, ხოლო ამ უკანასკნელთ — თავიანთი საყმოების უზრუნველყოფა მოსავლით. მასვე შეეძლო „ცის ხორხომ-კორკოტთ“ გამოყოფა „ღვთის კარზე“ შეყრილ ღვთისშვილებისათვის, რაც ცუდ ტაროსს მოასწავებდა და, მამასადამე, მოსავლის განადგურებას [6].

ღვთაება ჭაბუკი მესხეთში, ა. ხახანაშვილის ცნობით, ოჯახის მთავარ მფარველ ძალად ითვლებოდა. წარმოდგენილი ჰყავდათ ლამაზი ჭაბუკის სახით, რომელთანაც პირველი ღამე უნდა გაეთია პატარძალს. შემდეგში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ ჭაბუკი მამაკაცური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებაა, რომლის კულტი სცილდება საოჯახო ფარგლებს. ოჯახის ბარბიანობისა და ადამიანის ნაყოფიერების გარდა, მას მიეწერებოდა ნათეს-ნამუშევრის მფარველობის ფუნქციაც. ლეჩხუმური მასალების მიხედვით, ჭაბუკობა დღეს, რომელიც აღდგომის ოთხშაბათს მოდიოდა, ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო, გაგვიკეთე ნათეს-ნამუშევარი“. კვირიკობის თვის ორშაბათს ლეჩხუმშივე მახიკრფის ჭაბუკობა იმართებოდა. ამ დღეს ქალები ღვთაებას

ევედრობდნენ: „ღმერთო, გაგვიკეთე ჩვენი ნათესი, მოგვაწვეინე მახა, პურა, ნუ დაგვიბნევ და ბედნიერებაში მოგვანმარეო“. თვით ყანაში კი ისეთი რიტუალი სრულდებოდა, რომელიც აშკარად ავლენს ღვთაების სექსუალურ ბუნებას, რაც ნაყოფიერების ღვთაებათათვის არის დამახასიათებელი (ქალეზს მიერ ქვედა საცვლის გახდა და ნათესებზე მოფრიალება). ჭაბუკის კულტი გარდა მესხეთისა, დასტურდება რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და იმერეთში. სვანეთში იმართებოდა დღეობა ჭაბუკზე, რომლის დროსაც აღიდებდნენ ტარ-ჭაბუკს ანუ ჭაბუკს. ჭაბუკის სახელზე სცოდნიათ იმერეთში ზედაშის დაყენებაც. რომელსაც საჭაბუკო ეწოდებოდა.

ღვთაება ჭაბუკი მამაკაცური ბუნების ნაყოფიერების მიმნიჭებელ ძალას განასახიერებდა. ეს ძალა მოცემული იყო ზოომორფული (ხარი) და ანთროპომორფული (ჭაბუკი) სახით [7].

სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ფეტვის კულტურის მფარველი ღვთაება იან დეცეში. ერთ-ერთი უძველესი მარცვლოვანთაგანი, რომლის კულტივაცია ადამიანმა მოახდინა, ფეტვი იყო, რომელსაც თავისი მფარველი უნდა ჰყოლოდა. ასეთ მფარველად ისახება იან დეცეში, რომელიც სვანეთის რელიგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მთვარის კულტთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. იანი ასტრალური ღვთაებაა, რომელიც ღამის დიდ მნათობს განასახიერებდა. მთვარისა და ფეტვის კულტების საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამ უძველესი მარცვლოვანი კულტურის უზენაესი ბატონ-პატრონის ნათელი ღვთაების სახით ჩამოყალიბება. წარმოდგენები ფეტვის წარმართულ ღვთაებაზე სვანებს იონა წინასწარმეტყველზე გადაუტანიათ, მაგრამ მანამდეც ფეტვის ღვთაებას იან ან ამის მსგავსი სახელი უნდა რქმეოდა [8].

ღვთაება ბოჩიოს კულტის ელემენტები და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. იგი ძირითადად ცნობილია, როგორც მესაქონლეობისა და ნადირთა ნაყოფიერების მფარველი ღვთაება. ბოლო წლებში ჩატარებული ძიების შედეგად გამოვლინდა, რომ ბოჩიოს ერთ-ერთ ფუნქციას მოსავლიანობის სიუხვე-ბარაქიანობის მფარველობაც შეადგენდა [9].

აგრარული ფუნქციის მქონე ღვთაებად გვევლინება ქრისტიანული წმინდანი თევდორე, რომელსაც ძირითადად ცხენების გამრავლებასა და ნაყოფიერებას შესთხოვდნენ, მაგრამ აშკარად ვლინდება აგრარულ კულტთან მისი მჭიდრო კავშირი, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს რაჭა-ლეჩხუმის სათევდორობო რიტუალებში. ამ კუთხეებში თევდორობას აცხობდნენ მუშა საქონლის, სამიწათმოქმედო იარაღებისა და სხვადასხვა პურეულის თავთავთა გამოსახულებიან პურებს, ასრულებდნენ ნათეს-ნაშუშევრისა და მოსავლისათვის ლოცვა-ვედრებას, კალოზე საცხეველთან სრულდებოდა სხვადასხვა სარიტუალო ქმედებანი, და რაც მთავარია, ზოგ ადგილას იცოდნენ თესლის სწორედ ამ დღეს გაღება. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ თევდორობა აგრარული კულტის ამსახველი დღეობაა, ხოლო თვით წმ. თევდორე კი აგრარული ღვთაების შესატყვისი [10].

თევდორობა მოსავლიანობისთვის განკუთვნილი დღეობა იყო მთელეთში, მოსავლიანობას შესთხოვდნენ თევდორეს იმერეთში, სამეგრელოში, ხეკ-

ში. კონკრეტულად რომელი წარმართული ღვთაებების კულტი შეერწყო ქრისტიანული წმინდანის კულტს, ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

მიწათმოქმედებასთან მჭიდრო კავშირში არიან დარ-ავდრის ღვთაებანი (იხ. რუკა 27), რომელთაც მორწმუნენი თავიანთი ნათესების დაცვის მიზნით სასურველ ამინდს ევედრებოდნენ. თესვის დაწყებიდან მოსავლის აღებამდე ტაროსის გამგებელი ღვთაების სახელზე უქმობდნენ გარკვეულ სამუშაო დღეებში. არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში ღვთაების საპლოცველოში ან სხვა დათქმულ ადგილზე საღვთოს იხდიდნენ და სათანადო საკულტო წესებს ასრულებდნენ.

დარ-ავდრის ღვთაებებიდან თითქმის მთელ საქართველოში გავრცელებულია ელიას კულტი, რომლის სახელობის დღესასწაული მდგრადი იყო და მუდამ დაკანონებულ დროს მოდიოდა. არიან ღვთაებები, რომელთაც მაშინ შესთხოვდნენ დახმარებას, როცა ამის საჭიროება დადგებოდა. ასეთია მაგალითად ლაზარე, რომლისთვისაც განკუთვნილ მისტერიას გვალვის, ან გადაუღებელი წვიმების დროს მიმართავდნენ. საყურადღებოა, რომ მათში, სადაც მოსავლიანობის ბედ-იღბალი დიდად იყო დამოკიდებული ამინდზე, ბარიდან გამომოტანილი ჰქონდათ სათანადო ფუნქციის მქონე ღვთაებათა სამლოცველო ნიშები და მას ევედრებოდნენ კარგი ამინდის უზრუნველყოფას, ჰირნახულის ბარაქიანობას. ასე გავრცელდა ბოდავის წმ. გიორგის კულტი ხევსურეთში მინდორის ჯვარის სახელწოდებით. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მთიელებს სურდათ თავიანთი ჰირნახულის მფარველად ისეთივე ღვთაება ჰყოლოდათ, როგორც ბარის მიწათმოქმედებას ჰყავდა და ამით უზრუნველყოფთ ბარის მსგავსად უხვი და ბარაქიანი მოსავალი.


დარ-ავდრის გამგებლად ითვლებოდა ღვთაება დამასტურე, რომლის ძირითადი სამლოცველო მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობაში. გარდა ამ ღვთაებისათვის განკუთვნილი დღეობისა, რომელიც მოდიოდა ყველიერის კვირას, და საკვირაოს დღეობის მეორე დღეს, ხანგრძლივი გვალვისა და წვიმიანობის დროს, ფშავის თორმეტივე თემი საერთო ხარჯით იხდიდა ჰირნახულის სამხვეწრო საღვთოს. ამავე ხატში მოდიოდნენ საკუთარი ჰირნახულის სამხვეწრო საკლავით სხვა „მეზღვნენი“.

დამასტურის კულტი ვრცელდებოდა ივრის ხეობაშიც.

სახელწოდება — დამასტეს ქრისტიანული წმინდანის იოანე დამსაკელის სახელს უკავშირებენ [11].

მინდორის ჯვართან ერთად ხევსურეთში დარ-ავდრის გამგებლად მიაჩნდათ საჩალის წვერის წმ. გიორგი, რომელსაც მიაწერდნენ სეტყვისა და საერთოდ უამინდობის გამოწვევა-გადაღების შესაძლებლობას. ხალხის რწმენით, მას ქვეშევრდომად ავსულები ჰყავდა (დევი, ეშმაკები), რომელთა შემწეობით შეეძლო სეტყვისა და ნიაღვრების ატეხა, რითაც ჰირნახულს უფუჭებდა შემოკლებებს. შეეძლო კარგი ამინდის დაყენებაც და საყმოსათვის მოსავლის უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ამა თუ იმ ლოკალურ ერთეულს თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა. ეს ლოკალური ერთეულები ამ მთავარი ღვთაების საყმობად ითვლებოდნენ. ღვთაებას მიეწერებოდა საყმოს მფარველობის ფუნქცია, ყოველგვარი ზიანისაგან მისი დაცვის შესაძლებლობა. მათ შორის ამინდის უზრუნველყოფაც და მოსავლის მფარვე-



რუკა № 27. ახარუული ფუნდამენტი მონი სინარბუული ლვთაბანი (XIX ს-ის II ნახევარი)

1. ბოსელი // ბერაბერა, 2. თეოდორე, 3. ბარბარე // შუქალი, 4. გბუკი // ტარბუკი, 5. აან დეკვი, 6. ბოჩი // ოჩი, 7. ლაბარა

ლობაც. ასეთია მაგალითად, ღვთაება ლომისი, რომლის კულტი გავრცელებულია მთიულეთ-გუდამაყარში, ქართლსა და ივრის ზეობაში. მას ჭირნახულის უქმეს უყუენბდნენ, ნახნავ-ნათესის მფარველობას ევედრებოდნენ. ასეთივე იყო მიქაძე გარიო (მიქელ გაბრიელი). სამეგრელოში მას სხვასთან ერთად მიეწერებოდა დარ-ავდრის გამგებლობაც და ჭირნახულის უზრუნველყოფაც.


ლიტერატურა


1. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 92.
2. ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1966, გვ. 16—18.
3. ივ. ჭავჭავაძე, მითითებული ნაშრომი, იქვე, ვ. ბარდაველიძე, ქართული (სენანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 121—123; მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 177—186.
4. ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 14—67; ვ. ბარდაველიძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 37—38, 95—104; 5. ნ. ბრეგვაძე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში. თბ., 1969, გვ. 236—237.
5. ჯ. რუხაძე, ძველი აგრარული დღესასწაულის პერსონაჟი ბერი-ბერა, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, თბ., 1957.
6. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 32; В. В. Бардавелдзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 4—5.
7. მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჯავახეთი), კრბ. „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972, გვ. 61—63; А. Хаханов, Месхи (этнографический очерк) ЭО, № 3-кн. X, 1891, с. 8; ნ. ბრეგვაძე, მეზინდერეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეჩხუმში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, თბ., 1964, გვ. 128.
8. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV, იან დეცემში, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, V, 1951.
9. ჯ. რუხაძე, ხალხური აგრარული დღესასწაული დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976 წ. გვ. 183—193.
10. ნ. ბრეგვაძე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში, გვ. 239.
11. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934, გვ. 263; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 60—62.

ტაბულმბის სია

- I. მემინდერეობა, შრომის პროცესი
- II. 1. მზის საათი
 - 2. ტრიფონის არხის ერთი უბანი
- III. ხორბლის სახეობანი
 - 1. ეგილოპსი
 - 2. მახა
 - 3. ძვ. კოლხური ხორბალი
 - 4. ასლი
- IV. ხორბლის სახეობანი
 - 1. გეაწა ზანდური
 - 2. ჩელტა ზანდური
 - 3. დოლისპური
 - 4. ხულუგო
 - 5. დიკა
- V. 1. დიდი გუთანი (ს. ჯანაშიას სახელ. სახელმწ. მუზეუმი)
 - 2. დიდი გუთანი და მისი ნაწილები
- VI. დიდი გუთანი (თიანეთი)
- VII. 1. მესხური ჯილა
 - 2. რაკული სახენელი
- VIII. შისქილი
- IX. 1—4 სახენელი იარაღის ნაწილები
 - 5—7 ხენის სისტემა
- X. სახენელების ტიპოლოგია
- XI. 1. ცხენის ქანდაკება (საფლავის ქვა, ახალქალაქის რაიონი)
 - 2. გუთნის დედის საფლავის ქვა (სოფ. ნატახტარი)
- XII. 1. შნაკვი
 - 2. შნაკვით კრეფა
- XIII. 1—2 კევრის ტიპები
- XIV. 1—2 თრიალეთური
 - 3. განათხარი კევრი
- XV. 1. სანაყი (ქეიჯ)
 - 2. სანაყი ვობი
 - 3. ხელწისქვილი (შირა)
 - 4. საცეხველი — საძეგველი
 - 5. საწური — ტაბო
 - 6. ბაზარ ხანა (ნაწილი)
 - 7. გელაზი
- XVI. ზეთსახდელი — გეგმა (სოფ. შყალთბილა)
- XVII. ზეთსახდელი (სოფ. შყალთბილა)
- XVIII. ზეთსახდელი — გეგმა (სოფ. ქუმბათი)
- XIX. ზეთსახდელი — კრილები (სოფ. ქუმბათი)

- XX. 1. ღომის საშრობი ნალა (სოფ. წყუაში)
 2. ღომის საშრობი ნალა (სოფ. სურები)
 3. სასიინდე (საჩხერის რ-ნი სოფ. ქორეთი)
- XXI. ბელელი (წყალტუბოს რ-ნი სოფ. ცხუნკური).
- XXII. 1. ძელური ბელელი (მახარაძის რ-ნი სოფ. შითელმათ)
 2. ძელური სხენიანი ბელელი (მახარაძის რ-ნი სოფ. შითელმათ)
- XXIII. 1. ღია აივნის ბელელი (ა) გეგმა; გ' ფასადი; დ) გვერდითი ფასადი (საჩხერის რ-ნი სოფ. ქორვილა)
- XXIV. 1. ბელელი მოდგმულათი (მახარაძის რ-ნი სოფ. ცხემლის ხიდი)
- XXV. 1. ბელელი (საქხოვრებელ კომპლექსში (სხვეწში).
 (ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ჩხაკურა, მ. გარაყანიძის მიხედვით)
- XXVI. 1. მარცელის სათესი გოდორი
 ნახ. 1. გოდორი
 ნახ. 2. კოდი
- XXVII. 1—3 ხის საწნახლები (გაკუთხული)
- XXVIII. 1. ხის საწნახელი (მრგვალი)
 2. ცემენტით შუღისილი ქვიტკირის საწნახელი
 3. ქვის საწნახელი
- XXIX. ღ ი ა მ ა რ ა ნ ი
 1. იმერული ხის ფარალალა მარანი
 2. იმერული პირლია ქვიტკირის მარანი
 3. იმერული დახურული ხის მარანი
- XXX. დ ა ხ უ რ უ ლ ი მ ა რ ა ნ ი
 1. კახური ქვიტკირის მარანი
 2. განათხარი მარანი ურბნისიდან
- XXXI. 1, 2 მარანი ორსართულიანი სახლის ქვ. სართულში
- XXXII. 1—2 თალარი
 ფ. 3. თალარი (შიდა კახეთი)
- XXXIII—XLIII. სანოტო დანართი.





1



2



1



2




3




4



1









2




4


5














1



2












1



2




3





1





2



1




2






1



2




3




5




4




6




7




საქარტაველი მანქანის ნახატი




ს. ქუმჯათი ზეოსასაძელი
ბეზმას




ᐃᑦᑦᑦᑦᑦᑦᑦ ᐃᑦᑦᑦᑦᑦᑦᑦ




1



2



1




2



6



5




8


3




1




2




3




4






5






1




2




1




2




1






2







1



2












1




2



3






1




2

I სკოლის ბიბლიოთეკა





1



2



3

XXXIV

First system of musical notation. It consists of a vocal line and a piano accompaniment line. The vocal line has lyrics: "У - АУ - СУ - СМ. ЕУ У - АУ - СМ, ДУС. СЪ - УММ ДДЪ. ДМ ЕУЪ - ДУ. СМ,". The piano accompaniment starts with a *sm* marking.

Second system of musical notation. It consists of a vocal line and a piano accompaniment line. The vocal line has lyrics: "ДУ - АН ДДЪ. ДН - У СЪЪ - ДУ. СМ, У - АУ - СУ - СМ. ЕУ У - АУ - СМ".

Third system of musical notation. It consists of a vocal line and a piano accompaniment line. The vocal line has lyrics: "У - АУ - СУ - СМ У - АУ - СУ - СЪ У - АН У - АУ СУ - СЪ *sm*".

У - АУ - СУ - СМ

АУЪ. Д - УММ ДДЪ. ДМ ЕУЪ - ДУ. СМ.

Moderato *And.*

Fourth system of musical notation. It features three staves: vocal, piano, and a lower piano part. The tempo marking is *poco a poco accelerando sine al Fine*. The vocal line has lyrics: "М - ЕУ - СМ. У - АУ - М ЕУ СМ". The piano part has a *mf* marking. The lower piano part has a *f* marking. The system concludes with a *f* dynamic and a *sm* marking.

First system of a musical score. It consists of three staves: a vocal line (top), a piano accompaniment line (middle), and a bass line (bottom). The vocal line contains the lyrics: "30 3n 30 - n 3m. e2. cu- n n. u 3m. 3m". The piano accompaniment line contains the lyrics: "30 3m - n m. e2. cu- 30 3m 30 30- 30-". The bass line contains the lyrics: "30 3m 30".

Second system of a musical score. It consists of three staves: a vocal line (top), a piano accompaniment line (middle), and a bass line (bottom). The vocal line contains the lyrics: "3m e2. cu 30 30 3m 30". The piano accompaniment line contains the lyrics: "cn - w- m 30 3m. e2. cn. u- 30 30- 3m 30". The bass line contains the lyrics: "30 3m 30".

Third system of a musical score. It consists of three staves: a vocal line (top), a piano accompaniment line (middle), and a bass line (bottom). The vocal line contains the lyrics: "30 cu. cn cu 3m 3m 3m 3m 3m 30". The piano accompaniment line contains the lyrics: "3m m. e2. cn. u 30 3m 30 30- 30- cn - w- m 30". The bass line contains the lyrics: "30 3m 30 30 30".

Fourth system of a musical score, marked with a repeat sign (I II). It consists of three staves: a vocal line (top), a piano accompaniment line (middle), and a bass line (bottom). The vocal line contains the lyrics: "30 30 n u m. n 30 30 30 30 30 30". The piano accompaniment line contains the lyrics: "30- 30- cn- 30 30n. 3m - 3m. m 30 30 30 30". The bass line contains the lyrics: "30 30 30 30".

ii

30 30 n u. m 3m 30 kn. u 30 - 30 - 30. n 30 - kn. ku. eu

3m n eu 3m uc - 306 02 0m. 60. 03n - cn - 3m eu - eu eu

3m

i

30 kn. u 30 cu. cm 30 cu - cn 30 cu cu - cn eu

3m - n eu 3m n - u eu n u eu3. 00 - 60

3m 30 3m . 3m

ii

30 cn 30 - cu. cn 30 - cu. cu. cm. eu 30 - cu cu. cn 30 eu. cn eu

3m n - u eu n u eu3. 00 - 60 3m - n 02. 00. cn6 eu

3m 3m 3m

ii

30 30 cu - cn 30 cu cu - cn 30 cu - cn eu 30 - n u. cu - cm

ku6 - 20n - 0n m eu 3m n 02. 00. cn6 eu ku6 - 20n - 0n - m eu


3m 3m

Musical score system 1, featuring three staves. The top staff contains the vocal line with lyrics: "30 н- н ео- су" and "30 н- н ео- су". The middle staff contains the piano accompaniment with lyrics: "ома- ео- су" and "ома- ео- су". The bottom staff contains the bass line with lyrics: "30" and "30". The system is marked with Roman numerals I and II.

Musical score system 2, featuring three staves. The top staff contains the vocal line with lyrics: "30 ео- су" and "30 ео- су" repeated four times. The middle staff contains the piano accompaniment with lyrics: "ома- ео- су" and "ома- ео- су" repeated four times. The bottom staff contains the bass line with lyrics: "30" and "30" repeated four times. The system is marked with Roman numerals I and II, and dynamic markings *ff* and *f*.

Musical score system 3, featuring three staves. The top staff contains the vocal line with lyrics: "30 ео- су". The middle staff contains the piano accompaniment with lyrics: "ома- ео- су". The bottom staff contains the bass line with lyrics: "30" and "30" repeated four times. The system is marked with Roman numerals I and II.

Musical score system 4, featuring three staves. The top staff contains the vocal line. The middle staff contains the piano accompaniment. The bottom staff contains the bass line with lyrics: "30" repeated six times. The system is marked with Roman numerals I and II.



Б. А. Б. С. Д. Е. Ж. З.

Moderato

ad libitum

3m - n m - em - n - u - m n - u - 3m m - em - n - u

3m 3m

3m 3m

m - n m - em - n - u m - em - n - u m - em - n - u - m

m - n m - em - n - u m - em - n - u em n - u - m

3m - 3m 3m

3m 3m m - em - n - u - 3m

3m 3m m - em - n - u 3m

3m m 3u - n - u m - 3m - 3m

ad libitum ten.

m- em- n- u m- em- n- u m- em- n- u m- 3m 3u

m m- em- n- u m 3m 3m m- em- n- u

m- n m- em- n- u m m- n m- em- n- u m- 3m 3m 3m 3m

m- es- cu- 3m es- cu- m 3m m- em- n- u

u - du es. cn es. cu u - du es. cn es. cu en. cu am. en. es. es. cu am am am

u - du es. cn es. cu u - du es. cn es. cu en. cu am. en. es. es. cu am am am

u - du es. cu u - du es. cu u - du es. es. es. am am am

am am am es. cn am. es. cn am. es. es m. n. u m. em. n. u

es. cn am. es. cn am. es. es m. n. u m. em. n. u

am

u. du m. en. cu am am am m. em m. em. n. u m. u es. cu

u. du m. en. cu am am am m. em m. em. n. u m. u es. cu

am m. em. n. u u. du m. en. cu am m. em u. du. es. cu

am m. em. n. u u. du m. en. cu. am m. em u. du. es. cu

m. em. n. u. n. u. m. es. cu m. em m. em - n. u. m. u. es. cu m
 m. em. n. u. n. u. m. es. cu m. em m. em - n. u. m. u. es. cu m

m. em u. du es. cu m. em - n. u. n. u. m. es. cu
 m. em u. du es. cu m. em - n. u. n. u. m. es. cu

m. em m. em. n. u. m. u. es. cu. m u. du. es. cu
 m. em m. em - n. u. m. u. es. cu. m

3m. n. u. 3m 3m. n 3m. n es. am. en. u 3m. n. u. 3m
 3m. n. u. 3m 3m. n 3m. n es. am. en. u 3m. n. u. 3m

3m. n 3m-n 80-AM-80-U 3m- n u- 3m 3m-n 3m-n 80-AM-80-U

3m- n 3m-n 80-AM-80-U 3m- n u- 3m 3m-n 3m-n 80-AM-80-U

poco a poco il tempo

3m- n u- 3m 3- 8AM2 3- 8AM2

3m- n u- 3m 3U- 8M2 3U- 8M2

Va crescendo

3- 8AM2 3- 8AM2

3U- 8M2 3U- 8M2 3- 8AM2 3m!

ბოლო სიტყვაობა

მასალები საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის წარმოადგენს სანიმუშო საჩვენებელ კრებულს და მიზნად ისახავს გააცნოს სპეციალისტებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებას თუ რა პრინციპზე იქნება აგებული საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მრავალტომეული. ატლასის რედაქცია საქმიან შენიშვნებს სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდეგი მუშაობის დროს.

წინამდებარე ნაკვეთის შედგენაზე მუშაობდნენ:

მიწათმოქმედების თემატიკაზე — ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლები: ისტ. ბეცნ. დოქტორი თინათინ ოჩიაური; ისტ. მეცნ. კანდიდატები: ხანელი აბესაძე, ნელი ბრეგაძე, ჯულიეტა რუხაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), მანანა შილაკაძე, უმცროსი მეცნ. თანამშრომელი მადონა ხაზარაძე.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები: ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები გურამ გასიტაშვილი და ლეილა მოლოდინი.

მევენახეობა-მეღვინეობის თემატიკაზე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები: ანდრო ლეკიაშვილი, ჯუიანშერ სონღულაშვილი; უმცროსი მეცნ. თანამშრომელი ლევან გაბუნია.

მხატვრები: ნინო ბრაილაშვილი; ნანა თენგიშვილი; არქიტექტორები: გოადავითაშვილი, დემურ ელოშვილი; კარტოგრაფი — მეცნიერ თანამშრომელი ლელი ზაღტაშვილი, ფოტოგრაფი ლევ საფრაზიანი.

კრებულის მომზადებაში ავტორებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექციამ და პარტორგანიზაციამ (აკად. გ. მელიქიშვილი, ისტ. მეცნ.კანდ. ნ. ხაზარაძე), საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წ.-კ. ა. ასლანიკაშვილმა, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებს: ნუნუ მინდაძეს, გივი ჯავახიშვილს; უმცროს მეცნ. თანამშრომელს რევაზ თოდუას, წიგნთან დაკავშირებულ სამუშაოებში მონაწილეობისათვის.

ს ა რ ა ო ვ ი

შ ე ს ა ე ა ლ ი	3
მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობა	14
სარწყაეი და ურწყაეი მიწათმოქმედება	23
ნადაგის განოყიერება	37
ხორბალი	46
გუთანი	68
შნაქეი	74
ქევი	78
ზეთსახდელი	85
სამეურნეო სათავსები	93
საწნახელი	125
მარანი	138
თაღარი	151
მემინდერეობასთან დაკავშირებული შრომის სძლერევი	157
მოსაეღიანობის მფარევი ღვთაებები	167
ტაბულები	175
ტაბულების სია	218
ბოლოსიტყვაობა	220

ИБ 444

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი თ. ოჩიაური
ისტ. მეცნ. კანდ. გ. ჭავჭავაძე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. ბერძენიშვილი, ს. ხანჭალაძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ზ. ომარაშვილი

გადაეცა წარმოებას 3.8.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.3.1980;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 20.7;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.3;

უფ. 01044;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 2797;

ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниერба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19